საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№18 (61)

19 – 25 მაისი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

## დიდი მუხრანი აღარა 10 გვყავს

შერატონ-ოღლუ აჭარისტანში 2

SUPER ბედნიერი ერი 6

რა მეთოდით აგროვებენ ხმებს «ნაცები» 11

არნო ხიდირბეგიშვილი: ფარისეველი ელიტა და სავეღანი-შნულების ტელევიზია 12

ფოთი იტბორება 17

ამერიკა ახალი კრიზისის ზღვარზეა 28

# რაში ხარჯავს მილიონებს მერაბიშვილის უწყება?



განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (შსს სპეცნაზი) თანამშრომლებს ყოველთვიურად 300 კილოგრამ თაფლს და 600 კილოგრამ შოკოლადს აჭმევენ 7

მხოლოდ ქაღალდის შესაძენად წელს ქალაქის მთავარი სამმართველო 121 627 ლარს დახარჯავს

# ვაჲა EL PRESIDENTE! 3



2 სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას, ანუ Союзники – сволочи!

**„ვფიქრობ, რომ სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ შეთანხმების წინ წაწევისთვის“,** — ეს ფრაზა ბარაკ ობამას მიმართვიდანაა, რომელიც რუსეთთან ბირთვული ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებასთან ერთად კონგრესს გაუგზავნა.

# თურქეთი თუ რუსეთი? 8

პოლიტპატიმარ მერაბ რატიშვილის წერილი რუსთავის №6 საპყრობილიდან

## ვლადიმერ ვახანია პოლიტპატიმრების და მათთან გათანაბრებული პირების გათავისუფლებას ითხოვს პოლიტპატიმარ-აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას წერილი

18



ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ტურბერნ იაგლანდს,
ევროპარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ეჟი ბუზეკს,
ევროპის კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ჟოზე ბოროზს,
ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ქალბატონ ქეთრინ ეშტონეს

«VINCIT OMNIA VERITAS»

«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# შერატონ-ოღლუ აჭარისტანში

**მიხეილ სააკაშვილი გაძლიერებული ტემპით აგრძელებს აჭარაში თურქეთის „Penetration pacifique“-ს (ანუ მშვიდობიან) შემოღწევას. თურქეთთან საზღვრისპირა აჭარაში, უკვე რამდენიმე წელია, აღარავის აკვირვებს თურქული კაპიტალის მოძალება, რომელიც ქართულ „კრიშებთან“ უმაღლეს დონეზე არის დაკავშირებული.**

**საქართველოს ახლადგამოჩეკილი „მეგობრები“ ალერსიანად ახრჩობენ ქართულ ეკონომიკას. თურქეთს, როგორც ჩანს, არ ჰყოფნის ის, რომ ქართული ბაზარი გავსებულია უხარისხო თურქული პროდუქციით, რაც პრობლემებს უქმნის როგორც ქართულ წარმოებას, ისე საქართველოს მრავალი მოქალაქის მცირე ბიზნესს, რომლებიც ნახმარი ავტომანქანებით ვაჭრობენ.**

მაგრამ დღეს არ უნდა ვისაუბროთ ცუდზე, არამედ — მხოლოდ დადებითზე, ბათუმში ხომ „შერატონის“ სასტუმროთაგან „ყველაზე მაგარი“ გაიხსნა, თურქული დაფინანსებით. **სააკაშვილი ხარობდა, მაღალი რანგის სტუმარი – პრემიერი ერდოღანი – ქათინაურებით აავსო, მაგრამ ეს ვის გააკვირვებს მაშინ, როდესაც ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა ახლა უკვე ნურეთინ ჩამიკლის – „შერატონის“ მშენებლობის დამფინანსებელი ბიზნესმენის სახელს ატარებს.**

ადრე სააკაშვილს ჩამიკლისთვის პროჟექტორი უჩუქებია, რომელიც საბჭოთა დროს თურქეთთან საზღვაო საზღვარს ანათებდა და, სააკაშვილისვე სიტყვებით, **„ადამიანებს საქართველოსთან მოახლოების საშუალებას არ აძლევდა“.** ამჟამად საზღვარი გახსნილია, თურქები, ანუ „ადამიანები“ საქართველოს „უახლოვდებიან“ და საკუთარი ბიზნესის გასავითარებლად მის საზღვარსაც კვეთენ. სანაცვლოდ აჭარის მკვიდრნი ამით დიდ სარგებელს ვერ ნახულობენ.

**მას შემდეგ, რაც სააკაშვილი დაეუფლა აჭარას, მან ვერა და ვერ შექმნა ახალი სამუშაო ადგილები; თუ არ ჩავთვლით აჭარის იმ მცირერიცხოვან მკვიდრთ, რომლებიც სანაპირო ზოლში ფლობენ სახლებს და საკურორტო სეზონზე თავს ტურიზმით ირჩენენ, აჭარლების უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს.**

ამ ფონზე ავტონომიური რესპუბლიკის სნობური რეკლამირება, როგორც შავი ზღვის სანაპიროს „ყველაზე მაგარი“ ადგილისა (სააკაშვილის ლექსიკა), ჯერჯერობით მხოლოდ ფასების ზრდას განაპირობებს კვების პროდუქტებზე, აჭარაში ფასები მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე მაღალია. პატარა მაგალითი: ამ სეზონზე, როდესაც მარწყვი თბილისში 1,5-2 ლარი ღირს, ბათუმის მაღაზიებში მისი ფასი 3-დან 5 ლარამდეა. საქმე რომ მარტო მარწყვს არ ეხება, ეს გამოცდილებით ყველაზე უკეთ აჭარლებმა იციან. იციან, მაგრამ ჯერ კიდევ ითმენენ, მხოლოდ ხანდახან კბილებს შორის რაიმე ნაკლებად სასიამოვნოს გამოსცრიან ხოლმე ქუჩაში მიმავალი რომელიმე თურქი ბიზნესმენის მისამართით....

ბათუმში კი თურქული სტანდარტების „შერატონის“ გახსნასთან დაკავშირებული კონცერტი გაიმართა, რომელზეც **თეთრ ქუდებს არიგებდნენ წარწერით „მე მიყვარს ნურეთინი“, ხოლო საკუთრივ კონცერტის მოდელირება თურქულ ენაზე ხდებოდა.**

ბათუმის „შერატონი“ თავისი ულიმღამო შესახედაობითა და ცოტა ვიწრო ინტერიერით შეიძლება კარგად ეხამება ოდესღაც თურქულ აჭარისტანს, მაგრამ არა ქართულ აჭარას და მის მარგალიტს – **ბათუმს, რომელიც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დახმარებით ბრძოლებით იქნა დაბრუნებული და თავიდან აშენებული საუკეთესო ევროპულ სტილში.**

**გულბაათ რცხილაძე**

# სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას, ანუ Союзники – сволочи!

**ფიჯი, პალაუ, კირიბატი, ტუვალუ, ტონგა (ყველას რა ჩამოთვლის)... რამდენი პატარა, მშვენიერი და, რაც მთავარია, შორეული სახელმწიფო არსებობს დედამიწის ზურგზე, ჩვენ კი ამას სათანადოდ არ ვიყენებთ. არადა, მიხეილ სააკაშვილის ხანგრძლივმა საზღვარგარეთულმა ვოიაჟმა აპრილ-მაისში ცხადად აჩვენა: რაც უფრო შორს იმყოფება იგი საქართველოდან, მით უფრო მშვიდად ვგრძნობთ თავს ჩვენ და, სავარაუდოდ, — ისიც. ასე რომ, ალბათ, დროა, საგარეო უწყება ოკეანიაში სააკაშვილის ტურნეს დაგეგმვას შეუდგეს. თქვენი იმედი გვაქვს, ბატონო გრიგოლ; თუ იქაურები წინააღმდეგობას გიწევენ, უთხარით, რომ მაგდუ გაუჯავრდა და განსაცდელი უნდა მოუვლინოს. ჯერჯერობით კი მაგდუს რისხვა, რომელიც ასე თვალსაჩინოდ აისახა ფილმში „სენიორ რობინზონი“, თავს, როგორც ჩანს, ისევ ჩვენს ქვეყანას ატყდება.**

## მოკავშირესთან დაკავშირებით

**„ვფიქრობ, რომ სიტუაცია საქართველოში აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას ამ შეთანხმების წინ წაწევისთვის“,** — ეს ფრაზა ბარაკ ობამას მიმართვიდანაა, რომელიც რუსეთთან ბირთვული ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შეთანხმებასთან ერთად კონგრესს გაუგზავნა. ცხადია, მშვიდობიანი ატომი მეომარ ატომს სჯობს და არც არავინ დაობს იმაზე, რომ თანამშრომლობა ბირთვული ენერგეტიკის დარგში ზოგადად საინტერესო თემაა, თუმცა, ჩვენი ყურადღება, ალბათ, სხვა გარემოებამ უნდა მიიპყროს.

**ამ შეთანხმებას ხელი 2008 წლის მაისში მოეწერა, ჯორჯ ბუშმა იგი კონგრესს რატიფიკაციისთვის გაუგზავნა, თუმცა აგვისტოს ომის კვალობაზე უკან გამოიტანა შემდეგი ფორმულირებით: „რუსეთის ფედერაციის მთავრობის ბოლოდროინდელი ქმედებების გათვალისწინებით, რომელიც მის მეზობელთან, სუვერენულ და დემოკრატიულ(?) საქართველოსთან, მშვიდობიანი ურთიერთობის სულისკვეთებას არ შეესაბამება“.**

ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი, სანქციების მაგვარი ქმედება, რომელსაც მაშინ ვაშინგტონმა მიმართა, მიუხედავად იმისა, რომ ამით არა მხოლოდ რუსეთი, არამედ შტატებიც (მომაკვდინებელი ეს არც ერთისთვის ნამდვილად არ ყოფილა) დაზარალდა.

ახლა კი ბარაკ ობამა ადგა და ეს შეფერხებაც მოხსნა, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში, ვიდრე „მშვიდობიანი ატომის“ შეთანხმება თეთრ სახლსა და კაპიტოლიუმს შორის მიმოიქცეოდა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა. **„World Politics Review“-ი** ვარაუდობს, რომ ეს ერთგვარი საფასურია იმისთვის, რომ **„რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში ხმა ირანის წინააღმდეგ სანქციების ახალ პაკეტს მისცეს“.**

ისე, ბულგაკოვის **„თეთრ გვარდიაში“** ერთი კარგი ფრაზაა: **„Если тебе скажут, что союзники спешат нам на выручку, - не верь. Союзники - сволочи“,** თუმცა ამერიკელები საქართველოზე საუბრისას სიტყვა „მოკავშირის“ გამოყენებას (განსაკუთრებით ბოლო დროს) ერიდებიან. ნებისმიერ შემთხვევაში,

**ობამას მიმართვა კონგრესისადმი, ალბათ, კიდევ ერთი სიგნალია იმის თაობაზე, რომ ის პრობლემები, რომელსაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, შტატებისთვის შეიძლება მეათეხარისხოვანი იყოს ან სულაც „დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს“.**

საინტერესოა, კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ ცხადი გახდეს საქართველოს ხელისუფლების იმ საგარეო-პოლიტიკური ხაზის უპერსპექტივობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრობლემების აშშ-რუსეთის ურთიერთობების დღის წესრიგზე მიბმას გულისხმობს? ალტერნატივა ცნობილია: პირდაპირი მოლაპარაკებები მოსკოვთან (შესაძლოა, რომელიმე ევროპული ქვეყნის შუამავლობით) და რეალისტური კომპრომისის ძიება.

კიდევ ერთი საგულისხმო სიგნალია ალექსანდრ ქულის და ლინკოლნ მიტჩელის წერილი **„The American Interest“**-ში. მართალია, ეს მხოლოდ ექსპერტთა მოსაზრებაა, თუმცა გამორიცხული არაა, ლოგიკამ თეთრ სახლს სწორედ ამ მიმართულებისკენ უბიძგოს. ერთი პასაჟი: **„ეს ტერიტორიები საქართველოსთვის, როგორც ჩანს, დაკარგულია, შესაძლოა — ათწლეულებით, ხოლო რუსეთის გავლენა მათში სწრაფად და მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ აშშ თავის მიდგომას არ შეცვლის, რუსეთი მალე სრულად დაიმორჩილებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს“.** ამიტომ შტატებმა **„ევროკავშირთან ერთად დაუყონებლივ ბოლო უნდა მოუღოს იზოლაციის ამჟამინდელ პოლიტიკას ამ ტერიტორიების მიმართ და იგი სხვა მიდგომებით შეცვალოს: „მოზიდვა** (სიტყვა engagement ამ შემთხვევაში, შეიძლება უფრო მართებულია, ითარგმნოს როგორც ჩათრევა, ჩართვა რამეში) **აღიარების გარეშე“.** შემდეგ ჩამოთვლილია ბონუსები, რომლებიც დასავლეთმა შეიძლება სეპარატისტული რეგიონების ელიტებს შესთავაზოს.

**მართალია, აშშ-ის ინტერესების დაცვასთან ერთად ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მიზნად მოხსენიებულია საქართველოს გამთლიანების „შანსების შენარჩუნება“, თუმცა რეალურად დასავლეთის მუშაობა აფხაზური და ოსური ელიტის „მოზიდვაზე“ შეიძლება საქართველოს თამაშგარეთ დატოვებით დაგვირგვინდეს.**

რა თქმა უნდა, შეგვიძლია დავჯდეთ და დაველოდოთ, რით დასრულდება ეს მანევრები (თუ მათი იმიტაცია), მაგრამ, ალბათ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, ▶

## მოკლედ



### მდიდრები და ...

**ეროვნული კომედიური სერიალის მორიგი სეზონი მზადაა — როგორც ყოველ გაზაფხულზე ხდება, საჯარო მოხელეებმა ქონებრივი დეკლარაციები შეავსეს.**

ახალგორის მაჟორიტარ დეპუტატს — დევი ოვაშვილს საკუთარი და ნათესავების ბინების, ასევე ახალგორიდან დევნილი ოჯახების სახლების გარემონტებისას მილიონი ევრო დაუხარჯავს. ახლა დეპოზიტზე ნახევარი მილიონი ევროღა დარჩენია, ხოლო ჯიბის ფულად — 20 000 ლარი.

მაგრამ არა უშავს, ამასობაში იქნებ გასესხებული ორ მილიონამდე დოლარი დაუბრუნონ და ამოისუნთქავს.



### ... ღარიბები

**ხონის მაჟორიტარ დეპუტატს — დავით ჭავჭანიძეს სახლი არც შარშან ჰქონდა და წელსაც გაგვიცრუა იმედები — მის ქონებრივ დეკლარაციაში უძრავი ქონებისთვის განკუთვნილი გრაფა კვლავაც ცარიელია.**

სამაგიეროდ, მოძრავ ქონებაში შეინიშნება გაორმაგება: თუ შარშან ერთადერთი ავტომანქანა ებადა, წელს უკვე ორი ჰყავს — 1995 და 1996 წელს გამოშვებული BMW-ები. სამი შვილის მამას ამის გარდა ორი საბანკო ბარათი აქვს, ერთი სახელფასო და ერთიც — საკრედიტო. როგორც ჩანს, საქართველო დემოკრატიის კი არა, ლუმპენ-პროლეტარიატის გზას ადგას — ოვაშვილები მდიდრდებიან, ჭავჭავაძეები კი — ღარიბდებიან.



### კემულარიას არსენალი

**პარლამენტარი როლანდ კემულარია დიდი ნადირობისთვის სათანადოდ აღჭურვეს.**

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მას დის შვილმა ლაშა დარასელიამ 3500 დოლარად ღირებული სანადირო თოფი „ფრენჩი“ აჩუქა, ბიძაშვილმა კორნელი კემულარიამ — 3000-დოლარიანი სანადირო თოფი „მერკერი“, ძმამ კონსტანტინემ — 1500-დოლარიანი პისტოლეტი „პარაბელუმი“, მამიდაშვილმა მერაბ გერგაიამ – 500-დოლარიანი პისტოლეტი „ნაგანი“, ხოლო დეიდაშვილმა თამაზ ბასილაიამ — 1000-დოლარიანი პისტოლეტი „ჩეზე-75“.



**ბევრ ადამიანს გაუჩნდა ირაციონალური რწმენა იმისა, რომ შექმნილი მდგომარეობის უიმედობას თავად ხელისუფალნი გააცნობიერებდნენ, თავს დახრიდნენ და მორცხვად სახლებში წავიდოდნენ; მალევე გამოჩნდა, რომ ეს ილუზია იყო.**

◀ რომ დროს საქართველოსთვის ამ შემთხვევაში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სისხლს იმ ადამიანისთვის, რომელიც მისგან იცლება.

## თეთრი ვარდების წითელი ეკლები

**„2013 წლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი ნამდვილად ვერ იქნება და ამის გარანტიას თავად ქვეყნის კონსტიტუცია იძლევა, თუმცა არც კანონმდებლობა და არც არავინ მას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკურ აქტიურობასა და პოლიტიკაში დარჩენას არ უკრძალავს. არა მგონია, 2013 წლის შემდგომ ქართულ პოლიტიკაში სააკაშვილის ყოფნის საჭიროება არ იყოს და მის გარეშე ქართულ პოლიტიკას ვერ ვხედავ“,** — განუცხადა ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა სააგენტო „პირველს“.

მარტივად რომ ვთქვათ, ისინი წასვლას არსად აპირებენ. ოპოზიციის რიტორიკამ (მეტწილად ბაქიბუქმა) და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პოზიციების მკვეთრმა გაუარესებამ ერთობ მიაჩვია საზოგადოების დიდი ნაწილი იმ აზრს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დასრულებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. ბევრ ადამიანს გაუჩნდა ირაციონალური რწმენა იმისა, რომ შექმნილი მდგომარეობის უიმედობას თავად ხელისუფალნი გააცნობიერებდნენ, თავს დახრიდნენ და მორცხვად სახლებში წავიდოდნენ; მალევე გამოჩნდა, რომ ეს ილუზია იყო.

თუმცა, ზოგიერთი მიმომხილველის ვარაუდით, **კრიზისს ხელისუფლებისთვის უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია, მის წიაღში გაჩნდა რამდენიმე ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილის ფიგურა მათი მომავლისთვის უსარგებლო და სახიფათო ბალასტს წარმოადგენს. როგორც კი სააკაშვილთან დაპირისპირება ამ ჯგუფებისთვის უფრო მომგებიანი გახდება, ვიდრე მასთან ყოფნა — ისეთივე ენთუზიაზმით დაერევიან, როგორითაც მგლების ხროვა თავს ესხმის დაუძლურებულ წინამძღოლს.**

თუ გიგი წერეთლის განცხადებას ამ კონტექსტში განვიხილავთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იგი სწორედ ამ ჯგუფებისგან გამიჯვნას ცდილობს და სავსებით ლოიალურად ემხრობა სცენარს, რომლის ფარგლებშიც „დემეტრაშვილის კომისიის“ მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ, სააკაშვილი 2013-ში ფართო უფლებების მქონე პრემიერ-მინისტრად მოგვევლინება.

ჰიპოტეტური ბზარის გაჩენა ხელისუფლების შიგნით განსახილველად საინტერესო თემაა, თუმცა მან შეიძლება გაუმართლებელ კონსპიროლოგიამდეც მიგვიყვანოს. ერთი შეხედვით, შინაარსობრივად არაფერი იცვლება, რადგან **ამ სავარაუდო სქემის ფარგლებში ქართველი პოლიტიკოსების შიში და ამბიცია, საბოლოოდ ერთი მიზნის მიღწევის, ქვეყნის სათავეში აშშ-ის მიერ 100%-ით კონტროლირებადი ძალების შენარჩუნების კალაპოტში ექცევა. თუმცა მათ ამ გზაზე მმართველი ძალის ფრაგმენტაციის ძალზე სარისკო ეტაპის გადალახვა მოუწევთ.**

ეს ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს, როდესაც ვინმემ შეიძლება ხელი ჰკრას და უფსკრულში გადაჩეხოს. დღეს ზოგიერთი ჯგუფისთვის წინსვლაც და ადგილზე დარჩენაც ერთნაირად სარისკო ჩანს; უსაფრთხო ვარიანტი კი უბრალოდ არ არსებობს. პრინციპში, **სააკაშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობის პრობლემამ „ვარდების რევოლუციის“ შვილები შეიძლება თვითგანადგურების ისეთივე პროცესში ჩააბას, როგორშიც ძველი ინგლისური არისტოკრატია „ვარდების ომის“ დროს ჩაერთო, ოღონდ** (ალბათ, მაინც) **თავების საჯაროდ და მასობრივად გატეხვის გარეშე. ისე, მაშინ ყველაფერი მეფე ჰენრი VI-ს ქმედუნარიანობის პრობლემით** (რეალური თუ წარმოსახვითი, ვინ იცის) **დაიწყო.**

ოდნავ ზემოთ შესაძლო გარიგების „მშვიდობიანი ატომი — ანტიირანული სანქციების სანაცვლოდ“ სქემა განვიხილეთ. ვის შეუძლია გამორიცხოს, რომ ხვალ (თუ გუშინ არა) სასწორის ერთ მხარეს, სხვა გარიგების ფარგლებში, შეიძლება ქართული პროამერიკული ელიტის სკალპები (გადატანითი მნიშვნელობით) აღმოჩნდეს? გეოპოლიტიკური სარჩული ამ პოპულაციის არსებობისთვის (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ჭარბი რაოდენობით) უკვე აღარ არსებობს, რაც საკმაოდ ნათლად უკრაინასა და ყირგიზეთში გამოჩნდა.

**ამერიკელებს** (იმ შემთხვევაში, თუ კრემლთან პოსტ-საბჭოთა სივრცეზე „დიდ გარიგებას“ მართალაც მიაღწიეს და რეჟიმების შეცვლაზე მასთან ერთად ისეთივე კონსენსუსის პირობებში მუშაობენ, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, „გარდაქმნის“ წლებში) **სკალპების აჭრის მდიდარი ტრადიციები კი აქვთ, თუმცა მათთვის გაცილებით მომგებიანი იქნება, თუ ქართველი მოღვაწეები ამას თვითონ, საკუთარ გათვლებსა და რწმენა-წარმოდგენებზე დაყრდნობით გააკეთებენ. ამ მიზნის მიღწევას კი ხელისუფლებისა და საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის თვითგანადგურების გზაზე დაყენება სჭირდება.**

იმ დრამატულ სცენებზე, რომლებიც თან სდევს ბუნებრივი შერჩევის პროცესს შემცირებული ეკოლოგიური (ჩვენ, ისევე, როგორ ინგლისური „ვარდების ომის“ შემთხვევაში — პოლიტიკური) ნიშის პირობებში, შეჩერება, ალბათ, არ ღირს. სერ ჩარლზ დარვინმა ამაზე ისედაც საკმარისზე მეტი დაწერა.

**დიმიტრი მონიავა**



საავტორო სვეტი

# ვაავა EL PRESIDENTE!

**რაღა დროს ჩემი კომპიუტერით თამაშია, თუმცა „ტროპიკო 3“ ნამდვილად მომეწონა. რეკლამაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ არასდროს შემხვედრია თამაში, რომელიც ჩვენს რეალობასთან ასე ახლოს დგას; მოთამაშეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ, კომპიუტერის მონიტორს კი არა, ტელევიზორს უყურებს.**

პატარა ღარიბი ქვეყანა მრისხანე და ეჭვიანი ზესახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის სფეროში, დონორი ორგანიზაციების დიქტატი, ნახევრად ჩამოშლილი ქოხები ფეშენებელური სასტუმროების გვერდით, ძალოვანთა ძალმომრეობა, ხმაურიანი და კორუმპირებული ოპოზიცია, გაუთავებელი პრობლემები, გაუსტუმრებელი ვალები და ყოველივე ამის შუაგულში მთავარი გმირი, „ელ პრეზიდენტე“, რომლის მეშვეობით იმ ბედკრულ ქვეყანას — ტროპიკოს ვმართავთ. იგი (სურვილისამებრ) წარმოთქვამს მგზნებარე სიტყვებს სასახლის აივნიდან, იპარავს ფულს ბიუჯეტიდან, აყალბებს არჩევნებს, ხოლო როდესაც მოწინააღმდეგისგან გარბის, ეკრანზე მორცხვი წარწერა — „სტარეტეგიული უკანდახევა“ — ჩნდება.

თამაშის დასაწყისში „ელ პრეზიდენტეს“ გარეგნობის არჩევა შეიძლება. ალბათ, ვერავინ მიხვდება, ჩემი პერსონაჟი ვის დავამსგავსე.

ტროპიკოს რადიო, შუალედებში ცეცხოვან ლათინოამერიკულ სიმღერებს შორის „თვითცენზურის“ მარწუხებში მოქცეულ საინფორმაციო ჩართვებში თან ამართლებს „ელ პრეზიდენტეს“ მორიგ სისულელეს და თან შეფარულად, ირონიულად აკრიტიკებს მას. ამ გადაცემების მოსმენა ნამდვილად ღირს, თუნდაც ერთი მარტივი ფაქტის კონსტატაციისთვის: ჩვენი სახელმწიფო პროპაგანდა ტროპიკოს რადიოს დონემდეც ვერ ქაჩავს.

რამდენიმე იოლად დასამახსოვრებელი პრინციპი, რომელთა პატივისცემას ხსენებული თამაში გვასწავლის: **ა) ადრე თუ გვიან ვალს დაბრუნება უნდა; ბ) ზესახელმწიფოების გადამტერება ნამდვილად არ ღირს; გ) არჩევნების გაყალბება და დემონსტრანტების ცემა ცუდად მთავრდება; დ) მორწმუნეებთან ურთიერთობის გაფუჭება ძალიან ძვირი ჯდება; ე) იმის გაცნობიერება, რომ ნებისმიერ ცუდ საქციელს შესაბამისი შედეგი მოსდევს, აუცილებელია იქამდე, ვიდრე სასახლეს ხალხთა მასები მოადგებიან.**

შესაძლოა, ფილმში „თოჯინები იცინიან“ გამოთქმული ცნობილი მოსაზრება სიმართლესთან ახლოს დგას და ხელისუფალთა (შესაბამისად ქვეყნის) პრობლემები იქიდან იწყება, რომ ბავშვობაში მათ სათამაშო, კერძოდ კი „ტროპიკო 3“-ის დისკი არ ჰქონდათ. თან ისწავლიდნენ, თან გაერთობოდნენ, და შესაძლოა, პოლიტიკისკენ არც გამოეხედათ. **მარცხის შემთხვევაში, კომპიუტერული თამაში უბრალოდ შეიძლება გადატვირთო და თავიდან დაიწყო, რეალურ ქვეყანას კი ვერ გადატვირთავ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი დამსხვრეულია როგორც სათამაშო ჭირვეული ბავშვის ხელში.**

მოსავალი უამინდობამ იმსხვერპლა, ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს ითხოვს, „ღორები სავალუტო ფონდიდან“ (ტროპიკოს რადიოს ტერმინოლოგია) ამოსუნთქვის საშუალებას არ იძლევიან, ზესახელმწიფოთა საექსპედიციო ძალები გოროზად უახლოვდებიან ნაპირებს (ადგილობრივ არმიას მათთან შებრძოლების შესაძლებლობაც კი არ აქვს), ინვესტორებად წოდებული საერთაშორისო აფერისტები სვავებივით თავს დასტრიალებენ ქვეყანას, ტურისტები არ ჩამოდიან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს... ალბათ, საკმარისზე მეტი საბაბია იმისთვის, რომ **„ელ პრეზიდენტე“ დროებით მაინც მოეშვას იმ საეჭვო სიამოვნებით ტკბობას, რომელიც ძალაუფლებას მოაქვს და ელემენტარულად ფიქრი დაიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი რეჟიმისგან ბუნდღაც არ დარჩება;** „ტროპიკო 3“ უაღრესად მხიარული, თუმცა საკმაოდ სასტიკი თამაშია, ადრე თუ გვიან სიუჟეტი მოთამაშეს აიძულებს, საკუთარ სიცრუესა და სისუსტეზე პასუხი თავადვე აგოს.

თუმცა, თუ ვირტუალურ სახელმწიფოსა და მოსახლეობაზე, რეალურ და პატიოსან (მცირედი ხრიკები დასაშვებია, ამას, ალბათ, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ აუვა) ზრუნვას დაიწყებ, რომელიც ემოციების ნაცვლად ფრთხილ გათვლებზე იქნება დაფუძნებული, პრობლემები, რომლებიც დაუძლეველი ჩანდა, ნელ-ნელა მოგვარდება. ქვეყანა დამშვიდდება, დალაგდება და ფეხზე დადგება. ერთ მშვენიერ დღეს კი რადიოში გაიჟღერებს გულწრფელი აღტაცებით სავსე ფრაზა: „ვივა ტროპიკო! ვივა ელ პრეზიდენტე!“.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ



## „დაბრუნება საქართველოში“

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს გენიალური იდეა დაებადათ.**

გადაწყვიტეს, უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ ქართველ ბიზნესმენებს შესაძლებლობა მისცენ, საქართველოში დააბანდონ კაპიტალი და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ.

სამი დღით სამშობლოში დაბრუნებულთა ადგილობრივ კოლეგებს მძიმე ხვედრი ერგოთ — სტუმრები უნდა დაარწმუნონ, რომ ბიზნესი უკვე აქაც ყვავის.



## პრეზიდენტს უმკურნალეს

**მაშინ, როდესაც მთელი საქართველო დაკარგულ პრეზიდენტს სულიკოსავით დაეძებდა, მხოლოდ კონსერვატორებს ეძინათ მშვიდად.**

მათ იცოდნენ და როგორც იქნა, ჩვენც გაგვიმხილეს იდუმალი მოგზაურობის საიდუმლოება: „სააკაშვილი ამერიკაში 22 დღით იმყოფებოდა, რა დროსაც არც ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა არ ჰქონია. არაოფიციალური ინფორმაციით, მთელი ამ დროის მანძილზე პრეზიდენტი ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა კლინიკაში მკურნალობდა, რადგან „კოკაინის“ მომხმარებელია“.



## ლაღიძე ხაჭაპურს გვპირდება

**მას შემდეგ, რაც წინასაარჩევნო დაპირებების არსენალიდან უფასო დენი და წყალი გრიგოლიამ დაიჩემა, გიორგი ლაღიძეს რაღა დარჩენოდა და ხაჭაპურებზე გადაგვატარა, ოღონდ უფასოდ ვერაო.**

მოქმედი ხელისუფლების, მერისა და საკრებულოს პირველი დანაშაული ქვეყნისა და ერის წინაშე „ლაღიძის წყლების“ გაუქმება ყოფილა; მეორე დანაშაული — რესტორან „ნიკალას“ დახურვა. ახლა ჩვენი ვალია, დედაქალაქის მერად ლაღიძე ავირჩიოთ და მერე ხაჭაპური ჩემზე იყოს, ორივეს აღვადგენო, დაგვპირდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# აურზაური სასირეთში

**მაპატიოს მკითხველმა ამ, შესაძლოა, ზედმეტად მკაცრი შეფასებისთვის, მაგრამ ადგილს, სადაც უკვე ყველასთვის ნაცნობი „წიგნი“ იწერება, ხოლო შემდეგ მისი პრეზენტაცია იმართება (სხვათა შორის, წმინდანის სახელობის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში), სასირეთის გარდა ვერაფერს ვუწოდებ.**

აი, თვითონ ამ „წიგნის“ ავტორი და მისი „გამპიარებლები“ კი ნამდვილად არ არიან სირები. მათი ნაწილი სრულიად ჩვეულებრივი სულით ავადმყოფია მკვეთრად გამოხატული ფსიქიკურ-სექსუალური დარღვევებით, ნაწილი კი – ასევე ჩვეულებრივი მტერი, თანაც არცთუ ჭკვიანი, რომელსაც იმის ტვინიც კი არ ჰყოფნის, რომ შეინიღბოს მაინც და თავიდანვე არ გაშიფროს თავისი არსი და მიზნები.

ნამდვილად არ მეგონა, თუკი ოდესმე ხელში კალმის აღება ადამიანის მსგავსი ისეთი არსების გამო მომიწევდა, როგორიც ვიღაც ლაწირაკი დეისაძეა; სწორედ რომ ადამიანის მსგავსი და არა ადამიანი, რადგან, **როგორც მართლმადიდებლობა გვასწავლის, ყოველ ადამიანში არის ღმერთი. აი, დეისაძეში ღმერთის არსებობისა კი რა მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს და, ეჭვი მეპარება. თუმცა ღმერთი და მკურნალი, უპირველესად, სწორედ ავადმყოფს სჭირდებაო, ცნობილია.**

დავანებოთ თავი ამ მართლაც და აბორტის მსხვერპლ დეისაძეს. ბოლოს და ბოლოს, თუ ამ ავადმყოფმა თავისი „წიგნით“ ვინმეს რამე დაუშავა, უპირველესად, – საკუთარ თავს. არ გახსენდებათ გასული საუკუნის ცნობილი ამბავი? გაგახსენებთ: **როცა ერთ-ერთი ტვინგამორეცხილი ბოლშევიკი ეკლესიაში შერბის, იქაურობას იავარქმნის, ხატებს ამსხვრევს და ხმამაღლა ყვირის – აბა, თუ თქვენი ღმერთი მართლა არსებობს, რატომ არაფერს არ აკეთებს და არ მსჯისო?! – იქვე მყოფმა და ამის შემყურე მღვდელმსახურმა უპასუხა – ამაზე მეტი რა უნდა გიქნას და როგორ უნდა დაგსაჯოს, შეხედე საკუთარ თავს, ადამიანის სახე გაქვს დაკარგულიო.**

ზუსტად იმავე დღეშია უბედური დეისაძე, რომელმაც, ყველა სიკეთესთან ერთად, პროვოკატორის როლიც შეასრულა სხვადასხვა ჯურის მინდიაშვილების, თევზაძეების, რატიანების თუ ჯანგირაშვილების ხელში. აი, ესენი არიან ნამდვილი მტრები, თორემ ისინი რომ არა, დღეს დეისაძის არსებობა არავის ეცოდინებოდა, მისი ახლობლებისა და ფსიქო-სექსოპათოლოგების გარდა.

**ჩვენო, ამ წიგნს კი არ ვიცავთ, გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიის სადარაჯოზე ვდგავართო, — შუშის თვალებით გვამცნობენ თევზაძე-მინდიაშვილ-რატიანები.**

მხოლოდ ერთი ციტატა აღნიშნული „წიგნიდან“ და ამისთვისაც უდიდესი ბოდიში მკითხველთან, მართლმადიდებლობასა და ღმერთზე რომ აღარაფერი ვთქვა. **„პატარა როცა ვიყავი და დავინახავდი, რომ დედაჩემი პირჯვარს იწერდა, მე მიდგებოდა“,** — წერს ამ „წიგნში“ ადამიანისმაგვარი დეისაძე.

მივმართავ თევზაძეს, მინდიაშვილს, რატიანსა და მათნაირებს: როცა პატარები იყავით და თქვენი დედები პირჯვარს იწერდნენ, თქვენც გიდგებოდათ?

**ცოლ-შვილი ყველას გყავთ? თქვენმა შვილმა რომ შეიძინოს ეს წიგნი, წაიკითხოს, ჭკუაში დაუჯდეს და თქვენს ცოლზე, ანუ დედამისზე აუდგეს, მაშინაც იტყვით, ეს ნორმალური და დემოკრატიული პროცესიაო?**

**და თუ — არა, მაშინ რას ერჩით სხვის შვილებს?**

რაც შეეხება საკუთრივ დემოკრატიას, აქაც ცუდადაა თქვენი საქმე, ე.წ. ბატონებო, რადგან დემოკრატია უმრავლესობის პოზიციის დომინირება და მმართველობაა, უმრავლესობა კი ამ ქვეყანაში ყოველთვის იყო, არის და იქნება მართლმადიდებელი ქრისტიანი, რასთან შეგუებაც აუცილებლად მოგიწევთ, თუ არ გსურთ, რომ, უკეთეს შემთხვევაში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულოთ თქვენი ბედკრული ცხოვრება.

**ღვთისმშობელი და აბორტიც ახსენა უბედურ დღეზე გაჩენილმა დეისაძემ.**

**დეისაძეს ღვთისმშობელი შეუნდობს, აი, ზემოჩამოთვლილი „ბატონების“ დედებს კი თავის დროზე მართლაც რომ გაეკეთებინათ აბორტი, ყველასთვის სასარგებლო იქნებოდა – პირადად მათთვისაც, მათი დედებისთვისაც და მთელი ქვეყნისთვისაც.**

მართლმადიდებლობას კი უარესი პერიოდებიც გადაუტანია და დღემდე მოსულა. ასე რომ, გააკეთეთ დასკვნები, ჩემო კარგებო და კეთილებო.

**არჩილ ჩხარტიშვილი**

# კანონიკურსა და კანონიერზე



**„ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში კანონი ძალადობასა და პიროვნულ თავდასხმებს უნდა კრძალავდეს, ყველაფერი სხვა დანარჩენი — თუ რა არის მორალური და ზნეობრივი, კანონით არ წესდება. ასეთი რამ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში ხდება, რომელსაც დემოკრატიასთან სერიოზული პრობლემები აქვს. ზნეობაზე ზრუნვა საგანმანათლებლო დაწესებულებების, ეკლესიისა და, ზოგადად, საზოგადოების საქმეა, მაგრამ ზნეობის აკრძალვებით, ჯოხითა და, გნებავთ, ჯვრით დანერგვა, კონტრპროდუქტიულია“ (სააგენტო „პირველი“), — ასეთი კომენტარი გააკეთა პარლამენტარმა დავით დარჩიაშვილმა საპატრიარქოს 15 მაისის განცხადებაზე, კერძოდ, თხოვნაზე ხელისუფალთა მიმართ, „სასწრაფოდ მიიღონ კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, დაიცავს პიროვნებისა და საზოგადოების პატივსა და ღირსებას და მათ რელიგიურ გრძნობებს“.**

ამ ორი ციტატის შედარებამ შეიძლება მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ დარჩიაშვილი მანიპულირებას, ცნებებისა და ტერმინების ჩანაცვლებას ცდილობს, რადგან არც კანონით იმის განსაზღვრა, თუ რა არის „მორალური“, არც „ზნეობის დანერგვა“ საპატრიარქოს არ უთხოვია.

უფრო შორს თუ წავალთ, ვნახავთ, რომ, დარჩიაშვილის კლასიფიკაციით, „დემოკრატიასთან სერიოზული პრობლემების“ მქონე ქვეყნების ნუსხაში შეიძლება ფრიად ღირსეული სახელმწიფოები მოხვდნენ.

**ირლანდიის კონსტიტუცია მოითხოვს, რომ ღვთის გმობა (Blasphemy) კანონით ისჯებოდეს.** 2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული კანონის თანახმად, პიროვნებას, რომელიც „განგებ და საჯაროდ“ იტყვის რაიმე შეურაცხმყოფელს რელიგიურ სიწმინდეზე და ამის გამო ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, 25 ათას ევრომდე ჯარიმა ემუქრება. დაინტერესებულ მკითხველებს, აგრეთვე, შეუძლიათ გადახედონ **ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის** 188-ე და 189-ე მუხლებს; დანიის სს კოდექსის 140-ე პარაგრაფს; **ფინეთის სს კოდექსის** მე-17 ნაწილის მე-10 თავს; **გერმანიის Strafgesetzbuch-ის** 166-ე მუხლს; **საბერძნეთის სს კოდექსის** 198-ე, 199-ე და 201-ე მუხლებს; **ახალი ზელანდიის „Crimes Act 1961“-ის** 123-ე სექციას; **ისრაელის სს კოდექსის** 170-ე და 173-ე მუხლებს; **ნიდერლანდების სს კოდექსის** 147-ე მუხლს; **შვეიცარიის სს კოდექსის** 261-ე მუხლს; **ესპანეთის სს კოდექსის** 525-ე მუხლს და თვალი გადაავლონ იმ პარაგრაფებს, რომლებიც **ისლანდიის, იტალიის, ხორვატიის, ლიტვის, პოლონეთისა და პორტუგალიის კანონმდებლობაში** რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის დაუშვებლობას ეხება.

ორიოდე სიტყვით უხამსობასა და ზნეობაზე: **„თუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ რომელიმე პირი დაკავებულია უხამსი წიგნის გაყიდვით ან კომერციული გავრცელებით, ნებისმიერ მოქალაქეს, ან შტატის პროკურორს** (შემდეგ პროკურორების ჩამონათვალი მოდის), **უფლება აქვს, მოითხოვოს ოლქის სასამართლოში** (შემდეგ სასამართლო ინსტანციების ჩამონათვალია) **ამ წიგნის უხამსობის ფაქტის დადგენა“ (ვირჯინიის შტატის კანონების კოდექსი, §18.2-384).**

საინტერესოა, რომ იმის დადგენა, თუ რა არის „უხამსობა“ (ასეთი პროდუქციის გავრცელება ისჯება) ამერიკულ კანონმდებლობაში საზოგადოების აზრთან და სტანდარტებთან მიმართებაში ხდება. „უხამსობად“ ითვლება ის, რასაც **„საშუალო ადამიანი, საზოგადოების თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარე, შეაფასებს როგორც უმდაბლესი სექსუალური ინტერესისკენ მიმართულს“, — არკანზასის შტატის კანონების კოდექსი;** მუხლი 5-68-203. (შდრ. **კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსი;** მუხლი 311; **ტეხასის სისხლის სამართლის კოდექსი,** თავი 43, ქვეთავი „ბ“, მუხლი 43.21; **ჯორჯიის შტატის კანონების კოდექსი,** ტიტული 16, **„სამართალდარღვევები საზოგადოების ჯანმრთელობისა და ზნეობრიობის წინააღმდეგ“,** §16-12-80).

**ის, ვინც ბელგიაში „გამოფენს, გაყიდის ან გაავრცელებს სიმღერებს, პამფლეტებს ან სხვა გამოცემებს, რომლებიც საზოგადოების ზნეობრიობას ეწინააღმდეგება“, — სისხლის სამართლის კოდექსის VII თავის 383-ე მუხლის თანახმად დაისჯება.** თუმცა, დავით დარჩიაშვილის აზრს თუ განვავითარებთ, ყოველივე ეს დემოკრატიასთან პრობლემების მქონე ველური ტომების თვითშემოქმედებაა, რომლებიც უფრო შორს მიდიან და დაუნდობლად სჯიან; მაგალითად, **„სიმორცხვის გრძნობის შეურაცხყოფისთვისაც“ (ბელგიის სს კოდექსის** VII თავის 385-ე მუხლი; შდრ. **სან-მარინოს სს კოდექსის** III ნაწილი **„დანაშაული საზოგადოების წინააღმდეგ“,** მე-3 თავი, 275-ე მუხლი).

და ბოლოს, ცოტა რამ პრეზენტაციებსა და განათლებაზე: **„არანაირი წიგნი ან სხვა პუბლიკაცია, რომელსაც სექტანტური, ათეისტური ან უზნეო ხასიათი აქვს, ან რომელიმე რელიგიური დენომინაციის საწინააღმდეგო რამ, არ შეიძლება გამოყენებული ან გავრცელებული იქნას ნებისმიერ საჯარო სკოლაში“ (კენტუკის შტატის კანონები,** ტიტული XIII, თავი 158-ე, მუხლი 158.190). **„განათლება და აღზრდა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ახალგაზრდობამ ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის თანამშრომლობის გზით რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა, პატრიოტული გრძნობები და პროფესიული უნარ-ჩვევები მიიღოს“ (ლიხტენშტეინის კონსტიტუცია,** მუხლი 15-ე; შდრ. **ბავარიის კონსტიტუცია,** მუხლი 131-ე, პუნქტი 2).

მსგავსი ციტატების მოყვანა მრავლად შეიძლება. ასე რომ, სჯობს, მთავარ საკითხზე გადავიდეთ. თუ ჩვენ გვექნებოდა დახვეწილი, დეტალური განსაზღვრებების შემცველი კანონები, სადაც მკაფიოდ გაიწერებოდა რა შეიძლება ჩაითვალოს უხამსობად ან რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად, და შესაბამისი (დამნაშავისთვის საგრძნობი) სანქციებიც დაწესდებოდა, მოვლენები „ილიას უნივერსიტეტთან“, შემდგომ კი ტელეკომპანია „კავკასიაში“ ასე დრამატულად, სავარაუდოდ, არ განვითარდებოდა.

**ვაკუუმმა კანონმდებლობაში, ამ შემთხვევაში, ხელი ძალადობის ესკალაციას შეუწყო. საპატრიარქოს ინიციატივის არსი, ალბათ, ამ ვაკუუმის შევსების აუცილებლობაში მდგომარეობს.**

ახალი კანონი მკაცრი იქნება თუ შედარებით ლიბერალური, მომავალი მსჯელობის საგანია, მთავარი კი პროცესების სამართლებრივ ველში მოქცევაა, ისე, როგორც ეს დემოკრატიულ (იდეაში) სახელმწიფოს შეეფერება. ხელისუფალთა რეაქციის მიხედვით (იგულისხმება პირველი პირები და არა დარჩიაშვილის რანგის ფიგურები), რომლებიც საპატრიარქოს ინიციატივას მოჰყვება, შეგვეძლება, უფრო ზუსტად დავადგინოთ ის მოტივები, რომლებიც მათ შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში ამოძრავებს.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ



### პატიმრების რეკორდი

**ევროკავშირის წარმომადგენლობის მონაცემებით, საქართველოში 100 000 სულ მოსახლეზე 400 პატიმარი მოდის და ამ მაჩვენებლით მსოფლიო ჩემპიონთა რიგებში ვართ.**

ჩინეთსა და აშშ-ში იგივე მაჩვენებელი 500-600-ს უტოლდება, ევროკავშირის ქვეყნებში კი 100-150-ს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში 19 000 პატიმარია, უფლებადამცველების ინფორმაციით კი — 25-30 ათასი.

მათგან ნახევარი უკანონო პატიმრობაში იმყოფება, ნაწილმა კი არც იცის, რისთვის იხდის სასჯელს.




### „პირველი კავკასიურის“ პროცესი დაიწყო

**პარიზის კომერციულ სასამართლოში „პირველი კავკასიურის“ საქმესთან დაკავშირებით საჯარო მოსმენა გაიმართა.**

განაჩენს მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში უნდა ველოდოთ. მომჩივანი ქართული მხარე მოპასუხე „ეუტელსატისგან“ სატელიტ W7-ის მეშვეობით არხის 2015 წლამდე მაუწყებლობას ან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად რამდენიმე მილიონი ევროს გადახდას მოითხოვს.

მოპასუხე ირწმუნება, კონტრაქტი საცდელი ვადით დავდეთო. ახლა სასამართლოს ევალება, წაიკითხოს, რა წერია კონტრაქტში.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქილა ერბო და ამომრჩეველი

**წინასაარჩევნო დაპირებები რომ სიყალბესთან ერთობ მჭიდრო კავშირშია, არახალი ამბავია. დღეს არ ვსაუბრობთ მხოლოდ წინასაარჩევნო პოპულიზმზე. ცოტა უფრო ფართოდ შევხედოთ საკითხს და დავფიქრდეთ, რამდენად ადვილია ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისა თუ ფიგურისთვის, მოსახლეობაში დადებითი ემოციები გამოიწვიოს და ნიადაგი მოიმზადოს ხელისუფლებაში მოსასვლელად.**



მოსახლეობის გრძნობებზე თამაში და თქმა იმისა, რისი მოსმენაც მას სურს, ყველა ქვეყანაში გავრცელებული ამბავია და ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ საქართველოში ტყუვდება ამომრჩეველი. სხვაგანაც ტყუვდებიან, მაგრამ არა იმ მასშტაბით, როგორც ეს ჩვენს ბედკრულ ხალხს ემართება ხოლმე.

როცა ედუარდ შევარდნაძის მმართველობა ყველას ყელში ამოუვიდა და ქვეცნობიერად, შემდეგ კი რეალურად, მისი შემცვლელის მოლოდინი გაჩნდა, ვინ აღარ სცადა ახლადგაჩენილი თავისუფალი ნიშის დაკავება. ამის სურვილი ჰქონდა ყველას, კახა თარგამაძით დაწყებული, არ ვიცი, ვისით დამთავრებული.

**მაგრამ ყველაზე ჭკვიანი ჟვანია აღმოჩნდა, რომელმაც მალე მხარზე სააკაშვილი წამოიკიდა. თითქოსდა, ამ დუეტს ნამდვილად არ ჰქონდა სხვაზე მეტი შანსი – არც ვინმეზე ნაკლებად კორუმპირებული იყვნენ, არც სხვა ქვეყანასთან „თანამშრომლობაზე" ამბობდნენ უარს, არც ძალადობა იყო მათთვის უცხო და არც ქვის სროლა. მაგრამ პოლიტტექნოლოგიებმა თავისი საქმე გააკეთა და უმნიშვნელო როლი არც ქართველობის საუკუნო სენმა – საკუთარი თავის დაბრმავებამ – შეასრულა.**

**არავინ მითხრას, რომ მხოლოდ რევოლუციისა და სასტიკი მმართველობის რამდენიმე წლის შემდეგ შეამჩნია გადახრები სააკაშვილის ფსიქიკაში.** ნორმალური და მოაზროვნე ადამიანი ამას, თუნდაც მთავრობის სხდომაზე, შეამჩნევდა, როცა სააკაშვილმა მაღალჩინოსანთა სახლებისა თუ სასახლეების ფოტოები აფრიალა, ნამდვილად არ ჰქონდა ნორმალური იერი. ან ის ორი საფრთხობელა რად ღირს, რომლებიც სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრობის პერიოდში სამინისტროს შესასვლელთან დააყენა და ცირკისთვის შესაფერისი ფორმები ჩააცვა. **ვიმეორებ, სურვილის შემთხვევაში არ იყო რთული სააკაშვილში გიჟის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, არცთუ მთლად დალაგებულის ამოცნობა.** მაგრამ ქართველებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს. ყურადღება არ მიაქციეს იმასაც, როგორ აკრიფა სააკაშვილმა რეიტინგი არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე – ქვემო ქართლში აქტივისტების ჩაყვანითა და იქ გამართული ქვის სროლით. და ამის **მერე რატომღაც გაგვიკვირდა, სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რატომ გახდა ხისტი და შეუვალიო. არ გამხდარა, ბატონებო, ასეთი იყო ყოველთვის და ვისი რა ბრალია, თუ თქვენ თავს ისულელებდით, და ოღონდ შევარდნაძე ჩამოგეგდოთ, საკუთარ თავს ათას სისულელეში აჯერებდით?**



მეორე მაგალითია **გიორგი თარგამაძე თავისი „ფარისეველ-დემოკრატებითურთ".** „ენაცვალოს დედა", — შესციცინებენ აზროვნებასმოკლებული ქართველები და ალალად არ ესმით, ვერ ხედავენ და არც უნდათ, რომ დაინახონ, როგორ გადაუდგა თარგამაძე აბაშიძეს, როგორ უღალატა პატარკაციშვილს, როგორ შეეკრა მერაბიშვილს და ა.შ. **როცა მის ერთ მომხრეს ქუთაისში უთხრეს, კი მაგრამ, როგორ უჭერ მაგას მხარს, ვერ ხედავ, ბადრის როგორ უღალატა და როგორ გადასცა პატარკაციშვილის მიერ გამოგზავნილი ჩანაწერი ხელისუფლებას, ან საერთოდ რა უფლებით „აწვებოდა" ბადრის, გინდა თუ არა, მომყიდე „იმედის" ორი პროცენტი, რომ საკონტროლო პაკეტი ჩემი იყოსო, ჰალსტუხიანი ხვლიკის ამ მომხრის პასუხი მომაკვდინებელ სიბეცეს ჰგავდა: — არა, ეგ პატიოსანი ბიჭია, მაგას არ იზამდაო.**

რეგიონებში ხომ საერთოდ სიბნელეა, გნებავთ, დაიჯერეთ, გნებავთ — არა, მაგრამ **რეგიონებში ბევრს ჰგონია, რომ ... გიგი უგულავას ირჩევს!!!** აბა, რა იქნება – ყოველდღე ყველა საინფორმაციოთი გაძლიერებული დოზებით უყურებს უგულავას და, ბუნებრივია, **ჰგონია, რომ „თბილისის მერს" ეხება გორიც, სამეგრელოც და, ვინ იცის, კიდევ რა აღარ...**

ვაი, რომ დავჩლუნგდით ქართველები და ამის საილუსტრაციოდ კიდევ ერთ მაგალითს წარმოგიდგენთ.

დუშეთის რაიონში ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსი ყოველთვის ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი იყო. მოგეხსენებათ, იქაურია წარმოშობით, ეს კი საქართველოში ყოველთვის ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო. ხელისუფლებამ ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა რეგიონში ნათელაშვილის რეიტინგს (არადა, საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა და ხელისუფლების კანდიდატს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაემარჯვა), **დუშეთში ასეთი ხმები გაავრცელა – რა გაგვიკეთა შალიკომ ბოლოს და ბოლოს, საერთოდ არ ზრუნავს რაიონზეო.**

**კი მაგრამო, — ვიღაცამ ხმა ამოიღო, — რა უნდა გაეკეთებინა, ეგ ხომ ოპოზიციაა და არა ხელისუფლება, ოპოზიციას კი არც ფული აქვს და არც რამე რესურსი, რომ ხალხს დაეხმაროსო. პასუხი ასეთი მიიღო: როგორ თუ ფული არ აქვთ, ეგენი ხომ ლეიბორისტები არიან, ლეიბორისტები კი, ამდენი წელია, ინგლისს მართავენ და კარგადაც ეხმარებიან ჩვენს შალიკოს, ეგ კი მთელ ფულს თავისთვის იტოვებს და თავისი რაიონისკენ არც კი იყურებაო.**

არ ვიცი, სასაცილოა ეს თუ სატირალი, მაგრამ ამის შემდეგ რეგიონში ნათელაშვილის რეიტინგმა მართლაც იკლო.

და სანამ ჩვენი აზროვნება იმ დონეზე იქნება, რომ ასეთ სისულელეებს მაშინვე დავიჯერებთ ხოლმე, მანამდე ნურაფრის იმედი ნუ გვექნება. რა გამოლევს ნაძირალებს, რომლებიც ჭკუით მოგვიდგებიან ხოლმე.

**სალვადორ დვალი**

# «მიხეილ კატაევის» გამოზრდილი პოლიტიკოსი «ლეკვი ლომიძეები»

**„ეს თაოგაა თუ უთაოგა!" — გასულ საუკუნეში თქვა ერთმა პოეტმა და იმდროინდელი პოლიტიკური სპექტრი იგულისხმა. მართალია, პოეზიისა და ლირიკის ადგილი პოლიტიკაში არ უნდა იყოს — არც დიდში და არც პატარაში, მაგრამ მახვილი თვალი სულაც არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრი ხელოვანით, ექიმით, რეჟისორით თუ სხვა პროფესიის მეოცნებე ტიპებითაა დაკომპლექტებული.**

**„ეს პოზიციაა თუ ოპოზიცია?"** — ამგვარი, თუნდაც რიტორიკული, კითხვა ჩნდება, ჩვენი საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოზიციისა თუ ოპოზიციის ქვეყანაზე ზრუნვით გასავათებელ ინდივიდთა გვარსახელებზე როცა იწყება მსჯელობა. ერთი რამ ფაქტია, რომ მიხეილის ხელისუფლებაში მოსვლიდან, ზღვარი ოპოზიციასა და პოზიციას შორის თუ საერთოდ არ გაქრა, ნიშანდობლივად შემცირდა. დღეს ქართულ პოლიტიკაში, მოგვიტევეთ და, გაურკვეველია, ვინ ძაღლია, ვინ პატრონი და ვინ კიდევ მამაძაღლი.

ქართულ ხალხურ სიბრძნეს თუ მოვიშველიებთ, ობოლი ყოველთვის საკუთარ გამზრდელს იმეტებს საცემად (ვისა სცემ და ვინც გამზარდაო). პრაქტიკულად, დღევანდელი ქართველი ოპოზიციონერები, უკლებლივ ყველა, მიშას გერები არიან. მართალია, პატივცემული მიხეილი მათი ბიოლოგიური მამა არ გახლავთ, მაგრამ მამინაცვლის როლი შესანიშნავად მოირგო. **ოპოზიციური სპექტრის დიდი ნაწილი კატა-სააკაშვილის გამოზრდილი „ლომები" არიან. ბრდღვინავენ მავანი „ლომები", აქცია-აქციაზე მოაწყვეს, ბევრი იხავლეს: „მიშა მოვდივარ!", „მიშა წადი!", მაგრამ გამზრდელ კატას ვერაფერი დააკლეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კატაცა და ლომიც ერთი მოდგმისანი არიან და მეორეც — ამ კატას საკუთარი შეგირდებისთვის ხეზე ასვლა არც უსწავლებია და არც ასწავლის.**

**ვინც ფულს დაუყაჭავს ხელისუფლებას, ვინც ბიზნესის წილს დაუთმობს, მან სულ რომ ქალამნად გაიხადოს დედამიწა, ცუდი არაფერი ემუქრება. მაგალითად, არა მგონია, ვინმეს სჯეროდეს ძიძიგურის ოპოზიციონერობის, თავად რომ გაიძახის, დედებს გიტირებთ ყველასო და „საბრალო ნაცების" აქტივისტებს თუნდაც ჰაერში გასროლილი სულ რაღაც ოთხიოდე ტყვიით (რა, ორი ტყვია საკმარისი არ იქნებოდა?) უმასპინძლდება.**

ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე კი აღძრეს, მაგრამ ძიძიგურისთვის ყურებზე ხავხის დაჭრა არავის უფიქრია. მეტიც, ქართული ტელეარხებით კვლავ ტრიალებს ზვიადის საარჩევნო სლოგანი „ბრძოლა დღესვე". არადა, ბრძოლა ხომ გუშინაც მიმდინარეობდა, გუშინწინაც და იმის წინაც. ძნელი დასაჯერებელია, ეს კაცი ნამდვილი ოპოზიციონერი იყოს.

**მეტი დამაჯერებლობისთვის სულაც გაჩეჩილაძის ცნობილი დედის გინება ავიღოთ, ან დავითაშვილის მიერ პირდაპირ რესტორანში გადაღებული აღებ-მიცემობა, მელუდე-მრეწველი თოფაძის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი მილიონობით ვალი, ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ კინაღამ წერილწაღებული ხაინდრავა...** ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი გახმაურებული თუ გაუხმაურებული ფაქტის ჩამოთვლაა შესაძლებელი.

არა, ეს რაღაც ძალიან შორსაა ნამდვილი ოპოზიციისგან, მაშინ, როდესაც მობილურის ქურდობისთვის ხელისუფლება არასრულწლოვან, გაჭირვებულ-გასაცოდავებულ მოზარდს 8 წლით საპყრობილეში ისტუმრებს, იარაღის მოტრიალე თუ მილიონმჭამელი ოპოზიციონერი რა, წითელი კოჭია?

**„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!"** – სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დღევანდელი ხელისუფლების დევიზი. იმიტომ, რომ ხან გასახსნელ ხიდებთან იყრიან თავს, ხან ბენზინს ასხამენ ან პურს აცხობენ. ისე, ქარიშხალმა კი გადააძრო ახალგარემონტებულ-გახსნილ აეროპორტს სახურავი და იქაც დადგა ჩვენი ხელისუფლება, სხვათაშორის — ოპოზიციაც: პირველნი — კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით, მეორენი — ვარდენისა და ნიკოლოზის პოზიციაში, ეს ფაცხა შემშვენის ჩვენს ქვეყანასო? ბოლო-ბოლო, ვის არ გადასძრომია „კრიშა".

**ისე, სჯობს, გაფრთხილდნენ დღევანდელი „ვარდოსნები", თორემ ერთი დრო რომ არავის შერჩება, უდავოა. ისე არ მოხდეს, სახელისუფლო ფარა შემობრუნდეს და კოჭლი ცხვარი წინ მოექცეს. ცხვარზე გამახსენდა, ნათელაშვილზე არ გვითქვამს არაფერი...**

აღმართი და დაღმართი ქართველი ხალხისთვის წაღმართი არც ერთი არაა. ხალხისთვის მაინც არც ერთი არაა — არც პოზიცია და არც ოპოზიცია.

**ნანა ლაღაძიშვილი**

## მოკლედ



### ზნეობას კანონი დაიცავს

**საქართველოს საპატრიარქო ხელისუფლებას მოსახლეობის რელიგიური გრძნობების დასაცავად კანონის მიღებას სთხოვს.**

სპეციალურ განცხადებაში, რომელიც დეისაძის გახმაურებულ „წიგნსა" და ტელეკომპანია „კავკასიის" ეთერში მის პრეზენტაციას მოჰყვა, აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა მიიღოს კანონი, რომელიც სათანადოდ დაიცავს მოსახლეობას უხამსობისგან, პიროვნებისა და საზოგადოების პატივსა და ღირსებას, მათ რელიგიურ გრძნობებს.



### ეკლესია სატანიზმს ებრძვის

**საქართველოს საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ერეკლე დეისაძე არის ბრმა იარაღი, რომელმაც დაკვეთა შეასრულა.**

მიზანი მართლმადიდებელთა პროვოცირება, მათზე აპელირებით კი უშუალოდ ეკლესიის ავტორიტეტზე დარტყმის განხორციელება იყო. საპატრიარქოს განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს ეკლესია პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, თუმცა უზნეობის, უხამსობის, აღვირახსნილობისა და სატანიზმის პროპაგანდას მხარს არ დაუჭერს.



### გამსახურდია მხარს უჭერს

**პოლიტიკურ მოძრაობა „თავისუფლებას" საქმე მიეცა.** ის იყო საპატრიარქომ ხელისუფლებისგან მოსახლეობის რელიგიურ გრძნობათა დაცვის კანონი მოითხოვა, მისმა ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ მოთხოვნას უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა.

შემდეგ კი სპეციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ ამ კანონპროექტის ინიციატორი გახდება, საპატრიარქოში შეხვედრების შემდეგ პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევას მოითხოვს და აღნიშნულ კანონპროექტს გაიტანს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# SUPERბედნიერი ერი

ბედნიერი ერის ხსენებაზე ილიას ლექსი გაგახსენდება უეჭველად და, უპირველეს ყოვლისა, „ბედნიერი ერი“ ლექსი — მათრახის შემორტყმასავით „უწყინარი, უჩივარი, ქედდრეკილი, მადლიერი, უშფოთველი, ქვემძრომელი, რიგიანი, წესიერი, ყოვლად მთმენი, ვით ჯორცხენი, ნახედნი და ღონიერი“ ერის განაზებულ კანჭებსა თუ გაქსუებულ გავაზე, თავმოყვარეობაზე — რაც უმთავრესია.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი;
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

139 წლის წინათ დღევანდელ საქართველოზე წერდა ის სულმნათი. დავუდასტუროთ, რომ, არათუ არსად არის, არამედ — უფრო მეტიც: როცა სუპერბედნიერი პრეზიდენტი გვიდგას სათავეში, მაშინ სამოთხეც აქა ყოფილა, ბედნიერების კუნძულიც მსოფლიო კრიზისის ოკეანეში და, ვისაც გვინდა, იმას ავირჩევთ მესამე ვადით...




## როგორც შენ იტყვი

**კოსტა-რიკადან თბილისში გავლით მყოფმა პრეზიდენტმა შეკრიბა სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებული ბავშვები, გადასცა დიპლომები და მიმართა სიტყვით, რაც უმეტესი ჯილდო იყო, თანაც ყველასთვის ერთნაირი — არავითარი გრადაცია.**

**გრადაცია ბედნიერებას ჰქონია. მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ყოველთვის, საკუთარ მაგალითზე, აუხსნა მოსწავლეებს, რომ ჩვეულებრივი ბედნიერების გარდა, არსებობს სუპერბედნიერება, როგორც, მაგალითად, სარეკლამო კლიპში, სადაც სარეცხი საშუალებებით ტვინგამორეცხილი ექსპორტიორები პატარა ბიჭს სიხარულით წამოაძახინებენ: ჩემი დედიკო სუპერდედიკოა!**

თითქოს სავაჭრო ქსელში გამოტანილი საქონელია — „ვინსტონ სუპერ ლაითი“ ან „სუპერპეტროლი“ რომელიმე, რომელსაც ჩვეულებრივ „პეტროლზე“ ძვირად ყიდიან.

ტვინის სუპერპათოლოგია თუ არსებობს, ალბათ, ასეთი.

ან — უფრო უარესი, ვთქვათ, სუპერხაშლამა, რომელიც შეიძლება იყოს „ჩადგმით“ ან „ჩამოტარებით“, როგორც ზოგიერთი ქვეყნის პრეზიდენტი.

ჰოდა, ჩამოგვიქროლა ალალმა და სუპერგულახდილად გაანდო ბავშვებს თავისი სუპერბედნიერების ამბავი: კოსტა-რიკაში ყოფნისას სუპერბედნიერად ვიგრძენი თავი, რადგან იქაურებს იქაური ვეგონე(?!). უფრო ზუსტად: **„ახლა კი ვიყავი სუპერბედნიერი — რამდენჯერმე ვერც კი განასხვავეს, რომ არ ვიყავი იქაური...“**

მაგარია!

მხოლოდ — რამდენჯერმე და უკვე სუპერბედნიერია. უფრო ხშირად რომ ვერ განესხვავებინათ, მაშინ?

**მაშინ გაიხარებდა კოსტა-რიკა, გვეშველებოდა ჩვენც, რადგან, როცა პრეზიდენტი სუპერ-სუპერბედნიერია, ხალხიც, სხვა რა ჩარაა, თუ სუპერი არა, ბედნიერი მაინც უნდა იყოს სუპერსტარის ქვეყანაში და, ყვითელი ავტობუსებით შესაბამის ადგილებში გადაყვანილმა, გამოხატოს თავისი სუპერმადლიერება ტაშითა და შეძახილით, რომელსაც აქ არ გავიმეორებ: საავტორო უფლებას სხვა ფლობს!**

**მთელი ეს სუპერბედნიერება, როგორც განგვიმარტა ქვეყნის მეთაურმა, დაფუძნებული ყოფილა იმის სრულ შეგნებაზე, რომ ბავშვობაში დედამ ძალით ასწავლა ესპანური.**

**„მაშინ** (*ე.ი. მიხეილ სააკაშვილის ბავშვობაში. — ა.ს.*) **ესპანურად მოლაპარაკე თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის რადიუსში (?!) არ დადიოდა“.**

„არ დადიოდა“ რას ნიშნავს? იყვნენ, მაგრამ არ დადიოდნენ, თუ არ დადიოდა არავინ, რადგან არც არავინ იყო ესპანურად მოლაპარაკე?

შეიძლებოდა, გასაგებად ეთქვა. გაგვიჩინა თავსატეხი!

რას ნიშნავს „თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის რადიუსში“? ვითომ მარნეულისა და გარდაბნის რაიონები იგულისხმა „ამ რადიუსში“?

იქ, სავსებით შესაძლებელია, ესპანურენოვანი არავინ დადიოდა, ქართველებიც კი ნაკლებად იყვნენ.

ხოლო თბილისში, თუ სააკაშვილს პირადად არ უნახავს და არ გაუგია, სულაც არ ნიშნავს, რომ არ იყვნენ, არ დადიოდნენ.

ფაშიზმთან ბრძოლაში ესპანეთის რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ — 1939 წელს სწორედ საქართველომ შეიფარა ესპანელი ბავშვები, რომლებიც აქ დაიზარდნენ, დავაჟკაცდნენ, დაქალდნენ და ოჯახებიც აქ შექმნეს.

„თბილისელი ესპანელების“ ფერნანდესისა და სუარესის შესახებ თუ არაფერი გსმენიათ, ზაალ კაკაბაძის ფილმი მაინც არ გინახავთ, „მზიურის“ გოგონებზე გადაღებული? იქ პატარა ბიჭი ესპანურ „გრანადას“ რომ მღერის, იმ ესპანელთა შვილია, მათი მეორე თაობის წარმომადგენელი. ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ხოსე დიასი** თბილისში ცხოვრობდა, სამწუხაროდ, აქ დაიღუპა ტრაგიკულად და ვერის ძველ სასაფლაოზე განისვენებდა, საიდანაც რამდენიმე წლის წინათ ესპანეთში გადაასვენეს.

პასიონარია — **დოლორეს იბარუსი** — ესპანეთის რევოლუციის დროშა — ამ „რადიუსში“ დადიოდა...

კიდევ ვინ ჩამოგითვალოთ?

მათი უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა კარგახნის წინათ; ზოგიერთები დღესაც აქ არიან — ესპანელი ქართველები.

მაგრამ როდის იყო, რომ ენის შესწავლას განსაზღვრავდა „იმენოვანთა“ ცხოვრება ქვეყანაში? ფრანგებითა და ინგლისელებით გატენილი არ იყო საქართველო, მაგრამ ორივე ენის სწავლება სავალდებულო საგნებად იყო შეტანილი სასკოლო პროგრამებში. ხოლო უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ესპანური იმთავითვე მეორე ენა იყო, რომლის შესწავლისთვის დედების დაძალება სულაც არ იყო საჭირო...

ბედნიერები რომ ვართ, გავარკვიეთ: გულო, ჩადექ საგულესა!

წინ წავიწიოთ, რადგან წინ — ჰორიზონტზე უკვე კიაფობს ვარსკვლავი სახელად **„ჩვენ არავიზე ნაკლები არ უნდა ვიყოთ“** (მ. სააკაშვილი).

## ქართულო, ცოტა ჩაიჩოჩე!

გავიდა საქართველო საერთაშორისო ცივილიზაციის ორბიტაზე, რომელსაც დღეს რატომღაც აღებ-მიცემობის პრინციპით მოიაზრებს ჩვენი ხელისუფლება: „ჩვენ — თქვენ, თქვენ — ჩვენ“.

ვაგზავნით ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთის მუდმივად მოთუხთუხე ქვაბში ტერორიზმის ტემპერატურის დასაწევად, რადგან თქვენ, პატივცემულო აშშ ადმინისტრაციავ, გჭირდებათ ეს: „ჩვენ — თქვენ“.

სანაცვლოდ გვიგზავნით ამერიკელ მასწავლებლებს, რომლებიც ინგლისურს შეასწავლიან ჩვენს ბავშვებს და გაამერიკელებაში დაეხმარებიან, რადგან ჩვენი მომავალი თაობა უკვე მზად არის საამისოდ.

არგუმენტი — ახლავე: **„თუ ბავშვი არის საგარეჯოდან, ჩხოროწყუდან, გლდანულიდან, მას აქვს კომპიუტერი და იცის უცხო ენა, არის ზუსტად ისეთივე შესაძლებლობებით აღჭურვილი, როგორც ბავშვი კალიფორნიაში“** (მ. სააკაშვილი).

რა თქმა უნდა, მის მაღალანაზღაურებად მშობლებს აქვთ ყველა შესაძლებლობა და სიკეთე, რათა შეუქმნან პატარას იგივე პირობები, როგორსაც უქმნიან კალიფორნიელი მშობლები თავიანთ პირმშოებს.

ასე არ არის?

მაგრამ ვერ დაველოდებით საერთო კეთილდღეობას, რადგან, ჯერ ერთი, არავინ იცის, როდის იქნება და იქნება კი საერთოდ „საქართველო სიღარიბის გარეშე“?

მეორეც, რაც მთავარია, **„დიმიტრი შაშკინმა უკვე გაუკეთა ორგანიზება და ჩვენ წელს 1000 ამერიკელი ჩამოგვყავს და ყველა დიდ სოფელსა და რაიონულ ცენტრში იქნება ამერიკელი მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ინგლისურ ენას ჩვენს ბავშვებს.**

**მომავალ წელს გვეყოლება 2000 ამერიკელი მასწავლებელი და ეს ხალხი შევა ჩვენს ოჯახებში“.**

დაუტოვეთ ზოგი ამერიკელ ბავშვებს! და ცოტა ჩვენც გვკითხეთ, გვინდა კი ასეთი „სტუმრების“ ოჯახებში ჩასახლება?

ესეც — „თქვენ — ჩვენ“!

რით ამართლებს ხელისუფალი ასეთ „თვითექსპანსიას“? ისინიო, ამბობს იგი, **თავიანთ კულტურას შემოიტანენ, „ისინი მოიტანენ იმ განათლებას, რომელიც ჩვენს ნიჭიერებას კიდევ უფრო შეავსებს“.**

თავი დავანებოთ ისეთ თანმდევ საკითხებს, როგორიცაა, რამდენს გადაუხდიან ამერიკელ მასწავლებლებს და დათანხმდება თუ არა რომელიმე ჭკუათმყოფელი იანკი-თიიჩა, ჩამოვიდეს შორეულ საქართველოში 200-ლარიანი ანაზღაურების პერსპექტივით?

მეტს გადაუხდიან? ჩვენებზე გაცილებით მეტს? მაშინ ეს იქნება ქართველი მასწავლებლების სრული დისკრედიტაცია, არად ჩაგდება და გაბიაბურება.

ინგლისურის სწავლა ყოფილა საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ფართომასშტაბიანი და ძვირადღირებული ღონისძიებებით უნდა გადაიჭრას, სასწრაფოდ და უწინარეს ყოვლისა!

**„შაშკინმა უკვე გაუკეთა ორგანიზება“**, — ჯერ ქართული ისწავლეთ, გეთაყვა!

ქართულის მასწავლებლებს მიეცით ის ხელფასი, რომელსაც ამერიკელებს ჰპირდებით, თორემ, თუ თქვენი „ინგლისური წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამოქმედდება, ორიოდ წელიწადში, მტრისას, საქართველოში სახელმწიფო ენა, შეიძლება, მართლაც ინგლისური გახდეს, როგორც ამას გვპირდებოდნენ, არ ვიცი, ლომაია, არ ვიცი, — ნოდია, თუმცა, არც ის ვიცი, რა განსხვავებაა მათ შორის, რადგან ორივე რამიშვილში მერევა.

თავის კულტურასაც შემოიტანენო და იმ განათლებასაც, რომელიც „ჩვენს ნიჭიერებას კიდევ უფრო შეავსებს“.

ნიჭიეროო...

ვნახოთ, რა პერსპექტივას გვიქადიან, სინამდვილეში, რა დგას ამ ჭრელაჭრულა დაპირებებს მიღმა. მართლა აფრიკული ტომი ხომ არ ვართ, ყელსაბამის შუშის მძივებმა თვალი მოგვჭრას? იქნებ, ეს ყელსაბამი მახრჩობელაა პროფესიონალი მკვლელის ხელში?

შორს რომ არ წავიდეთ, „საქართველო და მსოფლიოს“ მეთხუთმეტე ნომერში გამოქვეყნებული წერილის **„პროტესტანტების დანერგილი „კაპიტალიზმის სული“ მსოფლიოს იპყრობს“** რამდენიმე პასაჟი გავიხსენოთ. ეს პუბლიკაცია უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული კონცეფციების საფუძველზე დაიწერა.

**„ერთი ფაქტი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, ჩვენი საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს...**

**...ამერიკელი ინგლისურის მასწავლებლების საქართველოს სოფლებში მოწვევის ინფორმაცია ჩვენი განათლების მესვეურებმა ამას წინათ წარმოგვიდგინეს, როგორც პროგრესული მოვლენა და აუცილებელი ღონისძიება მსოფლიო თანამეგობრობაში ქართველების ღირსეულად წარმოსაჩენად.**

**ინგლისური ეცოდინებათო, ბაბაია!**

**ინგლისურს კი დაეუფლებიან, საყველპუროს მაინც, მაგრამ რა ვუყოთ იმ ნალმებს, რომლებსაც ეს „სოფლის მასწავლებლები“ ქართულ რეალობაში ჩაგვიწყობენ?**

**რაზეა ლაპარაკი?**

**სწორედ ეს მასწავლებლები, და არა ანაფორიანი მღვდლები, გაავრცელებენ საქართველოში პროტესტანტულ რელიგიას, ფილოსოფიასა და ეთიკას...**

**აფეთქდება, როცა იქნება, ის ნაღმები და მერე ეძებეთ მართლმადიდებლობის ნამსხვრევები, თუ სადმე დარჩება!**

**ჩინეთს ერევიან, საქართველოში გაუჭირდებათ ვითომ ფეხის მოკიდება?!**

**გაჭირვებულმა ხალხმა, რომელიც ეკონომიკური გაძლიერების მაგალითების მოწმე გახდება, ასეთი წყალქვეშა დინებების თავიდან ასაცილებლად, საეჭვოა, მოიცალოს.**

**შეამჩნევს კი საერთოდ?**

**დალხინებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების მოსახლეობაც არ აქცევს ყურადღებას რელიგიურ დინებათა მიმოქცევის პროცესებს“ („სს“ №15, 28 აპრილი — 4 მაისი).**

აღარც ქართული, აღარც მართლმადიდებლობა, აღარც ტრადიცია და სადღაც — მათემატიკის, კომპიუტერისა და უცხო ენის ჩამონათვალში მოვალეობის მიზნით ჭიქაში ჩარჩენილი წყლის გადაღვრასავით: **„რა თქმა უნდა, თქვენი ქვეყნის სიყვარული და ისტორიის ცოდნა“** (მ. სააკაშვილი).

თუ იმ თქვენი ქვეყნიდან დარჩება რამე.

## ტერმინოლოგიური თავის მართლება

ხოლო ტოლერანტობის შესახებ ლექციების წაკითხვა ქართველებს არ გვჭირდება და არც იმის შეხსენება, მიხეილ თამარაშვილი და ზაქარია ფალიაშვილი კათოლიკები (**„პრაქტიკოსი კათოლიკები“**?!) რომ იყვნენ. მაგრამ, ნება მიბოძეთ, ვიკითხო: რატომ მოიხსენია ეს მართლაც დიდი პიროვნებები **„ალბათ, ყველაზე დიდ ქართველებად საქართველოს ისტორიაში“?**

ყველაზე დიდობას დაეჭვება („ალბათ“) არ სჭირდება, და თუ გეეჭვება, რატომ მოიხსენიებ ყველაზე დიდ ქართველებად?

ამ შემთხვევაში ისეთივე „ტერმინოლოგიურ“ აღრევას ხომ არ ექნება ადგილი, როგორც „ჩარეცხილების“ ტერმინის გამოყენების დროს, რასაც სამი წლის შემდეგ (!) განმარტება (სლენგით სხვა „ტერმინს“ ხმარობენ) დასჭირდა? **„მე ვუწოდე ქურდულ იდეოლოგიას ჩარეცხილი, მაგრამ რატომღაც ზოგიერთებმა ეს საკუთარ თავზე მიიღეს და ატყდა ერთი ამბავი“.**

კი სჭირდება კარგ მთქმელს კარგი გამგონე, მაგრამ, როცა მთელმა ქართულმა ინტელიგენციამ გაიგო ისე, რომ ატყდა „ერთი ამბავი“, მაშინ, როგორც ჩანს, ან შებრუნებული სიტუაციაა, ან ვიღაც თავის მართლებას ცდილობს.

მე რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო, როცა

**ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?**

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რაში ხარჯავს მილიონებს მერაბიშვილის უწყება?



**შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სახელმწიფო უწყებები და მით უმეტეს სამართალდამცავი ორგანოები პირველყოფილ პირობებში უნდა მუშაობდნენ; რომ პოლიციელები (ისე, როგორც რევოლუციამდელ საქართველოში) სკოლის მერხებთან ისხდნენ და დაზარალებულებს ეხვეწებოდნენ შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად წაყვანას. მაგრამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი თუ გადაავლებს თვალს, რა უჯდება სახელმწიფო ბიუჯეტს მისი უწყების კომპიუტერული ტექნიკით, ავტომანქანებით, კვებით, ტანსაცმლითა და სხვა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ამისთვის მართლაც გადაჭარბებული და კოლოსალური თანხები იხარჯება; მითუმეტეს იმ ფონზე, როცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა. დღეს სახელისუფლო უწყებებში ხარჯვითი ნაწილის გასაიდუმლოება წესად იქცა, თუმცა გარკვეული წარმოდგენის შექმნა იმის შესახებ, თუ რა უჯდება 2010 წელს საქართველოს ბიუჯეტს შს სამინისტროს შენახვა, გამოქვეყნებული ტენდერებით შეიძლება.**

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
**საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე)**

2010 წლის 21 იანვარს საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ საერთაშორისო ტენდერში (დაფინანსების წყარო – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრები) ხელშეკრულება გაუფორმდათ ლოტების მიხედვით შემდეგ ფირმებს:

| ლოტი | საწვავის დასახელება | რ-ბა (ლიტრი) | ს.ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" | | შ.პ.ს "ლუკოილ ჯორჯია" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი "სუპერი" | 1 200,00 | | | 1,67 | 2004 |
| 2 | ბენზინი "ევროპრემიუმი" | 855 000,00 | | | 1,61 | 1376550 |
| 3 | ბენზინი "ევრო რეგულარი" | 395 000,00 | 1,44 | 568800 | | |
| 4 | დიზელი "ევრო" | 15 500,00 | | | 1,56 | 24180 |
| 5 | დიზელი "ლ-62" | 74 500,00 | 1,45 | 108025 | | |
| *ხელშეკრულების ჯამი* | | | | ***676 825*** | | ***1402734*** |

2010 წლის 21 იანვარს საავტომობილო საწვავის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ საერთაშორისო ტენდერში (დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები) ხელშეკრულება გაუფორმდათ ლოტების მიხედვით შემდეგ ფირმებს:

| ლოტი | საწვავის დასახელება | რ-ბა (ლიტრი) | ს.ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" | | შ.პ.ს "ლუკოილ ჯორჯია" | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბენზინი "ევროპრემიუმი" | 76 500,00 | | | 1,61 | 123165 |
| 2 | ბენზინი "ევრორეგულარი" | 12 000,00 | 1,44 | 17280 | | |
| 3 | დიზელი "ევრო" | 7 000,00 | | | 1,56 | 10920 |
| 4 | დიზელი "ლ-62" | 7 000,00 | 1,45 | 10150 | | |
| *ხელშეკრულების ჯამი* | | | | *27 430* | | *134 085* |

2010 წლის 1 თებერვალს კარტრიჯების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში (დაფინანსების წყარო – დაცვის პოლიციის საკუთარი სახსრები) ხელშეკრულება გაუფორმდათ ლოტების მიხედვით შემდეგ ფირმებს:

- ლოტი №11 3 900 ლარი – შ.პ.ს. „ნიუ ვორლდ ლაინ"
- ლოტი №9 4 445 ლარი და ლოტი №10 – 3 784.00 ლარი – შ.პ.ს. „ესაბი"
- ლოტი №7 1 750.00 ლარი და ლოტი №12 – 590.00 ლარი – შ.პ.ს. „ზახარ"
- ლოტი №2 288.00 ლარი და ლოტი №5 – 300.00 ლარი – შ.პ.ს. „ტექნოსერვისი"
- ლოტი №1 18 000.00 ლარი, ლოტი №4 – 11115.00 ლარი და ლოტი №6 – 3 762.00 ლარი – შ.პ.ს. „კასა ტრეიდი"
- ლოტი №8 27 060.00 ლარი და ლოტი №13 – 630.00 ლარი – შ.პ.ს. „ელიტ კომპიუტერი"

შს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში ვკითხულობთ, რომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კომპიუტერული უზრუნველყოფის სავარაუდო ღირებულება 257.770 ლარია. საინტერესოა, რომ ამ აღჭურვილობაში მხოლოდ აქსესუარები შედის. ტენდერია გამოცხადებული კუდის საოფისე ავეჯზეც: საწოლი, საოფისე სკამები და სავარძლები, მაგიდები და მაგიდის მისადგმელები, კარადები, ოფისის სამეული და დივანი, კაბინეტის ავეჯის კომპლექტი (როგორც ჩანს, კუდის რომელიმე სამმართველოს უფროსს ინტერიერის განახლება მოესურვილა) 110.000 ჯდება.

კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვაზე ტენდერს აცხადებს საპატრულო დანაყოფიც. **პრინტერები, ყურთსასმენები, სკანერები და ა.შ. შსს-ს ბიუჯეტს 36.950 ლარი დაუჯდება, ხოლო სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი კომპიუტერული ქსელის გადახალისებაზე, სავარაუდოდ, 540.550 ლარს დახარჯავს.** ამავე მომსახურებისთვის საპატრულო პოლიციამ ტენდერში გამარჯვებული ფირმები უკვე გამოავლინა, ესენი არიან: **შპს „კასატრეიდი", შპს „ზახარი" და შპს „ტექნოსერვისი", რომლებსაც შსს ასლგადამღები აპარატების, პრინტერებისა და ფაქსის აპარატების კატრიჯში 84 950 ლარს გადაუხდის.**

**1.450.000 ლარს დახარჯავს შს სამინისტრო ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პირველი განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის. 1.300.000 ლარია გამოყოფილი ახმეტის შს რაიონული სამმართველოს შენობის სამშენებლო სამუშაოებისთვის, ხოლო ამავე სამმართველოს ეზოს კეთილმოწყობისთვის სამინისტროს 94.400 ლარი აქვს გამოყოფილი. 27.000 დაიხარჯება თელავში, თაყაიშვილის ქ. №1-ში მდებარე ბინის სარემონტო სამუშაოებზე.** როგორც ჩანს, რომელიმე პოლიციის უფროსს ეურემონტებათ ბინას, თითქოს თელავში გარემონტებული ბინები არ ქირავდებოდეს. **ხაშურის რაიონული სამმართველოს შენობის სამშენებლო ხარჯები 1.900.000 ლარია, ხოლო ეზოს კეთილმოწყობა 48.270 ლარი დაჯდება. კახეთის გზატკეცილზე მდებარე შს სამინისტროს ახალ შენობაში საქვაბეების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 43.602,89 ლარია. რუსთავში, მშენებლის №20-ში მდებარე ოფისის სამუშაო ოთახების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები კი 45.912,74 ლარი ჯდება. ძველი საქვაბის დემონტაჟსა და ახალი საქვაბის დამონტაჟების სამუშაოებზე ქიზიყის ქ. №1-ში 75.046,95 ლარი დაიხარჯება.**

# მხოლოდ ქაღალდის შესაძენად წელს ქალაქის მთავარი სამმართველო 121 627 ლარს დახარჯავს

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | | სურსათის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| | 42 | თაფლი | კგ | 300 | თვეში ორჯერ |
| | 43 | შოკოლადის ნაწარმი | კგ | 600 | |
| №2 | 1 | პაშტეტი (100 გრ-იანი) | ცალი | 3000 | მოთხოვნის შესაბამისად |
| №3 | 1 | ჩაი (2 გრ-იანი) | ცალი | 7000 | |

**2010 წელს მხოლოდ ა-4 ფორმატის ქსეროქსის ქაღალდში ქალაქის მთავარი სამმართველო 121.627,5 ლარს დახარჯავს.**

საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება ავტომანქანების რემონტსა და საწვავით უზრუნველყოფაზე. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა ავტონაწილების შესყიდვაზე გამართულ ტენდერში უკვე გამოავლინა გამარჯვებულები.

**ავტომანქანების საბურავებში ის შპს „თეგეტა მოტორსს", „ჯორჯია სკანს", „თი ჯი ემ გრუპს", „ტოიოტა ცენტრი თბილისს" 444.260,80 ლარს გადაუხდის.** დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის იგივე მომსახურება ასე გამოიყურება: **„ბმვ X5"-ის ხუნდები და ფილტრები, „ბმვ X5"-ის (დიზელის ძრავით) ხუნდები და ფილტრები ბიუჯეტს 7.000 ლარი დაუჯდება.**

მოგეხსენებათ, „ბმვ X5"-ით მაღალჩინოსნები სარგებლობენ, რომლებსაც შემთხვევის ადგილებზე გასვლა ნამდვილად არ უწევთ, თუმცა, როგორც ჩანს, არცთუ ცოტას მოძრაობენ, რადგან მათი მომსახურებისთვის მხოლოდ ავტომანქანის ხუნდებითა და ფილტრებით უზრუნველყოფა წელიწადში საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება. **სხვადასხვა მარკის ავტომანქანების იმავე ნაწილების შესაძენი თანხა ჯამში 142.250 ლარს შეადგენს. იმავე დეპარტამენტის საწვავით უზრუნველყოფა 1.674.249 ლარი ჯდება.**

თუ ქალაქის სამმართველო ქაღალდში ხარჯავს ასი ათას ლარზე მეტს, არც დაცვის პოლიციის თანამშრომლები ბეჭდავენ ნაკლებს, ქაღალდი, ალბათ, უკვე შეუძენიათ და ახლა მისი ბეჭდვისთვის **75.624 ლარის კატრიჯს ყიდულობენ.**

ავტომანქანების მიმდინარე რემონტის შესახებ, შესყიდვების მიზნით (დაფინანსების წყარო — საკუთარი სახსრები) გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ფირმების: **შპს „აუტოჰაუზის", შპს „ცენტრჰაუსის", „ი.მ. იმედა ჭუმბურიძის", შპს „იბერიასერვისის", შპს „ავტოტრანსსერვის კომპანიისა და შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისის" მომსახურების ღირებულება 689.000 ლარია.**

**მხოლოდ სარეკლამო მომსახურებაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შპს „სტუდია მეტროსთვის" 116.920 ლარი, ხოლო „ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგისთვის" 6.500 ლარი გადაუხდია.**

უნიფორმების შეძენისთვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა საკმაოდ სოლიდური სახრები გაიღო. **2010 წელს დაცვის პოლიციის გამოწყობა 2.753.186 დაჯდა.** ეს მაშინ, როცა ეს დეპარტამენტი არც შარშან ყოფილა უტანსაცმლოდ. პოლიგრაფიული მომსახურებისთვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტისგან **შპს „ვესტა 07" და შპს „პოლიპრინტი" 74.200 ლარს მიიღებს. დაცვითი სიგნალიზაციების შესყიდვა და კავშირგაბმულობის საშუალებების შესყიდვის ღირებულებამ კი 1.247.008 ლარი შეადგინა.**

სსიპ შსს მომსახურების სააგენტო ავტომობილების შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და მზადაა **ორი სამგზავრო მიკროავტობუსის შესაძენად 256.000 ლარი, სამ მსუბუქ ავტომანქანაში — 80.000 ლარი, მაღალი გამავლობის შვიდი მსუბუქი ავტომანქანის შესაძენად კი 66.000 ლარი გადაიხადოს.** ვინაიდან უკვე ჩავაცვით, დავახურეთ, კომპიუტერული თუ საოფისე ავეჯით აღვჭურვეთ, ავტომანქანებიც შევაკეთეთ, ახლებიც შევიძინეთ და საწვავით უზრუნველვყავით, მილიონები დავხარჯეთ შენობა-ნაგებობების გარემონტებაში, ახლა დროა, შს სამინისტროს თანამშრომლების კვებასაც მივხედოთ.

**განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი მშრალ საკვებში 16.397 ლარს, რუსთავში სხვადასხვა პროდუქტებში 113.297.35 ლარს, წალკა-თეთრიწყაროში 115.471.74 ლარს, ახალციხეში 89.247.10 ლარს, ციხისჯვარში 157.944.50 ლარს დახარჯავს. ოქროყანის ბაზისთვის შს სამინისტრო საკმაოდ კარგ კვების რაციონს ითხოვს, რომელშიც 71.789.50 ლარი დაიხარჯება.** ამ ტენდერში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს მოთხოვნის შესაბამისად, ანუ, **თუ მის ხელმძღვანელობას მოესურვება, ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ პაშტეტი და ჩაი უნდა მიართვას და ამისთვის სამინისტრო მზადაა, პაშტეტში 6.000 ლარი, ხოლო ჩაიში 35.000 ლარი გადაიხადოს.**

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ხარჯებისა, რომელსაც მიმდინარე წელს შს სამინისტრო გაიღებს. სამინისტროს ვებგვერდზე ტენდერების შესახებ განცხადებები ყოველდღიურად თავსდება. ტენდერების დიდი ნაწილი კი წლის პირველ კვარტალშია ჩატარებული. ალბათ, ღირს დაფიქრება იმაზე, რომ ჩვენი სამართალდამცავები კვებასა და სეირნობას თუ არ მოიკლებენ, იქნებ ბეჭდვასა და კომპიუტერულ მომსახურებაში მაინც დაზოგონ მილიონები.



**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მოდელირებული სამყარო

## თურქეთი თუ რუსეთი?

**ბევრს გაუკვირდა მარტის მოდელირებული „ქრონიკა“, მაგრამ კარგად რომ დავფიქრდეთ, პრინციპში ჩვენ უკვე 2003 წლიდან ვცხოვრობთ მოდელირებულ სამყაროში. ამ სამყაროში ჩვენ ჩაგვრთეს, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი. ამავე დროს ეს იყო „რესპუბლიკელების“ და პრეზიდენტ ბუშის საგარეო პოლიტიკის იმიჯის სასწრაფო გამოსწორების მცდელობა. ამის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ბუშმა გამოაცხადა ტოტალური ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმთან, შეიჭრა ავღანეთსა და ერაყში, რამაც მთელ მსოფლიოში გამოიწვია აშშ-ისა და ბუშის მიმართ მკვეთრად უარყოფითი განწყობა. სასწრაფოდ უნდა შეექმნათ წარმატებული პროექტები, რომ უარყოფითი განწყობა დაებალანსებინათ. ასე აღმოვჩნდით ჩათრეული ე. წ. ფერადი რევოლუციების საერთაშორისო ავანტიურაში.**



სააკაშვილი და მისი გარემოცვა, დამოუკიდებლად მოდელირების ხელოვნებას ვერ ფლობენ, მოდელირებული სატელევიზიო ვერსიების გარდა ვერ ქაჩავენ. ეს გასაკვირი არც არის იმიტომ, რომ დამოუკიდებლად რეალური პროცესების მოდელირებისთვის არ გააჩნიათ ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსი. **თუ ყურადღებით დავაკვირდებით, 2008 წლის აგვისტოს ე. წ. ომიც მოდელირებული პროცესების შედეგია, რომლის მომზადებაც 2004 წელს ბუშის მეორედ არჩევის შემდეგ პრაქტიკულად იმავე დღეს დაიწყო. ეს მომზადება აშშ-ში 2008 წელს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდებოდა.**

აგვისტოს საომარი მოქმედებებისთვის მოდელირებულ პროცესებში, სავარაუდოა, ყოფილიყო ორი სცენარი — კარგი და ცუდი. რა თქმა უნდა, სააკაშვილს მხოლოდ კარგი სცენარი უნდა სცოდნოდა. ამ თამაშში რომ ადვილად ჩაეთრიათ და რაიმე გაუთვალისწინებელი არ მომხდარიყო. მას ცუდი სცენარის განვითარება არ უნდა სცოდნოდა. სააკაშვილი არ არის იმ დონის პოლიტიკოსი და მოაზროვნე, რომ ასეთ ჩახლართულ თამაშებს თავი გაართვას. ეს ეხება მის გარემოცვასაც.

**ამ პერიოდს უკავშირდება სააკაშვილის მიერ მკვეთრი საკანონმდებლო და საკადრო ცვლილებების გატარება, აგრესიული მილიტარიცაზია, მიზანმიმართული საომარი რიტორიკა რუსეთის წინააღმდეგ და ურთიერთობების მკვეთრი გაფუჭება. ეს რომ მიზანმიმართული პოლიტიკა იყო იმითაც ჩანს, რომ არასრული 4 წლის მანძილზე 5 ელჩი გამოცვალეს რუსეთში, თანაც ერთმანეთზე უარესები, რაც პირდაპირი მნიშვნელობით შეურაცხმყოფელი იყო რუსეთისთვის.**

მოსამზადებელ პროცესში ჩათრეული აღმოჩნდა რუსეთიც. მისი მმართველობის ხასიათიდან გამომდინარე, არც ისე რთული იყო მისი გამოწვევა. რამდენიმე მკვეთრი შეურაცხმყოფელი განცხადება, რამდენიმე არაადეკვატური ანტირუსული მოქმედება და „მტერიც“ მზად იყო. **ამ მოდელირებულ პროცესებში თავიდანვე იყო ჩადებული საქართველოსთვის მსხვერპლის როლი. აქედან გამომდინარე, ამ მოდელირების ავტორებს სჭირდებოდათ ერთპიროვნული ავტორიტარული მმართველი მორჩილი გუნდი, მორჩილი პარლამენტი, რომლისთვისაც ხელი არ უნდა შეეშალა არც ოპოზიციას და არც ოპონენტებს ხელისუფლების შიგნით. ყველა და ყველაფერი, რაც ხელს შეუშლიდა ამ პროცესს, უნდა ჩამოსცილებოდა სააკაშვილსა და მთლიანად ხელისუფლებას.**

ამიტომ იყო გაუთავებელი საკადრო კარუსელები. მოდელირების პროცესს შეეწირა ირაკლი ოქრუაშვილის კარიერაც, რომელიც დროზე ადრე ცდილობდა საომარი მოქმედებების პროვოცირებას, ვიდრე ეს სჭირდებოდათ ამ პროცესების ავტორებს. ამის აუცილებლობა დადგა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი გახდა საკუთარი დაპირებების მძევალი, რომ 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში შეხვდებოდა. **2006 წლის შემოდგომაზე რაჭაში ჩატარებულმა წვრთნებმა პირდაპირ მიანიშნა მოდელირების ავტორებს, რომ ოქრუაშვილი მზად არის დამოუკიდებელი მოქმედებისთვის. ეს კი უკვე სახიფათო იყო და აღარ ჯდებოდა 2008 წლის კონტექსტში, ამიტომ ისიც მოიცილეს.**

**ამ მოდელირებულ პროცესებს ტრაგიკულად შეეწირა ზურაბ ჟვანიაც. 2004 წლის ბოლოს ზურაბ ჟვანია უკმაყოფილო იყო თავისი გუნდის წევრებით, რომლებიც მორჩილად დაუწვნენ სააკაშვილს და ამის მიზეზიც იცოდა. ამიტომ იყო, რომ ფიქრობდა, დროებით ჩამოცილებოდა ხელისუფლებას და წასულიყო საზღვარგარეთ. დააკვირდით, როგორ მკაცრად გაფრთხილებული და დარიგებული ბავშვებივით იქცევიან ყველა მისი ყოფილი გუნდის წევრები, რომლებიც ზურაბმა გამოიყვანა პოლიტიურ ასპარეზზე, ტექსტებიც კი იდენტური აქვთ.**

საერთოდ, ძალიან ბევრი წინასწარ მოდელირებული მოვლენები ხდება მსოფლიოში, რომლებიც ფარავს სხვა რეალური პროცესების განვითარებას. საერთო ჯამში ამ პროცესების ერთობლიობა წარმოქმნის გლობალური მასშტაბის მოვლენებს. ეს არა მარტო ომები, არამედ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ტექნოგენური კატასტროფებია. მე არ ვარ შეთქმულებების თეორიების მიმდევარი, მაგრამ ის ხომ **ფაქტია, რომ ძლიერი ქვეყნების სპეცსამსახურები, ანალიტიკური და დაგეგმარების ინსტიტუტები ამზადებენ და განახორციელებენ მოდელირებულ სცენარებს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთი იყო რევოლუციები რესეთში, საბჭოთა კავშირის დაშლა, ბალკანეთის ომები და იუგოსლავიის დაშლა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი.** ყველა გლობალური ეკონომიკური კრიზისი, ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრი ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება რომელიმე პოლიტიკური პროცესების განვითარებას. ყველა ეს გლობალური მოვლენა, როგორც წესი, წინასწარ კარგად დაგეგმილი და სტენდზე მოდელირებული პროცესებია.

**თუ რომელიმე რეგიონი ან ქვეყანა ამოიღეს მიზანში, როგორც წესი, ეს უკვე გარდაუვალ მოვლენად იქცევა. იმიტომ აღიარეს სტალინი სიცოცხლეშივე მმართველობის გენიოსად თავისივე მოწინააღმდეგეებმა, რომ მეორე მსოფლიო ომი რეალურად მომზადებული იყო საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად და მისი ბუნებრივი რესურსების ხელში ჩასაგდებად. სტალინმა კი, სათავისოდ შემოატრიალა ეს პროცესი და ამ ომის ავტორები უფრო დასუსტებულები და პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. საბჭოთა კავშირი კი, ათმაგად გაძლიერებული გამოვიდა ამ ომიდან. ეს იმის ნათელი მაგალითია, რომ წინასწარ მოდელირებასაც ყოველთვის არ მოაქვს ის შედეგი, რისთვისაც არის ჩაფიქრებული, თუ ქვეყანას მართავს პრაგმატული და გამჭრიახი გონების მმართველი.**

არანაკლებ საინტერესოდ მიმაჩნია მარტის მოდელირებული „ქრონიკის“ შავი მასალის ნახვა. ის სიუჟეტები და ტექსტები, რომლებიც არ შევიდა გადაცემაში. ვინც ამ სამუშაო მასალასა და სცენარს მოიპოვებს, ბევრ საინტერესო რამეს ნახავს და ბევრ კითხვაზეც მიიღებს პასუხს. არ გამოვრიცხავ, რომ სცენარში ყოფილიყო უფრო მეტი საშინელებები ჩადებული სააკაშვილის მორჩილი გუნდისა და მომხრეების დასაშინებლად. **შეიძლება სცენარში არა მარტო სააკაშვილის ბუნკერში მკვლელობა ყოფილიყო ჩადებული, არამედ ხალხის მიერ პროკურორების, მოსამართლეებისა და პოლიციელების ქვებით ჩაქოლვაც. მაგრამ, შეიძლება, თვითონვე შეეშინდათ, უკუშედეგი არ მოეტანა ასეთ სიუჟეტებს, და გადაიფიქრეს.**

**განა თვითონ არ იციან, რაც ჩაიდინეს და რაც დათესეს ქვეყანაში ამერიკელებთან ერთად და რას მოიმკიან ამ ყველაფრის შემდეგ?!**

რას მოიმკიან სააკაშვილი და მისი გარემოცვა, მათი სადარდელი იყოს. მაგრამ რას მოიმკის ჩვენი ქვეყანა ამ მოდელირებული საერთაშორისო ავანტიურიდან, მართლაც ჩვენი საფიქრალია.

ყველა მეგა სახელმწიფოს ერთი ხასიათი აქვს და მსგავსი პრინციპებით ხელმძღვანელობს, — თუ ვინმე ან რაიმე უკვე მათი აღარ არის, ან ინტერესი დაკარგეს, „ასეთი ჭირსაც წაუღია“ და „ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა“. ხომ არ გგონიათ, ან სინდისი შეაწუხებთ, ან საკუთარ ავტორიტეტზე ზრუნვა? ჩვენი მეგობარი დასავლეთისთვის, ყოველთვის სულერთი იყო, ვისი პროტექტორატი იქნებოდა საქართველო და მას შემდეგ ბევრიც არაფერი შეცვლილა. **განა 1921 წელს არ ჰქონდათ ინტერესი, ნობელის მიერ აშენებულ ბაქო-ბათუმის ნავთობსადენთან რომ მიგვატოვეს და გაიქცნენ? ახლა გეოსტრატეგიული კონიუნქტურა განსაზღვრავს — ნაწილებად დაშლილს „გაგვაჩუქებენ“, რომ ერთდროულად რამდენიმე მსურველი დააკმაყოფილონ თუ, რაც საქართველოსგან დარჩა, იმას გადაულოცავენ რომელიმე ჩვენს დიდ მეზობელს.** ეს იმაზეც იქნება დამოკიდებული, ვინ, როგორ „ივაჟკაცებს“ და როგორ ივაჭრებს. დარწმუნებული იყავით, ამასაც ლამაზად შეფუთავენ და თვითონ მშრალი გამოვლენ ამ საქმიდან. ბოლოს იმასაც მოგვაძახებენ, **„თქვენი პრეზიდენტი და ხელისუფლება თქვენი არჩეულია და პასუხისმგებლობაც ქართველ ხალხზეა და არა სტრატეგიულ პარტნიორებზეო“.** ფორმალურად ეს ხომ მართლაც ასეა.

ჩვენზე, უკვე კარგა ხანია, ჩამოუყალიბდათ ისეთივე აზრი, როგორიც ავღანეთის მიმართ ჰქონდათ — როგორც ავღანეთს არაფერი ეშველება და იქ ცივილიზაცია ვერასდროს მოიკიდებს ფეხს, ისე საქართველოში დემოკრატია და სამართლიანობა არასოდეს იქნება. ამიტომ მუდმივად თავის ტკივილი, ხაზინის ქურდების ფინანსირება და რუსეთთან გაუთავებელი პაექრობა, მართლაც, მოსაბეზრებელი გახდა მათთვის.

**სამწუხაროდ, ჩვენ მალე დავდგებით არჩევანის წინაშე — თურქეთი თუ რუსეთი? იმიტომ, რომ არჩევანი — დასავლეთი თუ რუსეთი — აღარ არსებობს; ყოველ შემთხვევაში, 10–15 წლით მაინც, სანამ არ მოხდება მსოფლიოში ახალი წესრიგის, ახალი კონფიგურაციის ჩამოყალიბება, ჩვენთვის რთული იქნება სიტუაციის შემოტრიალება.** ინერციით კიდევ გაგრძელდება დასავლეთისკენ სწრაფვის რიტორიკა, დასავლეთისგან კი — ღია კარის პოლიტიკა, მაგრამ რეალურად ეს შედეგის მომტანი არ იქნება. მკვეთრად შესუსტდება ამერიკის პოზიციებიც კავკასიაში, რაც რუსეთთან გადატვირთვის შედეგი უფრო იქნება, ვიდრე მისი რეალური სურვილი, დათმოს პოზიციები კავკასიაში. ამიტომ **აშშ შეეცდება, ხელი შეუწყოს თურქეთის მჭიდრო ურთიერთობების გაფართოებას და გავლენის გაძლიერებას კავკასიაში, რათა უფრო მეტად დამოკიდებული გახადოს კავკასიური ქვეყნები თავის სტრატეგიულ პარტნიორზე – თურქეთზე. ამას ემსახურებოდა მისი აქტიური მცდელობა სომხეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის აღსადგენად და საზღვრების გასახსნელად, რათა შეესუსტებინა რუსეთის გავლენა კავკასიაზე.**

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ დასავლეთის მფარველობის ქვეშ, ამიტომ ეს გამოცდილება ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში არ გვაქვს. ის მოკლევადიანი ურთიერთობაც ევროპასთან მე-20 საუკუნის დასაწყისში ნეგატიური გამოდგა. აშშ-თან ურთიერთობის გამოცდილება კი საერთოდ არ გვქონია. აქედან გამომდინარე, **ის შეცდომებიცა და გულუბრყვილობაც. ჩვენ დავუშვით შეცდომები დასავლეთთან ურთიერთობაში, ვერ გავმიჯნეთ ერთმანეთისგან აშშ და ევროპა და მათი განსხვავებული ინტერესები.** ჯერჯერობით არც სხვა ქვეყნების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება შეგვიძლია ჩვენი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. აუცილებლად საკუთარი გამოცდილება უნდა მიგვეღო ცხვირის წამტვრევით, რომ მერე მაინც რამე გვესწავლა.

ამავე დროს მკვეთრად უარყოფითია მრავალსაუკუნოვანი ჩვენი ისტორიული მეხსიერება სპარსეთთან და ოსმალეთთან ქვეშევრდომობის პერიოდებში. არც რუსეთთან ყოფილა ია-ვარდით მოფენილი ურთიერთობა ორი საუკუნის მანძილზე, მაგრამ იყო ისტორიული მონაკვეთი, რომელმაც პოზიტიური როლი ითამაშა ქართველი ერის გადარჩენის, გამრავლებისა და დაკარგული ტერიტორიების შემოერთების პროცესში. ▶

**ახლა გეოსტრატეგიული კონიუნქტურა განსაზღვრავს, ნაწილებად დაშლილს „გაგვაჩუქებენ“, რომ ერთდროულად რამდენიმე მსურველი დააკმაყოფილონ თუ, რაც საქართველოსგან დარჩა, იმას გადაულოცავენ რომელიმე ჩვენს დიდ მეზობელს**

**ჩვენზე, უკვე კარგა ხანია, ჩამოუყალიბდათ ისეთივე აზრი, როგორიც ავღანეთის მიმართ ჰქონდათ — როგორც ავღანეთს არაფერი ეშველება და იქ ცივილიზაცია ვერასდროს მოიკიდებს ფეხს, ისე საქართველოში დემოკრატია და სამართლიანობა არასოდეს იქნება**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ჩვენ მალე დავდგებით არჩევანის წინაშე — თურქეთი თუ რუსეთი? იმიტომ, რომ არჩევანი — დასავლეთი თუ რუსეთი — აღარ არსებობს

**ქართველი ერის იმ ნაწილს, რომელსაც არ დაუკარგავს ისტორიული მეხსიერება, რეალობისა და მადლიერების გრძნობა, ადვილად გაიხსენებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარს და მე-20 საუკუნის მეორე ნახევარს, განსაკუთრებით 1964 წლიდან 1989 წლამდე, რომელიც ყველაზე მშვიდი, ულრუბლო და უსაფრთხო იყო საქართველოს ისტორიაში; შეიძლება ქართული რენესანსის შესადარიც ჩვენი განათლების, მეცნიერების, კულტურისა თუ ეკონომიკური აღმავლობისთვის, ანუ მთელი საუკუნის მეოთხედი, რომელმაც ნებიერი ბავშვის ცხოვრება გვაჩუქა.**

სხვათაშორის ეროვნული ინტერესების დაცვასაც ადვილად ვახერხებდით. თუნდაც ქართული ენის სახელმწიფო ენად შენარჩუნებასა და საბჭოთა პასპორტებში ეროვნების ჩაწერას, რასაც ახლა ვერ მივაღწიეთ. **ამიტომ, როდესაც დადგება ასეთი არჩევანის დრო, და ასეთი დრო ჩვენდა უნებურად მაინც დადგება, დარწმუნებული ვარ ასეთი არჩევანის პირობებში გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას იქონიებს რუსეთთან თანაცხოვრების მეხსიერება.**

კარგია ეს თუ ცუდი? ამ კითხვაზე დღევანდელი თაობებისთვის პასუხის გაცემა არც ისე ადვილი იქნება, იმიტომ, რომ დადებითიც და უარყოფითი პასუხიც სუბიექტური იქნება და ამავე დროს — კონტექსტიდან ამოვარდნილი. სწორად უნდა შევაფასოთ ის ფაქტორიც, რომ, თუ ასეთი არჩევანის წინაშე ვდგებით, ეს გამოწვეულია არა მარტო მეგა სახელმწიფოების გეოპოლიტიკური თამაშებით, არამედ იმითაც, რომ ჩვენც დიდი წვლილი მიგვიძღვის იმაში, რომ ასეთი არჩევანის წინაშე დავდექით.

დავუბრუნდეთ ისევ მოდელირებულ „ქრონიკას“. რას ემსახურებოდა ეს გადაცემა? იქნებ მიზანი იყო, რომ გადაეფარა სხვა უფრო მნიშვნელოვანი მიმდინარე პროცესი. ხომ დასაშვებია, რომ **ეს გადაცემა მიზნად ისახავდა, რაიმე ახალი პროცესისთვის საზოგადოების შემზადებას, რისთვისაც სჭირდებოდათ, როგორც საზოგადოების დაზაფრა, ასევე აგრესიული განწყობის გაღვივება რუსეთის მიმართ და რაიმე ახალი ქმედებების გამართლებაც? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ — ორივე ერთად, თუ ეს ორივე პროცესი ერთმანეთს უკავშირდება.**

შარშან, წლის ბოლოს თბილისში ჩატარებული შეკრება სხვა ქვეყნებში გადახვეწილი ჩრდილოკავკასიელების მონაწილეობით, რაც საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი და „პირველი კავკასიური“ არხის შექმნა პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. ამაში, ალბათ, ეჭვი ცოტა ვინმეს თუ ეპარება. არც იმაში შეეპარება ვინმეს ეჭვი, რომ ორივე ეს საკითხი მიზანმიმართულად ანტირუსული ხასიათისაა. **რით არის გამოწვეული საქართველოს ხელისუფლების ასეთი სარისკო ქმედებები? რევანშით შეპყრობილი სააკაშვილის ოცნების პროდუქტია თუ მისი პატრონების, „ნეოკონების“ ანტირუსული გეგმის შემადგენელი ნაწილი? თუ კი ეს ორი საკითხი შემდგარი ფაქტია, ესე იგი ემსახურება რაღაც ახალი მოვლენების მომზადებასა და დაწყებას, რომელმაც ზეგავლენა უნდა მოახდინოს რუსეთზე, კერძოდ კი გაააქტიუროს და კიდევ უფრო გაამწვავოს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები.** ამჯერად, გასული წლებისგან განსხვავებით, ალბათ, გადაწყვეტილია ყოველგვარი შეფუთვის გარეშე საქართველოს ღიად ჩართვა ამ პროცესში. ასეთ შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ ჩვენ კიდევ ერთი საერთაშორისო ავანტურისა და კატასტროფული საფრთხის წინაშე ვდგებით. როდესაც ისლამური ჯიჰადისა და რუსული აგრესიის ეპიცენტრად გადავიქცევით, ანუ კიდევ ერთხელ მზადდება საქართველოსთვის მსხვერპლის როლი.

საქართველო, როგორც უკვე მოდელირებული სამყაროს შემადგენელი ნაწილი, განიხილება როგორც ამ სამყაროს მოსამზადებელი მოვლენების უსიტყვო შემსრულებელი. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ **ხალხის აზრი და მისი ბედი მოდელირებული მოვლენების ავტორებისთვის მეათეხარისხოვანია; მთავარია, ტერიტორია, როგორც სტრატეგიული დანიშნულების პოლიგონი.**

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ნებით გავიხლართეთ ორი იდეოლოგიის, ორი მენტალიტეტისა და ორი მეგა სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ბრძოლის ბადეში. ალბათ, რაღაც ახალი ემოციები და განცდები გვინდოდა, როგორც დაუდგრომელი სულის ხალხს. **ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა, რომ ყველა პაპუასი არ გვიცნობდა მსოფლიოში, გვინდოდა, კარგად გაეგოთ ჩვენი უძველესი წარმოშობა, უძველესი დამწერლობა, ჩვენი განსაკუთრებულობა, სიამაყე და ხასიათი, მაგრამ ვერ გავთვალეთ, რომ პრაგმატული რეალპოლიტიკისთვის ეს ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ნიანგისთვის მსხვერპლის ვარცხნილობა. რუსებს ერთი კარგი ანდაზა აქვთ: „От добра, добра не ищут“. ალბათ, არ გვეხერხება სიკეთის აღქმა...**

**მერაბ რატიშვილი**,
პოლიტოლოგი,
პოლიტპატიმარი.
რუსთავის №6 საპყრობილე
09.05.2010 წელი.

# უბედური №1

**საქართველოში კრიზისი და გაჭირვებაა. უჭირს ყველას — ზოგს სულიერად, ზოგს მატერიალურად, უმეტესობას ყველანაირად. ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, გასაკვირიც კია, რატომ არ ჩატარდა აქამდე კონკურსი ან თუნდაც სოციოლოგიური გამოკითხვა — ვინ არის ყველაზე უბედური და გაჭირვებული ამ ქვეყანაში. ვერაა სახარბიელო სტატუსი, მაგრამ ჩვენ ხომ ყველაფერში პირველობა გვიყვარს, ცუდშიც და კარგშიც.**
**და თუ კარგად დავუკვირდებით, ერთ-ერთი ყველაზე „პერსპექტიული“ კანდიდატურა ქვეყნის მთავარი უბედურის ნომინაციაში ჯერ კიდევ რატომღაც პრეზიდენტად წოდებული მიშიკო, იგივე შიშიკო სააკაშვილი გახლავთ.**



ყრმობიდან მოყოლებული სააკაშვილი ვერაფრით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ პიროვნებად, მამაკაცად. ქალების გარემოცვაში გაზრდასა და ქუჩისგან მაქსიმალურად დისტანცირებას ყოველთვის როდი მოაქვს დადებითი შედეგი. ყმაწვილი მიშიკო ეზოში თანატოლებთან ფეხბურთის თამაშითაც კი ვერ დაიკვეხნიდა ხშირად. სკოლის პერიოდში, როგორც ამბობენ, უფრო მეტად ახლომდებარე ხეზე ადიოდა ხოლმე და ტოტებიდან აკვირდებოდა თანატოლების საფეხბურთო ბატალიებს, მთლად „თამაშგარე მდგომარეობაში“ რომ არ დარჩენილიყო, „სპორტული კომენტატორის“ ფუნქციას ითავსებდა და ხის ტოტებიდან „მატჩის რეპორტაჟი“ მიჰყავდა ხოლმე. სხვათა შორის, უკვე პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ერთ-ერთი პირველი, რაც სააკაშვილმა გააკეთა, სწორედ ის ხე მოაჭრევინაო, ამბობენ. შემდეგ, კახი კალაძეს ფეხი მოსტეხა. ეს ისე, გახსენებისთვის.

შემდეგ იყო ბიძის დახმარებით სწავლის გაგრძელება კიევში, პორნოფილმებთან დაკავშირებული სკანდალი, კგბ-ს ჯარში სამსახური და სხვა „თეთრი ლაქები“ მისი ბიოგრაფიის იმ პერიოდში.

90-იანი წლების შუაში სააკაშვილი ამერიკული სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში ნებით მოექცა თუ ნორჩი სააკაშვილი თემურ ალასანიას საშუალებით ამერიკელებთან სხვებმა „შეაგზავნეს“, იმდენად სათუო თემაა, რომ „შეთქმულების თეორიის“ სუნიც დაჰკრავს, ამიტომ არ ღირს ჩაღრმავება და ბნელ ოთახში შავი კატის ძებნა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მათ, **ვინც სააკაშვილი „დააევერბოვკა“ და ოპერაცია „ვარდების რევოლუცია“ ჩაიფიქრა, მშვენივრად ჰქონდათ შესწავლილი არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი „დედიკოს ბიჭის“ ფსიქოლოგიური პორტრეტი და კარგად იცოდნენ, რომ საკუთარი უსუსურობის დასავიწყებლად და მისაჩქმალად სააკაშვილი ყველაფერზე წავიდოდა, ყველა ჯურის ნაძირალებთან თანამშრომლობაზე დათანხმდებოდა (მით უმეტეს, მას არასოდეს ჰქონია წარმოდგენა, ვინაა ნაძირალა და ვინ – კარგი ადამიანი), ოღონდ კი პრეზიდენტი გამხდარიყო და ხელში ძალაუფლება ჩაეგდო, შემდეგ კი მის მართვაზე ადვილი არაფერი იქნებოდა.**

მოსახდენი მართლაც მოხდა. სააკაშვილს განუზომელი ძალაუფლება ჩაუვარდა ხელში. ნორმალურ ადამიანს სამუდამოდ დაავიწყდებოდა ბავშვობისდროინდელი კომპლექსებიცა და თანატოლებისგან მიყენებული წყენადამცირებაც, მაგრამ ან სააკაშვილი მართლაც არ არის ნორმალური, წმინდა სამედიცინო თვალსაზრისით, ან მის ბიოგრაფიაში რაღაც ისეთი საშინელება იმალება, რასაც ვერანაირი ძალაუფლება ვერ კურნავს.

**ასეა თუ ისე, უკვე პრეზიდენტი მიშიკო წამდაუწუმ აკეთებდა რაღაც ისეთს, რაც აშკარად მიუთითებდა, რომ ამ ბიჭს მთლად წესრიგში ვერ ჰქონდა ყველაფერი, ვერც მაშინ – ყმაწვილკაცობაში და ვერც შემდგომ.**

ყველას ახსოვს მისი „აგერაა ბუჩქები“, რომლის თქმის შემდეგ არც ერთი თავმოყვარე და მოაზროვნე ერი მას პრეზიდენტად აღარ მოითმენდა. არავის ეპარება ეჭვი (პათოლოგი მიშიაკების გარდა), რომ ეს სიტყვები სააკაშვილის ქვეცნობიერიდან ამოვარდა და რაღაც ისეთი გვიჩვენა, რაც მან ბავშვობაში ვერ აისრულა და ვერ დაიკმაყოფილა. გამოხდა რამდენიმე ხანი და რატომღაც ღამის ორ საათზე საბავშვო ქალაქ „მზიურში“ ჩასულმა სააკაშვილმა იქ „შემთხვევით“ მყოფ „ლაღ ახალგაზრდებს“ აუწყა – **„ეხლა რომ არის ეს პარკი განათებული და უსაფრთხო, ყოველთვის ასე კი არ იყო, 1992 წელს მე იარაღი მქონდა ქამარში გაჩრილი, „ჩეზეტი“ და ასე გადმოვდიოდი ღამით "მზიურითო".**

**მიშა, ბებიაშენი მზია ტყუვდება ეგეთი ზღაპრებით? თუ არა, რატომ გგონია, რომ მარტო შენ ცხოვრობდი 90-იანი წლების თბილისში? 92 წელს „ჩეზეტი“ შენ კი არა, „მხედრიონშიც“ ერთი-ორ ადამიანს თუ ჰქონდა სულ და შენ ვინ მოგაშავებდა მაგ იარაღს, ხომ მოგაძრობდნენ ქამრიან-წელიანად?**

გასაგებია, რომ ეს მამალი ტყუილია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ამ „აღიარებაში“ ის იყო, რომ სააკაშვილმა ამ ზღაპრით საკუთარი თავის დამკვიდრება სცადა კიდევ ერთხელ – აი, მე რა მაგარი ვიყავი ყმაწვილკაცობაშიო. კი, გენაცვალე, მოატყუე ტვინგადაგლესილი „პატრიოტები“, მაგრამ საკუთარ თავს რომ ვერ ატყუებ?

ვერ ატყუებს, მაგრამ ძალაუფლებას ის მაინც შეუძლია, რომ კომპლექსებიდან ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო, რაც დაგაკლდა, ის მაქსიმალურად აინაზღაურო და ნაწილობრივ მაინც შეიქმნა ილუზია, რომ „მაგარი ხარ“. გასაგებია, რომ არც ე. წ. სიმღერა „მიშა მაგარია“ შეიქმნა შემთხვევით.

**მაგრამ სააკაშვილი ამ ყველაფრის გამო უბედური არ ყოფილა. ის საცოდავი იყო. მისი ნამდვილი უბედურება ახლა გამოვლინდა; უფრო სწორად, მაშინ, როცა მიხვდა, რომ ის არ არის ამ ქვეყნის რეალური მმართველი, რომ მას „აჩოჩებენ“ და თან ვინ — ყოფილი „თანამოაზრეები“!**

ახლახან რამაზ საყვარელიძემ გაიხსენა რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი წევრის მიერ მისთვის ნათქვამი სიტყვები – **როგორც კი მიშა „გაუბერავს“, მოვიშორებთ და მის ადგილზე ვინმე სხვას დავსვამთო. გრძნობს ახლა მიშიკო, რომ სწორედ ეს დრო მოვიდა, რომ ის უკვე აღარაფერს აკონტროლებს ამ ქვეყანაში „მოდელირებული ქრონიკისა“ და ერთი-ორი პათოლოგის გარდა, ძალაუფლება ხელიდან ეცლება და არ იცის, რა უნდა ქნას, იმიტომ რომ ძალაუფლების გარეშე იგი ნულია?!** ამიტომ დარბის ხან ჩინჩილას ინაუგურაციაზე კოსტა-რიკაში და ხან კიდევ – სად...

**ძალაუფლების დაკარგვა საშინელებაა სააკაშვილისნაირი ფსიქიკის ადამიანებისთვის. ხშირ შემთხვევაში ეს გამოუსწორებელი ტრაგედიით სრულდება ხოლმე. ღმერთმა ნუ ქნას, ამჯერადაც ასე მოხდეს.**

**სალვადორ დვალი**

## მოკლედ



### პოლონური დეპორტი გრძელდება

**პოლონეთში არალეგალურად მცხოვრებ 2 000 ქართველს დეპორტაცია ელის.**

ეს ციფრი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაასახელა, რეალურად შესაძლოა გაცილებით მეტი ქართველი დააბრუნონ სამშობლოში იძულებით. გასული წლიდან მოყოლებული პოლონეთი ინტენსიურად ახორციელებს ლტოლვილთა ბანაკების დახურვის პოლიტიკას, რის შედეგადაც დეპორტაციის რამდენიმე ტალღა უკვე განხორციელდა.



### იყიდება საქართველო

**ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ობამასგანღა აკლდა გაყიდვა და თურმე ისიც გვყიდის.** 15 მაისის „The Washington Post“-ის სტატიაში სათაურით „აშშ რუსეთის მეზობლებზე უარს ამბობს“ ამერიკელი ექსპერტი დევიდ კრამერი ირწმუნება, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ობამას ადმინისტრაციამ, შესაძლოა, საქართველო და მოლდავეთი რუსეთს „მიჰყიდოს“. ობამამ კონგრესისადმი მიმართვაში განაცხადა, რომ საქართველო რუსეთთან თანამშრომლობის დაბრკოლებად აღარ მიაჩნია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ქართული პოეზიის რაინდი ზეციურ საქართველოს შეუერთდა

დიდი მუხრანი აღარა გვყავს. იგი, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეჰფერის, სიკვდილს ფეხზე მდგომი შეეგება. მეგობრის საიუბილეო საღამოზე ლექსს კითხულობდა და სიკვდილი, რომელიც კულისებიდან წამოეპარა, აინუნშიაც არ ჩააგდო, ცდილობდა, სიტყვა არ გაეწყვიტა... მაგრამ არსთა გამრიგემ ასე ისურვა — დიდი მუხრანი წაიქცა და მისი უკანასკნელი სიტყვაც „საქართველო“ იყო, სამშობლო, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ერთგულად მსახურებდა.

დიდმა მუხრანმა მართალი სიტყვისა და ეროვნული იდეის უანგარო მსახურებაში გალია წუთისოფელი და მარადიული პოეზია დაგვიტოვა „ჩვენდა საწვრთნელად“.

შარშან, მუხრან მაჭავარიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ დიდი პოეტის ლექსები გამოაქვეყნა, მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელთა შერჩევა ერთობ გაგვიჭირდა, იმდენად საძნელო გამოდგა ქართული პოეზიის საგანძურიდან თვალმარგალიტის ამოკრება.

ახლაც მისივე პოეზიით ვემშვიდობებით დიდ მუხრანს, რომლის შემოქმედებამ უზარმაზარი როლი შეასრულა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და განვითარებაში.



## ვაი, ჩვენს პატრონს

დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.

ვხედავ:
რეგვენი ლაპარაკობს
ამაყად, მძიმედ
და, მე შენ გეტყვი,
უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.

ქალი თუ კაცი
ეჯიბრება იმაში ურთერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას
ვინ შეძლებს უკეთ.

გზადაგზა მხვდება
კმაყოფილი სიფათი რეგვნის;
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს
ამაოდ ლეღვნი.

დროდადრო მესმის
უხერხული ხალხური ლექსი:
ვჭამოთო კარგად, —
არაფერი შეგვრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს,
ჩვენი ყოფის თავი და ბოლო,
ჭამა და საჭმლის მონელება
თუ არის მხოლოდ.

დავდივარ,
როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს
ხან დოლაბი,
ხან კიდევ კევრი.

1972

## რაც სურდა საბას

თუ მსურდეს სხვა რამ, —
ღმერთმა დამლახვროს!
მსურს მხოლოდ იგი,
რაც საბას სურდა:
კაცმა ქართველმა,
მსურს, —
ქართულად ილაპარაკოს
და საქართველოს
საქართველო, მსურს, —
ერქვას მუდამ!
ღმერთმა ქართული, —
აწ და მარად, —
აკურთხოს მიწა!
სვის ჩარხმა მისმა
აწი მაინც იბრუნოს წაღმა! —
და ყველას,
ჰქვია ქართველი ვისაც,
მსურს, —
სურდეს იგი,
რაც სურდა საბას!

1993

## აწინდელი საქართველო

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
გელათისი!
ბაგრატისი!
ჯვარისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)!
იყოს ღირსი,
არა მგონი,
შოთაისი!
საბაისი
და სხვისი!

აწინდელი საქართველო
(უწინდლისა, არ ვიცი)!
არის ღირსი
(შეძახილით აკაკისით)
ფურ-
თხი-
სი!

1992

## მეც თუ ასეთი სიბერე მელის

შენ დაგიწუხდა, სიკვდილო, ხელი! —
ვინაა, — ყმა რომ არაა შენი?!..
ერთი, მორიგი, მოქნევა ცელის, —
წკაპ...
და...
წავილებ
მაშინვე
წერილს!

შენ შეგიწუხდა, სიკვდილო, ხელი! —
შენ შემოგცქერის ერი და ბერი!..
ერთი, მორიგი, მოქნევა ცელის, —
წკაპ...
და...
იალლ! —
ჰერი და ჰერი!

ყოველდღე ვხედავ, — უბანში ვერის, —
დადის მოხუცი ნაბიჯით ნელით...
მეც თუ ასეთი სიბერე მელის,
მოდი,
ახლავე
მომისვი
ცელი!

1992

## სამწუხაროდ, – ვერა, ვერა, – ბრწყინვალებავ თქვენო!

იცის, მარა ყველამ არა!
მეგობარო ჩემო:
პროვინციამ სისადავის,
რომ არ იცის გემო!

(რა ლამაზად ჩამომდგარა
გიორგობის თვეო).

არც ეგების
(არაერთი მიზეზისა გამო):
პროვინციამ სისადავის,
რომ შეიგნოს გემო!

(რა ლამაზად ჩამომდგარა
გიორგობის თვეო).

ყველამ იცის? —
იგრძნობს ყველა
ამ სტრიქონის გემოს? —
სამწუხაროდ, —
ვერა, ვერა, —
ბრწყინვალებავ თქვენო!

1995

## ჩვეულებრივი ამბავი

ნაპირს საცაა მოადგება საჩემო ნავი
და მე ამ ქვეყნით,
სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ
(სხვა, — ბარიერი წავიდა რავარც)!
იქ როცა მივალ, —
ხელებგაშლით, —
მეტყვიან, ალბათ:
— მუხრანს ვახლავართ!

აქ ზოგი იტყვის:
— ხო, ჩაძაღლდა,
ეტირა ყოფა!..
ზოგი მათგანი:
— ჩვენც მოვკვდებით!
რა გაეწყობა!
ნაპირს საცაა მოადგება საჩემო ნავი

და მე ამ ქვეყნით,
სამუდამოდ,
იმ ქვეყნად წავალ.

1993

## ჩვეულებრივი ესეც ნუთუ არის ამბავი?!

მზე რომ ამოდის
და ნარშავი
ღამეს მიტირის, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
დღისით,
მზე როა
და მთოვარე
კრთის ფერმიხდილი, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
თავლაფდასხმული, —
რომ არ იტეხს
კაცი იხტიბარს, —
ჩვეულებრივი ამბავია, —
როგორც სიკვდილი!
საქართველოსი,
კრინტს რომ არ ძრავს,
ახლა, — მთა-ბარი, —
ჩვეულებრივი,
ესეც,
ნუთუ,
არის ამბავი?!

1994

## ეს გზა...

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს...
გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის,
ხან მიდის მინდვრით...
ეს გზა, მე ვიცი, საითკენ მიდის...
შენ გზა მითხარი,
ის გზა, რომელიც...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა მეთოდებით აგროვებს ხმებს «ნაციონალური მოძრაობა»

**გასულ კვირას, ცესკომ მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების უფროსის, თორნიკე ხუციშვილის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და სასამართლოში გადააგზავნა, რათა სასამართლომ იმსჯელოს, საარჩევნო კოდექსის დარღვევისთვის მისთვის 1000-ლარიანი ჯარიმის დაკისრების შესახებ. საქმე ეხებოდა მერიის პროექტ „კინომანიას“, რომელიც კინოთეატრებში სტუდენტებისთვის 1 ივნისამდე 5-ლარიან ფასდაკლებას ითვალისწინებდა და რომლის ბილეთებზეც გამოსახული იყო ზუსტად ისეთივე ხუთიანი, როგორიც მმართველი პარტიის სააგიტაციო პლაკატებზეა. აღნიშნული ბარათები დაიბეჭდა მერიის სახსრებით წინასაარჩევნო პერიოდში, რაც საარჩევნო კოდექსის დარღვევაა.**



მსგავსი ტიპის დარღვევები წინასაარჩევნო პერიოდში მრავლადაა და ამ საკითხთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვებას აწარმოებენ, არაერთი ანგარიში გამოაქვეყნეს. შს მინისტრის მოადგილის, ეკატერინე ზღულაძის განცხადებით, რეაგირება ხდება თითოეულ დარღვევაზე, თუმცა ჯერ-ჯერობით, ხუციშვილისა და ლანჩხუთის კუდის უფროსის, ბუხუტი ჩხაიძის გარდა (ამ ფაქტზეც ცესკომ მოახდინა რეაგირება), არც დასჯილი გვინახავს ვინმე და არც დარღვევა — აღკვეთილი.

**წინა ნომერში ვწერდით, თუ როგორ აიძულებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაცია ოპოზიციური პარტიის წევრებს, მათი კანდიდატურა მოეხსნათ. აღნიშნული ფაქტის შესახებ საგანგებო განცხადებები გაავრცელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა. თუმცა არც გოროზია დაუსჯია ვინმეს და არც მისი თანმხლები ჩინოვნიკები. ამ ინციდენტამდე კი მესტიაში პარტიული სიიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა პარტია „თავისუფლების“ წევრმა ბოგდან ნიგურიანმა. იგი გამგეობის თანამშრომლებმა შავი „პრადოთი“ მიიყვანეს საოლქო საარჩევნო კომისიაში და განცხადება საკუთარი ხელით დააწერინეს.**

## ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები კანდიდატურებს ერთმანეთის მიყოლებით ხსნიან

**ყვარლის რაიონის გამგებლისა და პოლიციის უფროსის ზეწოლის შედეგად კანდიდატურები მოხსნეს ახალსოფლისა და მთისძირის საკრებულოს წევრობის „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატებმა. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის, შოთა ქავთარაშვილისთვის პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმა და ნოლაიდელის პარტიის დატოვება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ჯაფარ ხანგოშვილსა და სოფელ დუისის რწმუნებულს მერაბ ქავთარაშვილს მოუთხოვიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ოჯახის წევრების გამწარებით დაემუქრნენ.** ისინი ქავთარაშვილთან სახლში მივიდნენ, მათი წასვლის შემდეგ ქავთარაშვილს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდა. თუმცა ხანგოშვილმა მუქარის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ ქავთარაძეს მხოლოდ მეგობრული რჩევა მისცა.

**ყვარლის რაიონის გამგებლის, ლევან გამსახურდიასა და პოლიციის უფროსის, თემურ გურაშვილის მხრიდან ზეწოლის გამო კანდიდატურები მოხსნეს ახალსოფლის საკრებულოს წევრობის კანდიდატმა მზია ხუტუაშვილმა და მთისძირის საკრებულოს წევრობის კანდიდატმა ანეტა მღებრიშვილმა. ხუტუაშვილმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი პარტიული სიის წარდგენის შემდეგ განაცხადა, მღებრიშვილმა კი — 5 მაისს.** „ეროვნულ საბჭოს“ ყვარელში 11-კაციანი სია ჰქონდა წარდგენილი, ორი კანდიდატურის მოხსნა კი საკმარისი იყო სიის გასაუქმებლად.

**ლანჩხუთში ბლოკ „ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარობის ერთ-ერთ კანდიდატზე — ავთანდილ სურმანიძეზე ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა ზეწოლა განახორციელეს.** პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის ლანჩხუთში ვიზიტისას, სურმანიძე, როგორც ნიგვზიანის თემის რწმუნებულის თანაშემწე, შეხვედრას ესწრებოდა და თავის პოლიტიკურ კურსს აფიქსირებდა. შეხვედრის შემდეგ იგი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელმა ბუხუტი ჩხაიძემ დაიბარა და წინასაარჩევნო კამპანიის შეწყვეტა მოსთხოვა. **ეს უიშვიათესი გამონაკლისია წინასაარჩევნო ზეწოლის შემთხვევებს შორის, რადგან, როგორც გაირკვა, ამ ფაქტის გამო ბუხუტი ჩხაიძე თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ.**

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ საბათლოში პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ აქტივისტს, ქართული ენის პედაგოგ ნინო ქადაგიშვილს საბათოს რწმუნებული დავით გუნდაძე დაუკავშირდა და განუცხადა, რომ სკოლის დატოვება მოუწევდა, თუ ოპოზიციურ პარტიასთან თანამშრომლობას არ შეწყვეტდა.**

**პარტია „თავისუფლების“ პირველი ნომერი ვიქტორ ჯაფარიძეც მუქარის მსხვერპლი გახდა: გამგებლის დავალებით მას მესტიის რაიონის პოლიციის უფროსმა გია შედანიამ დაურეკა და დაემუქრა, რომ მესტიაში ჩასვლის დღესვე დააკავებდა, თუ არჩევნებში მონაწილეობაზე არ იტყოდა უარს. ჯაფარიძე მესტიაში დღემდე არ ჩასულა. მასზე მუქარა გრძელდება და არ არის გამორიცხული, კანდიდატურა მოხსნას.**

ეს არასრული ჩამონათვალია ზეწოლის იმ ფაქტებისა, რომლებსაც წინასაარჩევნო პროცესებზე მონიტორინგის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციები ავრცელებენ. ასე თუ გაგრძელდა, შესაძლოა, რეგიონებში არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები კონკურენტგარეშე აღმოჩნდნენ. ზეწოლა გრძელდება არამარტო კანდიდატებზე, არამედ ამომრჩევლებზეც.

**ბლოკ „ალიანსი საქართველოსათვის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაცია „ნაციონალურ მოძრაობის“ ზემო ალვანის მაჟორიტარ დეპუტატ ბესო ყიზილაშვილს სოფელ ალვანში საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებზე (მოგეხსენებათ მე-12 კლასელები, ასაკის შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობენ) ზეწოლაში ადანაშაულებს. მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის სპეციალისტი მათ ემუქრება, თუ ხმას „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მის კანდიდატებს არ მისცემენ, ჯარში გაიწვევს და უმაღლესში ჩაბარებას ველარ შეძლებენ. ასეთივე მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებენ ლანჩხუთის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის თანამშრომელ დავით პატარავას. ოღონდ პატარავა სკოლის მოსწავლეებს არ ერჩის, მას 18 წელს გადაცილებული მამაკაცები გაუფრთხილებია ამის თაობაზე.**

მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არაერთგზის არის დადანაშაულებული არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაში (მათ შორისაა მრავალნაირი პროგრამები, რომელიც არჩევნებს უკავშირდება და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა), კიდევ აწარმოებს მსგავსი სახის ზეწოლებს კონკურენტ კანდიდატებზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ

### სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიუხედავად, რომელსაც ხელისუფლება გვახვევს თავს, მათ რეიტინგს ძალიან უჭირს.

თუმცა მსგავსი ზეწოლების შედეგად, თუკი ამგვარი ფაქტების აღკვეთა არ მოხდება, შესაძლოა სოციოლოგიური გამოკვლევების დასახელებულ ციფრს მათი გამარჯვება მართლაც მიუახლოვდეს.




# როდის დაიჭერენ ზვიად ძიძიგურს?




**„ღამის ორ საათზე ჩემს სახლში რა გინდათ, რა გინდათ ჩემს სახლში? მომშორდით აქედან სულყველანი! მომშორდით აქედან სულყველა! ჩემს სახლში ნუ მივარდებით ნაციონალები და თქვენ ერთად, ნაციონალები და თქვენ ნუ მივარდებით ერთად სახლში! აქედან მოუსვით, ჩემ სახლში ნუ მივარდებით, მოუსვით აქედან! მომშორდით სულყველანი, სახლში ნუ მივარდებით, ბავშვები მყავს ამ სახლში, წადით აქედან, დებილებო, თქვენ, თქვე ნაციონალებო, პატრულებო, თქვენ, წადით აქედან გადაშენდით, არ დაგინახოთ აქ მოსულები, ოჯახში არ შემოხვიდეთ რომელიმე თქვენგანი!“**

ასე წყევლა-კრულვით, „უდიპლომო სასიძოს“ ვარდენივით მისდევდა გიორგობის ღამეს ხალათში გამოწყობილი მერობის კანდიდატი ზვიად ძიძიგური მის სახლთან მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარზე მისულ ჟურნალისტებს. ოღონდ ამჯერად — უიარაღოდ. ამ ფაქტამდე კი ძიძიგური ჩოლოყაშვილის ქუჩაზე იარაღს უტურტურებდა ნაციონალების აქტივისტებს, რომლებიც მის სახლთან საარჩევნო პლაკატებს აკრავდნენ.

**გიორგობა ძიძიგურისთვის აშკარად მძიმე აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ამ დღეს დაგეგმილი პოლიციის აღლუმი ვერ ჩაშალა, თუმცა პოლიციის დღე და გიორგობა რამდენიმე პოლიციელს მაინც ჩააშხამა, რადგან ამ აქციაზე რამდენიმე პოლიციელმა, ისევე, როგორც მომიტინგეებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. მერობის კანდიდატ ზვიად ძიძიგურს მეტსახელად „პრავადნიკს“ ეძახიან, მისი რკინიგზასთან ხშირი კონტაქტის გამო. აქცია არ ჩაივლის ძიძიგურის მონაწილეობით, რკინიგზა რომ არ გადაკეტოს.**

პირველად გახსოვთ, ალბათ, ძიძიგურმა 1989 წელს სამტრედიაში გადაკეტა რკინიგზა და ამით ბლოკადას უწყობდა რუსეთს! ნოემბრის მაშტაბური აქციების დროსაც მიაკითხა ძიძიგურმა რკინიგზას, თუმცა სამართალდამცავებმა რკინიგზაზე მოძრაობა მალევე აღადგინეს. გიორგობის აქციაზეც „გაუმართლა“, რადგან იქვე აღმოაჩინა რკინიგზა, ჰოდა, გული როგორ გაუძლებდა, რელსებზე რამდენიმე წუთით რომ არ ჩამომჯდარიყო?! მართალია, მოკლე ხნით, მაგრამ მისი გადაკეტვა ძიძიგურმა მაინც შეძლო. ამ დროისთვის ძიძიგურის სხვა გატაცებების შესახებ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, მხოლოდ გვიან გახდა ცნობილი, რომ ძიძიგურს მარტო რკინიგზის გადაკეტვა კი არა, სროლაც შეუძლია, რეგისტრირებულ იარაღს მუდამ თან ატარებს და ნებისმიერ შემთხვევაში თავს დაიცავს. **თუმცა ეს „თავდაცვა“, რომელიც ერთი შეხედვით თავდასხმას უფრო ჰგავდა, მას შეიძლება თავისუფლების აღკვეთად თუ არა (გირაოს თანხად), რამდენიმე ათას ლარად მაინც დაუჯდეს, რადგან 6 მაისის ღამეს მომხდარ ფაქტზე საქმე უკვე აღძრულია ხულიგნობის მუხლით და მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს.**

პროკურატურა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას თავს არიდებს, რადგან საქმე, რომელიც ძიძიგურმა მათ მისცა, მართლაც კარგი საკბილოა, უბრალოდ, საარჩევნოდ მისი ბოლომდე მიყვანა ისევ ოპოზიციის წისქვილზე დაასხამს წყალს და პოლიტიკურ რეპრესიებად შეფასდება, თორემ აქამდე ძიძიგური უკვე აღმოჩნდებოდა გისოსებს მიღმა. პროკურატურა ამის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, დროს წელავს და აცხადებს, რომ მიმდინარეობს მოწმეთა დაკითხვა.

**აღნიშნულ საკითხზე თავად ძიძიგური ჯერ არ დაუკითხავთ და არჩევნებამდე, ალბათ, არც დაკითხავენ, მაგრამ აღნიშნული ჩვენებები დღევანდელი კანონმდებლობით აბსოლუტურად საკმარისია ძიძიგურისა და მისი მეგობრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. ამ ფაქტს გაგრძელება სწორედ არჩევნების შემდეგ ექნება. ჩვენ ვცადეთ ძიძიგურთან დაკავშირება, მაგრამ მერობის კანდიდატს ტელეფონი გამორთული ჰქონდა.**

გვერდი მოამზადა **სოფო გელაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ფარისეველი ელიტა და სპეცდანიშნულების ტელევიზია

***„რატომ ისევ მე?! საქართველოში ამაზე რატომ არავინ ლაპარაკობს?! განა ჩემს პუბლიკაციებში ბევრი რამაა ისეთი, რაც ყველამ არ იცის?!* და საერთოდ, საჭიროა კი, სიმართლე უთხრა იმ საზოგადოებას, რომელსაც სიმართლის ეშინია?!“** — ვფიქრობდი ამ სტრიქონების დაწერამდე და უცებ მივხვდი, რომ კითხვას თავადვე ვუპასუხე: **სწორედ იმიტომ, რომ სიმართლე საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამაზე დუმან, მოვალე ვარ, ეს გავაკეთო!**

მე **იპოლიტი** არ ვარ, თუმცა, საქართველოში მომხდარს თვალს რომ ვადევნებ, ისე მტკივა, რომ ზოგჯერ **მინდა გავცივდე და მოვკვდე** რიაზანოვის ტელეფილმის ზემოთ ნახსენები გმირივით, ტელეფილმისა, 1976 წლიდან ახალი წლის შეხვედრის რიტუალის განუყრელ ატრიბუტად რომ ქცეულა პოსტსაბჭოური სივრცის მრავალ ქვეყანაში...

დიახ, ქვეყანაში, სადაც თაობათა „განათლებისა“ და შთამომავლობის დასამოძღვრად გახსნილია **საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი** და შექმნილია **საქართველოს მიმართ რუსეთის 200-წლიანი პოლიტიკის ფაქტებისა და ისტორიული სიმართლის დამდგენი კომისია**, კვლავაც დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით უყურებენ გამოჩენილი **რუსი** რეჟისორის **საბჭოურ** ფილმს, რომლის მოქმედებაც **საბჭოთა** პერიოდში ხდება!

**მაშ, რატომაა, რომ ჩვენ, ქართველები, ბრმად ვერწმუნეთ ამ გაუნათლებელ, დაბალი კულტურის მქონე, პროვინციულ და გამყიდველ პუბლიკას — ქართულ პოლიტისტებლიშმენტს: პოლიტიკოსებს (ხელისუფლებასა და მის განუყოფელ ოპოზიციას), პოლიტოლოგებს (პოლიტიკის პროქტოლოგებს), ჟურნალისტებს (დაქირავებულ აფერისტებს), არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს (სოროსისა და მისი მსგავსი ნაგვის შექმნილს)?! სად დავკარგეთ ქართული სიამაყე, კეთილშობილება და სიმამაცე და დავმორჩილდით თავხედობას, უტიფრობასა და უხეშ ძალას (თუნდაც სახელმწიფო მანქანის)?!**

**რატომ გვეშინია, მაგალითად, იმის აღიარება, რომ სსრკ არც ისე ცუდი იყო?!** მაშინ ხომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თავდაცვაზე **კაპიკსაც** არ ვხარჯავდით, მაგრამ მიწის ერთი გოჯიც არ დაგვიკარგავს (ვერც დავკარგავდით!), დღეს კი არმიაზე წელიწადში **მილიარდ დოლარს** ვხარჯავთ, მაგრამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დავკარგეთ!

მაშინ ჩვენ, რუსებსა და უკრაინელებს, აფხაზებსა და ოსებს, აზერბაიჯანელებსა და სომხებს, ბელორუსებსა და ყირგიზებს... ერთიანი ძლიერი **სამშობლო** გვქონდა, ამიტომ **თანამემამულენი** ვიყავით და ერთმანეთისთვის ტყვია არ დაგვიშენია... შემდეგ კი დავივიწყეთ ხალხური სიბრძნე, რომ ძალა ერთობაშია; როგორც სულხან-საბას ერთ იგავში კონად შეკრული ისრები ვერ გადაამტვრია ღონიერმა ვაჟკაცმა, ვერც ერთად შეკრულ ერებს ჩაგრავდა ვინმე, ახლა კი დაცალკევებული ჩვენც ისევე იოლად დასამორჩილებელი აღმოვჩნდით მტრისთვის, როგორც თითოთითოდ ადვილად გადასამტვრევი ისრები.

მაშ, გავიხსენოთ უახლოესი საუკუნეების საქართველოს ისტორია დღემდე: **განა დაცალკევებულებმა ყველა ომი არ წავაგეთ?! განა საქართველომ ყოფილი სსრკ-ის ყველა რესპუბლიკასთან ერთად არ დაამარცხა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერი მტერი — ფაშიზმი?!**

მაშ, სადაა ლოგიკა?! **რატომ ავირჩიეთ დღეს დამარცხება და არა გამარჯვება?!** ჩვენ, ქართველები, ხომ სულ რაღაც მილიონ-ნახევარი დავრჩით საქართველოში, დაახლოებით ამდენივე — რუსეთში და უფრო ციტანი — ამერიკასა და ევროპაში. **ნუთუ ძველი ბერძნებივით უნდა გადავშენდეთ, რომ მერე ყველამ სინანულით გაიხსენოს ჩვენი უნიკალური კულტურა — ლიტერატურა, არქიტექტურა, თეატრი, მხატვრობა, როგორ გვიყვარდა ცეკვა-სიმღერა?! განსაკუთრებით კი ის — თუ როგორ გვიყვარდა ჩვენ, ქართველებს, ფული, რამაც დაგვღუპა კიდეც?!**

**მაშ, რამდენჯერ უნდა გავიყიდოთ და გავყიდოთ სამშობლო?!** მყიდველებს ხომ (სოროსის ფონდს, საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს, თავისუფლების ინსტიტუტსა და ჩვენს სხვა უცხოელ „კეთილისმყოფელებს“) ფული ჩეჩქად აქვთ, ასობით და ათასობით დოლარით მეტი, ვიდრე საქართველოს წლიური ბიუჯეტი და ჩვენი ეროვნული ბანკის მთელი ოქროს მარაგია!

სწორად გამიგეთ. პირადად მე საბჭოთა კავშირის ნოსტალგირების განსაკუთრებული საფუძველი არ მაქვს: ჩემი ბაბუები არ იყვნენ პარტიული ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნომენკლატურის წევრები — ისინი უბრალო სამხედროები, საკადრო ოფიცრები იყვნენ: ერთი 1937 წელს დახვრიტეს და სიკვდილის შემდგომ რეაბილიტირებულად გამოაცხადეს, მეორემ 1945 წელს კონტუზია მიიღო და 15 წლის განმავლობაში საწოლს იყო მიჯაჭვული... **მაგრამ ჩვენი მამა-პაპების ერთობლივი გმირობა ჩვენი ფესვებია და, თუ ჩვენ, შვილები და შვილთაშვილები, წყალს არ დავუსხამთ, ხე საბოლოოდ გახმება!**



განა განათლების სისტემაში რეფორმების შემყურენი ვერ ვხედავთ, რომ საქართველოში დამკვიდრებულ ყველა ფონდსა და ინსტიტუტს ძალიან უნდა, რომ **ჩვენ, შვილებსა და შვილთაშვილებს, მამა-პაპათა დიდება დაგვავიწყოს და თაობათა მემკვიდრეობითობის ჯაჭვი გაწყვიტოს, რათა შემდეგ ისე მოგვექცეს, როგორც წარსულის არმქონე არსებებს?!** რათა ჩვენმა შვილებმა შემთხვევით არ შეიტყონ, რომ თურმე და-ძმანი ყოფილან, რათა ერთმანეთი ისე არ შეუყვარდეთ, როგორც მათ **მამა-პაპათ** უყვარდათ?! განა მაშინ ისინი უყოყმანოდ წავლენ ავღანეთში **სხვისი** ინტერესებისთვის საომრად და სინდისის ქენჯნის გარეშე, **უცხოებივით** ესვრიან ერთმანეთს ტყვიებს სოხუმში ან ცხინვალში?! **ანდა, უაზროდ და უსახელოდ** დაიღუპებიან უცხო და ძმათამკვლელ ომებში?!

**თუმცა დამოუკიდებლად აზროვნებას პირწმინდად მოკლებული ქართული პოლიტისტებლიშმენტი არაფერს აკეთებს პირადი გამორჩენის გარეშე — ბუნებრივ საჭიროებებსაც კი არ იკმაყოფილებს! არც კი მეეჭვება, რომ ეს შემოქმედი იმპოტენტები, სქესის მიუხედავად, ცოლ-ქმრულ სარეცელზეც ყველაფერს IRI, IDI, OSF-ის ინსტრუქციების მიხედვით აკეთებენ! ამიტომ დროდადრო ბრმად იპარავენ სხვის ნამდვილად ცინცხალ იდეებს და საკუთრად ასაღებენ, რის გამოც მათ ძირშივე სპობენ!**

საქართველოში ასე, პერსპექტიულობისგან დამოუკიდებლად, დისკრედიტებული იქნა ყველაფერი პოპულარული, რამაც საზოგადოების მყისიერი გამოხმაურება დაიმსახურა — **სახელმწიფო და სამხედრო ნეიტრალიტეტის, ფედერაციული მოწყობის, საპარლამენტო რესპუბლიკის, საკონსტიტუციო მონარქიის, რუსეთში ქართული ლობის, მართლმადიდებლობის დაცვისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმთავრესი როლის იდეები, რომლებიც აიტაცეს და სათავეშიც ჩაუდგნენ „არცთუ უნაკლო რეპუტაციის მქონე „მოღვაწეეებმა“.**

გამოვტოვებ საქართველოსთან მიმართებაში სახელმწიფო ნეიტრალიტეტის კონცეფციის სევდიან ისტორიას, რომელიც მის ავტორებსა და შემმუშავებლებს **(პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ ა. ჭაჭიასა და ამ სტრიქონების ავტორს)** უსირცხვილოდ, უნიჭოდ და დაგვიანებით მოპარეს პოლიტიკოსებმა, პროქტო-პოლიტოლოგებმა და ერთი ცნობილი ქართული გაზეთის მთავარმა რედაქტორმაც კი; მოვიყვან მხოლოდ ორ ახალ მაგალითს და ტელეკომპანია „კავკასიასთან“ დაკავშირებული სკანდალით დავიწყებ, რომელშიც ახლახან შექმნილი „სახალხო მართლმადიდებლური კავშირი“ მონაწილეობდა.

ჯერ კიდევ **2009 წლის 9 სექტემბერს,** ყოველკვირეულ გაზეთში ***„საქართველო და მსოფლიო“*** (www.geworld.net) დაბეჭდილ ჩემს პუბლიკაციაში **„მრუდე სარკეების სამეფო, ანუ აქუ, ბაბუ და სხვები...“** წერია: ***„პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ხელსაყრელია, რომ ქართულ ტელევიზიაში დაუბრკოლებლად ფუნქციონირებდეს ტელეარხი „კავკასია“, რომელიც ზოგიერთებს — ოპოზიციური, ხოლო ბევრს შსს-ს არხი ჰგონია და არცთუ უსაფუძვლოდ:***

მისი მფლობელი აქუბარდია, უკვე არაერთი წელია, დაუსჯელად ამასხარავებს საქართველოს შს მინისტრ მერაბიშვილს, რომელსაც „ვანიჩკას“ ეძახის, ძალოვანებსაც აბუჩად იგდებს და „ვანიჩკას ბიჭებად“ მოიხსენიებს და ეს „რატომღაც“ ხახვივით შერჩება ხოლმე... **პრეზიდენტ სააკაშვილის კრიტიკით „კავკასია“ მას სამ დიდ სამსახურს უწევს:**

**1.** არჩევითად უთმობს ეთერს ერთსა და იმავე „მეამბოხეებსა“ და ოპოზიციონერებს, **ახდენს დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანების ლუსტრაციას და ხელისუფლებას მათი სამომავლო განზრახვის შესახებ აცნობებს:**

ხელისუფლებამ ყოველთვის წინასწარ იცის, რას შეიძლება ელოდოს მათგან ამ სიტუაციაში;

**2.** დამცავი სარქველის როლს ასრულებს ორთქლის ქვაბზე, რომელშიც უსაფრთხო, მაგრამ ხმამაღალი სტვენით მიექანება კრიტიკულ ზღვარს მიღწეული სახალხო მღელვარების „ჭარბი ოხშივარი“ — **ქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომ საქართველოში არსებობენ ეროვნულად ორიენტირებული ძალები, რომლებიც უბრალო ხალხის ინტერესების სადარაჯოზე დგანან და „კავკასიის“ სახით თავისუფალი ტრიბუნა აქვთ;**

**3.** თავად თავისი არსებობის ფაქტით, აშშ-ისა და ევროპის საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებს იმის **ილუზიას უქმნის, რომ საქართველოში დემოკრატიაა, ხოლო ქართულ ტელევიზიაში — საჯაროობა**.

მოკლედ, „კავკასიასთან“ დაკავშირებით, რომელმაც ანტირუსული რიტორიკით, დიდი ხანია, ყველა ქართულ სამთავრობო ტელეარხს აჯობა, ყველაფერი ნათელია. გასაკვირი არაა, რომ აქუბარდია **ოსებსა და აფხაზებს ნაძირალათა, კრიმინალთა და იდიოტთა ხროვად მიიჩნევს, რომლებიც უნდა მოვისყიდოთ** (რამდენიმე ოსი, ЮАР-ში — ასე უწოდებს იგი სამხრეთ ოსეთს — დე ფაქტო ხელისუფლების დასამხობად) **და ბრჭყვიალა მძივებით პაპუასებივით მოვატყუოთ აფხაზები** (რომელთა დროშასაც ФРГ-ში — საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის შემოერთების სანაცვლოდ ვცნობთ): **მეტს რას უნდა ელოდო კაცისგან, რომელიც გაეროსა და დსთ-ს — კანტორას, ხოლო გენერალურ მდივნებსა და პრეზიდენტებს დირექტორებს უწოდებს?!“**

ახლა კი, ბოლოდროინდელი მოვლენების ჭრილში, მიპასუხეთ: **განა მაშინ ჩემი შეფასებები მცდარი იყო?! განა ცოლ-ქმარმა აქუბარდია-ჯანგირაშვილმა** (ტელეარხის ერთპიროვნულმა მფლობელებმა, ხელმძღვანელებმა და წამყვანებმა) **ჟურნალისტის საპატიო პროფესიის დისკრედიტაცია არ მოახდინეს? რა შეედრება იმ ზარალს, რომელიც მათ ქართული ჟურნალისტიკის რეპუტაციას მიაყენეს (ისედაც არცთუ სახარბიელოს)?! საზოგადოებრივ მორალს ვინ უფრო დიდი დარტყმა მიაყენა — „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“, რომელიც არასოდეს მალავდა თავის ტანდემს საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან, თუ ოპოზიციურ-პატრიოტულ რუპორად თავის გამსაღებელმა ტელეარხმა „კავკასიამ“?! რომლის პირდაპირ ეთერში ხალხს „უშვებენ“, მხარს უჭერენ გარყვნილებს, პედერასტებს, ლესბოსელებსა და ქრისტეს გამყიდველებს?! მიმიფურთხებია იმ სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის, სადაც „კავკასია“ არსებობს!**

**თუმცა, როცა ეს საჯაროდ განვაცხადე, შარშან გაზეთში *„საქართველო და მსოფლიო“*** (იხ. ზემოთ), **მხარი კაციშვილმა არ დამიჭირა!** პირიქით — მაშინ მთელმა ქართულმა **ბომონდმა** თავის სალამოს რაციონში ჩართო აუცილებელი **„ტუსოვკა“** ზემოხსენებულ ტელეარხზე, რომელიც **სიტყვის თავისუფლების** ერთადერთ შუქურად გამოცხადდა საქართველოში, ხოლო თავად აქუბარდია — **ეროვნულ გმირად! და ეს იმიტომ, რომ „კავკასიის“ გარდა, ამ ბომონდს ტელეეთერში არავინ იწვევდა!**

**მაშ, რა სინდისით ლანძღავენ დღეს „კავკასიას“ და ხალხს კვლავაც ჭკუას ასწავლიან ეს მოღვაწენი, თავს რომ ქართველი ერის ნაღებად მიიჩნევენ?! როგორ უნდა გვასწავლონ ის (ჭკუა!), რისი დეფიციტიც აშკარად თვითონვე აქვთ?! ანდა, რა მორალი უნდა წაგვიკითხონ მათ, ვინც მომხდარის შემდეგაც კი თავპირისმტვრევით მირბის „კავკასიაში“ და მის მიმართ სოლიდარობას გამოხატავს ეთერში?! მათ შორის, ცნობილი „ექსპერტები“, ქართული მასმედიის ხელმძღვანელები და სახელიანი „ჟურნალისტები“, რომლებსაც უკვე ვეღარც გაარჩევ სახელმწიფო ჩინოვნიკებისგან(?!). რატომ არ გამოთქვამენ პროტესტს?! სადაა მათ მიერ ახლახან შექმნილი ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რატომ არ აკეთებენ განცხადებებს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირები, რომლებსაც ისინი სათავეში უდგანან?! რატომ და იმიტომ, რომ მათ „30 ვერცხლს“ უხდიან — თავისუფლების ინსტიტუტსა და სოროსის ფონდში, რომელთა დამატებებადაც აქციეს თავიანთი რედაქციები და სტუდიები!**

მეორე მაგალითი: **2009 წლის 3 თებერვალს** რუსეთში ქართველთა კავშირის მეორე რიგგარეშე ყრილობაზე პირველად აღვნიშნე, რომ ქართული დიასპორის მთავარ პრიორიტეტად **რუსეთში ქართული ლობის შექმნა** უნდა იქცეს და გამოვთქვი რწმენა, რომ ამ პროცესმა წარმატებული სტარტი აიღო (იგივე გავიმეორე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ყრილობის დაწყებამდე).

და აი, ერთი წლის შემდეგ **(2010 წლის მაისში)** „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარემ **კობა დავითაშვილმა,** რომელიც პეტერბურგიდან, ალექსანდრე ებრალიძისგან დაბრუნდა, განაცხადა, რომ განზრახული აქვს... **რუსეთში** ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ **ქართული ლობის შექმნა (?!) და ამისათვის პეტერბურგსა და მოსკოვში თავის წარმომადგენლობებს ხსნის (?!).**

შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის დავითაშვილია, **2007 წელს** მოტყუებულ მეანაბრეებს მათი ანაბრების დაბრუნებას რომ ჰპირდებოდა და დანაპირები არ შეასრულა (არადა, მისმა მოიმედე ადამიანებმა, ყველა აუცილებელი დოკუმენტით რომ აღჭურვეს, სხვებს დასახმარებლად აღარ მიმართეს)...

ეს ის დავითაშვილია, რომელიც **2008 წლის 18 მარტს** კატეგორიულად უარყოფდა სახელმწიფო ნეიტრალიტეტის პოლიტიკას: ***„ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე გადასასვლელად წლები კი არა, ათწლეულებია საჭირო. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს მხრიდან ასეთი კომპრომისი — ნატოში გაწევრებაზე უარის თქმა — შეუძლებელია. ერთმანეთი არ უნდა მოვატყუოთ: ეს ქართველი ხალხის გადაწყვეტილებაა, რადგან რეფერენდუმზე ნატოში შესვლას მოსახლეობის 2/3-მა დაუჭირა მხარი!“*** — განაცხადა მან РИА „Новости“-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ხოლო 2 არასრული წლის შემდეგ (**2010 წლის 26 იანვარს** საინფორმაციო სააგენტო „GHN“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სხვაგვარად „აჭიკჭიკდა“: ***„აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველო მზადაა, შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი... ჩვენ ნატოზე მიჯაჭვული არ ვართ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, ნეიტრალიტეტზე თანახმა ვართ!“***

ეს სწორედ ის დავითაშვილია, რომელმაც **2009 წელს** „უცნობთან“ რეალითიშოუ „საკანი №5“-ში სტუმრობისას, კითხვაზე — ***რას მოიმოქმედებს აფხაზეთთან მიმართებაში ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში?*** — მიუგო: ***„პირდაპირ დაველაპარაკები და, თუ აფხაზებს ვერ დავიყოლიებ და უარს იტყვიან საქართველოსთან შემოერთებაზე — პარტიზანულ ომს წამოვიწყებ!“.***

საინტერესოა, დღეს რის ლობირებას აპირებს რუსეთში ჩვენი „პარტიზანი“?! **განა ქართული ლობი რუსეთში ქართველებმა არ უნდა შექმნან, რუსეთში რომ ცხოვრობენ?! რა შუაშია აქ პოლიტიკოსი, რომელსაც იოტისოდენადაც არ ძალუძს პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა თავის სამშობლოშიც კი?! და თანაც, სააკაშვილის ყოფილი მეგობარი და უახლოესი თანამოაზრე?! განა რუსეთში მეგობრის მოღალატეებს ენდობიან (სააკაშვილი კი მისი შვილის ნათლია და მაშასადამე, მეორე მამაა!)?! რით სჯობია დავითაშვილი პრიმიტივ აქუბარდიას, რომელიც საქვეყნოდ „უშვებს“ კოლეგა ჟურნალისტებს და შევარდნაძეს პუტინთან ჩაფრენას სთხოვს საქართველოს გადასარჩენად?! განა მას, ისევე, როგორც მთელ ქართველ ელიტას, არ აწუხებს იმპერიული ამბიციები, რაც მცირერიცხოვანი ქართველი ხალხისთვის ყველა უბედურების სათავეს წარმოადგენს?!**

ამიტომ, როცა დღეს საქართველოში მესმის ნებისმიერი სიტყვა, რომლის ფუძეცაა **„პოლიტ“**; მართალია, იპოლიტი არ ვარ, მაგრამ მინდა გავცივდე და მოვკვდე...

# «ალდაგს» სოციალურად დაუცველები შტურმით ემუქრებოდნენ

**„ალდაგი ბისიაი“ ქართულ სადაზღვეო ბაზარზე ერთ-ერთ წამყვან კომპანიად ითვლება, თუმცა იგი ერთხელ უკვე გაეხვა სკანდალში, როცა პრობაციის, სასჯელაღსრულებისა და იურიდიული დახმარების მაშინდელმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ღიად განაცხადა: „ალდაგმა“ ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და სასჯელაღსრულების სამინისტრო დილემის წინაშე დააყენაო.“ „ალდაგს“ პენიტენციალურ სისტემასთან ხელშეკრულება გაუუქმეს. გამოითქვა ინიციატივა, რომ ამ კომპანიისთვის სახელისუფლო სტრუქტურებში მუშაობაც აეკრძალათ. მოგვიანებით „ალდაგი“ პაციენტების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაშიც დაადანაშაულეს. იმაზე, თუ რა ხდება „ალდაგში“, როგორ ემსახურებიან დაზღვეულებს მრავალგზის კომპრომეტირებული კომპანიის წარმომადგენლები, „საქართველო და მსოფლიო“ ერთთვიან დაკვირვებას აწარმოებდა.**





## რა მდგომარეობაში ჰყავს ამ კომპანიას 100 ათასობით სოციალურად დაუცველი

**ვიზიტი პირველი:** 19 აპრილს ბუდაპეშტის ქ. №15-ში მდებარე ოფისში მისულებს პირველი სართული ხალხით სავსე დაგვხვდა. პაციენტი ***ნათელა ქიპაშვილი,*** რომელიც აქ 11:30 საათზე მივიდა, რიგში 70-ე აღმოჩნდა.

**„დღეს, ალბათ, ვერ შევალ, თუმცა ჩემს რიგს მაინც ველოდები. რიგში დაახლოებით 200 ადამიანია. მენეჯერი ერთი ადამიანის მიღებას 40 წუთს ანდომებს“,** — უიმედობა არ დაუმალავს ქალბატონ ნათელას.

დაზღვეულების განცხადებით, წინასწარი ჩაწერის მექანიზმი არ არსებობს, ამიტომ რიგში ჩადგომა დილის 8 საათზე იწყება. ისინი რიგს ჯერ ქუჩაში იკავებენ, შემდეგ კი, 10 საათზე, როცა ოფისი იხსნება, ფოიეში ინაცვლებენ. თუმცა ესეც არ არის იმის გარანტია, რომ შესაბამის მომსახურებას მიიღებენ, რადგან ხშირად სამუშაო საათები ისე მთავრდება, მენეჯერამდე ვერც აღწევენ და მეორე დღეს ისევ თავიდან იწყება რიგი და გაუთავებელი ლოდინი.

რიგში დგას ქაბატონი, რომელიც ქიმიოთერაპიულ კურსს იტარებს და რომელიც ასევე დილის რვა საათზე მოვიდა, თუმცა შესვლა ვერ მოახერხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს კურსი ჩაუვარდა. ზოგიერთს, მთელი კვირაა, ოჯახის წევრი საავადმყოფოდან ვერ გამოჰყავს იმის გამო, რომ მენეჯერთან შესვლას ვერ ახერხებს და გადარიცხვის საკითხს ვერ აგვარებს.

**რამდენიმე პაციენტი შტურმითაც კი აპირებდა მენეჯერებთან შევარდნას, რადგან, რამდენიმედღიანი ლოდინის მიუხედავად, მასთან სხვა გზებით შეღწევა ვერ მოახერხეს. წინა დღეებში პაციენტების უკმაყოფილება იქამდეც მისულა, რომ „ალდაგის“ ბუდაპეშტის ოფისში პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო.**

სიტუაციის გარკვევა ხელმძღვანელ პირთან ვცადეთ, თუმცა კომპეტენტური იმ დღეს ადგილზე არავინ აღმოჩნდა. კომენტარისთვის **„ალდაგის“ პრესსამსახურის უფროსს — მაია ივჩენკოს** დავუკავშირდით. ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო, რომ კომპანიის ხელმძღვანელობისთვის ეს სიტუაცია ცნობილი იყო და არავითარ ზომებს არ იღებდა, რიგის განსატვირთად თუნდაც ერთი თანამშრომელი დაემატებინა.

**— ბუდაპეშტის ოფისში დაახლოებით 200-მდე ადამიანი დგას რიგში, დილის 8 საათიდან არიან აქ, წინასწარი ჩაწერის მექანიზმი არ არსებობს, ამიტომ თურმე დაზღვეულები დილით ქუჩაში იკავებენ რიგს და 10 საათზე, ოფისის გახსნის შემდეგ, შიგნით ინაცვლებენ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ოჯახის ექიმთან შეაღწევენ. რადგან ბევრ მათგანს ამისთვის მთელი კვირა უწევს რიგში დგომა.**

— რიგები არის ნამდვილად. თქვენ რომელ ოფისზე საუბრობთ?

**— ბუდაპეშტის №15.**

— მანდ ექიმები არ არიან, შესაბამისად, რიგში საგარანტიო წერილზე დგანან ადამიანები. რიგები ნამდვილად არის, მაგრამ ექიმთან მიღწევას არ ცდილობენ.

**— რა მნიშვნელობა აქვს, რას ცდილობენ, საგარანტიო წერილზე თუ დგანან, ამის გარეშე ხომ ვერ ჩაიტარებენ მკურნალობას?**

— რიგები არის და ამას ვერ უარვყოფ.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დავუკავშირდით „ალდაგს“. მაია ივჩენკომ განაცხადა:

— რიგები „ალდაგში“ იმან გამოიწვია, რომ დაზღვეულების ახალი ნაკადი იყო. შესაბამისად, ეს გასაკვირი არ არის. შევეცადეთ სიტუაცია დაგვერეგულირებინა და კიდევ ერთი სამუშაო დღე დავამატეთ, რათა ჩვენს დაზღვეულებს უფრო კომფორტულად მომსახურებოდნენ.

**— კონტროლდება საერთოდ სოციალურად დაუცველი ფენის დაზღვევის მომსახურება?**

— არსებობს მედიაციის სამსახური. თუ დაზღვეულს აქვს რაიმე პრეტენზია, შეუძლია მიმართოს მას. ამის შემდეგ მედიაციის სამსახური გვიკავშირდება ჩვენ და ჩვენი მხრიდან ხდება რეაგირება.

**— ყოფილა ასეთი შემთხვევა? მედიაციის სამსახურს, ორი დღეა, ვერაფრით ვერ ვუკავშირდები — ტელეფონზე მუდმივად დაკავებაა.**

— კი ყოფილა, მაგრამ არა ისეთი რაოდენობით.

**— რამდენი ადამიანია დაზღვეული ამ პროგრამით?**

— 250 ათასი. აქედან კორპორაციული დაზღვეული 2000-მდე ორგანიზაციაა, ხოლო 100 ათასი კი — ამ პროგრამით.

**— თქვენს კომპანიას პრობლემები ჰქონდა პენიტენციალურ სისტემასთან. პარლამენტარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ინიციტივაც კი გამოიჩინა, სამართალდამცავ ორგანოებს შეესწავლათ, თუ სად წაიღო სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული 3 მილიონი ლარი „ალდაგმა“ და რატომ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. გაგრძელდა ძიება ამასთან დაკავშირებით?**

— რეალურად ჩვენ მიერ აღებული ვალდებულება იმ დროისთვის შესრულებული იყო. არანაირი ძიება არ ყოფილა. კონტრაქტის შეჩერება მოხდა ორივე მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. უკვე ჩვენ აღარ ვაზღვევთ პენიტენციალურ სისტემას.

**„ალდაგის“ ბუდაპეშტის ოფისს კიდევ ერთხელ 13 მაისს მივაკითხეთ. მაია ივჩენკოს განცხადების მიუხედავად, რიგებს განტვირთვა ნამდვილად არ ეტყობოდა. 15:11 საათზე ქვითარზე, რომელიც აპარატით ამობეჭდეს, მეოთხე აღმოვჩნდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ასეული უკვე გავიდა და ათვლა ნულიდან დაიწყო, რიგს კი ამავე ბარათზე არსებული წარწერის მიხედვით 25 ადამიანი ელოდებოდა.**

**სოციალურად დაუცველი ფენების დაზღვევას ხელისუფლება ერთ-ერთ პრიორიტეტად მიიჩნევს. თუმცა სახელმწიფო პროგრამით მიმდინარე ეს პროექტი, რომელზეც მილიონები იხარჯება, რამდენად გამართულად მუშაობს და როგორ ემსახურებიან ათასობით სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანს სადაზღვეო კომპანიები, დასკვნას თავად გააკეთებთ.**

ჩვენ დავუკავშირდით სოციალური უზრუნველყოფის სამსახურსაც, მაგრამ მათ გვითხრეს, რომ სოციალურად დაუცველთა მიმართ დაზღვევით მომსახურებას არ ამოწმებენ და მედიაციის სამსახურში გადაგვამისამართეს. ხელისუფლებამ სოციალურად დაუცველების ბედი სადაზღვევო კომპანიებს ისე მიანდო, რომ არც მანამდე დაინტერესებულა, ჰქონდათ თუ არა სადაზღვეოებს ასეთი დიდი ტალღის მომსახურების პირობები და შესაძლებლობა და არც მერე იწუხებს თავს ამის გადამოწმებით.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ




### ადვოკატები პატრულს უჩივიან

**დადგა ნანატრი დღე და ადვოკატებიც აღშფოთდნენ. ადამიანების ცემა-ტყეპა, დარბევა, დაბრმავება, დასახიჩრება, რეზინის ტყვიები და ასე შემდეგ კიდევ გაგვიგია, მაგრამ ეს უკვე ნამეტანიაო.** პატიოსნად იდგა პარლამენტის წინ 15 ადვოკატი და მართავდა სანქცირებულ მიტინგს. მივარდა ორასამდე პოლიციელი და უთხრა, კარვებს არ გაგაშლევინებთო. „ხელისუფლების ამ მორიგ უკანონო აქტს აღარ მოვითმენთ!“ — დაიმუქრა ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე და სარჩელიც გააშანშალა.



### ალასანია არ გვპირდება

**ბედნიერი დრო, როდესაც ჩვენი ხმების მოსაპოვებლად წინასაარჩევნოდ ყველა ოცნების ახდენას გვპირდებოდნენ, წარსულს ჩაბარდა. ახლა მერობის კანდიდატების ახალი მიდგომაა, გვითხრან, რას არ გვპირდებიან.** მაგალითად, ირაკლი ალასანია ლოტკინზე მოსახლეობას იმისთვის ეახლა, რომ ეთქვა, „მე ვერ დაგპირდებით უფასო წყალს, გაზსა და ელექტროენერგიას“, მაგრამ იქვე დააიმედა, ამირჩიეთ და ლოტკინზეც მოვა XXI საუკუნე — რაღა დროს წყალზე გრაფიკი და გაუვალი გზებია.



### ევროპას ვეწევით

**ევროპულ სახლში გამართულ დებატებზე სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ევროინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველო სამხრეთ კავკასიაში ლიდერი ქვეყანაა.**

აზერბაიჯანი ღიად აცხადებს, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით ქვეყანას სერიოზული პრობლემები აქვს, სომხეთი გაიძახის, ევროპასთან დაახლოებისთვის ჯერ მზად არ ვართო. დაუფასდა პრეზიდენტს ღვაწლი — იმდენი იძახა, ავაყვავე დემოკრატიაო, მეზობლებმა დაუჯერეს, შინაურებმა — არა.

19 – 25 მაისი, 2010 წელი. №18 (61)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სკოლაში სადაც ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ვასო აბაშიძე, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, შალვა ნუცუბიძე, პაოლო იაშვილი, აკაკი ხორავა და ტიციან ტაბიძე სწავლობდნენ, დღეს ნეკა სებისკვერაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასწავლიან

**ქუთაისის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი ერთი შეხედვით ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. დანარჩენი საქართველოს მსგავსად, ქუთაისის პირველ სკოლაშიც მოსწავლეები დღეს დილის 9 საათზე იწყებენ, რომლის შემდეგაც სხვადასხვა გაკვეთილი ერთმანეთს ცვლის. ეს, ერთი შეხედვით უწყინარი და სასიამოვნო, სასწავლო პროცესი მოსწავლეების გარდა პრობლემას არავის უქმნის. ამ სკოლაში საკონტროლო წერის თემა ხშირად გიგი უგულავას დახასიათება, პრეზიდენტის მიერ გატარებული რეფორმები, XXI საუკუნის საქართველო და თანამედროვე შოუბიზნესის წარმომადგენელთა ცხოვრების აღწერაა.**


ქუთაისის პირველი სკოლის დირექტორი თამაზ ცხადაძე






ექვთიმე თაყაიშვილი, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ვასო აბაშიძე, ნიკო მარი, აკაკი შანიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, შალვა ნუცუბიძე, პაოლო იაშვილი, აკაკი ხორავა, ტიციან ტაბიძე — ეს იმ მოღვაწეთა მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც ქუთაისის პირველი სკოლა დაამთავრეს.

ქუთაისის პირველი სკოლა ქალაქის ცენტრში მდებარეობს, მის წინ ახლახან ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი დადგეს, რომლის ფონზეც ფოტოს გადაღება თითოეული მოსწავლისთვის დიდი პატივია. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზეა ისტორიული დაფა, რომელზეც იმ ადამიანთა გვარ-სახელებია დაწერილი, ვინც ამ სკოლიდან შეაბიჯა ცოდნის სამყაროში და შემდეგ ქვეყნის სამსახურში ყოფნით უკვდავყო თავისი სახელი.

სკოლაში ახლა 54 კლასია და 1 584 ბავშვი სწავლობს. სკოლის დირექტორის, თამაზ ცხადაძის თქმით, სწავლება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს: **„ჩვენთან სწავლება ისევე ხდება, როგორც დანარჩენ სკოლებში, არაფერია განსაკუთრებული. ახლა პრიორიტეტული ჩვენთვის მაინც უცხო ენაა, არის უცხო ენის ფაკულტატურებიც...“**

მმართველი გუნდი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ წარმატებად განათლების სფეროსა და ამ სფეროში გატარებულ რეფორმებს მიიჩნევს. პრეზიდენტი ხშირად არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტუმარი და ახალ-ახალი სასადილოებისა თუ სპორტული მოედნების გახსნით მოსწავლეთა გულის მოგებას ახერხებს. რეალურად კი, განათლების სფეროში მთელ რიგ დარღვევებზე პრესა ხშირად წერს. პედაგოგთა არაკვალიფიციურობა, არასწორი პოლიტიკის გატარება სკოლებში და არადისციპლინური სწავლება — ეს ის გადაუჭრელი პრობლემებია, რაც დღეს საჯარო სკოლებში არსებობს.

**როგორც ჩანს, ლომაია-ნოდია-გვარამია-შაშკინის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად მივიღეთ ის, რომ პირველი კლასი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ გარეშე დარჩა. პროგრამიდან ამოღებულია იმ წმინდანთა ბიოგრაფიები, რომლებმაც ქრისტიანობისთვის თავი გაწირეს.**

**ქუთაისის პირველ სკოლაში კი კიდევ უფრო განსხვავებული თემებია სასწავლო პროგრამაში შეტანილი. მაგალითად, ქართველი პოლიტიკოსების დახასიათება დასაწერად და ზეპირი მსჯელობა გაკვეთილებზე. ძირითადად, განხილვის ობიექტები მმართველი გუნდის წარმომადგენლები არიან.**

## ანდერძი უგულავასი სააკაშვილის წინაშე და მერაბიშვილისა და ფრიდონის შედარებითი დახასიათება

**ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის დადებით კონტექსტში განხილვა სააკაშვილის, მერაბიშვილის, უგულავას პერსონათა მიმოხილვამ შეცვალა. მოსწავლეებს უტარდებათ საკლასო წერა თემაზე „ნეკა სებისკვერაძის ცხოვრება და შემოქმედება“. ძირითადად, თანამედროვე შოუბიზნესის წარმომადგენელთა ცხოვრების განხილვა მიმდინარეობს.**

შევეცადეთ თავად მოსწავლეებთან გაგვერკვია, რატომ აძლევენ მათ სამუშაოდ პედაგოგები ან პედაგოგთა მცირე ნაწილი ამგვარ დავალებებს.

როგორც ჩანს, დისციპლინა და სიმკაცრე ქუთაისის პირველ სკოლაში სათანადო სიმაღლეზეა. ბავშვები ერიდებიან ასეთ თემებზე საუბარს. თავადაც უკეთ იციან, რომ მათ სკოლაში მცდარი მეთოდებით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. დიდი თხოვნის მიუხედავად, მოსწავლეებისგან ვერ შევიტყვეთ, რეალურად კიდევ რა თემებზე საუბრობენ ისინი გაკვეთილებზე. ბოლოს კი საკლასო წერის რვეული ვთხოვე, მინდოდა, თავად მენახა, რაზე წერდნენ მოსწავლეები.

**ამ დროს კიდევ უფრო დიდ პრობლემას გადავაწყდი. აღმოჩნდა, რომ ქართულის, ხელოვნების, სპორტისა და კულტურის თემები ერთმანეთშია არეული. ნეკა სებისკვერაძის ბიოგრაფიას სალვადორ დალის ცხოვრების დეტალები ცვლის; ჰემინგუეის ჩანახატებს კი — ქართველი თანამედროვე მწერლების შემოქმედებიდან ამონარიდები.**

**აღმოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების ცხოვრების შესწავლა და შეფასება მხოლოდ რამდენიმე პედაგოგის პრეროგატივაა, რომლებიც მხოლოდ მაღალ კლასებში ასწავლიან.**

მოსწავლეთა ნაწილი ამტკიცებს, რომ მათ სკოლაში მსგავსი არაფერი ხდება: **„ჩვენთვის არასდროს დაუვალებია მასწავლებელს გიგი უგულავას დახასითების დაწერა. თუმცა პრობლემა ის არის, რომ უფრო თანამედროვე უცხოელი მწერლებისა და მხატვრების ბიოგრაფიას გვასწავლიან; არადა, ჩვენთვის უფრო კარგი იქნებოდა, ძველი ქართული მწერლობა გვესწავლა საფუძვლიანად, ის უფრო გვაინტერესებს“.**

ქუთაისის პირველი სკოლა წინასაარჩევნო პროცესში აქტიურად არის ჩართული. ამაზე ის საარჩევნო შტაბიც მიუთითებს, რომელიც ამ სკოლაშია გახსნილი. სკოლაში მკაცრი მეთოდები მუშაობს. მშობლებს სკოლის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალული აქვთ, სანამ არ დასრულდება გეგმიური ჩასატარებელი გაკვეთილებისთვის გამოყოფილი დრო. სამაგიეროდ, გზა გახსნილია მათთვის, ვინც ცდილობს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, რასაკვირველია, მმართველი გუნდის კანდიდატის სასარგებლოდ.

სკოლიც წინ სკვერია, სადაც უხუცესი ქუთაისელები იკრიბებიან. მათი საუბრის თემა, ძირითადად, არჩევნებია, თუმცა არანაკლებ აქტუალურია ახალგაზრდების პრობლემები და სკოლაში არსებული მდგომარეობა.

**„პირველი სკოლა ახალი გარემონტებულია. ბავშვებს გარეთ არ უშვებენ, უსაფრთხოდ არიან, მაგრამ ეს ყველაფერი რად გვინდა? მე ბავშვს იმიტომ კი არ ვუშვებს სკოლაში, რომ ის სასადილოდან, ბოდიში და, გამძღარი დაბრუნდეს. მინდა, ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა და, საერთოდ, მომავალმა თაობამ კარგი განათლება მიიღოს. ამ სკოლამ ისეთი ადამიანები აღზარდა, რომლებიც არამარტო ქუთაისელებს, არამედ მთელ საქართველოს ეამაყება. ამიტომ არ შეიძლება ამგვარი ფუქსავატობა. ბავშვი პროგრამის გავლას ვერ ასწრებს, უცხოელი მხატვრების, მომღერლების, მწერლების ბიოგრაფიებს ასწავლიან და მოსწავლეების ნაწილმა არც კი იცის, რომ არსებობს ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ნოდარ დუმბაძე. ეს ანტიეროვნული პოლიტიკაა. მოზარდებს არ უხსნიან გაკვეთილს, ეუბნებიან „აქედან აქამდე“, როგორ შეიძლება ფიზიკაში ან ქიმიაში ბავშვს მისცე ორი გვერდი, როცა თემა მეოთხე გვერდზე სრულდება? ვერ ასწრებენ ბავშვები პროგრამის გავლას, მომავალ წელს კი იმ გაუვლელ თემებს არ უბრუნდებიან. მეც ყოფილი პოედაგოგი ვარ, 10 წელია, რაც პენსიაში გავედი. გული მწდება, რომ ასეთი თაობა მოდის, პედაგოგებს სემინარებზე დაატარებენ, შინაგანი კულტურა კი ზოგს საერთოდ არ გააჩნია. პედაგოგმა უნდა აღზარდოს ბავშვი და არა რომელიმე ნაწარმოებმა, რომელსაც წაიკითხავს. თუ არ შეიცვალა პროგრამა და არ დაიხვეწა სახელმძღვანელოები, ისეთი თაობები გამოვლენ სკოლიდან, შეგეცოდება,“** — ამბობს გიორგი ჩანქსელიანი.

თუმცა ქუთათურები აღნიშნავენ, რომ ყველაზე კარგი ქუთაისში მაინც პირველი სკოლაა. ყველაფერი შედარებითია და უნდა ვთქვათ, რომ სწავლის დროს, დისციპლინის მხრივ, პირველი სკოლა სხვა სკოლებისგან გამოირჩევა. სხვაგან საერთოდ სრული გაუკითხაობაა. ბავშვები გაკვეთილებზე არც კი შედიან, ერთმანეთს თავზე ახტებიან და პატრონი არავინ არის.

ქუთაისის მოსახლეობა თვლის, რომ ქვეყნისთვის და საქართველოს სახელწიფოებრიობისთვის დამღუპველი იქნება ისეთი თაობები, რომლებსაც ეცოდინებათ ბულაძე, ყუბანეიშვილი და წარმოდგენაც არ ექნებათ პაოლო იაშვილზე, გიორგი ლეონიძეზე, ნოდარ დუმბაძეზე, ოტია იოსელიანზე, გურამ დოჩანაშვილზე...

**ლიზა ბენდელიანი**

## მოკლედ



### ანტიქართული პოლიტიკა

**ბათუმელებს წმიდა ილია მართლის ძეგლის შიშველი ნეპტუნით ჩანაცვლებაც არ აკმარეს.** ნოღაიდელის პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაცია ხელისუფლებას ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის — დიმიტრი ჭეიშვილის განცხადებით, ორიოდე დღის წინ ჩამოხსნეს და დაჭრეს სტენდი, წარწერით: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“. თუ უახლოეს შვიდ დღეში სტენდი თავის ადგილას არ დაბრუნდება, ბათუმში პერმანენტული აქციები დაიწყება.



### არჩევნებამდე აცრას გვპირდებიან

**მას შემდეგ, რაც მსოფლიოს უამრავმა განვითარებულმა ქვეყანამ H1N1 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა მომწამვლელად და ზოგან მომაკვდინებლადაც მიიჩნია, საქართველოში ვაქცინაცია იწყება.**

მართალია, ეპიდემია აქ თვალითაც არ გვინახავს და ვირუსით დაავადების შემთხვევებიც თითზე დასათვლელი იყო, 100 000 ვაქცინა უკვე დარიგებულია რისკჯგუფებისთვის — ორსულებისა და მედპერსონალისათვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ვაქცინის 350 000-მდე დოზას კიდევ გამოგვიგზავნიან.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# გიგი უგულავა ანაფორიანი ფარისეველი იყო და ჰალსტუხიან ავაზაკად იქცა

**საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, ოპოზიცია დიდად ვერ იხეირებს. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებათა შესატანად გამართულ სხდომებს ესწრებოდნენ, დამსწრე ოპოზიციონერებს პირდაპირ ეუბნებოდნენ — „ჩვენთვის სულაც არაა მნიშვნელოვანი, 50 პროცენტზე შეთანხმდებით თუ 30-ზე, მთავარია, ერთმანეთთან ლაპარაკი და შეთანხმება ისწავლოთო". გამოცდილებამ კი არა ერთხელ დაგვანახა, რომ დასავლეთი უსამართლოსა და არადემოკრატიულ არჩევნებს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ცნობს და აღიარებს. ხელისუფლებამ მერობის კანდიდატად გიგი უგულავა დაასახელა. როგორია წინასაარჩევნოდ ოპოზიციის მთავარი კონკურენტის, ყოფილი მერის, გიგი უგულავას პოლიტრეიტინგი? ამის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, გიგი უგულავას სლოგანი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია" ხომ არ მიგვანიშნებს იმ საგულისხმო მოვლენაზე, რომ „ნაცებმა" დასავლეთიდან აღებული ვალდებულებები ბოლომდე უნდა შეასრულონ, რისთვისაც ყველა რგოლში აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ ძალაუფლება?**

— რა თქმა უნდა, მერე თუ შევძლებთ გამოსწორებას და, მათ შორის, თვით გიგი უგულავას ნამოქმედარისას. გასული წლის დედაქალაქის ბიუჯეტი 546 მილიონ ლარს შეადგენდა. **მარტო თბილისის მერიის პროექტ „ძველ თბილისს ახალი სიცოცხლე" 53 მილიონით დაფინანსდა.**

**საერთოდ, ძველი თბილისის რეაბილიტაციაზე 98 მილიონი ლარია დახარჯული. გზის საფარის აღდგენას კი 71 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.** მაგრამ თუ მაჩვენებთ ცენტრალური გზებიდან ერთკილომეტრიან მონაკვეთს მაინც ხარისხიანად გაკეთებულს, ბოდიშს მოვიხდი. შიდა გზები ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ ხალხი ქალაქის ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ მხოლოდ გზების გაკეთებას სთხოვს.

**დასუფთავებაზე თითქმის 30 მილიონი ლარია დახარჯული და მხოლოდ ცენტრალურ გამზირებს ასუფთავებენ. ამ ქალაქში ვცხოვრობთ და სულაც არ ვართ განებივრებული დასუფთავების სამსახურის ოპერატიული მომსახურებით.** მთელი ქალაქის მასშტაბით, ურნები სავსეა ნაგვით, რომლებშიც სოციალურად შეჭირვებულნი იქექებიან, უპატრონო ძაღლებსა და კატებზე რომ აღარაფერი ვთქვა. **ამ დროს სოციალური დაცვისთვის დედაქალაქის მთავრობას 25 მილიონ ლარზე ცოტა მეტი ჰქონდა გაწერილი. 29 მილიონი ლარი დაიხარჯა ქალაქის გამწვანებასა და განათებაზე. პარალელურად კი მიმდინარეობს ქალაქის მწვანე ტერიტორიების შესყიდვა და განადგურება (იპოდრომი, ვაკის პარკი, აბაშიძის ქუჩა, „მზიური", ზოოპარკის მიმდინარე ტერიტორია).** ფარისეველი გიგი უგულავა საპატრიარქოსთან ერთობლივი პროექტით ქალაქის გამწვანებაზე ზრუნავს. გამწვანებული ტერიტორიების გაყიდვა-გაჩანაგებაზე უშუალო პასუხისმგებელი ქალაქის მერიაა. მის წინააღმდეგ არა ერთხელ გაილაშქრა „ეკოლოგიური სამართლიანობის ცენტრმა".

ქალაქის უზარმაზარი ბიუჯეტი არ ხმარდება თბილისელების სოციალური პროგრამების განვითარებას, არც მათ დასაქმებას, არც მიწისძვრით დაზარალებულებს. სამაგიეროდ, მოხმარდა ქალაქის მერის ახალ რეზიდენციას — ამ უსახურ, მინებიან, მრავალსართულიან კორპუსებს შორის უშნოდ გაჩხერილ შენობას.

**2008 წელს უგულავამ თბილისის ბიუჯეტიდან თავის საცოლეს — ლელა კილაძეს სოლიდური თანხა — 10000 ლარი, ყოველგვარი ოფიციალური განმარტების გარეშე გადაურიცხა, ერთადერთი ნიშნით — მერის საპატარძლოს ბიუჯეტიდან საჩუქრად 10000 ლარი ერგებოდა, ღვაწლმოსილ პენსიონერებს კი დახმარების სახით — 25 ლარი.**

გიგი უგულავა კრიმინალი და ხაზინის ქურდია, მას უმსხვილესი თანხები აქვს მოპარული. ამის თქმის უფლებას მაძლევს კონტროლის პალატის მონაცემები, რომლის მიხედვით, ბოლო წლებში ბიუჯეტიდან 102 მილიონია გაფლანგული. ამ მილიონების გამო ჯერ არც ერთი პასუხისმგებელი პირი არ დასჯილა.

ქალაქის მასშტაბით ჩამორთმეული ქონების უდიდესი ნაწილი უგულავას ახლობლების ხელშია. **ერეკლეს აშენებულ კედელს იმისთვის რომ დაანგრევ, ტენდერში უსამართლოდ გამარჯვებულმა შენიანებმა ამის საფუძველზე ფული რომ აკეთონ, მთლად სინდისგარეცხილი უნდა იყო, კვლავაც მერობის პრეტენზია გქონდეს.**

**— ბატონო ზურაბ, ნუ ვიქნებით ტენდენციურნი, ბევრი რამ ხომ გაკეთდა: სასტუმრო „რადისონი", ხიდები, სკვერები, საბავშვო მოედნები, შადრევნები...**

— ჰმ!.. რას დაამსგავსა უგულავამ ინგლისურენოვანი წარწერებით რუსთაველის პროსპექტი?! ეს ამ ხელისუფლების ტენდენციურობის მაჩვენებელია. საზოგადოების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, „რადისონს" ქართული წარწერა არ გაუკეთეს. უნდათ ამოძირკვონ „ივერიის" ხსენება თაობათა მეხსიერებიდან. ამავე მიზნით გააქრეს ალმაშენებლის ძეგლიც. დღეს, დედაგამზირი „მაგთისა" და „ჯეოსელის" ოფისების, სახელისუფლო კლანთა ბანკებისა და ოფისების, უცხოური ბრენდების ადგილ-სამყოფელია. გავლენიანი პირები თავს იკლავენ, როგორმე ხელთ ჩაიგდონ ქალაქის პრესტიჟული ადგილების რამდენიმე კვადრატული მეტრი მიწა, რომელიც ფულიანი კასტის ხელში ექცევა. **გიგი უგულავას „ზეობის" ჟამს მოხდა მონოპოლიების წარმოქმნის ხარჯზე ქალაქში კერძო ბიზნესის კასტრაცია. ამ ქალაქში ბიზნესსაქმიანობის უფლება მერიაში კი არ უნდა აიღო, არამედ უნდა იყიდო, თანაც ქალაქის ხელისუფლება წილში უნდა ჩაისვა, სხვანაირად არ იქნება.**

მოდერნიზებული ხიდი ძველ თბილისში საერთოდ არ ჯდება ძველი უბნების კოლორიტში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მასზე გაწეული ხარჯი წინასაარჩევნო ანგარიშში კარგად ჩაჯდა. ასევე კარგი მოგება მოუტანათ „ნაცებს" წინასაარჩევნოდ მთელი თბილისის მასშტაბით აშენებულმა ხიდების კასკადმა, თორემ ჯერ არავინ დამინახავს, რომ ამ ხიდებით სარგებლობდეს.

**ალტერნატიული საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობამ გმირთა მოედანი ჩიხს დაამსგავსა, ხოლო მისმა დამთავრების მცდელობამ, მაინცდამაინც წინასაარჩევნოდ, სპეციალისტთა აზრით, შეიძლება კატასტროფა გამოიწვიოს.**

ხალხს არ დავიწყებია გიგი უგულავას საახალწლო შოუ — ჩინური ჭაღებით მთელი ქალაქის „გაჩახჩახება", რაც ელენერგიის იანვრის ქვითრებში აისახა, ფული ისევ მოსახლეობის ჯიბიდან ამოიღეს. **არც ის დავიწყებიათ, საკრებულოში შეტანილი პროექტით როგორ გადაწყვიტა უგულავამ საფლავებსა და მიცვალებულებზე ფულის გაკეთება. ამ „უკეთური" მოდგმის ნაშიერებმა როგორ აზომეს სასაფლაოები და თითო კვ. მეტრზე 20 ლარი გადასახადი დააწესეს, ხოლო მარმარილოთი მოპირკეთებულებზე გადასახადი გააორმაგეს.** ვერის სასაფლაოზე პროცესი უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ოპოზიციის ზეწოლით ჩაიშალა. მიცვალებულთა ხმებს არჩევნებში წარმატებით იყენებენ და ახლა ფულიც მოითხოვეს. **იმდენად კორუმპირებულია უგულავა, რომ მისგან დაცვა მარტო ქალაქსა და მის ბინადართ კი არა, მიცვალებულებსაც სჭირდებათ.**

თბილისში სატელეფონო ტარიფების გაზრდას ხელი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინ გამართულმა აქციამ შეუშალა.

**— კი მაგრამ... სასულიერო განათლების მქონე მერმა არ იცის „სძლიე სიხარბესა შენსა"?..**

— მას უნაპირო მადა აქვს. ანაფორიანი ფარისეველი იყო და ჰალსტუხიან ავაზაკად იქცა. უზარმაზარი ლატარიის კომპანიის ოფისი გახსნა ვაკეში და ახალი ლატარეა აამოქმედა. პრეზენტაციაზე ჩინელების სიმრავლემ გამაოცა. პრესრელიზიდან შევიტყვე, რომ „ლატარიულ" მაქინაციებში ჰონგკონგური კომპანია უნიკალური ტექნოლოგიით ეხმარებოდა.

ფულზე დახარბებულმა უგულავამ კომპანია „სითი პარკი" გააკოტრა. ჯერ პარკინგებზე ჯარიმების დაწესებით დიდი ფული იშოვა, ხოლო შემდეგ, ახალი კანონის ამოქმედებით, ათასობით ქალაქელი უმუშევარი დატოვა, მგზავრები კი კვლავაც „საცობებით" იტანჯებიან; ფულის გამო თვით ეშმაკსაც კი გაურიგდება. **ამბობენ, ისეთ სფეროში ჰყოფს ხელს, როგორიც ნარკობიზნესია. ქალაქის მასშტაბით ნარკოტრანზიტს ხელს უგულავა აფარებსო, რადგან წილში ზისო. სტატისტიკით ნარკოტიკს საქართველოში 300 ათასი კაცი მოიხმარს და მათი უმრავლესობა დედაქალაქელია. ბაზარზე კი 1 გრამი ჰეროინის ფასი 350 აშშ დოლარია. იმასაც ამბობენ, გამრავლებული ჩინური მაღაზიების შირმის უკან აღმოსავლელი ნარკოდილერები დგანანო.**

მოსახლეობის უგულავასადმი უსიმპათიო დამოკიდებულებამ აპოგეას გასული წლის 26 მაისს მიაღწია, როდესაც სამების ტაძარში უგულავა პატრიარქს დაემუქრა, რომ, თუ რამე საგულისხმოს იტყოდა, ხალხს შინაგან ჯარს მიუსევდა და სისხლს დაღვრიდა. იმ დღეს მისი რეიტინგი დაიმსხვრა, თორემ ბზარები **მაშინ გაუჩნდა, როდესაც რუსეთთან ომში გენერლის მუნდირი მოირგო. მისი ბრძანებით მოქმედებდნენ სამხედრო შენაერთები და რეზერვისტები. ზუსტად, მისნაირების „გენერლობამ" გამოიწვია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.** მისი ნდობა კი ხელისუფლებაში ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა გამოიწვია, რომელსაც გიგი ხელმძღვანელობდა და რომელიც „ნაცებმა" უსინდისო, გამაოგნებელი უპირატესობით მოიგეს.

**— პირდაპირი წესით მერს მარტო თბილისი ირჩევს. ამბობენ, სააკაშვილსა და უგულავას შორის „შავმა კატამ გაირბინა" და ეს წესიც გიგის „ჩასაძირად" შემოიტანაო...**

— პრეზიდენტი თბილისს ოპოზიციას არ დაუთმობს. გიგიც არაფრით დათმობს ამბიციას. საარჩევნო ფიგურებიდან ალასანია და უგულავა იკვეთებიან, რადგან სხვა კანდიდატურის გამოკვეთა ხელისუფლებას ხელს არ აძლევს. ხმები უგულავასა და პრეზიდენტის უთანხმოებაზე ხელოვნურია. ამ პიარით სურთ, უგულავას ხმები დაუგროვონ. **უგულავას ბაქრაძის ხელით შანტაჟი მოუწყვეს — „ნაციონალების კანდიდატი შეიძლება უგულავა არ იყოსო", რის შემდეგაც უგულავა გარკვეული პირობებით დასახელდა — მერის მოადგილეები და საკრებულო უგულავასი აღარ იქნება.**

გიგის წინასაარჩევნო კამპანია „პოლიტპოდიუმია", რომელიც ერთგვარ სპექტაკლად იქცა. სხვადასხვა ხელობების მორგება ამომრჩეველს აგონიაში აგდებს. მას სურს, მეურნე, ხელმარჯვე კაცის ილუზია შეგვიქმნას და სიმართლის მაძიებელი თვალი გაიტყუოს. ეს არის ამომრჩეველთა გასართობად და სასეიროდ დადგმული იაფფასიანი „ვოდევილი". მისი სივერაგე ცნობილია. იგი წლების მანძილზე სააკაშვილის მოედნის ყველაზე მძლავრ პოლიგონზე თამაშობდა, ამიტომ ყოფილი მერის რეიტინგი ნულია, რომელიც ამომრჩევლისთვის უკვე პოლიტიკური ფორმულაა. რატომ?..

***გაგაცნობთ ამ „პოლიტმგელის" 5-პუნქტიან „სახარებას". გიგი უგულავა ამბობს:***

**1. „თბილისს არ სჭირდება მერი, რომელიც ქალაქს პოლიტიკოსების კინკლაობის ცენტრად აქცევს."**

განა თვითონ არ იყო მერი, როდესაც 7 ნოემბრის მიტინგი დაარბიეს, შარშან ჭექა-ქუხილივით რომ მოაწყდა ქალაქს ათასობით ადამიანის საპროტესტო ტალღა?! ან ახლა, 6 მაისის პოლიციის აღლუმზე, რაც მოხდა;

**2. „თბილისს დამსაქმებელი მერი სჭირდება და არა ისეთი, რომელიც სამუშაო ადგილებს მოკლავს და შეამცირებს".**

განა უმუშევრობა, სამსახურების ლიკვიდაცია, „ბიზნეს-გარემოს" დაწიოკება მის მოღვაწეობას არ უკავშირდება?!

**3. „თბილისს სჭირდება მერი, რომელიც მოქალაქეების კეთილდღეობაზე იზრუნებს და არა — საკუთარზე".**

სიღარიბით დაღდასმული თბილისელები ვფიქრობთ, რომ ეს განაცხადი უკვე მისი მორალური დაცემაა;

**4. „თბილისს არ ჭირდება მერი, რომლისთვის მერობა ტრამპლინია და სხვა არაფერი".**

არადა, „ნაცების" გარკვეული გუნდი სააკაშვილის შემდეგ პრეზიდენტად უგულავას მოიაზრებს, ამიტომ ის დღეს აქტიურობის ზენიტშია;

**5. „თბილისს სჭირდება მერი, რომელმაც ბევრი გააკეთა, მაგრამ აღიარებს, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია".**

ამ სლოგანით ღრმად ალეგორიულ პოლიტ-იგავთან გვაქვს საქმე, რომელიც სხვადასხვანაირად იშიფრება. მისეული სიბრძნე გვარწმუნებს, რომ გიგის ხელახალი არჩევა ქალაქისთვის და ქალაქელებისთვის სარისკო საქმეა.

ნუთუ ვინმე აპირებს უგულავას სიყალბეში ჩაძირვას? თბილისი საქართველოს მოსახლეობის ნახევარია, თუ დედაქალაქს საარჩევნოდ გრიმწასმულ უგულავას კვლავაც დავუტოვებთ სათარეშოდ, არავინ იცის, როდის ან როგორი სახით დაგვიბრუნდება ჩვენი არჩევანი ჩვენდა სავალალოდ.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

19 — 25 მაისი, 2010 წელი. №18 (61)
www.geworld.net

გვწერეთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



# ომმა, შეიძლება, გუგულივით გადაგვიფრინოს

**ტელეკომპანია „იმედის“ ცრუპენტელა გადაცემამ, რომელსაც პირობითად „კონსტრუირებული ომი“ უწოდეს (და კიდევ ბევრი სხვა რამ), სრული ნეგატივიზმის გარდა ერთი ყურადსაღები მომენტიც გაამჟღავნა: მასმედია თანამედროვე ომების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების უძლიერესი საშუალებაა, მით უფრო, როცა პრესა და ტელევიზია პროფესიულად, მიზანმიმართულად (და არა „იმედივით“ დილეტანტურად) კონცენტრირებულია მოსალოდნელ შეიარაღებულ დაპირისპირებაზე, რომლისთვისაც, ასევე პროფესიულ დონეზე, ემზადებიან ქვეყნების შეიარაღებული ძალები.**



## სამარქაფო პრეზიდენტი

ჩვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ კომენტარები, რომლებიც აღნიშნული გადაცემის შემდეგ გაკეთდა მასმედიაში, რა თქმა უნდა, არც პრეზიდენტის პოზიცია დაავიწყდებოდათ: გადაცემას უნდა გაჰყოლოდა წარწერა — რასაც ეკრანზე ხედავთ, მოგონილია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ასე მოხდესო. ესე იგი, პრინციპულად გაამართლა.

მაგრამ ამ გამართლების უკან (და მთელს ამ „საეკრანო აქციაში“) სხვა მამლის კუდი გამოჩნდა: ჩვენი ხელისუფლება საზოგადოებრივ აზრს ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი ომისკენ წარმართავს, რუსულ აგრესიაზე გადააქვს მოსახლეობის ყურადღება.

გვაჩვევენ.

**გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი აქცენტირებული ცალმხრივობით სურთ გადაფარონ მეორე საშიშროება, რომელიც პირველზე უარესი და დამანგრეველი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არ არის.**

ეს საშიშროება სამხრეთიდან მოდის. აშშ-ირანის ომზე მოგახსენებთ, რომლისთვის მზადებაც, საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებების მტკიცებით, პრაქტიკულად დამთავრებულია, ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის მხრიდან.

საქართველოში ამასთან დაკავშირებით დუმილს ამჯობინებენ ან თავს ისე იჭერენ, რომ ეს კონფლიქტი საქართველოს ჩაუვლის და არ შეეხება.

ღმერთმა ქნას! მაგრამ რეალობაში ასე რომ არ არის? ჟურნალ Atlantic Monthly-ის აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში პირდაპირ მითითებულია, რომ იმპროვიზებული „სამხედრო თამაშის“ დროს ირანში ომის სცენარის იმიტაციის მიხედვით (რაც ომისთვის მზადების პროგრამის შემადგენელი ნაწილია), პირობითად

**ჩართული იყო საქართველოსა და აზერბაიჯანის აეროდრომები. მაგრამ, აღნიშნავდა ჟურნალი, აუცილებელია ამ აეროდრომების მოდერნიზება, რათა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს ოპერაციის მსვლელობისას შეეძლოს მათი დაუბრკოლებლად გამოყენება. ნათქვამი იყო ისიც, რომ ამ აეროდრომების რეკონსტრუქციისთვის გათვალისწინებულია 700 მილიონი ამერიკული დოლარის გამოყოფა.**

ესე იგი, აშშ-ის ჩრდილოეთის პლაცდარმად საქართველოს ტერიტორიის გამოყენება საომარ გეგმაში გათვალისწინებულია.

ჩვენთან კი ცდილობენ ამის დამალვას, რადგან მოსალოდნელია არა მარტო ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ძალების, არამედ მოქალაქეთა ფართო ფენების უმწვავესი რეაქცია და წინააღმდეგობა.

სამაგიეროდ ბევრს ლაპარაკობენ ამერიკასთან სრულუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, გვეამაყება კიდეც. მაგრამ არაფერს ამბობენ იმის თაობაზე, რომ **ჩვენს დიდ პარტნიორს ამ კონკრეტული კონფლიქტის აფეთქების შემთხვევაში საქართველო განწირული ჰყავს.**

ვიამაყოთ, რამდენიც გვინდა!

ხოლო ჩვენი ხელისუფალი ძალიან ჰგავს კედელზე დაკიდებულ თოჯინას ყარაბას-ბარაბასის თეატრიდან, რომელსაც წვერიანი პატრონი მაშინ და ისე აათამაშებს, როცა და როგორც მოესურვება.

გრძელი და მწარე მათრახი აქვს ყარაბასს. ერთს დაატკაცუნებს და, დედიშენის შვილი ხარ, არ აკუნტრუშდე.

**გამოიყენებენ ამ ყველაფერზე წამსვლელ მარიონეტს (თოჯინას) და, ყავლი რომ გაუვა, მოისვრიან.**

**თუ უკვე არ ჰყავთ გულიდან და პროგრამიდან ამორეცხილი.**

**ჯერჯერობით, სანამ ომის მახვილი დაპირისპირებულ მხარეებს ქარქაშში არ ჩაუგიათ, რჩება იგი თავის პოსტზე — სამარქაფოდ.**

ტრაგედია ისაა, რომ ქვეყანა ამ შემთხვევითობაზე ჰკიდია, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას დღის წესრიგში. ქვეყანაზე ვამბობ, საქართველოზე.

თანამედროვე ომი, ცნობილია, რომ არც ქუდზე კაცის მოხმობით იწყება, არც საყოველთაო მობილიზებით. ეს არის უზარმაზარი, მრავალპლანიანი, მასშტაბური ღონისძიებების კომპლექსი — ქვეყნის რესურსების, კოლოსალური თანხების მაქსიმალური მობილიზება, უამრავი სხვა რამ კიდევ და, რა თქმა უნდა, შეიარაღებული ძალების „თოფქვეშ დაყენება“.

## აშშ ომის ბილიკზეა გასული

**ამ ბილიკის დასაწყისში სპარსეთის ყურის ზონაში აშშ-ის ჯარების დაჯგუფება დგას — 280 ათას კაცამდე. მათ შორის, უშუალოდ აშშ-ს ჯარების 250 ათასი კაცი: აშშ-ის 6 დივიზია, ერთი ჯავშანსაკავალერიო პოლკი; დიდი ბრიტანეთის ერთი ჯავშანსატანკო ბრიგადა და სპეცდანიშნულების ნაწილები; აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 90 საბრძოლო გემი, მათ შორის, 6 ავიამზიდი, ანუ როგორც მათ უწოდებენ, ავიამზიდების მრავალმიზნობრივი ჯგუფები.**

თითოეული ასეთი ჯგუფი აერთიანებს ავიამზიდს, 2 კრეისერს, ფრეგატს, 3-4 საესკადრო ნაღმოსანს, 2 ატომურ წყალქვეშა ნავს, უზრუნველყოფის რამდენიმე გემს. ზოგიერთ ჯგუფში დამატებით არის ამფიბიური ძალების 3 ხომალდი, საზღვაო ქვეითთა ბატალიონით (2200 სამხედრო). ავიამზიდებზე ბაზირებს თვითმფრინავების ესკადრილიები. **ავიაბაზებია საუდის არაბეთში (9 ათასი სამხედრო მოსამსახურე), ყატარში (8 ათასი), კუვეიტში (140 ათასი), ბახრეინში (5 ათასი), ომანში (3 ათასი), თურქეთში (5 ათასი). კუნძულ დიეგო-გარსიას (ინდოეთის ოკეანე) ავიაბაზაზე სტრატეგიული ბომბდამშენებია — Б=2 და Б=52.**

სამხედრო სპეციალისტებს გამოანგარიშებული აქვთ, რომ ირანის წინააღმდეგ საომარ მოქმედებაში სპარსეთის ყურის ზონაში, ახლო და შუაალმოსავლეთში შეიძლება შეიქმნას სამხედრო-საჰაერო ძალების დაჯგუფება 10 ავიაფრთის შემადგენლობით და ჯგუები 1000-ზე მეტი თვითმფრინავით, 40-ზე მეტი ფრთიანი რაკეტის ავიამზიდი საშუალება, ატომური წყალქვეშა ნავები და საზღვაო ბაზირების 1000-მდე ფრთიანი რაკეტა.

ამ დაჯგუფებებს საჰაერო თავდასხმიდან დაიცავს 40-მდე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „პეტრიოტი“, სხვა კომპლექსები, რომელთა ნაწილი დაიფარავს ისრაელს, ერაყს, იორდანიას, საუდის არაბეთსა და კუვეიტს.

მკითხველმა, ალბათ, უკვე წარმოიდგინა როგორი გიგანტური სამხედრო მანქანა ამოძრავდება საომარი კონფლიქტის დროს. ეს კოლოსი რომ დაიძრება, ამოძრავდება, აფრინდება დიდი ბრიტანეთიდან ბალტიის სრუტეების ზონის გავლით, გადაკვეთს დანიის საჰაერო სივრცეს, ასევე — პოლონეთს, უნგრეთსა და რუმინეთს, გადაკვეთს შავი ზღვის აკვატორიას, შემდეგ — თურქეთსა და ერაყს,

**როგორ გგონიათ, „დიდი აბრეშუმის გზაზე მავალი აქლემების ქარავანივით მშვიდად ჩაუვლის ეს კოლოსალური შეიარაღება საქართველოს, რომელსაც ყოველგვარი შემთხვევითობისგან (რომელთა სიმრავლითაც გამორჩეული იყო ერაყის, ავღანეთის, ბალკანეთის სამხედრო კამპანიები) დაიცავს, არ ვიცი ვინ?..**

**არც არავინ.**

იმ შემთხვევაზე მოგახსენებთ, თუ სამხედრო სპეცების ვარაუდის მიუხედავად, პირველსავე დღეებში არ განადგურდება ირანის უმთავრესი ატომური და სამხედრო ობიექტები.

მაგრამ ამის გარანტიას არავინ გვაძლევს, რადგან, რა თქმა უნდა, ირანი გულხელდაკრეფილი არ დაელოდება ამერიკული რაკეტებისა და ბომბების ცვენას მის სამხედრო ობიექტებზე. ექსპერტები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ირანის წინააღმდეგ ომს აშშ აწარმოებს სამხედრო ოპერაციის სტრატეგიის კანონებით, რომლებიც აპრობირებული იყო სპარსეთის ყურეში, ბალკანეთის ოპერაციის, ერაყისა და ავღანეთის ომების დროს.

თუმცა უკვე გარკვეულია, ოპერაციის მსვლელობისას პირველ რიგში გასანადგურებელი ობიექტები: **ირანის ტერიტორიას მუდმივად აკონტროლებს აშშ-ის სადაზვერვო თანამგზავრების დაჯგუება.** ცნობილია ყველა ამ ობიექტის ზუსტი კოორდინატები, რეალური დროის რეჟიმში თვალყურს ადევნებენ ნებისმიერ გადაადგილებას მათ გარშემო.

**კონტროლს განახორციელებს ვიზუალური და ელექტრონული დაკვირვების საავიაციო, საზღვაო და სახმელეთო საშუალებები,** რომლებიც რეგიონშია დისლოცირებული, აგრეთვე, **მიყურადების გლობალური სისტემა „ეშელონი“.**

ამასთან, აშშ-ს ირანში თავისი **არალეგალური ჯაშუშების მთელი ქსელი** აქვს გაშლილი.

**ერთი სიტყვით, როგორც მიმდინარე წლის 30 მარტს რუსული საინფორმაციო სააგენტო РИА Новости იუწყებოდა, აშშ შეიარაღებულმა ძალებმა დაასრულა მზადება ირანის წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო ოპერაციისთვის.**

## მასმედია ფრონტის წინა ხაზზე

როგორც ყოველთვის, თანამედროვე ომებშიც **მოულოდნელობის ფაქტორს გადამწყვეტი თუ არა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.** მზადების გასაიდუმლოება აუცილებელი პირობაა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება **დეზინფორმაციის ოპერაციას, რომელიც პენტაგონს უეჭველად აქვს დაგეგმილი და რომელშიც შედის „საიდუმლო გეგმების“ მასმედიაში „გაჟონვა“,** თვალსაჩინო სამხედრო და სამოქალაქო მოღვაწეობის, უწინარესად, ადმინისტრაციის წარმომადგენლების ურთიერთგამომრიცხავი საჯარო გამოსვლები, სპეციალური ტელედეზინფორმაციული პროგრამები და ა.შ.

ასეთი საინფორმაციო შეტევა მიმართულია მომავალი სამხედრო კამპანიის არა მხოლოდ შესანიღბად, არამედ ირანის ხელმძღვანელობაზე გამუდმებული ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად.

**სტრატეგიულ და ოპერატიულ შენიღბვას განახორციელებენ განსაკუთრებული გეგმების მიხედვით, რომლებსაც შეიმუშავებს აშშ შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების კომიტეტი. ამ მიზნით ქმნიან ჟურნალისტთა სპეციალურ ჯგუფებს, რომლებმაც გაიარეს შემოწმება ლოიალობაზე და ივალდებულეს მოვლენების გაშუქება მხოლოდ ამერიკისთვის მომგებიანი მიმართულებით.**

ოპერაციის ჭეშმარიტი მიზნები, დეტალები, რომლებიც სამხედრო მოქმედების ვადებს ეხება, ცნობილია ეროვნული უშიშროების საბჭოს რამდენიმე წევრისთვის, სპარსეთის ყურის ზონაში ცენტრალური სარდლობის მთავარსარდლისთვის და შტაბების კომიტეტის რამდენიმე ოფიცრისთვის.

ამიტომ „გაჟონილი“ ინფორმაციებისადმი ნდობის ხარისხი ყოველთვის დაბალია.

ინფორმაციული ომი ირანის წინააღმდეგ მთელი ძალით მიმდინარეობს. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსამზადებელი კამპანიის შენიღბვა და სამხედრო თავდასხმის ვადებისთვის საიდუმლოების გალავნის შემორტყმაა.

ის აქცენტიც, რომელიც ამ წერილის დასაწყისში განვიხილეთ, უნდა ვივარაუდოთ, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ავტორების არაპროფესიონალიზმმა და გადაცემის პრიმიტიულ დონეზე შესრულებამ, გაშიფრა ჭეშმარიტი ჩანაფიქრი.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ირანზე თავდასხმამდე 2-3 საათით ადრე მასმედიაში გამოჩნდება აშშ-ის ადმინისტრაციის უმკაცრესი ულტიმატუმი, რომელსაც იგი ირანის პრეზიდენტს წარუდგენს. ამერიკის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ულტიმატუმის ტექსტს უკვე ამზადებენ. ალბათობა იმისა, რომ ირანის ხელმძღვანელობა მიიღებს ამ ულტიმატუმით წამოყენებულ პირობებს, უაღრესად უმნიშვნელოა.

ომის პარალელურად ფართოდ გაიშლება ინფორმაციული ოპერაცია. ამოქმედდება ყველა ინფორმაციული იარაღი, რომელსაც ძალუძს, გაანადგუროს ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურა.

**აშშ-ის საინფორმაციო უპირატესობა დაარღვევს ქვეყნის ელექტრონული კომუნიკაციების არა მარტო ყველა საშუალებასა და ჯარების მართვის სისტემებს, არამედ უარყოფითად იმოქმედებს მოსახლეობასა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაზე. ყველა სამოქალაქო რადიო და ტელეარხი გამოვა წყობილებიდან და მათ ადგილს დაიკავებს რადიო და ტელეპროგრამები, რომლებსაც მოამზადებენ ფსიქოლოგიური ოპერაციების ამერიკელი სპეციალისტები. შედეგად, დაირღვევა სახელმწიფო და სამხედრო მართვა. დეზინფორმაცია გამოიწვევს პანიკასა და ქაოსს მოსახლეობაში.**

გამოცდილება, რომელიც ამერიკელებს დაუგროვდათ ბოლო პერიოდში წარმოებული ომების შედეგად — სპარსეთის ყურეში, პანამაში, ჰაიტისა და ბალკანეთში — დაეხმარება მათ, წარმატებით განახორციელონ საინფორმაციო ოპერაცია, რაც სამხედრო კამპანიის დროს შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს.

**არმაზ სანებლიძე**

**უცხოეთის პრესის პუბლიკაციების მიხედვით**

**P.S. ეს-ესაა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიის პრეზიდენტისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის თეირანში მაჰმუდ აჰმადინეჯადთან შეხვედრისა და მოლაპარაკების შედეგად თითქოს სასიკეთოდ შემობრუნდა ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ვითარება.**

**არის ეს სერიოზული შემობრუნება, თუ დროებითი შეთანხმება, მალე გაირკვევა.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფოთს დატბორვა ემუქრება

**კოლხეთში ჭაობების დაშრობის ისტორია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. ეს მიწის დიდი რეფორმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის — ლავრენტი ბერიას ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის დასაწყისისთვის მთელ საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა იყო. პატარა, მთიანი რელიეფის ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყეებს, საძოვრებსა და დამუშავებისთვის გამოუსადეგარ მიწებს ეკავა. გლეხებს, რომლებიც იმ დროისთვის მოსახლეობის 75%-ს შეადგენდნენ, მიწა არ ჰყოფნიდათ. ამის გამო მთავრობამ უპირველეს ამოცანად მიწის რეფორმა დაისახა. ეს რეფორმა ქართველი გლეხებისთვის და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის, ნამდვილი შვება იყო.**



## მდინარე რიონზე გადებულ ხიდს სასწრაფო რეაბილიტაცია სჭირდება

კოლხეთის დაბლობზე — გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთისა და აჭარის ნაწილში მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები პრაქტიკულად არ არსებობდა. ერთადერთი, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მოჰყავდა, სიმინდი იყო. ამიტომ ეს რეგიონი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებდა და მიწის ფონდის გაზრდის მიზნით მთავრობამ შავი ზღვის გასწვრივ ჭაობიანი ადგილების დაშრობის ღონისძიებათა სერია დაგეგმა.

ბერიამ დაიწყო ამ გრანდიოზული პროექტის განხორციელება – ჭაობების დაშრობა და ციტრუსების გაშენება. განახორციელა კიდეც, შემდეგ კი საბჭოთა დაზვერვას უცხოეთიდან კონტრაბანდული გზით შემოატანინა ჩაის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც დასავლეთ საქართველოში შემდგომში ფართოდ გავრცელდა. დღეს კოლხეთის დაბლობი ისევ დაჭაობების საფრთხის წინაშე დგას.

**ფოთის შესასვლელში ე. წ. მე-7 კილომეტრზე 1949 წელს მდინარე რიონზე ხიდი, ჰიდროკვანძი და ამწე მექანიზმების სათავსოები ააგეს, რომლის ზედა ნაწილში ფარებია დამონტაჟებული. ამ ფარების რეგულირებით შესაბამისად წყლის გადანაწილება ხდება. 60 წელზე მეტი ხნის წინათ აგებული ხიდი და ჰიდროკვანძი, რა თქმა უნდა, სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებს.**

ამ პრობლემური საკითხების გამო შარშან, სექტემბერში საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები, ფოთის ადგილობრივი და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ შეხვედრიდან 9 თვე გავიდა და მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა, ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა რობერტ დიაკონიძემ წარადგინა პროექტი, რომელიც ამ ჰიდროკვანძის რეაბილიტაციას შეეხებოდა. ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა და გრანტი მიიღო.

**რობერტ დიაკონიძე, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, პროექტის ავტორი:**

„ამ ჰიდროკვანძზე ხუთი წლის წინ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. მას უკვე გაუვიდა ვადა. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, შენობა, რომელიც 60 წელზე მეტი ხნისაა, ავარიულ მდგომარეობაშია, ფაქტობრივად, ჰაერშია გამოკიდებული.

მხოლოდ ერთი მეთვალყურე ჰყავს. ვის ეკუთვნის ეს ჰიდროკვანძი, არავინ იცის, ამიტომ ქალაქის მერია თავის ბალანსზე ვერ იღებს. როგორც აღმოჩნდა, შენობის დანგრევა ფოთის დატბორვას გამოიწვევს. საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და სათადარიგო ხიდის ასაშენებლად სამუშაოების დაწყება. ხიდი ტრასეკას განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ყველაფერი შევისწავლეთ და დასკვნაც წარვადგინეთ, ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომაც ავტეხეთ აჟიოტაჟი.

**ბონდო მაღლაფერიძე, პროექტის მთავარი ინჟინერი:**

„ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურის ყველა ინსტანციაში გავაგზავნეთ წერილები, რათა დროულად მიხედონ ამ ნაგებობას, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი არ ჩანს. გაიძახიან, სახსრები არ გაგვაჩნიაო. არადა, გამოსაკვლევად სულ 20-25 ათას ლარს ვითხოვთ. რეკონსტრუქციას კი 20-25 მილიონი ლარი დასჭირდება. აუცილებლად უნდა ჩაერიოს საქართველოს მთავრობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, დიდი კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ.

**გივი გავარდაშვილი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:**

„ფოთის ჰიდროკვანძს შველა უნდა. არსებული მდგომარეობა დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. გრანტით მოპოვებული თანხით ჰიდროკვანძზე წყალქვეშა კვლევების ჩატარებაა მხოლოდ შესაძლებელი. მოვითხოვთ ამ ობიექტს სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭოს, ჰიდროკვანძზე დაწესდეს საგანგებო მეთვალყურეობა, რათა ავიცილოთ მოსალოდნელი კატასტროფა.

ჰიდროკვანძისა და ხიდის ავარიული მდგომარეობის გამო ხელისუფლებას სასწრაფოდ მართებს ვითარების გამოსწორება. როგორც რობერტ დიაკონიძემ განაცხადა, დაგეგმილია შეხვედრა რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან — დავით ტყეშელაშვილთან. არადა, არის დაპირებები, მიწერ-მოწერები, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის, მაშინ, როდესაც ჰიდროკვანძი მორყეულია 30-დან 24 სმ-მდე. აუცილებელია, ამ ჰიდროკვანძს გამოუჩნდეს პატრონი, ხოლო მდინარე რიონზე, ფოთის შესასვლელთან, უნდა აიგოს ახალი საავტომობილო ხიდი.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# ასტამის ხეთქვიდან დედათა და მამათა ერთად ქეიფამდე

**გასულ კვირას საქართველოში გაეროს ქალთა ფონდის დირექტორი ინეს ალბერდი იმყოფებოდა. ვიზიტი საქართველოში გენდერული თანასწორობის დამყარებას ეხებოდა. „გენდერული პოლიტიკის შემუშავების პროცესში საქართველო პროგრესს განიცდის, თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებით — ქალების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოძლიერებასთან და გენდერული თანასწორობის საჯარო და პირად სფეროებში დანერგვასთან დაკავშირებით," — განაცხადა გაეროს ქალთა ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა.**



## მშენებლობაზე მუშაობას ისევ სამზარეულოში ტრიალი გვირჩევნია

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ინეს ალბერდი საქართველოს მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლებსაც შეხვდა. „ქალის მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა და მათი საშუალო ნომინალური თვიური შემოსავალი ძალიან ჩამორჩება იმას, რასაც საქართველოში კაცი გამოიმუშავებს. UNIFEM-ი არ დაზოგავს სახსრებს და ტექნიკურ მხარდაჭერას, რათა დაეხმაროს მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საქართველოში გენდერული თანასწორობის დანერგვასა და ქალის უფლებების დაცვაში," — აღნიშნა მან.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში გენდერულ თანასწორობაზე ფიქრი გასულ საუკუნეში დაიწყეს და დღემდე ეს თემა მთელ მსოფლიოს აწუხებს. **სტატისტიკამ აჩვენა, რომ, რაც დრო გადის, პროცენტულად იზრდება კაცების ინტერესი ქალურ კოსმეტიკურ საშუალებებზე და სხეულსა თუ სახეზე ზრუნვის სხვადასხვა საშუალებებისადმი. ქალები კი უფრო კაცურ ქცევებს, ჩაცმულობას, მკაცრ ფორმებს ეტანებიან. იცვლება ქცევები, საუბრის სტილი, მიმიკა და მიმოხვრა იმდენად, რომ ძნელი ხდება კაცისა და ქალის პირვანდელი მახასიათებელი ქცევების გარჩევა.**

გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლის შემდეგ ქალებმა თანასწორობის ისეთ ფორმას მიაღწიეს, რომ კაცები, რაც დრო გადის, უფრო და უფრო თმობენ კაცურ პოზიციებს. ასე გადააშენეს ქალებმა ის, რაზეც ოცნებობენ ახლა და, რაც ერთ დროს მათ ქალურობას, სიმშვენიერეს, სინაზესა და სათნოებას მატებდა.

მთელი მსოფლიოს ქალები ახლა ხვდებიან, რომ თანასწორობამ მათ ქალობა დააკარგვინა და კაცს — კაცობა. ახლა ეძებენ კაცებს, მაგრამ ფა-ფუ.

დღეს კი ამ ტენდენციების დანერგვას საქართველოში ცდილობენ, მაგრამ, როდესაც საუბრობენ იმაზე, რომ თითქოს ქალის როლი პოლიტიკასა და სხვადასხვა ორგანიზაციებში წამყვან პოზიციებზე შეზღუდულია, ავიწყდებათ, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საქართველოს ქალი მეფე მართავდა და სწორედ მე-12 საუკუნეში წერდა რუსთაველი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადიაო". სხვადასხვა დროს კი ქართველმა ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის გადარჩენაში.

**თუმცა ამერიკელებმა საქართველოს ისტორიის ეს დეტალი, ალბათ, არც იციან და თავს გვახვევენ გენდერულ თანასწორობას. სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები დაუზარებლად გვიტარებენ ტრეინინგებს და აგიტაციებს, მაგრამ არავინ კითხულობს, გვჭირდება ეს თუ არა...**

**ჩვენ ხომ სტუმართმოყვარეობით გამორჩეული ერი ვართ — ყველას ხელგაშლილი ვიღებთ, თავს ვუქნევთ და ხვევნა-კოცნითაც ვემშვიდობებით.**

ხშირ შემთხვევაში, გენდერული თანასწორობის აგიტატორების მიერ წაქეზებულ „რევოლუციონერებს" გენდერული ბალანსი არასწორად წარმოუდგენიათ. თავად „გენდერული თანასწორობა" მოსწონს, მაგრამ სინამდვილეში დარწმუნებული ვართ, ცოტამ თუ იცის მისი არსი.

გენდერული ბალანსის იდეით მოხიბლულ ქალებს ჰგონიათ, რომ მათ ეს მამაკაცებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. სინამდვილეში კი „გენდერული თანასწორობა" ქალისა და კაცის თანაბარ შესაძლებლობებს გულისხმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თუმცა ორი სქესის არსებობა თავსთავად გამორიცხავს მათ ერთ ქვაბში მოხარშვას. კაცს ქალთან შედარებით ოდითგანვე აქვს მცირედი უპირატესობა მაინც. ეს ბუნების კანონია და წინ ვერ აღვუდგებით. აბსოლუტურად ყველა საზოგადოებას სჭირდება ლიდერი. საქართველოში კი ეს მისია კაცს ეკისრება, ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე იყო და არა გვგონია, ეს ნაკლი ყოფილიყო ჩვენთვის ან ამის გამო ქართველ ქალებს თავი დაჩაგრულად ეგრძნოთ.

დღეს ამერიკამ და ევროპამ ყურები გამოგვიჭედეს გენდერულ თანასწორობაზე საუბრით. შედეგად კი ისე შეიცვალა სიტუაცია, რომ ბევრ ქართულ ოჯახში როლები შეიცვალა: კაცის საკეთებელს ქალები აკეთებენ, ხოლო კაცები შინ უსაქმოდ სხედან და ბავშვებს უვლიან. ესეც გენდერული ბალანსი!

როდესაც გენდერულ თანასწორობაზე აქვთ პრეტენზია, ზოგიერთს, ალბათ, ავიწყდება, რომ ქალისა და კაცის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური აგებულება ერთმანეთისგან განსხვავდება და სხვადასხვა ფუნქციები თუ შესაძლებლობები აქვთ. რასაც უმრავლესობა გენდერული თანასწორობის აღდგენასა და, საერთოდ, გენდერულ თანასწორობას უწოდებს, არის უბრალოდ სწრაფვა იმისკენ, რომ ქალი დაემსგავსოს კაცს ან პირიქით. არსებობს კაცის ტიპური უპირატესობა და ქალის ტიპური უპირატესობა, და აქ შეჯიბრი თუ გათანაბრება გადაგვარებას უფრო ნიშნავს, ვიდრე თანასწორობას.

**მართალია, კონსტიტუცია გვასწავლის, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, რელიგიისა და ა.შ", მაგრამ ჩვენი რელიგია ყოველთვის წინ აყენებდა მამრობით სქესს. ასევე ჩვენი ტრადიციებიც ეწინააღმდეგება გენდერულ თანასწორობას. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლება და პარლამენტი, როგორც ხშირად ხდება, ყველაფერს, რასაც ამერიკა სთავაზობს, დიდი ოვაციით აიტაცებს ხოლმე. გენდერულ თანასწორობასაც ლოიალურად მიუდგნენ და 2010 წლის მარტში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს კანონი გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით.**

რატომმაც არა, ამერიკას ხომ არ ჩამოვრჩებით?! თუმცა რა ჩამორჩენაზე ვლაპარაკობთ, ჩვენთან ხომ, უკვე რამდენიმე წელია, ერთგვარ პრაქტიკად დაინერგა სახელისუფლო ვერტიკალში მოხვედრისა თუ დაწინაურების კარგად აპრობირებული ფორმა — **საკმარისია ვინმე გავლენიანს კალთაში მოხერხებულად ჩაუჯდე და მერე იქიდან სადმე სამინისტროში, მთლად პირველ პირად თუ არა, საშუალო რანგის ჩინოვნიკის სავარძელში მაინც გადასკუპდები.**

მართალია, კანონიც მივიღეთ, გაეროდანაც ხშირად გვსტუმრობენ კეთილი სურვილებით და გვახსენებენ გენდერული თანასწორობის აუცილებლობას, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არაა, კარგად დავფიქრდეთ, გვინდა ახლა ჩვენ სტატუსებგაცვლილი ქართველი ქალი და მამაკაცი? ვისაც უნდა, მამაკაცის უფლება-მოვალეობები საკუთარ თავზე აიღოს, მათი ნებაა, მაგრამ ჩვენ სულაც არ გვინდა მომავალში კაცებივით, მშენებლობაზე მუშაობა, სავალდებული სამხედრო სამსახურის მოხდა, თუნდაც სანტექნიკოსად ან მეხანძრედ, ან ტრაქტორისტად მუშაობა, ქალისთვის შეუფერებელი არც თუ სასიამოვნო სამუშაოების შესრულება. მაგას გვირჩევნია, ისევ სამზარეულოში ვიდგეთ, ბავშვები ვზარდოთ და სამსახურიდან დაბრუნებულ მეუღლეს ღიმილითა და ფქვილიანი ხელებით შევეგებოთ.

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვლადიმერ ვახანია პოლიტპატიმრების და მათთან გათანაბრებული პირების გათავისუფლებას ითხოვს

პოლიტიკური პატიმრის, სამართლის დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მიმართვები საქართველოს სამართალდამცველი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებისადმი ისე ჩაიკარგა, როგორც წყალი უდაბნოს ქვიშაში — არავითარი რეაგირება, არავითარი გამოხმაურება, თითქოს ბუნებაში არც არსებულა ციხის ოთხ კედელში ჩაკეტილი ადამიანის მოთხოვნა, გაერკვიათ სიმართლე იმ კანონებით, იმ სამართლით, რაც, თუნდაც ფორმალურად, მაგრამ ოფიციალურად უნდა არსებობდეს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში.

ვლადიმერ ვახანია უყურადღებობისა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ყრუ კედლის წინაშე აღმოჩნდა და იძულებული გახდა მიემართა ევროსტრუქტურების ხელმძღვანელებისათვის: ევროსაბჭოს გენერალური მდივნისათვის, ევროპარლამენტის თავმჯდომარისათვის, ევროკომისიის თავმჯდომარისათვის, ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრისათვის.

თავის განცხადებაში იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ **იძულებული გახდეს,** გადაედგა ეს ნაბიჯი, რადგან მას, როგორც ქართველს, სრულიად არ აძლევს ხელს თავისი ქვეყნის, მთავრობის ნეგატიურ ასპექტში წარმოჩენა საერთაშორისო ასპარეზზე.

სამართლის დოქტორი ვლადიმერ ვახანია კატეგორიულად აყენებს პოლიტპატიმართა პრობლემას, რომელთა რაოდენობა ისედაც დაუშვებლად დიდია და მათი რიცხვი ფაქტობრივად რამდენჯერმე მეტია, რადგან ამ აისბერგის მწვერვალს მიღმა მათი თანამოაზრეები, ნათესავები იგულისხმებიან, რომლებიც დაკავებულნი არიან შეთითხნილი ბრალდებებით.

უდავოდ ყურადსაღებია აკადემიკოსის მიერ აქცენტირებული დარღვევების გამომწვევი მიზეზები: მოსახლეობისგან სახსრების „დაკანონებული“ გამოძალვა, ნარკოტრაფიკის საშუალებით დალექილი ფულით შექმნილი უკანონო „სპეცფორმირებები“, „შავი ფულის“ არსებობა, რომელიც მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების გამდიდრებას ხმარდება და სხვა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ვლადიმერ ვახანიას შენიშვნები, რომლებიც ევროპის სტრუქტურების ბიუროკრატიული პრაქტიკის დახვეწის, მათი საქმიანობის ოპერატიულობის გაუმჯობესების სურვილით არის ნაკარნახევი.

ყველაფერ ამას ჩვენი მკითხველები ვლადიმერ ვახანიას დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში გაეცნობიან.

**არმაზ სანებლიძე**




**ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს,**
**ბატონ ტურბერნ იაგლანდს,**

**ევროპარლამენტის თავმჯდომარეს,**
**ბატონ ეჟი ბუზეკს,**

**ევროპის კომისიის თავმჯდომარეს,**
**ბატონ ჟოზე ბოროზს,**

**ევროსაბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრს,**
**ქალბატონ ქეთრინ ეშტონეს,**

**პატივცემულო ბატონო ტურბერნ იაგლანდ!**
**პატივცემულო ბატონო ეჟი ბუზეკ!**
**პატივცემულო ბატონო ჟოზე ბაროზო!**
**პატივცემულო ბარონესა ქეთრინ ეშტონ!**

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოში, როგორც ევროსაბჭოს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნისა, დღესდღეობით კითხვის ქვეშ არ დგას. უეჭველია, რომ ამ პრობლემამ საქართველოში საგანგაშო ხასიათი შეიძინა და ევროსაბჭოს მხრიდან მისი შეუმჩნევლობა ნიშნავს ევროპული ღირებულებების უარყოფას, რომელთა საფუძველში დევს დემოკრატია ისევე, როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მხარდაჭერა და შემდგომი განხორციელება.

საქართველოში ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის ნათელი მაგალითია პოლიტიკური პატიმრების არსებობა, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 100 კაცს შეადგენს და რომლებიც დაპატიმრებულნი არიან პოლიციისა და პროკურატურის მიერ შეთითხნილი (ფალსიფიცირებული) მასალების საფუძველზე (ძირითადად, თითქოსდა ნარკოტიკული ნივთიერებების და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისთვის, რომლებიც ჩხრეკისას თვით პოლიციების მიერ არის ჩადებული), გასამართლებულნი არიან მთავრობის მთლიანი კონტროლის ქვეშ მყოფი სასამართლოებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს. საქმე ისაა, რომ პოლიტპატიმრებად აღიარებული პირები აისბერგის მწვერვალია.

**თუ მათ რიცხვს დავუმატებთ, პოლიციის მხრიდან დევნას, აგრეთვე, პოლიტპატიმრების თანამოაზრეებისა და ნათესავების შეთითხნილი ბრალდებით დაპატიმრებას, მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულამდე გაიზრდება, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით საშუალებას იძლევა, გავუთანაბროთ ისინი პოლიტიკურ პატიმრებს,**

**რადგან არსებითად ეს ადამიანები დაზარალდნენ საქართველოში არსებული ანტიდემოკრატიული ტოტალიტალური რეჟიმის გამო, რაც უფრო მეტად პოლიციურ-პოლიტიკურ ხუნტას გვაგონებს.**

და აქ საქმე არა მხოლოდ და არა იმდენად საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილშია, რამდენადაც ჩამოყალიბებულ სამთავრობო ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში, რომელიც აკონტროლებს ნარკოტიკების სატრანზიტო **გზას აზიიდან ევროპაში და პროსამთავრობო მონოპოლიზებული კომპანიების გადასახადისგან თავისუფალ ფულად ნაკადსა და, მათ შორის, ადგილობრივი ბიზნესმენებისგან ქრთამის აღებასა და გამოძალვაში. სწორედ ამ საშუალებებით არის შექმნილი ფარული უკანონო შეიარაღებული „სპეცფორმირებები“, რომელთა საშუალებითაც მთავრობა ახორციელებს მოსახლეობის მასობრივ დაშინებას. სახელდობრ, ამ შეიარაღებულმა სპეცდანაყოფმა უკანონოდ დამაკავა და დამაპატიმრა მე სასამართლოს სანქციის გარეშე და იმის ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, რომ ჩემთვის ჩაედოთ კალაშნიკოვის ავტომატი და ორი ხელყუმბარა.**




მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების, აზრის გამოხატვის თავისუფლების, პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლების, თავისუფალი არჩევნების თავისუფლების, მეწარმეობის თავისუფლების არარსებობა, სხვაგვარად მოაზროვნეების დევნა საქართველოში იგი რომელიც შენიღბულია ყოფილ საბჭოთა სივრცეში ანტირუსული „დემოკრატიისთვის მებრძოლის“ სამთავრობო აბრით. ყოველივე ამან მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია განხორციელებული პოლიტიკის მიმართ, რასაც დაემატა პროვოცირებული სამხედრო კონფლიქტი რუსეთთან, რომლის შედეგადაც საქართველომ დაკარგა «de iure» თავისი ტერიტორიის 20 პროცენტი დამატებით მიიღო 50 ატასი ლტოლვილი უკვე არსებულ 300 ათასის გარდა, და **არ არსებობს მათი დაბრუნების არავითარი მოტივი ჩამოშორებული რეგიონების — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურ მოსახლეობასთან მოლაპარაკების გარდა ევროპის თანამეგობრობის გარანტიების საფუძველზე რუსეთის მონაწილეობით.**

ოფიციალური სამთავრობო სტატისტიკა საქართველოში საქმეების მდგომარეობის შესახებ სიცრუეა და, ადვილად გასაგებია, რომ ეს კეთდება მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის არსებული რეჟიმის შენარჩუნების მიზნით.

**საქართველოში ამჟამად მსჯავრდებულთა რიცხვი 50 ათას კაცზე მეტია. ასობით ადამიანი მსჯავრდებულია ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან გამორიცხულია, ბევრ საპატიმროში პატიმრებთან დამოკიდებულება არის არაადამიანური, დამამცირებელი, მათ შორის, ჩემ მიმართაც.**

ამ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, მაგრამ გამოძიება არ მიმდინარეობს. **უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში 200 ათასზე მეტი ადამიანი იქნა მიცემული, რაც თავისთავად საგანგაშო რიცხვია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობა 3.5 მლნ. კაცს არ აღემატება,** რაც იმით არის გამოწვეული, რომ იძულებითი ემიგრაციით რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში დაახლოებით 2 მლნ. ადამიანი არის წასული ზემოთ მითითებული მიზეზებისა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო. პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მთავრობის მიერ შეთითხნილ ერთ-ერთ მოტივს წარმოადგენს მოსახლეობისგან სახსრების „დაკანონებული“ გამოძალვა პროცესუალური შეთანხმების წესით, რომელიც მიღებულია კანონით ჩადენილ დანაშაულთან შეფარდებით მისი გამოყენების კრიტერიუმების გარეშე და ნებაყოფილობით-იძულებითი გადახდევინებით, რაც მოწმობს კორუფციულ ურთიერთობას და, როგორც წესი, იხარჯება ბიუჯეტგარეშე რეგულირებაზე. **ე.წ. შავი ფული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექება, რამაც წინასწარი გაანგარიშებით უკვე შეადგინა 1 მილიარდი დოლარი, ხოლო თანხის ნაწილი საერთაშორისო თანამდებობის პირების მოსყიდვაზე იხარჯება.**

საქართველოს სისხლის სამართლებრივ – პროცესუალური კანონმდებლობა აშკარად და დაუფარავად ეწინააღმდეგება ევროპის კონვენციის და ევროსაბჭოს წესდების იმპერატიულ მოთხოვნებს, პირველ რიგში, ეჭვმიტანილის და ბრალდებულის უფლებების დაცვის სფეროში და არსებითად რეპრესიულ კანონმდებლობას წარმოადგენს, ხოლო **პროსამთავრობო სასამართლო სისტემა პრაქტიკულად უარყოფს ევროკონვენციის ნორმების გამოყენებას.** თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა ბოროტად იყენებს ევროპის სტრასბურგის სასამართლოში საქმეთა განხილვის პროცედურას, ხოლო ბევრ შემთხვევაში თავისი წარმომადგენლის საშუალებით შეცდომაში შეჰყავს სასამართლო, რის გამოც საკუთარი სარგებლობისთვის საქმეთა განხილვა წლების მანძილზე (5 – 7 წელი) გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში წინასწარი განზრახვით უკანონოდ არიან იზოლირებული მთავრობისთვის მიუღებელი პირები. ამასთან, უკანონოდ გასამართლებული პირების უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა მიმართოს ევროპის სასამართლოს. ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი დაცვითი, ფართოდ რეკლამირებული პოსტულატი, თითქოს ევროსაბჭო და ევროკავშირი მთლიანად უჭერს მხარს განხორციელებულ პოლიტიკას, მოსახლეობაში გაუგებრობას იწვევს და ძირს უთხრის აღიარებული ევროპულ ღირებულებებისადმი საქართველოს მოქალაქეთა ნდობას.

**ანტიდემოკრატიული სამთავრობო რეჟიმის დამყარება, ისევე, როგორც საქართველოში მოქალაქეთა უფლებების დარღვევა, სამწუხაროდ, შესაძლებელი გახდა ნებაყოფილობითი თუ არანებაყოფლობითი სიჩუმის, ან ევროსაბჭოს ქვეყნებში, აგრეთვე, საკუთრივ ორგანიზაციასა და მის უფლებამოსილ სტრუქტურებში ინფორმაციის უქონლობის მიზეზით.**

**ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობას ექმნება შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ** ევროსაბჭო და ევროპარლამენტი ხელს უწყობს საქართველოს მთავრობას. მე, როგორც ქართველი, არ ვარ დაინტერესებული, რომ უარყოფითად დავახასიათო ჩემი სამშობლო და ჩემი მთავრობა, მაგრამ არსებულ მდგომარეობაზე თვალის დახუჭვას დანაშაულად მივიჩნევ.

მოქალაქეთა უფლებების დარღვევა საქართველოში სინამდვილეში საშიშ ხასიათს იღებს, რაც შეიძლება გადაიზარდოს მოსახლეობის მასობრივ პროტესტში ძალადობის და არეულობის გზით და არ იქნება საუკეთესო მაგალითი „ვარდისფერ-ნარინჯისფერ-ტიტების რევოლუციების" რიგში. ეს რომ არ დავუშვათ, გთხოვთ, თქვენ, როგორც თანამდებობის პირებს, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობთ, მიიღოთ საგანგებო ზომები, მიაქციოთ ყურადღება და მოითხოვოთ საქართველოს მთავრობისგან ევროსაბჭოს პრინციპების ხელშეუხებელი დაცვა: პატიმრობიდან პოლიტიკური პატიმრებისა და მათთან გათანაბრებული პირების გათავისუფლება, ამ და საქართველოში დემოკრატიის დარღვევის სხვა საკითხების განხილვა თქვენი უფლებამოსილების ჩარჩოებში, ევროპის კომისიის და ევროპარლამენტის სხდომების დღის წესრიგში შეტანა ევროპის კონვენციის 52-ე, 53-ე და 54-ე პუნქტების და ევროსაბჭოს წესდების 3, 7, 8, 13, 15, 16 პუნქტების შესაბამისად, სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად.

და ბოლოს, დამრთეთ ნება, გამოვთქვა პოლიტიკური პატიმრების საერთო აზრი:

**მიზანშეწონილად ჩაითვალოს ევროპის სტრასბურგის სასამართლოში ადამიანის უფლებების საქმეთა განხილვის პროცედურის რეორგანიზაცია დაჩქარების გზით პოლიტიკურ პატიმრებთან მიმართებაში, ისევე, როგორც ევროსაბჭოს საკონტროლო მექანიზმების რეორგანიზაცია, რაც გამორიცხავს კორუფციული შეთანხმების შესაძლებლობას და ევროსაბჭოს წესდებისა და კონვენციის დამრღვევი ქვეყნის მთავრობის მხრიდან ბოროტად გამოყენებას.**

მიგვაჩნია, რომ ევროპელი მეთვალყურეობის მისიის მონაწილეობა საქართველოში და თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რომელიც 2010 წლის მაისის ბოლოს გაიმართება, ქვეყანაში ასეულობით პოლიტიკური პატიმრის არსებობის პირობებში, ევროპული ფემიდის ნონსენსია და პატივს არ მიაგებს ევროსაბჭოს, ევროკავშირისა და ევროპარლამენტის ავტორიტეტის ღირსებას. ამგვარ არჩევნებში ევროპელი მეთვალყურეების მონაწილეობა ეს არის დაფარული მხარდაჭერა და ფიქცია, რომელიც სჭირდება საქართველოს მთავრობას, რათა მოახდინოს მომავალი არჩევნების ფალსიფიკაციის ლეგიტიმიზაცია, ისე, რომ პოლიტიკური პატიმრები სწორედ ამ მიზნით იყვნენ იზოლირებულნი. **ამიტომ, აუცილებელ და ქმედით, გამაფრთხილებელ ღონისძიებად მიგვაჩნია მომავალ არჩევნებში ევროსაბჭოს და ევროკავშირის მეთვალყურეების მონაწილეობისგან თავის შეკავება, სანამ არ იქნებიან გათავისუფლებულნი პოლიტიკური პატიმრები და მათთან გათანაბრებული პირები.**

ღრმა პატივისცემით,
სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი (პოლიტიკური პატიმარი)

**ვლადიმერ ვახანია**

მკაცრი რეჟიმის საპყრობილე №6, რუსთავი, საქართველო

# სკოლა, სადაც დადიან, რომ ისწავლონ

**დღეს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, თითებზე ჩამოსათვლელია სკოლები, სადაც სწავლა სრული დატვირთვით მიმდინარეობს, რაც თავისთავად გულისხმობს დისციპლინას და მოიცავს საგნების სრულ სპექტრს.**





ერთ-ერთი ასეთია **„GLC" სკოლა**, რომელსაც აქვს უახლესი ტექნიკით მოწყობილი კომპიუტერული კლასი მუდმივი ინტერნეტით, სასკოლო ბიბლიოთეკა (სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენებზე), ასევე, სკოლაში მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ინგლისურისა და გერმანული ენების კათედრები. შესაბამისი ინვენტარით მოწყობილია სასკოლო კაბინეტები, სააქტო და სპორტული დარბაზები, სამხატვრო სტუდია, ქორეოგრაფიული და სამუსიკო სტუდია, სპორტული სექციები.

რაც მთავარია, ამ სკოლას აქვს ერთი იშვიათი ღირსება — კურსდამთავრებულები რეპეტიტორების დაუხმარებლად ირიცხებიან პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის დაფინანსებით. მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასელებისთვის წარმოუდგენელია, რომ სკოლაში არ იარონ, რაც ბევრი სკოლისთვის ჩვეულებრივი ამბავია.

**სასწავლო პროცესის მართვა.** სასწავლო პროცესის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლის დირექტორი, ქალბატონი **მარინე დეკანოიძე,** ხოლო დისციპლინების სწავლებას კათედრის ხელმძღვანელები კურირებენ, კერძოდ: ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას — **შორენა ჯიშკარიანი;** მათემატიკის კათედრას — **ნუგზარ ლომაძე;** ინგლისურის კათედრას — **ნანა სურმავა;** გერმანულის კათედრას — **დალი ამაშუკელი;** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას — **მაია თოდაძე;** საბუნებისმეტყველო საგნების კათედრას — **ირმა ავალიანი;** დაწყებითი განათლების კათედრას — **ხათუნა კალანდაძე;**

**სკოლის საპროგრამო პრიორიტეტებია:**

ინგლისური ან გერმანული ენის შესწავლა 1 კლასიდან; რუსული ენის შესწავლა III-დან XII კლასის ჩათვლით; მესამე უცხო ენის შესწავლა VII კლასიდან (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული); მათემატიკის გაძლიერებული სწავლება; პროფილური სწავლება X კლასიდან;

**ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლება X კლასიდან; ბიზნესის სპეციალური საგნებისა — VIII კლასიდან.**

XI-XII კლასებში უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებიან (გამოცდის ყოველკვირეული იმიტაციით);

XI კლასში ტარდება ბიზნეს რეფერენტის საკვალიფიკაციო გამოცდა და ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია.

**სკოლაში მუშაობს 161 კვალიფიციური პედაგოგი;** ამათგან: 15 მეცნიერებათა კანდიდატი; 6 ევროპული განათლებით; 50 სრულყოფილად ფლობს უცხო ენებს.

**სკოლის შეფასების სისტემის მიხედვით, ყველა მოსწავლე 6 საგნობრივ მოდულს აბარებს:**

II-VI კლასებისთვის — თვეში ერთხელ;

VII-X კლასებისთვის — ყოველკვირეულად (შაბათობით).

**„GLC"-ის** აქვს ორი რეგიონალური სკოლა **ქობულეთსა** და **ზუგდიდში**, აქედან ზაფხულობით მოსწავლეები მიდიან საზაფხულო შემეცნებით-დასასვენებელ ბანაკში ქობულეთში საკუთარ ბაზაზე, ხოლო ზამთარში ბაკურიანისა და გუდაურის სპორტულ ბაზებზე.

**სკოლაში ასევე, ფუნქციონირებს ფასიანი წრეები:** ხალხური სიმღერის ანსამბლი; ქორეოგრაფიული, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, სამხატვრო სტუდიები, ჭადრაკისა და კარატეს წრეები.

სკოლას ჰყავს ფიზკულტურის მასწავლებელი და ამ საგანში გაკვეთილები სისტემატურად ტარდება ყველა კლასში, რაც ასევე იშვიათობაა დღეს სკოლებში.

2008 წლიდან **„GLC" სკოლა** არის **ჰაიდელბერგის ენის აკადემიის** ოფიციალური და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა პროგრამის მიხედვით.

**მაია კვაჭანტირაძე, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:** XI-XII კლასებში დამატებით ვასწავლით ზოგად უნარებს, გაძლიერებული პროგრამით — მათემატიკას, უცხო ენასა და ქართულს. ვხელმძღვანელობთ განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმით, თუმცა დამატებული გვაქვს კიდევ ჩვენი პროგრამა, განსაკუთრებით X-XI კლასებში.

თითოეულ კლასში არის მხოლოდ 20 მოსწავლე; ხოლო ინფორმატიკაზე, მათემატიკაზე, უცხო ენებსა და ქართულზე კლასი ორად იყოფა; ამ კლასებში გვაქვს, ასევე, პროფილური სწავლება.

სწავლების მეთოდიკიდან გამომდინარე, XII კლასში ყოველ შაბათს ეწყობა იმიტირებული გამოცდა თითო საგანში, წლის ბოლოს კი — შემაჯამებელი. ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეს, რომ კვირის ბოლოს თავისი ცოდნა შეაჯამოს, მასწავლებელს კი შეუძლია მიუთითოს მოსწავლეს ხარვეზებზე, რაც შემდგომში საგნის სრულფასოვან და სიღრმისეულ შესწავლას აადვილებს. ფაქტობრივად, მოსწავლეები კვირაში ხუთ დღეს სწავლობენ, მეექვსე დღეს კი გამოცდას აბარებენ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის შაბათიც სასწავლო დღეა.

რაც შეეხება დაბალ კლასებს, აქ II-VI კლასებში თვეში ერთხელ წერენ მთელი თვის მასალას, ხოლო VII-XI კლასის ჩათვლით კვირაში ერთხელ აბარებენ გამოცდას ყველა საგანში. ასეთი წერითი გამოცდების სიხშირე აიხსნება იმით, რომ შემდგომში მათ უმაღლეს სასწავლებელში ასეთივე ტიპის გამოცდის ჩაბარება უადვილდებათ, რადგან ეს მეთოდი მათთვის ახალი არ არის. რაც შეეხება ზეპირ გამოკითხვას, ეს ყოველდღიურად ხდება.

ზოგადად, სკოლაში სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით ხორციელდება. თვეში ერთხელ ყველა კლასში ტარდება მშობელთა კრება; მშობლებს, ასევე, სკოლის ვებ-გვერდზე შეუძლიათ, გაიგონ შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ.

**— რა არის თქვენი სკოლის წარმატების მთავარი პირობა?**

— ეს არის დისციპლინა, გამოკითხვის მეთოდიკა, ყველა მოსწავლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. ამბობენ, რომ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები საერთოდ არ ტარდება, ჩვენთან ეს დაუშვებელია. გვაქვს როგორც ღია მოედანი, ისე დახურული დარბაზი. ასე რომ, მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი, სრულყოფილი განათლებაც რომ მიიღონ და სპორტული ცხოვრებითაც იცხოვრონ.

**— ბოლო წლებია, კურსდამთავრებულთათვის განათლების სამინისტრომ ოქროსა და ვერცხლის მედლები დააწესა...**

— დიახ, ჩვენც გვყავდა ასეთი მედალოსნები. შარშან 7 მოსწავლემ დაიმსახურა ვერცხლის, ერთმა კი ოქროს მედალი. წელსაც გვყავს ასეთი მოსწავლეები ამ ნომინაციაზე წარდგენილი. ისიც მინდა დავამატო, რომ შარშანაც და წინა წლებშიც ჩვენი კურსდამთავრებულებიდან უმაღლეს სასწავლებლებში ყველა ჩაირიცხა და სახელმწიფო დაფინანსებაც მიიღო. ცნობისათვის: ჩვენი მოსწავლე, გასული წლის ოქროს მედალოსანი გურანდა მირზიაშვილი ეროვნული გამოცდების რეიტინგით ქვეყნის მასშტაბით მესამე ადგილზე გავიდა, რაც ჩვენთვის მეტად საამაყოა.

**— მეთორმეტე კლასელები ყველა სკოლაში პრობლემას წარმოადგენენ, სკოლაშიც კი არ დადიან...**

— ჩვენთან ეს დაუშვებელია, პირიქით, ისინი მოტივირებულნი არიან, რაც შეიძლება, მეტი ისწავლონ, რომ უმაღლეს სასწავლებელში გამოცდა წარმატებით ჩააბარონ. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ **ჩვენთან მოსწავლე სკოლაში მოდის იმიტომ, რომ უნდა ისწავლოს.**

ესაუბრა
**ეთერ კასრელიშვილი**



მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**ფრანსუა დიუვალიე ჰაიტის რესპუბლიკის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსში 64 წლისა გარდაიცვალა. ის ერთპიროვნულად მართავდა ჰაიტისა და მიმდებარე კუნძულებზე მდებარე ქვეყანას 1957 წლიდან 1971 წლამდე. მამა დოკი — ასე უწოდებდნენ მას მთელ მსოფლიოში, თუმცა ეს მისი ერთადერთი მეტსახელი როდი იყო. დიუვალიეს ჰაიტის მზეს, ბედნიერების მეფეს, ერთიანობის მოციქულს, აფრიკელი ღმერთების ხელდასხმულსა და გამარჯვების ცისარტყელასაც უწოდებდნენ, მაგრამ ყველაზე უკეთ მის შინაგან არსს ერთადერთი მეტსახელი — ჯიბის ჰიტლერი გამოხატავდა.**

# ფრანსუა დიუვალიეს «ვუდუ-მენეჯმენტი»

ფრანსუა დიუვალიე 1907 წელს დაიბადა. 1932 წელს, ჰაიტის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ამერიკული საოკუპაციო ჯარების სამედიცინო სამსახურის უფროსის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 1934 წელს ამერიკის საზღვაო ქვეითმა ჯარმა ჰაიტი დატოვა და დიუვალიე ერთ-ერთ სოფელში სამედიცინო პრაქტიკით დაკავდა, თუმცა 1940 წელს ქვეყანაში კვლავ შემოსულ ამერიკელთა სანიტარული მისიის თანამშრომელი გახდა. 1944 წელს ის აშშ-ის ჯანდაცვის სისტემის შესასწავლად მიჩიგანის უნივერსიტეტში გაგზავნეს. იქ მან ბევრი საჭირო ნაცნობი შეიძინა.

1946 წელს ჰაიტიზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა: **პირველად 30 წლის განმავლობაში პრეზიდენტად ზანგი — დიუმარსე ესტიმე აირჩიეს**. ახალ მთავრობაში ფერადკანიანმა ექიმმა დიუვალიემ თავდაპირველად შრომის მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა, შემდგომ კი ჯანდაცვის მინისტრი გახდა.

1950 წელს ქვეყანაში კვლავ უწესრიგობა დაიწყო. ესტიმე დაამხეს, ძალაუფლება კი სამხედრო ხუნტის ხელში აღმოჩნდა. დიუვალიე იძულებული შეიქნა, ნათესავებსა და მეგობრებთან დამალულიყო, შემდეგ კი დიდხანს ცხოვრობდა მის ერთგულ მღვდელთან. იმ პერიოდში ფრანსუა ბევრს კითხულობდა. მისი საყვარელი წიგნი მაკიაველის „ხელმწიფე" გახდა. იატაკქვეშეთში ყოფნისას დიუვალიესა და მის ოჯახს შეძლებული ძმები ჟიუმელები ინახავდნენ. მოგვიანებით, როცა პრეზიდენტი გახდა, „ღმერთების ხელდასხმულმა"ჟიუმელებს ერთგულება „დაუფასა" — სამივე ძმა დახვრიტა!

## მაკიაველი ხელისუფლების სათავეში

1956 წელს დიუვალიე იატაკქვეშეთიდან გამოვიდა. სამხედრო ხუნტა დაემხო და ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურის გათავისუფლებული სავარძლის დასაკავებლად სასტიკი ბრძოლა გაიმართა. 1956 წლის 7 სექტემბერს ამ ბრძოლაში ექიმი ფრანსუაც ჩაერთო.

ძირითადი პრეტენდენტი ორი იყო: მათემატიკის მასწავლებელი დანიელ ფინიოლე და ერთ-ერთი ძმა ჟიუმალი — ადვოკატი კლემანი. დიუვალიეს სერიოზულად არავინ აღიქვამდა, მას სავსებით უგულებელყოფდნენ არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ ჟურნალისტებიც, რადგან ფერადკანიანი ექიმის შანსებს ნულის ტოლად მიიჩნევდნენ. **პრესამ დიუვალიეს „პოლიტიკური ლილიპუტიც" კი უწოდა.** თავად მაკიაველის „მოსწავლეს" კი გამარჯვების მტკიცედ სჯეროდა და რთულ ინტრიგებსაც ხლართავდა.

არჩევნებისას ვნებები გამძაფრდა და კანდიდატებმა გადაწყვიტეს, რომ მათ შორის ყველაზე პოპულარული, ფინიოლე დროებითი პრეზიდენტი გახდებოდა. დიუვალიეს „კეთილი" რჩევით, ფინიოლემ არმიის სარდლად ფრანსუას მეგობარი გენერალი კერბო დანიშნა. 19 დღის შემდეგ კი მთავრობის სხდომაზე კერბომ დანიელ ფინიოლე დააპატიმრა და ახალი არჩევნები გამოაცხადა.

ამ „თავისუფალ" არჩევნებში 1957 წლის 22 ოქტომბერს დიუვალიე ჰაიტის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს. **მან მაშინვე დაამყარა ქვეყანაში ახალი სამხედრო-პოლიციური დიქტატურა. ყოფილმა დემოკრატმა აკრძალა პოლიტიკური პარტიები, დახურა ოპოზიციური გამოცემები, გააუქმა პროფკავშირი და სტუდენტური ორგანიზაციები, მთლიანად შეცვალა მოსამართლეთა შემადგენლობა, ფართომასშტაბიანი წმენდა ჩაატარა ოფიცერთა რიგებში, დახოცა ან ქვეყნიდან გააძევა მღვდლები.**

**მთავარი, რასაც დიქტატურა ემყარებოდა, იმათი სისტემატური ფიზიკური განადგურება გახლდათ, ვინც ამა თუ იმ სახით არალოიალობაში იქნებოდა ეჭვმიტანილი.** ერთ-ერთმა მისმა მომხრემ მოგვიანებით აღიარა, **რომ დიუვალიესგან ნაბრძანები ჰქონდა, ყოველწლიურად ხუთასამდე კაცი მაინც მოეკლა.** თუმცა მამა დოკის მიერ განადგურებულ მოწინააღმდეგეთა რაოდენობა ამ ციფრით არ შემოიფარგლებოდა.

## ურნებთან ავტომატების თანხლებით

საკუთარი ხალხის მიმართ დიუვალიეს სისხლიანი ტერორი 6 წელიწადს გრძელდებოდა. რეჟიმის ჯურღმულებში მრავალი ათასი ადამიანი დაიღუპა. და აი, ახალი საპრეზიდენტო არჩევნების დროც დადგა. მანამდე, 1961 წლის 7 აპრილს დიუვალიემ თვითნებურად დაითხოვა პარლამენტი და 22 აპრილს ახალი არჩევნები ჩაატარა. ყუთებთან ამომრჩევლებს კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები მიაცილებდნენ, ამიტომ 58-დან 58 სადეპუტატო ადგილი პრეზიდენტის რჩეულებმა დაიკავეს.

პარლამენტის დეპუტატთა საარჩევნო ბიულეტენები ძლივს შესამჩნევ წარწერას შეიცავდნენ: „დოქტორი ფრანსუა დიუვალიე — პრეზიდენტია," ამიტომ, ხმების დათვლის შემდეგ, ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ თურმე პარლამენტარების არჩევასთან ერთად ჰაიტელებმა ახალი ვადით ქვეყნის მეთაურიც აირჩიეს. მაგრამ მამა დოკს მეორე ვადაც ეცოტავა, 1964 წლის 22 ივნისს „ჰაიტის ცისარტყელა" სამუდამო პრეზიდენტად გამოაცხადეს.

## ამერიკელთა ჯიბის ჰიტლერი

პატარა სახელმწიფოსთვის, რომელიც აშშ-ის სანაპიროებთან უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობას. **აშშ კი დიუვალიეს მიმართ ერთობ კეთილგანწყობილი იყო. თავისი მმართველობის პირველი ორი წლის განმავლობაში ფრანსუა დიუვალიემ ამერიკისგან დახმარება მიიღო, ფინანსურიც კი — 8 მლნ დოლარი,** რაც ციცქნა რესპუბლიკისთვის ცოტა სულაც არ იყო (ამ თანხის დიდი ნაწილი მამა დოკმა პირად საჭიროებებზე დახარჯა). სიმპათიის ასეთ გამოვლენას მკვლევარებმა სუბიექტური და ობიექტური მიზეზები მოუძებნეს. ერთის მხრივ, **აშშ-სთვის** (ყოველ შემთხვევაში, ისტებლიშმენტის რესპუბლიკური ნაწილის აზრით) **უფრო ხელსაყრელი იყო სტაბილური, კონტროლირებადი, თუნდაც დიქტატორული რეჟიმი** გვერდით მყოფ კუნძულზე, **ვიდრე დემოკრატიული, მაგრამ ცუდად პროგნოზირებადი**. მეორე მხრივ კი, მამა დოკი, რომელმაც პრეზიდენტობამდე ამერიკულ სტრუქტურებში, მათ შორის, პენტაგონშიც, არცთუ ურიგო კავშირები დაამყარა, ხოლო შემდეგ, თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში, იგი გააძლიერა, ფრიად მოხერხებულად თამაშობდა აშშ-ის ისტებლიშმენტის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზე და დიდი ამერიკელი პოლიტიკოსების პირად ინტერესებს ითვალისწინებდა.

სიტუაცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც ვაშინგტონში ხელისუფლების სათავეში დემოკრატი კენედი მოვიდა: აშშ-სა და ჰაიტის შორის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდა. **დიუვალიემ, რომელიც უკმაყოფილებას ვერ მალავდა აშშ-ის მხრიდან გულგრილობის გამოვლენისა და შესაბამისად, მისგან ფინანსური დახმარების შეწყვეტის გამო, საჯაროდ განუცხადა ხალხს, რომ ჰაიტიზე გავრცელებული ვუდუს რიტუალების დახმარებით ჯოჯოხეთიდან თავად სატანას გამოიძახებდა აშშ-ის პრეზიდენტის დასაწყევლად. ექვსი კვირის შემდეგ კენედი დალასში მოკლეს...**


დუვალიე და მისი მეუღლე სიმონი


დუვალიეს ვაჟი და რძალი დაკრძალვაზე


დუვალიე და ნელსონ როკფელერი


ჟაკლინ კენედი

## ყველაზე საშიში მაგია დიქტატურის სამსახურში

კენედისთან დაკავშირებულ ისტორიაში დიუვალიემ პირველად განაცხადა მთელი მსოფლიოს გასაგონად, რომ ვუდუს უძველესი კულტის ქურუმი იყო, თუმცა ჰაიტელებმა ეს უკვე იცოდნენ. დიუვალიე ბრწყინვალედ ერკვეოდა ვუდუში და ჩინებულად გრძნობდა მასების განწყობასაც; რაკი იცოდა, რამდენად პოპულარული იყო ვუდუს კულტი ჰაიტის მცხოვრებთა, განსაკუთრებით კი ფერადკანიანთა შორის. მამა დოკი აცხადებდა, რომ ვუდუს ქურუმი — ლოა იყო. ის კი არა, ნაციონალური დროშის ტრადიციული წითელი და ლურჯი, წითელი და შავი ფერებით შეცვალა, რადგან ეს სიმბოლიკა ვუდუს გავლენიანი სექტის — ბიზანგოს სიმბოლიკასთან ასოცირდებოდა. მამა დოკს მუდამ შავი კოსტიუმი ეცვა და ვიწრო შავი ჰალსტუხი ეკეთა, რადგან ეს ვუდუს ლეგენდარული მოციქულის, „საფლავების ლოას" — ბარონ სამედის სამოსი იყო.

პრეზიდენტის საიდუმლო პოლიციაცა და სპეცსამსახურებიც პერიოდულად ვუდუს სიმბოლიკასა და რიტუალებს მიმართავდნენ. არსობრივად, ეს სახალხო კულტი ჰაიტის რესპუბლიკის ოფიციალურ იდეოლოგიად და კუნძულზე დიუვალიეს ერთპიროვნული მმართველობის მყარ საფუძვლად იქცა.

თუმცა მამა დოკს მაინც გამოუჩნდა ოპოზიცია: 1967 წლის 14 აპრილს დიუვალიეს 60 წლის იუბილე უნდა ეზეიმათ, მაგრამ ცერემონია მეამბოხეთა მიერ რამდენიმე ბომბის აფეთქებამ ჩაშალა. მამა დოკმა ოპოზიციონერებს უსასტიკესი ტერორით უპასუხა, მაგრამ პრობლემა ამით ვერ გადაჭრა — 1970 წლის აპრილში დიუვალიეს დიქტატურის წინააღმდეგ ჰაიტის ფლოტის ნაწილი აღდგა: სამმა ხომალდმა პრეზიდენტის სასახლეს ცეცხლი დაუშინა. ამბოხის ჩახშობა მხოლოდ ამერიკელთა საჰაერო ავიაციის დახმარებით მოხერხდა.

## რესპუბლიკელები დემოკრატების წინააღმდეგ

კენედის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ აშშ-მა კვლავ დაიწყო ჰაიტისთვის მატერიალური, პოლიტიკური და სამხედრო დახმარების აღმოჩენა. შტატებში ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკელები დაბრუნდნენ. აშშ-ის წყალობით, დიუვალიე ერთპიროვნულ ძალაუფლებას ინარჩუნებდა და მოწინააღმდეგეებსაც უმკლავდებოდა. მან მხოლოდ დროის დამარცხება ვერ შეძლო. 60-იანი წლების ბოლოდან ხანდაზმული, დიაბეტითა და გულის უკმარისობით დაავადებული დიუვალიე სერიოზულად დაფიქრდა მემკვიდრეზე და პატარა დოკად (ბეიბი დოკ) მონათლულ თავის საყვარელ ვაჟზე — ჟანკლოდზე შეაჩერა არჩევანი.

**როცა მამა დოკი გარდაიცვალა, ხელისუფლება რამდენიმე დღის განმავლობაში ამას არ აცხადებდა, რადგან სახალხო მღელვარების ეშინოდა. დიუვალიეს მდიდრული დაკრძალვა მოუწყვეს, რომელსაც ინკოგნიტოდ ბიზანგოსა და ვუდუს სხვა გავლენიანი სექტების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

## ღირსეული მემკვიდრე

მამა დოკი არჩევანში არ შემცდარა. პირსისხლიანი დიქტატორის საქმე შვილის საიმედო ხელში გადავიდა, მაგრამ ვაშინგტონში ხელისუფლების სათავეში კვლავ დემოკრატები მოვიდნენ. ჰაიტის რეჟიმის პოლიტიკური მხარდაჭერა მისმა მწვავე კრიტიკამ შეცვალა, ხოლო დახმარება მთლიანად შეწყდა. ჰაიტელები დრტვინავდნენ და 80-იანი წლების ბოლოს დიუვალიე-უმცროსის ხელისუფლების გადარჩენა აღარავის ძალუძდა.

**1986 წელს ბეიბი დოკი გაღატაკებული და გაძარცული ქვეყნიდან გაიქცა და 800 მლნ დოლარზე მეტი წაიღო. რამდენიმე წლის განმავლობაში ის არხეინად ცხოვრობდა ლაჟვარდოვან სანაპიროზე მდებარე ვილაში. ჰაიტის ახალმა ხელისუფლებამ მისი საბანკო ანგარიშის „დაპატიმრება" მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში შეძლო. ბეიბი დოკი ერთხანს ვალებით ცხოვრობდა, შემდეგ კი გაუჩინარდა. მის შესახებ მეტი არაფერია ცნობილი. ვინ იცის, ეგებ ვუდუს მაგიური რიტუალების დახმარებით ის ახალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადება...**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ETA — ბასკების სამშობლო და თავისუფლება

**დასავლეთ ევროპაში ტერორზე საუბრისას, პირველ რიგში, გერმანულ RAF-სა და იტალიურ „წითელ ბრიგადებს“ ახსენებენ. ესპანური ETA კი ამ სიაში განცალკევებით დგას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათ ტერორისტებს არც კი უწოდებდნენ, მიზეზი მარტივი იყო — ეტა-ს ბასკი მებრძოლები დიდი ხნის განმავლობაში ფრანკოს რეჟიმს ებრძოდნენ, გარდა ამისა, მარქსისტობასთან ერთად, ისინი ნაციონალისტებიც იყვნენ. მემარცხენეობისა და „მემარჯვენეობის“ ასეთი უცნაური აღრევა კი პოლიტოლოგებს ძალზე აცბუნებდა.**




**„ეუსკადი ტა ასკატასუნა“ („ბასკების სამშობლო და თავისუფლება“), შემოკლებით — ეტა, 1969 წელს შეიქმნა როგორც ფრანკოს რეჟიმის შეიარაღებული ოპოზიცია**, რომელიც უმთავრესად ახალგაზრდა (სტუდენტი) ბასკებისგან შედგებოდა. ფრანკოს მმართველობის ხანაში ბასკური ენა აიკრძალა და ციხეები ბასკი ინტელექტუალებით გაივსო.

ორგანიზაცია რამდენიმე წლის განმავლობაში ყალიბდებოდა, სანამ არ გადაწყდა, რომ იარაღით ხელში და მარქსიზმის დროშის ქვეშ დამოუკიდებლობისთვის იბრძოლებდნენ. 60-იანი წლების დასაწყისში ეტა-ს მებრძოლები იმავეს აკეთებდნენ, რასაც დღეს — აფეთქებდნენ მატარებლებს, ცხრილავდნენ ჟანდარმებსა და პოლიტიკოსებს.

ეტა უშუალოდ ბასკების ქვეყანასა და საფრანგეთის სამხრეთ დასავლეთ პროვინციებში — ლაბურში, ბას-ნავარასა და სულში მოქმედებდა. ფრანკო ეტა-ს ამბოხის ჩახშობას ლამობდა და ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. 1962 წელს ეტა მიწყნარდა, 1964 წელს კი კვლავ გააქტიურდა, რის შემდეგაც ტერორმა სისტემატური ხასიათი მიიღო. **1973 წლის დეკემბერში ეტა-ს მებრძოლებმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ადმირალი ლუის კარერო ბლანკო მოკლეს.** მკვლელობაში ეტა-ს ერთ-ერთი ლიდერი, რევოლუციონერ-ანტიფაშისტი ხოსე მიგელ ბენიარან ორდენიანაც („არგალა“) მონაწილეობდა.

1975 წელს ფრანკო გარდაიცვალა, მაგრამ ეტა-მ თავისი საქმიანობა, ხოლო ახალმა სახელმწიფომ მათთან ბრძოლა განაგრძო, თუმცა მანამდე გარკვეული ნაბიჯები გადადგა: ბასკებს ავტონომია მიანიჭა, პოლიტპატიმრები გაათავისუფლა, მაგრამ ეტა-ს მებრძოლებმა ეს არ იკმარეს და ტერორი გაგრძელდა. მას შემდეგ **ბასკებს ფრანკოს რეჟიმთან მებრძოლებად აღარ მოიხსენიებდნენ და, უბრალოდ, ტერორისტებსა და სეპარატისტებს უწოდებდნენ.**

ეტა-ს რიგებში რამდენჯერმე განხეთქილება მოხდა. მათ შორის, მარქსისტულ და ნაციონალურ ნაწილებს შორის. მას შემდეგ, რაც ეტა-ს მებრძოლებმა თავიანთი არსებობის ისტორიაში პირველად მოკლეს ადამიანი, კერძოდ, სოციალისტი ჰერმან გონსალესი, ისინი საბოლოოდ მონათლეს ტერორისტებად. 70-80-იანი წლების მიჯნაზე რადიკალმა ბასკებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ლეგალიზება დაიწყეს – ქვეყანაში 13 პარტიისგან შემდგარი კონგლომერატი შეიქმნა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ეტა-ს. მათგან ყველაზე გავლენიანად დღემდე რჩება ეტა-ს ულტრამემარცხენე ფრთა „ერი ბატასუნა“ (სახალხო ერთიანობა).



ფრანსისკო ხავიერ პიენას დაკავება ბორდოში



ხოსე იგნასიო დე ხუან ჩაოსი. ბრალდებულია 25 ადამიანის მკვლელობაში და მიესაჯა 3000 წლით თავისუფლების აღკვეთა

მათზე ბევრს ლაპარაკობდნენ, თუმცა ეტა-ს არმიის ზუსტი რიცხოვნობა არავინ იცის. ამბობენ, რომ დაჯგუფების აქტიური წევრი 30-ზე მეტი არ იქნება. თუმცა **ბასკების ქვეყანაში თითქმის მთელი ახალგაზრდობა ეტა-ს უჭერს მხარს და თავის საკუთარ „ტერაქტებს“ აწყობს — ახალგაზრდა ბასკები რეგულარულად აფეთქებენ ცეცხლწამკიდებელი სითხით სავსე ბოთლებს სამთავრობო დაწესებულებების წინ.** ესპანეთის ხელისუფლება ცდილობდა, ბასკებთან მათივე იარაღით — ტერორით ებრძოლა, ფრანკოს რეჟიმისა და, მოგვიანებით, დემოკრატიული ესპანეთის ხანაშიც. მაგრამ ამას სასიკეთო შედეგი არ გამოუღია. 80-იანი წლების ბოლოს ესპანელმა პოლიციელებმა „სიკვდილის ესკადრონი“ საგანგებოდ ეტა-სთან საბრძოლველად შექმნეს. მართალია, ამ ესკადრონს ოფიციალურად გამათავისუფლებელი ანტიტერორისტული ჯგუფი ერქვა, მაგრამ ამით მისი არსი არ იცვლებოდა. შედეგად, 1983-87 წლებში ამ „ესკადრონმა“ 27 კაცი შეცდომით ტერორისტად მიიჩნია და იმსხვერპლა.

სხვადასხვა დროს ეტა-ს მებრძოლები მომზადებას გადიოდნენ ლიბიაში, ლიბანსა და ნიკარაგუაში. ზოგიერთ მებრძოლს პოლიტიკური თავშესაფარიც მისცეს კუბაში. ეტა-ს კონტაქტები აქვს ირა-სთან ირლანდიაში. დღეს უკვე ცნობილია, რომ მირ-ის ჩილელი ბოევიკები სტაჟირებას გადიოდნენ ეტა-ში, ბასკების ქვეყანაში, ხოლო თავად ბასკი ემისრები ლათინურ ამერიკაში მიემგზავრებოდნენ ინსტრუქტაჟისთვის.

**ბოლო 30 წლის განმავლობაში ეტა-ს ბოევიკების ხელით დაიღუპა 800-მდე ადამიანი. ისინი ძარცვავენ ბანკებს და იტაცებენ ხალხს გამოსასყიდის მიღების მიზნით. ამ გზით მიღებული ყოველწლიური შემოსავლები, ზოგიერთი მონაცემით, 1.5 მლრდ პესეტას შეადგენს**.

ესპანეთის არც ერთ რეგიონს დღეს ისეთი ავტონომია არ აქვს, როგორიც ბასკებს. მათ საკუთარი პარლამენტი, პოლიცია და განათლების სისტემაც კი აქვთ, მაგრამ შეურიგებელ ეტა-ს ესპანეთისგან გამოყოფა სურს. ერთი ხანობა რადიკალი ბასკები იმედოვნებდნენ, რომ სანატრელ დამოუკიდებლობას გადატრიალების გზით მოიპოვებდნენ, ამიტომ 1998 წელს ტერორი დროებით შეწყვიტეს და შერიგება გამოაცხადეს, მაგრამ 2000 წელს ესპანეთის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ბასკების ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებაზე. ამასთან, „ზავის“ დასასრულს ესპანეთში მიმდინარე არჩევნებში „ერა ბატასუნამ“ დიდი მარცხი განიცადა. მაშინ ეტა-მ ტერორის ხელახლა დაწყება გამოაცხადა, რაც ესპანელებისთვის ნამდვილი შოკი აღმოჩნდა.

ორი კვირის განმავლობაში ეტა-მ 5 აქცია განახორციელა. 12 ივლისს მადრიდის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე აფეთქდა მანქანა, რომელშიც 50 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება იდო. 8 კაცი დაიჭრა, ქუჩა კი მინის ნამსხვრევებით მიმოიფინა. სამი დღის შემდეგ მალაგაში ჩაცხრილეს ქალაქის საბჭოს წევრი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი ხოსე მარია მარტინ კარპენტა. მეორე დღესვე ჩრდილოეთ აგრედაში კვლავ გაისმა აფეთქების ხმა, ხოლო ვიტორიაში უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი აფეთქდა. რამდენიმე საათის შემდეგ ბომბი აღმოაჩინეს ცნობილი ესპანელი პოლიტიკოსის მანქანაში, რომელიც მხოლოდ იმის გამო არ აფეთქდა, რომ დეტონატორი მწყობრიდან გამოვიდა.

ბასკური ნაციონალიზმის იდეოლოგი საბინო არანა (1865-1903 წ. წ.) გახლდათ, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აცხადებდა, რომ ესპანეთმა ბასკების ქვეყანა თავის კოლონიად გადააქცია და ბასკების მიწების სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდა ოთხი ესპანური (ბისკაია, გიპუსკოა, ალავა და ნავარა) და სამი ფრანგული (სული, ლაბური და ქვემო ნავარა) რეგიონებისგან შემდგარი კონფედერაციის შექმნით. 1959 წელს კი ეტა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ეტა-ს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იდოია ირენე („მარგარიტა“) 1964 წელს დაიბადა. მონაწილეობდა მადრიდში გვარდიის თანამშრომლებზე განხორციელებულ თავდასხმებში, რომლის დროსაც დაიღუპა 17 და დაიჭრა ათობით კაცი. ერთხელ ირენემ „პარტიის ნების“ წინააღმდეგ თვითნებური ტერაქტი განახორციელა, რის გამოც აქტიურ საქმიანობას ჩამოაშორეს. გარკვეული დროის განმავლობაში იგი ალჟირსა და საფრანგეთში იმყოფებოდა. 1991 წელს კი ესპანეთში დაბრუნდა და მონაწილეობდა სარაგოსაში განხორციელებულ აფეთქებაში.

ეტა-ს ყოფილი ლიდერი ფრანსისკო მუხიკა გარმენდია („პაკიტო“) 2000 წელს გაასამართლეს. მან აღიარა, რომ ეტა-ს მებრძოლი იყო, მაგრამ კატეგორიულად უარყო ორგანიზაციის ლიდერობა. მას 109 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 3 დღის შემდეგ **ეტა-ს ბოევიკებმა ფრანსისკოს განაჩენისადმი თავიანთი დამოკიდებულება გამოხატეს — გრანადაში, პირდაპირ ქუჩაში ჩაცხრილეს ანდალუზიის მთავარი პროკურორი.**

2004 წელს საფრანგეთის პირენეებში დააკავეს დაჯგუფების ლიდერი მიქელ ალბისუ ირიარტე („მიქელ ანტსა“) და მისი ორი ათეული თანამოაზრე. სწორედ იმ ხანებში აღმოაჩინეს იარაღის საწყობები, ასობით კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება და ბოევიკთა საწვრთნელი პოლიგონი, რის შემდეგაც ქვეყნის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეტა განიარაღებულია, მაგრამ... რამდენიმე დღის შემდეგ აფეთქებების ახალი სერია დაიწყო.

2006 წელს ეტა-მ „ცეცხლის სამუდამო შეწყვეტა“ გამოაცხადა. ბოევიკების თქმით, ისინი უარს იტყოდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე, თუ ხელისუფლება ამნისტიას გამოაცხადებდა ტერორიზმში დადანაშაულებული რამდენიმე ასეული ბასკი პატიმრისთვის და ეტა-ს პოლიტიკური ფრთის „ბატასუნას“ ლეგალიზებას მოახდენდა. ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა ბასკ სეპარატისტებთან ოფიციალური მოლაპარაკებების გასამართავად. მოკლე ხანში ქალაქ სან-სებასტიანოში მართლაც დაიწყო მშვიდობიანი მოლაპარაკებები ესპანეთის მმართველი სოციალისტური მუშათა პარტიისა და აკრძალულ „ერა ბატასუნას“ წარმომადგენლებს შორის. თუმცა იმავე წლის 30 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა საპატერომ ეტა-სთან მოლაპარაკებების შეწყვეტა გამოაცხადა მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ პასუხისმგებლობა აიღო მადრიდის აეროპორტ ბარახასში განხორციელებულ ტერაქტზე, რომლის შედეგად დაიღუპა ეკვადორის ორი მოქალაქე და დაიჭრა ოთხი კაცი. აფეთქების შედეგად დაზიანდა აეროპორტის შენობაც. ამგვარად, ეტა-მ ოფიციალურად დაარღვია 2006 წლის 22 მარტის შეთანხმება.

2008 წლის 20 მაისს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში ესპანური და ფრანგული პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს ეტა-ს ლიდერი ხავიერ ლოპეს პენია („ტერი“). ესპანეთის უშიშროების სამსახური მას 1983 წლიდან ეძებდა.

2009 წლის 29 ივლისს ესპანეთის ქალაქ ბურგოსში აფეთქდა ავტომანქანა, რომელიც გვარდიის ყაზარმების გვერდით იდგა. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აიღო ბასკების სეპარატისტულმა ორგანიზაცია ეტა-მ. აფეთქებამ დააზიანა ყაზარმის 14-სართულიანი შენობა, სადაც პოლიციელები და მათი ოჯახები ცხოვრობდნენ. დაიჭრა 46 კაცი.

2010 წლის 28 თებერვალს საფრანგეთისა და ესპანეთის სპეცსამსახურებმა ეტა-ს ლიდერი იბონა არონატეგუ დააკავეს.

**სამაგიეროდ, ამავე წლის მარტში საპყრობილიდან გაათავისუფლეს ცნობილი ბოევიკი, ეტა-ს მადრიდის ჯგუფის ხელმძღვანელი ხოსე იგნასიო დე ხუან ჩაოსი, რომელიც 2008 წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში დააკავეს და 25 მკვლელობისთვის 3000 წლით (სამი ათასი!) პატიმრობა მიუსაჯეს.**

ციხეში მან 21 წელი დაჰყო და რამდენჯერმე შიმშილობა გამოაცხადა. ბოლო ასეთი აქციის შემდეგ სიკვდილის პირას მყოფ ჩაოსს „ჰუმანური მოსაზრებებით“ პატიმრობის რეჟიმი შეუცვალეს — პრემიერ ხოსე ლუის საპატეროს გადაწყვეტილებით, ეტა-ს აქტივისტი შინაპატიმრობაში გადაიყვანეს, 2008 წლის აგვისტოში კი საბოლოოდ გაათავისუფლეს, რასაც საზოგადოების მძაფრი პროტესტი მოჰყვა. აქამდე ის ცოლთან ერთად ბელფასტში ცხოვრობდა, ახლა კი, როგორც ამბობენ, გაუჩინარდა. ესპანეთის ხელისუფლება მას ახალი ბრალდებების წასაყენებლად ეძებს.

ETA-ს მებრძოლები






გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# კურსკის ბრძოლა და ოპერაცია «ციტადელის» მარცხი

**მრავალი საუკუნის მანძილზე რუსეთის სახელმწიფოს თავდაცვის ხაზი ბელგოროდის მიწაზე გადიოდა. 1943 წლის ზაფხულშიც სწორედ აქ გაიმართა მსოფლიო ომების ისტორიაში არნახული მასშტაბის კურსკის ბრძოლა. ორივე მხრიდან ამ ბრძოლაში 4 მლნ-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა, გამოიყენეს 69 ათასი ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, 13 ათასზე მეტი ტანკი და 12 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავი.**

სტალინგრადთან ფაშისტური ჯარების დამარცხებისა (1942-43 წ.წ.) და საბჭოთა არმიის ზამთრის იერიშის შემდეგ გერმანულმა სარდლობამ 1943 წლის საგაზაფხულო კამპანიის დაგეგმვისას, სტრატეგიული უპირატესობის დასაბრუნებლად გადაწყვიტა, დიდი შეტევა განეხორციელებინა სსრკ-გერმანიის ფრონტზე.

იერიშისთვის მოწინააღმდეგემ თავისი არმიის განკარგულებაში მყოფი, ე. წ. კურსკის შვერილი შეარჩია და **აქ განათავსა 50 დივიზია, 2 სატანკო ბრიგადა, 3 ცალკეული სატანკო ბატალიონი და 8 მოიერიშე დივიზიონი, რომლებიც დაჯგუფება „ცენტრის“ (მეთაური — გენერალ-ფელდმარშალი ჰანს გიუნტერ ფონ კლიუგე) მე-9 და მე-2 არმიების, მე-4 სატანკო არმიისა და „სამხრეთის“ არმიის ოპერატიული დაჯგუფების — „კემპფის“ (მეთაური — გენერალ-ფელდმარშალი ერიხ ფონ მანშტეინი) შემადგენლობაში შედიოდნენ; სულ — 900 ათასი კაცი, 10 ათასი ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, 2.7 ათასი ტანკი და 2 ათასზე მეტი თვითმფრინავი.**

გერმანიის სარდლობა დიდ იმედებს ამყარებდა ახალი მძიმე ტანკების — „ტიგრისა“ და „პანტერას,“ საიერიშო ქვემეხის — „ფერდინანდის,“ „ფოკევულფ-190 A“-სა და საიერიშო „ჰენშელ-129“-ის გამოყენებაზე. გეგმის მიხედვით, ალყაში უნდა მოექციათ საბჭოთა ჯარების დაჯგუფება და წარმატების შემთხვევაში წინ წაეწიათ. ოპერაციას „ციტადელი“ ეწოდა.

საზაფხულო კამპანიისთვის საბჭოთა არმიას კურსკის შვერილის მიდამოებში იერიშის განსახორციელებლად ყველა რესურსი ჰქონდა, მაგრამ, როდესაც საბჭოთა დაზვერვამ გერმანული სარდლობის გეგმები შეიტყო, სსრკ-ის უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა, მოწინააღმდეგის ძალების გამოფიტვის მიზნით, განზრახ და წინასწარ დაგეგმილ თავდაცვაზე გადასულიყო, შემდეგ კი კონტრშეტევა განეხორციელებინა და საერთო იერიში მიეტანა სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის სტრატეგიული მიმართულებით.


კონსტანტინ როკოსოვსკი


ერიხ ფონ მანშტეინი ფრონტზე


ჰანს გუნტერ კლუგე და ადოლფ ჰიტლერი

ცენტრალური ფრონტის ჯარები (მეთაური — არმიის გენერალი კ. როკოსოვსკი) — კურსკის შვერილის ჩრდილოეთს, ხოლო ვორონეჟის ფრონტის ჯარები (მეთაური — არმიის გენერალი ნ. ვატუტინი) სამხრეთ ნაწილს იცავდნენ. მათ ზურგს ძლიერი სტრატეგიული რეზერვი უმაგრებდა (მეთაური — გენერალ-პოლკოვნიკი ი. კონევი). **ფრონტების მოქმედებებს კოორდინაციას უწევდნენ მარშლები: გ. ჟუკოვი და ა. ვასილევსკი.**

ივნისის დასაწყისში **ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების შემადგენლობაში 1300 ათასზე მეტი კაცი, 20 ათასამდე ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, 3600 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2800 თვითმფრინავი შედიოდა.**

2 ივლისს უმაღლესმა მთავარსარდლობამ ფრონტების სარდლები გააფრთხილა 3-დან 6 ივლისამდე მტრის სავარაუდო თავდასხმის შესახებ. მოგვიანებით კი ცნობილი შეიქნა, რომ იერიში 5 ივლისს, გამთენიისას დაიწყებოდა.

რამდენიმე საათით ადრე განხორციელდა მძლავრი საარტილერიო და საავიაციო კონტრმომზადება, რომლის შედეგადაც მტერმა სერიოზული დანაკლისი განიცადა. 5 ივლისს ჩრდილოეთის ფრთაზე გერმანულ-ფაშისტურმა ძალებმა იერიში მიიტანეს ოლხოვატკის მიმართულებით, მე-13 არმიის მოქმედების ზონაში, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს და იერიში პონირეისკენ მიმართეს, თუმცა საბჭოთა ჯარების თავდაცვის ხაზი ვერც აქ გაარღვიეს. გერმანიის მე-9 არმიამ ტანკების ორი მესამედი დაკარგა და იძულებული გახდა, თავდაცვაზე გადასულიყო.

სამხრეთის ფრთაზე მოწინააღმდეგეს მე-6 და მე-7 გვარდიული არმიები დახვდნენ. გერმანელები ობოიანისა და კოროჩის მიმართულებით მიიწევდნენ, მაგრამ მხოლოდ 35 კმ-ით შეძლეს წინ წაწევა. მაშინ მთავარი დარტყმა პროხოროვკის მიმართულებით განახორციელეს, მაგრამ სტრატეგიული რეზერვებით გაძლიერებულმა საბჭოთა ჯარებმა მძლავრი კონტრიერიში მიიტანეს მტრის დაჯგუფებაზე.

**12 ივლისს პროხოროვკის რაიონში ომების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სატანკო ბრძოლა გაიმართა, რომელშიც ორივე მხრიდან 1500 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები მონაწილეობდნენ**. ერთ დღეში მოწინააღმდეგემ 350 ტანკი და 10.000 კაცი დაკარგა.

12 ივლისს კურსკის ბრძოლაში გარდატეხა მოხდა — მტერი თავდაცვაზე გადავიდა, ხოლო 16 ივლისს უკან დახევა დაიწყო. ვორონეჟისა და სტეპის ფრონტებმა მოწინააღმდეგეს კვალდაკვალ სდიეს და საწყის პოზიციებზე დააბრუნეს. **ოპერაცია „ციტადელმა“ მარცხი განიცადა.**

12 ივლისის გაგანია ბრძოლებისას დასავლეთისა (მეთაური — გენერალ-პოლკოვნიკი ვ. სოკოლოვსკი) და ბრიანსკის (მეთაური — გენერალ-პოლკოვნიკი მ. პოპოვი) ფრონტებმა მტრის მე-2 და მე-9 არმიებზე ორლის რაიონში იერიში წამოიწყეს (27 ქვეითი, 8 სატანკო, 2 მოტორიზებული დივიზიები, 1 სატანკო ბატალიონი და 8 საიერიშო ქვემეხების დივიზიონი). დასავლეთის ფრონტის ზოლში მთავარი დარტყმა მე-11 გვარდიულმა არმიამ მიიტანა, რომელმაც 13 ივლისისთვის გაარღვია მტრის თავდაცვის ხაზი; ბრიანსკის ფრონტის 61-ე, მე-3 და 63-ე არმიებმა შესაბამისად — 8, 14 და 15 კმ-ით წაიწიეს წინ. მოკლე ხანში იერიში გაიშალა ფართო ფრონტზე, რამაც კეთილსაიმედო ვითარება შექმნა კრომის მიმართულებით ცენტრალური ფრონტის კონტრშეტევაზე გადასვლისთვის.

26 ივლისისათვის გერმანიის ჯარები იძულებული შეიქნენ, დაეტოვებინათ ორიოლის პლაცდარმი და დაეხიათ პოზიცია „ჰაგენზე“ (ბრიანსკის აღმოსავლეთით). 29 ივლისს გათავისუფლდა ვოლხოვი, 5 აგვისტოს — ორიოლი, ხოლო 18 აგვისტოს საბჭოთა ჯარები მტრის თავდაცვის ზღუდეს მიუახლოვდნენ ბრიანსკის აღმოსავლეთით.

კონტრშეტევას ბელგოროდ-ხარკოვის მიმართულებით, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტთან ერთად, ვორონეჟისა და სტეპის ფრონტები ახორციელებდნენ (მეთაური — არმიის გენერალი რ. მალინოვსკი). მოწინააღმდეგის ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფების შემადგენლობაში შედიოდა 18 დივიზია (მათ შორის, 4 სატანკოც) და მე-4 სატანკო არმიისა და „კემპფის“ ოპერატიული დაჯგუფების 2 სატანკო ბატალიონი.

კონტრშეტევა 3 აგვისტოს დილით, მძლავრი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ დაიწყო. მალე ბრძოლაში ჩაერთო პირველი სატანკო და მე-6 გვარდიული სატანკო არმიები.

წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა წინ 20 კმ-ით წაიწიეს და 5 აგვისტოს ბელგოროდი გაათავისუფლეს. **იმავე საღამოს მოსკოვში პირველად გაისმა საარტილერიო სალუტი ორიოლისა და ბელგოროდის გამათავისუფლებელი ჯარების საპატივცემულოდ.** 5-დღიანი იერიშის შედეგად პირველმა და მეექვსე გვარდიულმა სატანკო არმიებმა 100კმ-ზე მეტით წაიწიეს წინ და 7 აგვისტოს ბოგოდუხოვოც აიღეს.

11 აგვისტოს ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა ხარკოვი-პოლტავის რკინიგზა დაიკავეს, სტეპის ფრონტის ჯარები კი ხარკოვის თავდაცვის ზღუდეს მიადგნენ. გერმანულმა სარდლობამ ბრძოლაში ჩართო დონბასიდან გადმოსროლილი ოპერატიული რეზერვები, მაგრამ იძულებული შეიქნა, შეეწყვიტა იერიში და თავდაცვაზე გადასულიყო. საბჭოთა ჯარებმა 23 აგვისტოს მთლიანად გაათავისუფლეს ხარკოვი და გერმანიის ფრონტის სამხრეთ ფრთას მიადგნენ. მათი მიზანი უკრაინის მარცხენა სანაპიროსა და მდინარე დნეპრზე გასასვლელის გათავისუფლება იყო.

**კურსკის 50-დღიან ბრძოლაში განადგურდა მოწინააღმდეგის 30 დივიზია, მათ შორის, 7 სატანკოც. გერმანიის ფაშისტური არმიის დანაკარგებმა ნახევარი მილიონი კაცი შეადგინა.** საბჭოთა საჰაერო ძალებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს ჰაერში. კურსკის ბრძოლის გამარჯვებით დასრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს პარტიზანებმაც, რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებდნენ. მათ მოწინააღმდეგის ძალები შებოჭეს და 1460 თავდასხმა განახორციელეს რკინიგზის ხაზზე, მწყობრიდან გამოიყვანეს 1000-ზე მეტი ორთქმავალი და გაანადგურეს 400-მდე სამხედრო ეშელონი.

კურსკის ბრძოლა დიდი სამამულო ომის უდიდესი ბრძოლა იყო, რომელშიც საბჭოთა არმიამ ფაშისტური გერმანიის უკანასკნელი დიდი იერიში ჩაშალა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და საბოლოოდ მოიპოვა სტრატეგიული უპირატესობა.

**კურსკის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, რადგან მან უზრუნველყო ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში. გერმანულ-ფაშისტური სარდლობა იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა იერიშის სტრატეგიაზე და მთელ ფრონტზე თავდაცვაზე გადასულიყო.**

ამასთან, აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარებისა და ავიაციის გადმოსროლა მოუხდა ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, რამაც ინგლის-ამერიკის ჯარებს სიცილიასა და იტალიაში გადასხდომა გაუადვილა...




საბჭოთა ჯარები შეტევაზე

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «ტავრინის საქმე» და რადიოთამაში «ტუმანი»

**1944 წლის 5 სექტემბრის ღამეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გჟატის რაიონული განყოფილების უფროსმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვეტროვმა მიიღო საიდუმლო შეტყობინება, რომ მოჟაისკის მიმართულებით გაიფრინა მტრის თვითმფრინავმა, რომელსაც საზენიტო არტილერიამ სამჯერ გაუხსნა ცეცხლი. ერთ-ერთი ძრავი აალდა და მფრინავები იძულებული გახდნენ, მიწაზე დაშვებულიყვნენ. გარკვეული ხნის შემდეგ ვეტროვმა მორიგი შეტყობინება მიიღო: უცნობი თვითმფრინავი სოფელ იაკოვლევოს რაიონში დაეშვა. დილით კი იქიდან კარმანოვოს დასახლებისკენ მოტოციკლეტით გაემგზავრნენ ქალი და მამაკაცი. დივერსანტები დააკავეს.**


შილოვა და ტავრინი

1944 წლის 30 სექტემბერს თავდაცვის სახელმწიფო კომისარიატში სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატიდან მოვიდა მოხსენებითი ბარათი №4126/M ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სახელზე. დოკუმენტი იტყობინებოდა: „მიმდინარე წლის 30 სექტემბერს სმოლენსკის ოლქის რაიონული ცენტრის, სოფელ კარმანოვოს მახლობლად ენ-კა-ვე-დე-სა და ენ-კა-გე-ბეს თანამშრომლებმა დააკავეს წითელი არმიის მაიორის ფორმაში გამოწყობილი საეჭვო უცნობი, რომელიც მოტოციკლეტით მიემართებოდა რჟევისკენ და წარმოადგინა საბუთები საბჭოთა კავშირის გმირის, პეტრე ივანეს ძე ტავრინის სახელზე. მასთან ერთად დააკავეს ქალი, რომელმაც თავი ტავრინის მეუღლედ — ლიდია პეტრეს ასულ ტავრინად წარმოადგინა.

1943 წლის სექტემბრიდან 1944 წლის აგვისტომდე ტავრინი ჯერ ფსკოვში, შემდეგ კი რიგასა და ბერლინში, სპეციალური საქმიანობის აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის გეორგ გრაიფეს, ამავე განყოფილების თანამშრომლის სკორცენისა და ესესის მაიორის — კრაუსის ხელმძღვანელობით ინდივიდუალურ მომზადებას გადიოდა ტერორისტული აქტის განსახორციელებლად სსრკ-ის ხელმძღვანელობაზე.

მიმდინარე წლის 4-დან 5 სექტემბრის ღამეს იგი რიგის აეროდრომიდან ფრონტის ხაზის გადმოკვეთით, ოთხადგილიანი გერმანული სატრანსპორტო თვითმფრინავით ს. კარმანოვოს რაიონში გადმოსვეს. გადმოსმა განახორციელა რიგაში მყოფმა გერმანიის სადაზვერვო ორგანომ, პირობითი სახელწოდებით „ცეპელინი.“ **მიზანი ამხანაგ სტალინზე ტერორისტული აქტის განხორციელება იყო, ხოლო ხელსაყრელ პირობებში მთავრობის სხვა წევრებზეც — ბერიაზე, კაგანოვიჩსა და მოლოტოვზე.** ნივთიერი სამხილები საქმეს თან ერთვის.


ობერშტურმბანფიურერი ოტო სკორცენი

გერმანული დაზვერვის შემდგომი ზრახვების გამოსავლენად დაწყებულია რადიოთამაში გერმანელებთან. 25 ოქტომბერს მოწინააღმდეგის რადიოცენტრთან დამყარებულია ორმხრივი კავშირი. რადისტად გამოიყენება ტავრინის ცოლი — ლიდია შილოვა, რომელმაც რადიოსაქმის კურსი გაიარა გერმანელებთან და ზურგში გადმოსროლილი იქნა ტავრინთან ერთად...“

ამავე დროს გერმანული თვითმფრინავის ეკიპაჟის საძებნელად დაუყოვნებლივ ჩამოყალიბდა სამი ოპერატიული ჯგუფი 50 კაცის შემადგენლობით, ხოლო სმერშიდან მათ წითელარმიელთა 80-კაციანი ჯგუფი შეუერთდა. ტყის ჩხრეკისას თვითმფრინავის დაშვების ადგილიდან 7 კმ-ში ეკიპაჟის კვალს მიაგნეს. სავარაუდოდ, მარშრუტით გადაადგილებისას ჯგუფის მეთაურმა რამდენიმე საიდუმლო პოსტი განათავსა.


ნორდ-ცეპელინის ხელმძღვანელის მოადგილე გრაიფე და ტავრინი

9 სექტემბერს 22 საათზე გერმანელები ტყიდან გამოვიდნენ და სოფლის ხიდზე გადასვლისთანავე მოესმათ ბრძანება: „სდექ! ხელები მაღლა!“

გერმანელები ბრძანებას არ დაემორჩილნენ და ბრძოლა გააჩაღეს, რომელიც დილის 4 საათამდე გაგრძელდა. **ყველა პილოტი განსაკუთრებული ავიაჯგუფის „KG-200“-ის შემადგენლობაში იმყოფებოდა და მათივე აღიარებით, გერმანული დაზვერვის დავალებით, საბჭოთა კავშირის ზურგში გადაჰყავდათ აგენტები, დივერსიული და ტერორისტული აქტების განხორციელების მიზნით.**

დაკითხვაზე ტავრინმა გერმანიის სადაზვერვო ორგანოების, მათი ამოცანების, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ჩინებული ცოდნა გამოავლინა. იგი კარგად იცნობდა ხელმძღვანელებსაც — „ცეპელინის“ აღმოსავლეთ განყოფილების პირველ მეთაურს, შტურმბანფიურერ ვალტერ კურეკსა და ობერშტურმბანფიურერ ჰაინც გრეფეს, ასევე დოქტორ ერიხ ჰენგელჰაუმფტონსაც. ამას გარდა, **დავალებაზე გაგზავნის წინ მას პირადად ჩაუტარა ინსტრუქტაჟი „№1 დივერსანტმა“, ესესის ობერშტურმბანფიურერმა ოტო სკორცენიმ.**

ტავრინისა და მისი მხლებელი ქალის დაკავებისას კონტრდაზვერვისთვის ცნობილი შეიქნა შიფრები, კოდის ცხრილები და აგენტების ჩავარდნის შემთხვევისთვის გათვალისწინებული შეტყობინების ხერხები. რადისტი ქალის შიფრის „ლოზუნგი“ იყო — „სალამი ქალბატონისგან.“ **„ცეპელინში“ შილოვასაც ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი: თუ ის კონტროლქვეშ იმუშავებდა, რადიოგრამის ბოლოს უნდა მიეწერა „ლ. შ.“, ხოლო დამოუკიდებლად მუშაობისას — „ლ. პ.“**, თუმცა ეს არ ყოფილა „ცეპელინის“ მიერ მიღებული სიფრთხილის ყველა ზომა...

მოგვიანებით გაირკვა, რომ „ცეპელინმა“ უსაფრთხოების მიზნით კიდევ ერთი სიგნალი შეიმუშავა, რომელიც მხოლოდ ტავრინმა იცოდა, მის ცოლს კი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ პირობით სიგნალზე...

შიფრის პირობითი სიგნალი კი შემდეგში მდგომარეობდა: შეირჩეოდა სიტყვა, რომელშიც ორი ერთნაირი ასო გვერდიგვერდ იწერებოდა, მაგალითად: „русский“ ან „коммуна“ და ა.შ. გერმანელებისთვის კარნახის ქვეშ სიგნალის გადაცემისას ტავრინს რადიოგრამის ტექსტში, გარკვეულ ადგილას, უნდა ჩაეწერა ორი სიტყვა, რომლებიც ამ ასოებით იწყებოდა, მაგალითად: „милая мама“ ან „Сильный снегопад“. თუმცა უფრო კონკრეტულად პირობითი სიგნალის კოდირების მეთოდის ახსნაზე ტავრინმა უარი განაცხადა.

„სტუმრების“ დაკავების შემდეგ მოწინააღმდეგესთან რადიოთამაში „სმერშს“ დაევალა. შიდა მიმოწერაში სმერშელები რადიოსადგურს ჯერ „სემეიკას“ ფსევდონიმით მოიხსენიებდნენ, მოკლე ხანში კი „ტუმანი“ შეარქვეს. სწორედ ამ სახელწოდებით შევიდა რადიოთამაში სამამულო კონტრდაზვერვის ისტორიაში. **რადიოთამაშის გამართვა პირადად სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — ლ. პ. ბერიას მიერ იყო სანქცირებული, ხოლო ოპერაციას „სმერშის“ მესამე განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მაიორი ფროლოვი ხელმძღვანელობდა.**

თამაშის მიზანი გერმანული აგენტურის ჩამოტყუება და მისი დაკავება, ასევე სსრკ-ში გერმანიის სხვა აგენტების გამომჟღავნება იყო.

ეთერში პირველი გასვლა 1944 წლის 27 სექტემბერს განხორციელდა. ამ დღიდან მოყოლებული, 15 ოქტომბრამდე რადიოსადგური არა ერთხელ გავიდა ეთერში, თუმცა „ცეპელინთან“ კავშირი განგებ არ დაამყარა. ბოლოს და ბოლოს, 19 ოქტომბერს ცენტრში გადასცეს: „უფრო მკაფიოდ... ლიდიას ცუდად ესმის... რეგულარულად რატომ არ მუშაობთ? მოიყვანეთ რადისტი, რომელიც მას წვრთნიდა. მიიღეთ ზომები... კავშირის დასამყარებლად...“

21 ოქტომბერს „ცეპელინიდან“ პასუხი მოვიდა. 26 ოქტომბერს კი კავშირი დამყარდა და „ცეპელინს“ გაუგზავნეს რადიოგრამა: „ვიმყოფები ლენინოს დაბაში, კირპიჩნაიას ქუჩა № 25-ში... კიდევ ერთხელ გთხოვთ, ლიდია გამოცდილ რადისტთან დააკავშიროთ. გადმოეცით ნელა... ველი თქვენს ცნობებს. ყველას სალამი! ლ. პ.“

29 ოქტომბერს ორი რადიოგრამა მოვიდა: „შეგვატყობინეთ ზუსტად, სად იმყოფება თვითმფრინავი და მისი ეკიპაჟი...“ **და „გაიმეორეთ სახელები და რიცხვები ორ-ორჯერ. თქვენთან მე ვიმუშავებ. სალამი! მიხეილი.“**

ნათელი შეიქნა, რომ გერმანელებმა სატყუარა გადაყლაპეს. ახლა საჭირო იყო გერმანული დაზვერვის დარწმუნება იმაში, რომ ტავრინი წარმატებით მოქმედებდა. ამიტომაც ბერლინის რადიოცენტრში გაიგზავნა შიფრი: „მოსკოვში მუშაობა მოსალოდნელზე ძნელი აღმოჩნდა. ვეძებ ხალხს. მინდა სამუშაოდ მოვეწყო. მიპასუხეთ, როგორაა ლიდას ოჯახი.“ მოგვიანებით ტავრინმა ცენტრს შეატყობინა, რომ ახლო კონტაქტი დაამყარა ექიმ ქალთან, რომელსაც ნაცნობები ჰყავდა კრემლის საავადმყოფოში. ბერლინიდან უპასუხეს: „თქვენს მახლობლად მეგობრები მუშაობენ, გსურთ მათთან შეხვედრა?“

საბჭოთა მზვერავებმა იეჭვეს, რომ ეს შემოწმება იყო — ჰიტლერელებს ეჭვი შეეპარათ, ხომ არ მოქმედებდა ტავრინი ენ-კა-ვე-დეს კარნახით. ამიტომ ბერლინში ფრთხილი პასუხი გაგზავნეს: „თქვენ უკეთ იცით. თუ ეს ხელს შეუწყობს ჩემი ამოცანის დაჩქარებას, მაშინ თანახმა ვარ.“

თვეების განმავლობაში ასე აცუცურაკებდნენ ჰიტლერულ დაზვერვას. რაც მეტად ახლოვდებოდა ომის დასასრული, მით მეტად ებღაუჭებოდნენ გერმანელები ყოველგვარ იმედს. საბჭოთა მხრიდან იგზავნებოდა რადიოშეტყობინებები, თითქოს ოპერაცია წარმატებულ დასასრულს უახლოვდებოდა. 1945 წლის იანვარში ტავრინმა ცენტრს აცნობა: „განსაცდელის ჟამს საქმის ერთგული ვრჩები. რაც უნდა მოხდეს, ამოცანას მაინც შევასრულებ და გამარჯვების იმედად ვიცოცხლებ!“

შვიდი დღის შემდეგ გერმანული ცენტრიდან პასუხი მოვიდა: **„პეტრე და ლიდა... ჩვენ გავიმარჯვებთ. შესაძლოა, გამარჯვება უფრო ახლოს იყოს, ვიდრე გვგონია. დაგვეხმარეთ და ნუ დაივიწყებთ ფიცს. კრაუსი.“**

რადიოთამაში „ტუმანი“ გერმანიის კაპიტულაციამდე გაგრძელდა. ომის მიწურულს დაკავებულმა გერმანიის იმპერიის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა დაკითხვაზე განაცხადა: „ცეპელინის“ წრეებში ტავრინზე ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. მას „მნიშვნელოვან კაცად“ მიიჩნევდნენ, რომელსაც „ცეპელინისთვის“ პატივი, დიდება და სადაზვერვო საქმიანობაში უფრო დიდი უფლებამოსილებანი უნდა მოეტანა...“

ბოლო რადიოგრამა შილოვამ 1945 წლის 9 აპრილს გაგზავნა, მაგრამ პასუხი აღარ მიუღია... ომის დასრულების შემდეგ შილოვების კონსპირაციული ბინა კიდევ რამდენიმე წელს შეინარჩუნეს იმ იმედით, რომ მასზე რომელიმე გერმანელი მზვერავი გავიდოდა. მაგრამ არავინ გამოჩენილა. ასე დასრულდა ოპერაცია „ტუმანი“.

**1952 წლის 1 თებერვალს სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ პ. ტავრინსა და ლიდია შილოვას, როგორც სამშობლოს მოღალატეებს, სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა.**

2002 წლის მაისში კი მთავარმა სამხედრო პროკურატურამ უარი განაცხადა ტავრინისა და შილოვას რეაბილიტაციაზე.


გებელსი სადაზვერვო-დივერსიულ ჯგუფთან


ტავრინი მოტოციკლეტთან, ფრონტის ხაზის გადაკვეთამდე

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მამა გიორგი სხირტლაძე:

# უკანონოდ ნაშოვნი ფული ადამიანს ჭამს

**„ლოკალური თუ გლობალური მიზნების მისაღწევად გარკვეული კაპიტალი აუცილებელია, მაგრამ თანხის დაგროვება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. ფული უნდა იყოს ადამიანის მსახური და არა პირიქით", — განაცხადა ჩვენთან საუბრისას იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის დეკანოზმა მამა გიორგი სხირტლაძემ, რომელსაც ვთხოვეთ, განემარტა, ქრისტიანული სწავლების მიხედვით, რატომ ითვლება ანგარება მომაკვდინებელ ცოდვად.**



— ანგარების არსი მამონას მსახურება და ნივთიერისკენ მოდრეკაა. ანგარება მაღალ ფასეულობათა საზომად ვერცხლისა (იგივე ვერცხლისმოყვარეობა) და ფულის გამოცხადებაა, რომლის გარეშე არც ერთ მცირე თუ დიდ მოწყალებას არ გაიღებენ. ეს ყოველგვარი ბუნებრივი სიკეთის: ერთგულების, თანაგრძნობის, თანაგანცდის, უანგაროდ მოყვასის სიყვარულის გამორიცხვაა. ეს იმ ადამიანისთვის, რომელსაც თანხა არ აქვს, ყოველგვარი საყრდენის გამოცლის მცდელობაა, ანუ, თუ მას გარკვეული ფინანსები არ გააჩნია, იგი უქონელობის ბორკილებში დარჩება და ამა თუ იმ სურვილის დასაკმაყოფილებლად, საჭირო მიზნის მისაღწევად გამოსავალი არ ექნება.

**ანგარება ეს არის ის სითხე, რომელიც ნებისმიერ სულიერ ჩირაღდანს, სულიერ სანთელს, კანდელს ჩააქრობს. ეს არის ადამიანის ცნობიერების კორუმპირებული მდგომარეობა და მისი ლპობის მაჩვენებელი, რომელიც ადრე თუ გვიან ვლინდება საქმესა და სიტყვაში. ეს რუხი ცნობიერების ხალხის მანიშნებელია. ანგარებიანი ადამიანის სულმოკლე ცხოვრების წესი ძალიან მარტივია და მამონას პრიმიტიული მექანიზმებით იმართება. მას არ შეუძლია მორჩილება, ღვთისა და მოყვასის უანგაროდ, ალტრუისტული, არაეგოისტური სიყვარული, რადგანაც ის მონაა, რომელსაც არ შეუძლია სიყვარული.**

საერთოდ მსახურებაში სამი ტიპის სიყვარული და ერთგულება არსებობს.

**პირველი**

— მსახურება მონისა, რომელიც სასჯელის მიღების შიშით ემსახურება თავის ბატონს;

**მეორე**

— მსახურება დაქირავებული ადამიანისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ანგარება ამოძრავებს და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ ემსახურება უფალს;

**მესამე**

— ყველაზე მაღალი მსახურებაა, მსახურება, ერთგულება და სიყვარული შვილისა, რომელსაც არც მონურად ეშინია და არც ანგარების მიზნით ემსახურება თავის მამასა და მშობელს, არამედ უანგაროდ უყვარს ღმერთი და მოყვასი.

ამიტომ ანგარების მქონე ადამიანის ცხოვრების წესი, მისი მსოფლმხედველობა, მსოფლშეგრძნება მამონას მექანიზმებზეა დაყრდნობილი. მისი გულისცემა მამონას გულისცემის სინქრონულად, მისი წამმზომით მუშაობს. შორს არის სასუფევლისგან და ქრისტიანული თავისუფლებისგან.

**— ეგოისტური, პირადი სურვილების დაკმაყოფილება შეიძლება თუ არა ანგარებად განვიხილოთ?**

— ლოკალური თუ გლობალური მიზნების მისაღწევად, მიწიერი ცხოვრების უზრუნველსაყოფად და წუთისოფლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დაწყებული ტანსაცმლით, საკვებითა და წიგნებით დამთავრებული, გარკვეული კაპიტალი აუცილებელია, მაგრამ კაპიტალი თვითმიზანი არ უნდა გახდეს.

**ფული ადამიანის მსახური უნდა იყოს და არა — პირიქით. ადამიანის გული ღმერთთან უნდა იყოს ახლოს, მოყვასის მიმართ თანაგრძნობით აღვსილი და არა რომელიმე ბანკში ან სავალუტო ფონდში ჩაკეტილი და ჩარაზული.**

ღვთის ხატად და მსგავსად ადამიანს შემოქმედების უნარი, გონება, აზროვნება, ინტელექტი და უკვდავი სული აქვს მიცემული. ყველაფერი, რაც ღმერთმა მას ხატად თვისად მისცა, მან მსგავსებაში უნდა მოახდინოს მისი რეალიზება.

**როცა ღვთის სადიდებლად და სულის საცხოვნებლად მიცემულ ენერგიას ადამიანი უკუღმა იყენებს, მხოლოდ პრაგმატულ მიზნებს ებღაუჭება, მის ცხოვრებაში მთავარ ფასეულობას არა სულიერი, არამედ სხეულებრივი, ცოდვილი სურვილების აღსრულება წარმოადგენს, ანუ როცა არა სულს ემსახურება სხეული, არამედ სხეულს ემსახურება სული — ამ შემთხვევაში უკვე ანგარების ყველაზე უარესი ფორმა გვაქვს, ადამიანის ნივთიერისადმი მონობის ყველაზე მაღალი ხარისხი.**

ანგარება და მამონას სიყვარული თავისუფალ არჩევანთანაა დაკავშირებული. ნებისმიერი ადამიანი თავად აკეთებს არჩევანს. თუ იგი ნივთიერის მონობას ირჩევს, რასაც ფული და მამონას მსახურება ჰქვია, ამ შემთხვევაში იგი თავისი არჩევანის მონა ხდება. ებმება ანგარების, ცოდვის ბორკილებში და, **რა თქმა უნდა, უკანონოდ ნაშოვნი თანხა არც ეკლესიის მიერ შეიწირება, არც მოყვასს გამოადგება და იმ ადამიანსაც ჭამს, ჟანგავს და ღრღნის. ამიტომ არის გავრცელებული ამდენი ავთვისებიანი სიმსივნე, ამდენი ფსიქიური დაავადება, უეცარი სიკვდილის უამრავი შემთხვევა და ა.შ.** ვისაც ბევრი ფული აქვს ანგარებით და ანაკანონიერი გზით ნაშოვნი, უმეტესად ასეთ ოჯახებში ხდება მძიმე განსაცდელები სხვა და სხვა ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევების სახით.

**— რატომ ისწრაფვიან სიმდიდრისკენ, რის ილუზიას უქმნის ადამიანს ფუფუნება?**

— სიმდიდრისკენ ისწრაფვიან იმიტომ, რომ მასში ბედნიერებას ხედავენ. მათთვის უმაღლეს ფასეულობას ნივთიერი ქონება და ფული წარმოადგენს. როდესაც ადამიანის გონება მხოლოდ და მხოლოდ ნივთიერისკენ მიიდრიკება, მას უხმება ფესვები, რომლიდანაც ის ბუნებრივად უნდა იღებდეს მადლს (ადამიანური არსებობის ხე მადლს უფლისაგან უნდა იღებდეს) და მოკვეთილი ფესვებით მყოფ ხეს რაც ელის, ყველამ კარგად იცის. მისი ფოთლები ანუ ცხოვრება ჭკნება.

**ფუფუნებაში მყოფი ადამიანი გარეგულად შეიძლება კომფორტისა და გარკვეული შინაგანი ცრუ სრულყოფილების მატარებელი იყოს, მაგრამ სინამდვილეში ტექნიკურად მკვდარია.** როდესაც ყვავილებს მოჭრი და წყლიან ჭურჭელში ჩადებ, ის დროებით ყვავის, შეიძლება გაიშალოს კიდეც, მაგრამ მისი დროებითი და მოჩვენებითი გაფურჩქვნა, ცოტა ხანში ჭკნობით შეიცვლება, მისი ჭკნობა ცხადდება.

ასევეა ფუფუნებაში მყოფი ადამიანიც, როდესაც მიწიერი ცხოვრება გადის, ის საუკუნო სიბნელეში და წყვდიადის მონობაში გადადის.

**— სიმდიდრისკენ სწრაფვამ შესაძლებელია ადამიანი სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს?**

— გააჩნია რა შემთხვევაში. ადამიანს, რომელსაც სურს, ის, რაც ღმერთმა მისცა, ღვთის სადიდებლად გამოიყენოს, თუ რამეს იშოვის, ოჯახს, სამშობლოსა და მოყვასს ახმარს, სასოწარკვეთილებამდე არ მივა.

**თუ ადამიანი ფულს, როგორც თვითფასეულობას, კმარფასეულობას ისე უყურებს, რომლის გარეშეც მას არსებობა არ შეუძლია, ასეთი ადამიანი, როდესაც ქონებას კარგავს ან ფული აკლდება, სამწუხაროდ, სასოწარკვეთილებაში ვარდება.**

მას ეწყება უმიზეზო შიში, ეუფლება განგაშის გრძნობა, უმწეობისა და უსუსურობის განცდა, კარგავს საყრდენს, რადგან მისი ერთადერთი საყრდენი თანხა და ოქრო-ვერცხლი იყო, რომელიც მყარი არაა (ამ ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება. დღეს მდიდარი, ხვალ შეიძლება ღარიბი იყოს). შესაბამისად, მისი გარეგნული ბრწყინვალება უცებ ჭკნობაში გადადის და მისი შინაგანი გამოფიტულობა ცხადდება, როგორც ტოტების მაგალითი ვახსენე. ნედლი მადლით დარბილებული რტო განსაცდელისა და სიძნელეების ქარში მხოლოდ და მხოლოდ ფესვებს იმაგრებს; გადაიხრება, მაგრამ არ ტყდება, ისევ გასწორდება და კვლავ აგრძელებს გაფურჩქვნას, ცხოვრების ზეიმში, დღესასწაულში მონაწილეობს.

**— მამა გიორგი, რამდენადაც ანგარება მთავარ ფასეულობად ფულის გამოცხადებაა, ალბათ, საინტერესოა, თუ სახელმწიფოს ეკონომიკურ მოწყობას და ჩვენთვის კარგად ცნობილ სახალხო დოვლათის დაგროვების სოციალისტურ და კერძო კაპიტალის დაგროვების კაპიტალისტურ იდეებს ამ ჭრილში განვიხილავთ. ამ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე?**

— კომუნისტური ეკონომიკის პრინციპი და დაგროვების მექანიზმები დასაწყისშივე მცდარი იყო. მარქსის კაპიტალის დაწერის მერე დიდი დრო გავიდა.

ათწლეულმა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლემ, ქვეყნებისა და ერების კატასტროფულმა დეგრადირებულმა მდგომარეობამ დაადასტურა ამ პოლიტ-ეკონომიური სწავლების არასწორობა და არაეფექტიანობა. ის დიდი კომუნისტური ალქიმია, რომელსაც სოციალისტური ეკონომიკა ერქვა, თვითნგრევის, თვითიზოლაციისა და თვითდაშლის მექანიზმებს დაექვემდებარა. რატომ? იმიტომ, რომ, **რაც უფლის ღვთაებრივ პრინციპებს მოწყვეტილია, ის ჟამგრძელი ვერ იქნება.** თუმცა სრულყოფილი არც ადამ სმიტის მიერ შექმნილი ეკონომიკური სისტემაა.

კაცმა არ იცის, რაში გამოიყენებდა სოციალისტური იმპერია იმ კაპიტალს, რომელიც ბოროტებაზე, სისხლსა და იარაღის კეთებაზე (ადამიანების მთელი ხელფასები სამხედრო პოტენციალის გაზრდაზე) მიდიოდა. რაც შეეხება აგრესიულ კაპიტალს, რომელიც სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დომინირებაზეა დამყარებული და დეტერმინაციას უკეთებს მათ, ნებისმიერ შემთხვევაში უარყოფით შედეგს გამოიღებს.

**რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ გარკვეული თანხები უნდა იყოს დაგროვებული, ეს მისი ძალაუფლებაცაა, მაგრამ, როდესაც ეს ადამიანთა დამონების, ტირანიის, მათი ხელფასების არაბუნებრივი შემცირების, უმუშევრობისა და მოსახლეობის ეკონომიკური თავისუფლების ხარჯზე ხდება, ასეთი კაპიტალი დადებითად ვერ იქნება გამოყენებული. შეუძლებელია ის ქვეყანა გლობალურად იყოს წარმატებული, რომლის ინდივიდუმები გაჭირვებაში იმყოფებიან.**

**თუ სახელმწიფო არ ზრუნავს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, სამუშაოს უზრუნველყოფაზე, სოციალურ უსაფრთხოებაზე და ა.შ. ის ჟამგრძელი ვერ იქნება.** ასეა ძველი ჩინური იმპერიის მაო-ძის დროიდან მოყოლებული დღემდე. ყველა სახელმწიფომ, რომელიც კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის პრინციპებს იყო მოკლებული, ცუდად დაამთავრა.

**— ცალკეული ქრისტიანული სექტები, მათ შორის პროტესტანტიზმი კაპიტალის დაგროვებას, როგორც საღვთო საქმეს, ისე აღიქვამს. არ არის ეს სწორი მიდგომა?**

— პროტესტანტიზმში რელიგია აღიქმება როგორც რაღაც მეორადი დამხმარე საშუალება, როგორც ყოფითი პრობლემების მოგვარების თანამდევი ფაქტორი.

პროტესტანტიზმს თუ დააკვირდებით, რელიგია გამოყენებითი თვალსაზრისით განიხილება და სხვათა შორის რელიგიური მატერიალიზმი წარმოიშვება. ეს არის გაქვავებული ფრაგმენტები ოდესღაც ყოფილი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, ერთ დროს სწორი სწავლების დამახინჯებული, გადაგვარებული ფორმები. შვიდი ხორციელი მოწყალება იქ აღიქმება როგორც ე. წ. რელიგიური ღონისძიებები, რომლებიც უფრო გარეგნული ცხოვრების მოწესრიგებასა და კომფორტის გაუმჯობესებას ემსახურება, არავითარ ღვთაებრივ ფასეულობას, სულისთვის მალამოსა და საკურნებელს არ ატარებს.

**— ანგარებიანი ადამიანი კარგავს თუ არა ღირსების გრძნობას?**

— ანგარებიანი, ანუ სასყიდლით დადგინებული ადამიანების, როგორც სახარება უწოდებს მათ, ღირსება და სულიერი საყრდენი უფალი და ქრისტიანული რჯული არაა, ამიტომ იცვლება მათი ფიზიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა აქ, მიწაზე, თუკი მათ ეცლებათ ეს ფუნდამენტი, უმალ ვარდებიან სულმოკლეობასა და სასოწარკვეთილებაში. თუ სულიერ დახმარებას არ აღმოუჩენენ, შეიძლება, მატერიალური საყრდენის ძებნა მათი პირადი ღირსების ხარჯზეც კი რეალიზირდეს, რასაც არავის არ ვუსურვებ. ამიტომ ადამიანი გამუდმებით უნდა ეძებდეს უფალს, ღმერთთან იყოს მისი გონება, მისი გული და არა — რაღაც ოქროს ზარდახშაში ან ბრილიანტებით სავსე ქისაში.

**— ანგარების წამალი მოწყალებაა. რას ნიშნავს მოწყალების საქმე?**

— სულიერი ლოცვა და მოწყალება — ეს ის ორი ნიჩაბია, ის ფრთაა, რომელთა მეშვეობითაც ამ წუთისოფლის მორევიდან თავს ვაღწევთ და სწორ მიმართულებას ვიღებთ. მოწყალება გზის მაჩვენებელი ის ჩირაღდანია, რომელიც ხანდახან ჩვენს დაბნელებულ გზას ანათებს ხოლმე. ეს არის გაამაყებული ადამიანის მომთვინიერებელი, თავის დამამდაბლებელი და არა — დამამცირებელი.

**შეიძლება ადამიანს ისე მისცე მოწყალება, რომ დაამცირო და პირიქით, ღვთის სადიდებლად განაწყო. გააჩნია რისთვის გასცემს, ქრისტიანული გულმოწყალებით თუ საკუთარი თავისა და ეგოცენტრიზმის დასაკმაყოფილებლად. მოწყალება უნდა იქნეს გაღებული სუფთა გულიდან, თორემ კრიმინალური გზებით მოპოვებული თანხებიდან გაღებული მოწყალება ადამიანს სულიერ დეგრადაციამდე მიიყვანს, არ შეიწირება და უკუეფექტი ექნება.** მოგება დღეს აქ, ხვალ და ზეგ დიდ წაგებას იწვევს სადღაც სხვაგან და იქ, ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო — ყველას ყველაფერი არ შეიძლება გამოართვა ადამიანმა, რადგან დღევანდელმა რაღაც დივიდენდმა შემდეგ მომავალში სხვაგან საკმაოდ დიდი უკუდარტყმა და დაკარგვა გამოიწვიოს, რისი უამრავი მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ.

**— ანუ ანგარებით გაღებული მოწყალებაც არსებობს?**

— მოწყალება ანგარებიანიც შეიძლება იყოს. ვიმეორებ, ყველას ყველაფერი არ უნდა გამოართვა, რადგან გამორთმევის შემდეგ, შესაძლოა, ადამიანი სულიერ ჩიხში, ჭაში, ხაფანგში ან მახეში აღმოჩნდეს. მოწყალების შედეგად დროებით მიღებულმა შვებამ მეტამორფოზა განიცადოს და სასოწარკვეთილებაში გადავიდეს. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს მოწყალება როგორც გაღებული, ასევე — გამორთმეული.

**— ჭეშმარიტი მოწყალება?**

— ჭეშმარიტი მოწყალება ეს არის უანგარო, ღვთის სადიდებელი, რომელიც ადამიანს ცდუნების ნაყოფს არ აზიარებს და ისეთ ტვირთს არ აჰკიდებს, რომ ველარ შებობლდეს და შეხოხდეს სასუფეველში, შუა გზაზე დარჩეს და სხვაც არ შეუშვას. ამიტომ უნდა ვემსახუროთ უფალს. ის დაგვეხმარება, გვერდი ავუაროთ იმ სულიერ ხაფანგებს, რომლებიც მალულად და მზაკვრულად არის დაგებული, ზოგჯერ გარეგნულად კეთილია, ტკბილია, ლამაზია, ბზინავს, მაგრამ, რაც ბზინავს, ყველაფერი ოქრო არაა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# არჩევანი მე(?)

**ნებისმიერი დონის მკითხველი სულ იოლად მიხვდება, ჩემ მიერ „გონივრულად“ მორგებული სათაურის შემდეგ რა „მარგალიტები“ უნდა დავახვავო მათ თვალთა წინ. ამ სათაურს მე როგორ მოვიფიქრებდი ჩემით, რომ არა სიზმარი, რომელიც წუხელ ვნახე.**

ვითომ ტელევიზორს ვუყურებ და ერთმა პარლამენტარმა ლექსი არ თქვა(?!):

„არადანი — ჩვენ,
არჩევანი — თქვენ,
„კოდას“ კვერცხი — ჩვენ,
ბუს კვერცხები — თქვენ!“

„კოდას“ ქათმებს და კვერცხებს ჯვარი სწერიათ, არც ბუს შევაწუხებ ჯერჯერობით. აი, არჩევნების თემას კი გვერდს ნამდვილად ვერ ავუვლი და, თუ გულიანად არა, სიმწრით მაინც გაგეცინებათ, ჩემს თავს ამ ეტაპზე ბედნიერად ჩავთვლი.

ბუნებრივია, უპირველესი კანდიდატით დავიწყებ, რომელიც დროებით აღარაა მერი (30 მაისამდე მაინც). მაგრამ უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მერობის კანდიდატი სიმარჯვითა და მოხერხებით უნდა გამოირჩეოდეს, რაც უგულავას ნამდვილად არ აკლია. მე შენ გეტყვი, თონეში პურის ჩაკვრა-ამოყრა არ ემარჯვება, ლესვა-ღებვა, ბულალტრული ანგარიში თუ მანქანის ავზში ბენზინის ჩასხმა (გინდაც ოპოზიციონერის მანქანის ავზში), რითაც მისით კმაყოფილი თუ უკმაყოფილო ადამიანები ერთნაირად გააოცა ტელეეკრანებიდან.

ამას ქუჩაში ყურმოკრული დიალოგიც ეჭვშეუტანლად ადასტურებს:

— მალადეც, ძმაო! — ეუბნება რაიონიდან ჩამოსული ერთი მამრი მეორეს, ადგილობრივს, — ყველაფერი ნამარჯვება ამ პატიოსან კაცს და დავტიოთ მაგი მერად.

— არაფერი შეგეშალოს, — მეორემ (ზოგი რა ბოროტია!), — დასუფთავების მანქანაზე ცალი ფეხით დგომა მაინც არ შეუძლია, თუ არა, ხომ დადგებოდა?!

— კაი ერთი, — პირველმა, — ეგ რა სალაპარაკოა, მაგ კაცი, გადმოცემით ვიცი, ბავშვობაში „სამაკატკაზე“ კატაობის დროს დამტვრეულა ცალ ფეხზე დგომისას და მის მერე სძულს ცალფეხდასადგმელი მოძრავი ტრანსპორტი.

მეორე კინაღამ „დანებდა“, მაგრამ გამოსავალი მალე მოძებნა:

— ვაი, შენს პატრონს, შე უწიგნურო, უძრავი ტრანსპორტი სად გაგიგონია შენ?!

— აპა, კოლმეურნეობის მოედანზე რო „კონკა“ დგას, უძრავია, აპა რა ჩემი ფეხებია, „პერაშკებს“ აცხობენ შით?!

მოვეშვათ ახლა ამ ორ მოკამათეს, თორემ ძალიან შორს წავალთ, ფაქტი კი ერთია, ამ ეტაპზე უგულავა ერთ-ერთი, მერობის ურეალურესი კანდიდატია ყველა შესაძლებლობით.

მომდევნო კანდიდატი ბატონი თოფაძეა, რომელიც ნამდვილად შანსიანი კაცი გახლავთ. რაც არ უნდა იყოს, საქმე იცის, უყვარს და „საქმით“ შემოდის თამაშში. მარტო ის რად ღირს, რომ კაცს 3 მილიონი დოლარის „პივა“ დაექცა და წარბიც არ შეუხრია: „სადაცაა, იქ დაიქცევაო“. „პივა“ კიდევ იქნება, სისხლი ხომ არაა, დამენანოს, ღმერთმა ყველას შეგარგოთ, მაგრამ ხელისუფლების დონორი არც ვიყავი და არც ვიქნებიო. „ზემოთ“ ამის გაგონებაზე კინაღამ (უმრავლესობას არ აქვს) ულვაშებში ჩაეცინათ, არ იქნები დონორი და ვნახოთ, როგორ შეხვალ მერიაში, შენ მერია გურიის სოფელი არ გეგონოს, სახელმწიფო ორგანოაო.

კაციშვილმა არ იცის, რა მომავალი ელის ბატონ თოფაძეს, მაგრამ ერთი კია — „საქმოსანი საქმოსნობას ვერ მოიშლის“!

ჭანტურიამ სულაც განცვიფრებაში მოიყვანა პატივცემული ამომრჩეველი — გაზი 10 თეთრი, შუქი — 5 და წყალი უფასოდ გექნებათ, მე თუ ამირჩევთ მერადო.

ქართველი ბუნებით კია მიმნდობი და კეთილი ბუნების, მაგრამ ეჭვია, კაცს რომ ღუპავს:

— რას ქვია, გაზი — 10 თეთრი?! მაგი ძველი სკამიდან ლურსმნის ამოსაგლეჯ გაზს ხომ არ გულისხმობს? — თქვა ერთმა.

— გაზს კი არა, „პლოცკოს“! აირს გულისხმობსო, — მეორემ.

— კი მარა, — პირველმა, — საიდან მოაქვს ასე იაფი გაზი, სულ უფასოდ ხვარ აძლევენ ნეტავიო?

— მაგი ბაქოში რომ იყო, არ გახსოვს, შე აბდალო?

— მერე?

— ჰოდა, ჩამოიტანა იქედან მარაგი და შენახული აქვს.

— სად კაცო, სად? — გადაირია „ურწმუნო“.

— სად... სად... სად და „კასპში, ერთ დიდ კლდეში ძევსა“, ყველაფერს შენ ხომ არ გეტყვის?!

— კაი, — არ ეშვება მოწინააღმდეგე, — დავუშვათ გაზი კი... ხო, ბატონო, მარა ე დენი საიდან მოაქვს ასთე იაფად?

— აუ, ვინ ყოფილხარ, კაცო, შენ? დენს მოტანა რად უნდა, დენი ადრე არ იყო საქართველოში, თვარა ახლა რამდენიც გინდა, იმდენია, ფასის დაკლებას რა უნდა, შე ურწმუნო!

— კი მარა, წყალი? წყალი გვექნება სულ უფასოდ? (რაა, ზოგიერთი... სამარეში ჩაგყვება!).

— ბიჭო, წყალს მიაქვს მთელი საქართველო, ეგ კი არა, სულ უფასოდ უვარდება მოსახლეებს ეზო-სახლებში, შე უმადურო, მაგაში ფულს ხომ არ გამოგვართმევს ეგ პატიოსანი კაცი?!

მოპაექრემ თითქმის წააგო, მაგრამ მთლად არ დანებდა:

— ქვითარში ხომ შუქთან და წყალთან ერთად ნაგავიც წერია და ნაგვის ფული?

— ოოო! — თქვა მეორემ, — შე დალოცვილო, ნაგვის მეტი რაა ქალაქში და, მით უმეტეს ნაგავსაყრელზე. თუ გინდა, მიგასწავლი, რამდენიც გინდა, იმდენი, უფასოდ... მიდი, აიღე, რა პრობლემაა!

მოკლედ ჭანტურიასაც აქვს რაღაც შანსები, რასაც ვერ ვიტყვით აშკარად ემოციურ მერობის მორიგ კანდიდატ ვაშაძეზე, რომლის უკვდავი ლოზუნგია: „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს!“

— რას ჰგავს დღევანდელი თბილისი, — ავბედითი თვალის ბრიალით კითხულობს აღნიშნული კანდიდატი, — უსახური მშენებლობები... უაზრო პროექტები... ახლანდელი მშენებლობები ნაგვისგადამმუშავებელი ქარხნებიდან გამოშვებული უხარისხო მასალებით შენდება.

— მერე რა? — ოპონენტმა, — სამაგიეროდ შენობები მაღალი და ლამაზია.

ამის გაგონებაზე „სამერო“ კაცი სულ გადაირია:

— მაღალი და ლამაზი, ჩემო ბატონო, პარლამენტშიც და ოპოზიციაშიც ბევრია, მაგრამ ჭკუა არც ერთს არ მოეკითხება.

არ ვიცი... არ ვიცი... რას იტყვიან „ჟიურის“ წევრები, ან რა „სმს“-ები ეყოფა ამ კაცს, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

ივანიშვილი კი ძეგლების თავის ადგილზე დაბრუნებას გვპირდება. ა, კაცი!!! ა, ვაჟკაცი!!!

დაბრუნდება ძეგლები თავის ადგილზე, შეწყდება წვიმები, ეს გაუთავებელი წვიმები, გამოვა მზე... მზის მიბაძვით მთვარეც გამოანათებს ღამღამობით. ჯერ დაუბადებელი ბავშვებიც იფიქრებენ: „რა ჯობია გარეთ გასვლას, ქეიფსა და ლხენასაო“, გამრავლდება ერი და ჰერი, ჰერი!!! მაგრამ ეჭვი მეპარება, გაიმარჯვოს, დასაბადებელი ბავშვები ყოყმანობენ: „მაგის მოსატყუებელი კბილები ჯერ არ ამოგვსვლიაო“.

სიკვდილსაც დავიწყებიხარ, ძმაო, ზვიად!

თუ ვინმე მერობას აპირებს, ზვიადი აპირებს, აბა, არ უნდა დააპიროს?! დევიზი: „ბრძოლა დღესვე!!!“

კი არ მინდა, გული გავუტეხო, მაგრამ უნდა ვუთხრა, რომ ბრძოლის მეთოდები მოუძველდასავით.

მე მახსოვს ამაყი, ზვიადი ზვიადი, რომელიც სამტრედიაში ლიანდაგებზე გაუწვა მრავალტონიან მატარებლის შემადგენლობას. არც ომი და ვაივაგლახი, ციხე და უბედურება დაკლებია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ცოტა შეყოყმანდა... ლიანდაგზე არ გაწოლილა. ვერ ვიტყვი, რომ გაციებას მოერიდა, ასაკმა და სიბრძნემ უფრო გადასწონა. ასკინკილათი რელსზე მიმავალ „უცნობს“ არ აჰყვა და „საცა არა სჯობს“, გაეცალა აბჯარასხმულ პოლიციელთა კორდონს, თუმცა სახლში მისულმა (მაინც მებრძოლია) რამდენიმე ტყვია ცას გაუყარა.

„ზოგი მგლისკენ და ზოგიც — ცხვრისკენო“, — გვმოძღვრავს ქართული სიბრძნე და მინდა ერთი უბრალო, უმნიშვნელო დეტალი აღვნიშნო:

„რატომ გაალიზიანეს ხუთი შვილის მამა შუაღამეზე?“ და აქვე ვპასუხობ ჩემსავე კითხვას: „იმიტომ, რომ... იმიტომ!“

მკითხველი მიხვდება... დალოცვილებო, ღამის 2 საათზე (თუნდაც ღამის 12 საათზე) რატომ აკრავთ მოწინააღმდეგის „პლაკატებს“ განერვიულებული კაცის სახლის წინ, მაინცდამაინც ავტობუსის გაჩერებაზე? რაო? — დემოკრატიააო და როცა მოვიცალეთ, მაშინ გავაკარითო?.. კი, ბატონო, მაგრამ ვთქვათ დავიჯერე... ეს მთელი სამი „რუსთავი 2“ საიდან გაჩნდა ასე ელვისებურად იქ?

ხომ ვერ იტყვიან, „ისთე... მივდიოდით და უცბად შევამჩნიეთ, რომ...“ ხომ არ გვაგონებს ეს „რუსთავი ორები“ ბერიკაშვილის განკარგულებას: „თელავში იყოთ, იქ იყვირეთ“?..

მოკლედ, მე იუმორისტი ვარ და ეს რა ჩემი საქმეა, ამას გამოძიებაც დაადგენს (?!), მაგრამ მაინც, ვისთან გაქვთ საქმე? ვისთან? ახლა კი გადარჩით, „ტელევიზორჩიკებო“, მაგრამ კაი და იმ ზვიადის 5 ბავშვს რომ გაღვიძებოდა პატარ-პატარა „კოლტებით“ და აეტეხათ ბათქაბუთქი, რომელიმე გადარჩებოდით?! არ უნდა იფიქროთ?..

ვინღა დამრჩა?

ხო, გრეჩიხა II-მაც გადაწყვიტა კენჭისყრა მერობაზე, მაგრამ დროზე შეუძახეს: „აზრზე მოდი, ტოო, საკანში ნაჯდომ კაცს სახელმწიფო დაწესებულებაში რა გინდა, „ქურდულს ტეხავ, გრეხიაო“ და გაჩერდა. წინ დიდი ამბები გველოდება რა, „კაროჩე...“

მოვეშვათ ახლა ამ არჩევნებს, მომავალი წინაა.

რა უბედურება გველის წინ კიდევ, არ ვიცით, კურდღლებივით განაბულო ქართველებო...

— რა გველის და რუსეთთან ომი, — იტყვის ახლა რომელიღაც (დედაა, რა მეოცნებე ხალხი ვართ!).

რუსეთთან ომი კი არა, შინა ომი გველის... (თფუ, ჩემი ენა ქვას!). პირველკლასელ, ჯერ მერხზე ტრაკდაუდებელ ბავშვს რომ კომპიუტერს დაუდგამ ცხვირწინ, ის ბავშვი სულ თუ არ გადაირევა, ვფიქრობ, ჩანასახშივე ცოტათი მაინც გადაიწევს „ორბიტიდან“.

პირველი ორი გაკვეთილი — კომპიუტერი,

მეორე ორი გაკვეთილი — ინგლისური.

„ბალღს“, რომელიც ფაფას ჯერ კიდევ „ფიას“, ხოლო კანფეტს „კაკას“ ეძახის, ვაიძულებთ, მსოფლიო საკონტაქტო ენას დაეუფლოს. კი არ ვასწავლით... ვაიძულებთ!

და ეს ხდება დემოკრატიის ეგიდით. „მაღალგანვითარებული თაობა!“

...სვანეთის ერთ-ერთ სკოლას მისცეს 10 ერთეული კომპიუტერი პირველკლასელებისთვის და ერთ კვირაში მიაკითხა კიდეც თბილისიდან კომისიამ შესამოწმებლად, როგორ მიდის საქმე? პირველი კლასის დამრიგებელმა ჩოფე კუსიანმა ამაყად აუხსნა კომისიის წევრებს, ათივე შევიტანე კლასშიო.

— შედეგი? — დაინტერესდნენ კომისიის წევრები.

— შედეგი უბრწყინვალესია, ბავშვები ნიჭიერები არიან და გადააქვთ და გადმოაქვთ ეს აპარატები.

— როგორ? — გაოცდნენ „კომისრები“.

— ასე ვასწავლი: ორ კომპიუტერს მივუმატოთ ორი კომპიუტერი, იქნება ოთხი-თქვა... ეითვისეს, მაგრამ... მარა, ასის ფარგლებში რო გადავალთ, ას კომპიუტერს ამ პატარა საკლასო ოთახში რა დაატევს, ფართი მოგვიმატეთო, — ჩოფემ.

კი არ მინდა ყველაფერი სახუმაროდ გავხადო, მაგრამ ცოცხალი კაცი მეოცნებეა და წარმომიდგენია, ახლო მომავალში როგორ ივაჭრებენ თბილისს მოდებული გადამყიდველები:

— რა ღირს თქვენი კარტოფილი?

გადამყიდველი სასწრაფოდ ააწკაპუნებს კლავიშებს აპარატზე, შევა პერსონალურ საიტზე ედზგვერადზე.ცომ და უპასუხებს: — 50 თეთრი.

...ამას წინათ ერთი მეუბნება: — როდის მორჩება ეს არჩევნები, აღარ შემიძლია, დავიღალე.

უნდა დავამშვიდო: — არჩევნები მარადიულია, ვითარცა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ.

კი არ დამიჯერა?! ხომ გითხარით, ქართველებისთანა გულუბრყვილო ხალხი დედამიწაზე არ სახლობს.

სახლში მირჩიეს ოჯახის წევრებმა — შეეშვი პოლიტიკაზე წერას, შეეშვი, ორი თავი გაქვსო? (არ იციან, რომ ორი კი არა ერთიც ძლივს ღირლიტებს ჩემს გამხლეულ კისერზე).

ჩემიანები მინდა დავამშვიდო, რა მოხდა ახლა ასეთი? მე ხომ ჩემი ხალხისთვის ვწერ, არავისთვის ცუდი არ მინდა, ყველას „ლაითად“ ველაზღანდარავები-მეთქი.

არ იცით, რა მითხრეს? რა და: „ლაითად“ თუ გაგაგორეს სადმე ხიდის ძირში, ისე მაინც წაიქეცი შარვალი არ დაისვარო, თვარა სახლში არ მოხვიდეო...

ხიდზე გამახსენდა... რა ხიდებს ვაშენებთ თბილისში... აი, მაგალითად...

თუმცა... მაინც გავჩერდები, კარზე ვიღაც რეკავს...

ღმერთო, ახლა გადამარჩინე და... კიდევ დავწერ...

...მეზობელი ყოფილა, მჭადი გამომიგზავნეს სოფლიდან, ყველი ხომ არ გაქვს, ხელი ხელში გავცვალოთ, კაცი კაცითააო.

მქონდა მაცივარში, მივეცი ორი ნაჭერი, მჭადი არ გამოვართვი, მართლა ზესტაფონელი კი არ ვარ.

**მურმან მერკვილიშვილი**











კაცს 3 მილიონი დოლარის „პივა“ დაექცა და წარბიც არ შეუხრია: „სადაცაა, იქ დაიქცევაო“

19 — 25 მაისი, 2010 წელი. №18 (61)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქვეშეთი

## დბანის ხევი

**წინა მოგზაურობისას ქვეშის ციხესთან შევჩერდით და წინ აღარ წავსულვართ. მაშ ასე, ვმოგზაურობთ ქვეშეთში. ქვეშის ციხის ძირში დგას ადრეშუასაუკუნეების კიდევ ერთი შვერილაფაღსიდიანი ეკლესია, რომელიც მოგვიანებით აღუდგენიათ, უფრო სწორად კი ხელახლა აუწყიათ, რადგან მის ფასადებში ახალი ქვები არსად არ გვხვდება. VII საუკუნის ტაძრის აღდგენის კვალი უკეთ იკითხება ინტერიერში, სადაც კედლების გასამაგრებლად და კამარის თაღების დამჭერად პილასტრები აღუმართავთ.**


ქვეშის ციხე

ქვეშის ციხიდან დასავლეთით და გეტის წყლის ჩრდილოეთით ტანძიის გაშლილი ხეობა იწყება. ეს ქაჩიბაიძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი განაყარი გვარის — ორბელიანების ცენტრია.

სანამ ტანძიაში შევიდოდეთ, ჯერ სოფელი ძველი ქვეში და იწრია უნდა გავიაროთ. იწრია რომ უძველესი დასახლება ყოფილა, ამას გზიდან ხელმარჯვნივ, სამას ნაბიჯზე მდგარი ადრეშუასაუკუნეების მცირე დარბაზული საყდრის ნაშთები მოწმობს. ნასახლართა კვალი აღარსად ჩანს, ქვები ერთიანად გაუზიდავთ და ახლა ერთი ტრიალი მინდორი დარჩენილა. აქ სამად სამი ხე დგას ძველი საყდრის მოდარაჯედ. ნაეკლესიარის კედლები 2 მეტრის სიმაღლეზეა შემონახული და ოდინდელი იერის წარმოსახვა რთულდება. თვალნათლივ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ საყდრის საკურთხევლის კედელი სწორკუთხა ყოფილა.

გზიდან ხელმარცხნივ, ბორცვზე კიდევ ერთი ნაეკლესიარია. იგი გაცილებით დიდია, მაგრამ გაცილებით გვიანდელიც. მიუხედავად ამისა, ნაგებობა დასავლეთის მხრიდან სრულიად მორღვეულია.

**უშუალოდ ტანძიაში სამი დარბაზული ეკლესიაა. ამათგან ორი გვერდიგვერდ დგას ძველ უბანში. ოდნავ ქვევით რომ XVI საუკუნის ეკლესიაა, ის წმიდა გიორგის სახელობისაა, უმთავრესად რიყის ქვითაა ნაგები და სახურავი შემორჩენილი აქვს. წმ. გიორგის ეკლესიას თავს დასცქერის გაცილებით დიდი, 14 მეტრის სიგრძის მაღალი ტაძარი, რომელსაც დასავლეთიდან ტრიუმფალური კარიბჭე ჰქონია.**

საყდარი ღვთისმშობლის სახელზე აუგიათ XVII საუკუნის შუახანებში ყაფლან ორბელიანის ძეს პაპუნას და მის თანამეცხედრეს აბაშიშვილის ქალს ბანგიჯასპს. ქტიტორულ წარწერაში მოხსენიებული პაპუნა ერთხანს ქვემო ქართლის მოურავი იყო, მამამისის — ყაფლანის შესახებ კი მაშინ ვისაუბრეთ, როცა ფიტარეთში ვმოგზაურობდით (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №9, 2010 წ.). ტანძიის მესამე საყდარი ორბელინთა ნაფუძარზე დგას. ეს კოპწია საყდარი 1686 წელს აუგია სულხან-საბას მამას — ქართლის მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანს. ეს არის ამ ეპოქის ერთ-ერთი სანიმუშო დარბაზული ეკლესია — აგებული წმიდა ნიკოლოზის სახელობაზე. მის ხუროთმოძღვრებს პეტრესა და ორბელს გვიანი შუასაუკუნეების გამარტივებული სტილის გამდიდრება ძველი მეთოდით უცდიათ — ფაქიზად გათლილი პერანგის შუა რეგისტრებში ორ მწკრივად ბროწეულის ფერი ქვები ჩაუწყვიათ. ასეთი რამ ასპინძის რაიონის სოფელ ფიის X საუკუნის ეკლესიაში გვაქვს ნანახი. სამწუხაროდ, შემორჩენილი აღარ არის სულხან-საბას სახლ-მუზეუმის ადგილზე მდგარი ორბელიანთა სასახლე, რომელიც თურმე 22 ოთახისაგან შედგებოდა.


სავანეთის (სუნუხ-ქიორფი) ნაეკლესიარი


ტანძიის „ღვთისმშობელი“

სოფელ ძველი ქვეშის ტერიტორიაზე ხელმარჯვნივ ვუხვევთ, რათა აქედან გეტის ხეობას ავუყვეთ დასავლეთის მიმართულებით.

ხეობაში მოგზაურობის დროს თავს იჩენს ერთი დამატებითი პრობლემა — ერთმანეთს არ ემთხვევა ვახუშტისა და დღევანდელ რუკებზე აღნიშნული სოფლების სახელწოდება და მდებარეობა. ერთადერთი გამონაკლისი ცენტრალური სოფელი დარბაზია.

ჩვენ თანამედროვე წიფორის ტერიტორიაზე, ცენტრალურ გზაზე ვჩერდებით, სადაც საყურადღებო დარბაზული ეკლესია დგას. მას ჩრდილოეთიდან თანადროული ეგვტერი აქვს მიშენებული, რომელშიც არქიტრავული კარი გადის. საერთო ჯამში, უსახურავოდ და უკამაროდ დარჩენილი ეს ეკლესია, რომელიც XIV საუკუნის ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს, სიგრძეში დაახლოებით 13 მეტრია, სიგანეში კი — 7,5. მისი კედლების სისქე ზოგან 1,5 მეტრს აღწევს.


ჭრეშის (დემირლო) ზედა კომპლექსი


დარბაზის „წმ. გიორგი“

**სავარაუდოა, რომ ამ სოფელში ადრე ყაითმაზიშვილები ბატონობდნენ, დღეს კი, რა თქმა უნდა, აღარცერთი ქართველი არ ცხოვრობს. ამიტომ, მიტოვებულ საყდარში დანთებულ ჩვენს სანთლებს ალბათ, განსაკუთრებული მადლი აქვს.**

* * *

წიფორსა და დარბაზს შუა არის კიდევ ერთი სოფელი, რომელსაც 1992 წელს, თითქოს, ძველი სახელწოდება — ხახალჯვარი დაუბრუნდა. ამ სოფლიდან სამხრეთით, 1 კილომეტრში, გეტისწყლის გადაღმა, ორი საინტერესო კომპლექსია შემორჩენილი. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ტერიტორიაზე სოფელი „ჭრეში“ აქვს მონიშნული, ივანე ჯავახიშვილს კი — ორი „ძლეული“. ორი კომპლექსი მართლაც ორი ფეოდალის სახლზე მიგვანიშნებს.

სოფელ ჭრეშში ბარათაშვილთა სახლის ორი განაყოფი გვარის: ყაფლანიშვილებისა და იარალიშვილების წარმომადგენლები ბატონობდნენ. მათ გარდა აქ მამულები ყაითმაზიშვილებსა და ლონდარიშვილებსაც ჰქონდათ. ასეა თუ ისე, ეს ორი კომპლექსი, მეტადრე კი ზედა, თავისი ციხე-დარბაზის ნაშთებით, მსხვილ ფეოდალზე მიგვანიშნებს. გუმანი გვკარნახობს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ყაფლანიშვილებთან და იარალისშვილებთან უფრო უნდა გვქონდეს.

გეტისწყლის მარცხენა სანაპიროზე ვბრუნდებით და დღევანდელი სოფლის — დარბაზის დასავლეთ მიჯნაზე მდგარ კიდევ ერთ ძეგლს ვათვალიერებთ. ეს არის გვიანი შუასაუკუნეების უკამაროდ დარჩენილი დარბაზული საყდარი, რომელიც მოხატულიც ყოფილა, ახლა კი მხოლოდ საღებავის ლაქები აქვს შემორჩენილი.

ვიდრე აქედან ჩრდილოეთით მდებარე ხეობის მთავარ ეკლესიას ვიხილავდეთ, გეტის ხეობის სათავისკენ მივემართებით, სადაც აუცილებლად უნდა იყოს რამდენიმე ძეგლი.

**გეტისწყლისა და მისი მცირე შენაკადის** (თარაქამები მას სუნუხ-ქიორფს უწოდებენ) **წყალგამყოფ სერზე შემონახულია განვითარებული შუასაუკუნეების დარბაზული საყდრის 2 მეტრამდე სიმაღლის კედლის ნაშთები. ახლომახლო ხორბლის ხაროები და წყლის რეზერვუარებია. ამ ადგილებში ვახუშტის წიფორი, სავანეთი და დამლალო აქვს მონიშნული.**

სოფელ დარბაზში ვბრუნდებით, სადაც თარაქამების 2 ათასი კომლი ცხოვრობს. გაჭირვებით ვაგნებთ კაცს, რომელმაც ქართული იცის. ეს ფონიჭალაში მცხოვრები სოგრატ ალაზოვია, რომელიც აქ მშობლების მოსაკითხად ამოსულა. 4 კილომეტრიანი გზის დაფარვას ორხიდიანი მანქანით ერთ საათს ვანდომებთ.

დარბაზის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ნაგებია ბოლნისის ტუფის თლილი კვადრებით. ქვათა წყობის თარაზულობა დაცულია. ძირითად დარბაზს სამი მხრიდან მინაშენები აქვს. დასავლეთისა მორღვეულია, სამხრეთისა და დასავლეთისა კი ჯერ ისევ ფეხზეა: ორი მათგანი სტოვაა, ერთი — ეკვდერი.



ახლა ძნელი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა დასავლეთის სტოვა, სამხრეთისა კი თავისი ვარსკვლავისებრი კამარა-გუმბათით მეტად შთამბეჭდავია. ხუროთმოძღვარს მისთვის დიდი ფუნქციური და მხატვრული დატვირთვა მიუცია.

XII-XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმები ორგან გვხვდება. ეს არის საკურთხევლის სარკმლის საპირე და ტაძრის ძირითად დარბაზში შემავალი სამხრეთი კარის პორტალი.

ტაძრის ძირითადი დარბაზიც და სამხრეთის სტოვაც ორსართულიანია. ამას მაშინ შევამჩნევთ, როცა ძირითად დარბაზში მოვხვდებით. აქ, აფსიდის ზედა ნაწილში, ერთგვარ სამალავებში შემავალ ხვრელებს დავინახავთ, სამხრეთ კედელში კი მოზრდილ სწორკუთხა ღიობს, რომლითაც სტოვის თავზე არსებულ მცირე სათავსოში შეიძლება მოხვედრა.

ჩრდილოეთის მინაშენში ეკვდერისათვის დამახასიათებელი სიმყუდროვე და განათებაა. არადა, ტაძრის XVII საუკუნის მოხატულობა მხოლოდ აქ არის შემორჩენილი.

ისევ ეკლესიის ცენტრალურ, ძირითად დარბაზს ვბრუნდებით. აქ, საკურთხეველთან ახლოს, დევს საფლავის დიდი, წითელი ქვა, რომელზეც მხედრული წარწერაა: **„ქრისტე... ტდ** (ე.ი. 1616 წელი) **ჰესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამასად მემკვიდრე... ესე შეიწყალე მონა შენი მეჯინიბეთუხუცესი იარალისშვილი ირალი“**...

ხომ არ არის ეს ის იარალი, რომელსაც, იოსებ თბილელისა და ბერი ეგნატაშვილის თხზულებათა თანახმად, ქართლის მეფემ ლუარსაბ მეორემ თრიალეთის გზების ჩახერგვა დაავალა ყირიმელ თათართა შემოსევის დროს? თრიალეთში შემოსასვლელი გზები კი სწორედ ქვემო ქართლიდანაა, სადაც მეჯინიბეთუხუცეს იარალ იარალისშვილს მამულები ჰქონდა. იარალი ყირიმელ თათართა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. ქრონიკების თანახმად, ეს ამბავი სწორედ 1616 წელს მოხდა, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყვნენ გეტის ხეობის ანუ ქვეშეთის ამ და სხვა ტაძრების კირითხურო-ქანდაქარნი?

ახლა რომ ქართველის ჭაჭანება არ არის აქ, 1721 წლის აღწერით მოხსენიებულნი არიან: **მერაბიშვილები, გულიაშვილები, ყალიბეგაშვილები, მანასაშვილები, სუთიშვილები, დავითაშვილები, პაპიაშვილები, მებუთიშვილები, ჯანიაშვილები, არდაშელიშვილები, ბზიაშვილები, აზნაურიშვილები, ბაზაშვილები, დაქუაშვილები, ბედიაშვილები, გოკიერიშვილები, ლომშარაშვილები, ხანდამიშვილები, ხუმარაშვილები, ქედიაშვილები, ღონიაშვილები, ჭილტიკაშვილები, მუღუაშვილები, სუქსოშვილები, შუქრიაშვილები, უსენაშვილები, ჭედიტიკაშვილები, სარქისაშვილები, შოშიტაშვილები და სხვ...**

ახლა აქ თარაქამები გვეხმარებიან ჩვენი მამა-პაპის სისხლითა და ოფლით აშენებული ქრისტიანული ტაძრებისა და საფლავების მოძებნაში.

აფერუმ ჩვენს არხეინობას...

**ბელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართველები 1812 წლის სამამულო ომში

დასასრული. დასაწყისი იხ. №16-17

**ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, ომში მურადაშვილის გვარის ოთხ პირს მიუღია მონაწილეობა. ერთი მათგანი, კერძოდ, ივანე გრიგოლის ძე შედარებით კარგად არის ცნობილი თავისი ლექსების წყალობით, რომელთა შორის ერთ ლექსში 1812 წელს რუსეთში დამარცხებული ფრანგებია გამასხარავებული. სამი დანარჩენის სახელი და ვინაობა უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ორი მათგანი მსახურობდა მოსკოვის ქვეითთა პოლკში პოდპორუჩიკის წოდებით, ხოლო მესამე, შტაბს-კაპიტანი, ნარვის ქვეითთა პოლკში ირიცხებოდა.**



ბაგრატს გამორჩენია, აგრეთვე, ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი ოთხი ძმა გედევანიშვილი: ერთი კაპიტანი, ორი პორუჩიკი და ერთი პრაპორშჩიკი.

ვიდრე ომში მონაწილე ქართველების ჩამოთვლას დავამთავრებდეთ, საჭიროა დასავახელოთ პოდპოლკოვნიკი მაქაცარიძე, სმოლენსკის ქვეითი პოლკის მაიორი შენგელია, ლიტვის ულანთა პოლკის ოფიცერი გრუზინცევი I (ირაკლი ნიკოლოზის ძე), გრუზინცევი II, დადიანი-მინგრელსკი და ვინმე გოგოლაშვილი (იმერელი). არც ერთი მათგანი ბაგრატის სიაში დასახელებული არ არის.

**აქამდე ჩვენ მხოლოდ 1812 წლის საომარ მოქმედებაში მონაწილე ქართველებზე გვქონდა საუბარი. ბევრი მათგანი ნაპოლეონის წინააღმდეგ 1813-1815 წლებშიც იბრძოდა და ამრიგად გახდა რუსეთის ჯარების საზღვარგარეთული ლაშქრობის მონაწილე. მაგრამ წყაროები ისეთ ქართველებსაც იცნობენ, რომლებიც 1812 წლის კამპანიაში არ მონაწილეობდნენ და უფრო გვიან ჩაებრნენ ბონაპარტეს წინააღმდეგ ომში.**

ასეთია, მაგალითად, ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე, მის თხზულებაში „ბატონიშვილი გრიგოლის მოგზაურობა ლიტვაში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ავტორი, როგორც სამხედრო პირი, 1815 წელს მონაწილეობდა რუსეთის ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაში.

იმ ოფიცერთა რიცხვს, რომლებიც მხოლოდ 1813-1815 წწ. ლაშქრობებში მონაწილეობდნენ, მიეკუთვნება თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე. ლაიფციგთან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი ანას II ხარისხის ოპრდენით დაუჯილდოებიათ. ეს დასტურდება საკმაოდ გავლენიანი პირის 1813 წლის 9 დეკემბრის წერილით მარკიზ პაულუჩისადმი, რომელშიც ნათქვამია: „...ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თავად ჭავჭავაძის ჩემთან გამოგზავ-



ნის გამო. მასში მე ვპოვე მარჯვე და საქმისადმი ერთგული ოფიცერი. მას შემდეგ, რაც ლაიფციგის ბრძოლისათვის იგი ანას II ხარისხის ორდენით დავაჯილდოვე, ვთხოვე, სამხედრო სამინისტროს მმართველს შემატყობინოს, თუ რა განკარგულებაა გაცემული თქვენი შუამდგომლობის პასუხად საქართველოს საქმეებისათვის ჭავჭავაძის ვლადიმერის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოების თაობაზე“.

**თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, გამოდის, რომ 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 70 ქართველს მიუღია მონაწილეობა (აქედან ორს მხოლოდ საზღვარგარეთულ ლაშქრობაში), მათ შორის 12 გენერალი ყოფილა (ორი ბაგრატიონი, ორი იაშვილი, ორი ფანჩულიძე, სამი ჯავახიშვილი, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური). სინამდვილეში ომის მონაწილეთა რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო დიდი იყო. კერძოდ, უფრო დიდი იქნებოდა რიგითი მებრძოლების რაოდენობა, მაგრამ მათი საქმიანობით მაშინ არავინ დაინტერესებულა და, ბუნებრივია, რომ წყაროებსაც არაფერი შემოუნახავთ მათ შესახებ.**

ომის მონაწილეთა შორის ჩვენ ვხვდებით როგორც ფეოდალური კლასის, ისე საზოგადოების დაბალი წრის — გლეხობის წარმომადგენლებსაც. იბადება კითხვა: როდის და რა ვითარებაში მოხვდნენ ისინი რუსეთში? ჩანს, მათი ერთი ნაწილი რუსეთში დაბადებულა. სამამულო ომის ისეთ თვალსაჩინო მონაწილეთა წინაპრები, როგორებიც იყვნენ განგებლიშვილი, ბიბილური, შალიკაშვილი, ბარათაშვილი, ერისთავი, ფანჩულიძეები ჯავახიშვილები და სხვ., რუსეთს ჯერ კიდევ 1724 წელს მოევლინენ, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად.

ქართველ სამხედრო მოღვაწეთა მეორე ჯგუფი რუსეთში 1801 წლის შემდეგ გამოჩნდა. ამ წლიდან მოყოლებული ვიდრე 1812 წლამდე ალექსანდრე პირველის მთავრობამ საქართველოს სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი გაასახლა სამშობლოდან. მათ შორის (თანმხლები ამალის ჩათვლით) მომავალი სამამულო ომის ზოგი მონაწილეც ყოფილა. მაგალითად, დედოფალ მარიამს თან ახლდა ვაჟიშვილი, ილია გიორგის ძე, რომელიც პირველადაა მოხსენიებული ბატონიშვილ ბაგრატის სიაში. ომის მეორე მონაწილე იოსებ გაბაშვილი რუსეთში 1803 წელს მოხვდა, როგორც ბატონიშვილის ამალის წევრი. საფიქრებელია, რომ ომის ბევრი სხვა მონაწილეც სწორედ ამ გზითაა ჩასული რუსეთში.

**სხვა დროში და სხვა ვითარებაში გადასულან რუსეთში პეტრე და რომან ბაგრატიონთა მშობლები. ჩვენ საგანგებოდ არ ვეხებით დაწვრილებით ამასთან დაკავშირებულ რიგ საინტერესო საკითხს, მხოლოდ ვიტყვით, რომ მათ სამშობლო დატოვეს XVIII საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში და ყიზლარში დასახლდნენ. აქ 1765 წელს დაიბადა პეტრე, უფრო მოგვიანებით კი — რომანი.**

რაც შეეხება ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ბაგრატიონსა და ბატონიშვილ კონსტანტინეს, აღვნიშნავთ, რომ პირველი მათგანი რუსეთში ჩავიდა 1813 წელს მარკიზ პაულუჩისთან ერთად, როგორც მისი ადიუტანტი, მეორე — 1811 წელს, ხოლო მესამე — 1804 წელს იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან მტრული ურთიერთობის გამო.

**ასეთია ქართველ მოღვაწეთა რუსეთის სამხედრო ასპარეზზე გამოჩენის ძირითადი გზა.**







# გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეექვსე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კედლებზე სირბილის რეკორდი



**შვედეთის ქალაქ ვესტეროსის მცხოვრებმა ვერტიკალურ სირბილში რეკორდი დაამყარა. ექსტრემალური სპორტის მოყვარულმა ტონი ბერგლუნდმა კედლის 100-მეტრიანი მანძილი 34,76 წამში დაფარა.**

ვერტიკალური სირბილის წესების თანახმად, სპორტსმენი ალპინისტების მსგავსადაა დაბმული და სიმაღლიდან კედელზე ისე ჩამორბის, რომ სახე იატაკისკენ ჰქონდეს. ექსტრემალური სპორტის ეს სახეობა იმ ტექნიკისგან წარმოიშვა, რომლის დახმარებითაც მთამსვლელები ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფ დაშვებას ახორციელებენ. გარდა ამისა, მსგავს ტექნიკას სპეცნაზების მებრძოლებსაც ასწავლიან.

47 წლის ტონი ბერგლუნდის მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში შევა, მას უკვე აქვს მოლაპარაკებები წიგნის შემდგენლებთან. ბერგლუნდი დიდი ხანია სპორტის ექსტრემალური სახეობებითაა გატაცებული. წარსულში ის პარაშუტით ხტომას, სკაიდაივინგს, აკვალანგით ყვინთვასა და რაფტინგს ანიჭებდა უპირატესობას.

# ათას წელს არ გავიყინებით



**სერიოზული გლობალური გამყინვარება, ისეთი, როგორიც დედამიწაზე 116 ათასი წლის წინათ იყო და რომლის დროსაც მრავალკილომეტრიანი სისქის ყინულის ფენები გადაეკრა ჩვენს პლანეტას, უახლოეს ათასწლეულში არ გვემუქრება. სწორედ ამგვარი პროგნოზები გამოაქვეყნეს გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპერტებმა.**

ზოგიერთი მეცნიერი ამ დასკვნასა და მოსაზრებას, რომ დედამიწაზე კლიმატის შეცვლის საქმეში გადამწყვეტ როლს ადამიანის საქმიანობა ასრულებს, კატეგორიულად არ ეთანხმება. საერთოდ, მეცნიერები ვერ შეთანხმდნენ — რა მოუღებს ბოლოს ამ ცივილიზაციას: გლობალური დათბობა თუ გამყინვარება.

ანტარქტიდის ყინულების კვლევები კი ცალსახად ერთსა და იმავე პასუხს იძლევა — დედამიწაზე ტემპერატურის გლობალურ ცვლილებას ატმოსფეროში ნახშირმჟავა გაზის კონცენტრაცია განაპირობებს.

# შვედეთში ქაშაყთა მეფე იპოვეს



**როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სახეობები წარმოშობენ ხოლმე ათასგვარ მითსა და ლეგენდას საოცარი ცხოველებისა და ურჩხულების შესახებ. შვედეთის დასავლეთი სანაპიროს მახლობლად გიგანტური ქაშაყი იპოვეს. მისი სიგრძე 3,65 მეტრს აღწევს. საზღვაო მუზეუმის თანამშრომელთა თქმით, ამ სახეობის თევზი შვედეთში უკანასკნელი 130 წლის მანძილზე პირველად გამოჩნდა.**

სამწუხაროდ, ქაშაყების მეფედ წოდებული არსება მეთევზეების პატარა სოფლის სანაპიროზე მკვდარი იპოვეს.

მეცნიერების განცხადებით, ძვლიანი თევზებიდან უდიდესის სიგრძე შესაძლოა 12 მეტრს აღწევდეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შეუსწავლელი სახეობაა, ვინაიდან წყალში ძალიან ღრმად ცხოვრობს და 1000 მეტრზე მეტად წყლის ზედაპირს იშვიათად უახლოვდება.

ახლადაღმოჩენილი ექსპონატი უკვე გაყინულია და მას წლის ბოლოსთვის დაგეგმილ ზღვის ურჩხულების გამოფენაზე წარმოადგენენ.

# ამერიკა ახალი კრიზისის ზღვარზეა



**ევროპაში სუვენერული ვალების კრიზისი მეფობს. მსოფლიო საზოგადოებამ უკვე არა ერთხელ მოუწოდა ევროპის ქვეყნებს, სერიოზულად დაკავდნენ თავიანთი ფინანსური პრობლემების მოგვარებით და ბიუჯეტის დეფიციტი მისაღებ დონემდე დაიყვანონ. ანალოგიური მოწოდებით გამოვიდა ბარაკ ობამაც — მსოფლიოში უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის პრეზიდენტი. არადა, ექსპერტები ამბობენ, რომ აშშ მალე თავად აღმოჩნდება საბერძნეთის მდგომარეობაში.**

**უდიდესმა რეცესიამ, რომელმაც ცოტა ხნის წინ გადაუარა მსოფლიოს, ამერიკა აიძულა, მკვეთრად გაეზარდა სახელმწიფოებრივი დანახარჯები. შედეგად, გასული ფინანსური წლის მონაცემების მიხედვით, ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტმა რეკორდულ 1,4 ტრილიონს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ს მიაღწია. მდგომარეობას ამძიმებს ქვეყნის მოსახლეობის დაბერების შეუქცევადი პროცესი — ხელისუფლება იძულებულია, სულ უფრო მეტი თანხა გასცეს პენსიებისა და სამედიცინო დაზღვევების სახით.**

რისკებს თეთრ სახლშიც აცნობიერებენ. ორიოდე დღის წინ აშშ-ის საბიუჯეტო სამმართველოს ხელმძღვანელმა პიტერ ორსზაგმა აღნიშნა, რომ ევროპულმა პრობლემებმა **„კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ამერიკისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ზომები... გვინდა დანამდვილებით ვიცოდეთ, რომ არასდროს შევეჯახებით იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც ახლა საბერძნეთი დგას“.** ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაზე ზრუნვისკენ არა ერთხელ მოუწოდებდა ხელისუფლებას ფედერალური სარეზერვო ბანკის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკეც. მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, ამერიკის ბიუჯეტში გაჩენილი უზარმაზარი ხვრელის ამოვსებაზე ჯერ არავინ ზრუნავს.

**ამერიკის ეკონომიკა ჯერ კიდევ მსოფლიოში უმსხვილესად რჩება და დოლარი ჯერ კიდევ სარეზერვო ვალუტაა, მაგრამ საკმარისია, ინვესტორებმა ჩათვალონ, რომ ქვეყნის ვალი ძალიან სწრაფად იზრდება, მდგომარეობა წამში შეიცვლება.**

**შემდეგ აშშ მხოლოდ თანაგრძნობას გამოიწვევს მსოფლიოს თვალში, რადგან კრედიტები მკვეთრად გაძვირდება და ხელისუფლება იძულებული გახდება, ნაციონალური ეკონომიკის სისუსტეების მიუხედავად, მკაცრ რეჟიმზე გადაერთოს.**

ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა ის ნაციონალური დახმარებები, რომლებიც კრიზისის დაძლევის პროგრამის ფარგლებში გასცა, თუმცა ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი დამუხრუჭება ამის ფასადაც კი ვერ აიცილა თავიდან.

**ახლა ექსპერტები თვლიან, რომ უზარმაზარი დავალიანება და ბიუჯეტის დეფიციტი ახალი კრიზისის მყარი საფუძველია, და რომ ხელისუფლებას მდგომარეობიდან გამოსვლის არც თუ ბევრი გზა აქვს.**

**გასული წლის მონაცემებით, აშშ ბევრით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის უკვე წყალწაღებულად მიჩნეულ ქვეყნებს. აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი საერთო შიდა პროდუქტის 10%-ს შეადგენდა, საბერძნეთისა — 13,6-ს, ირლანდიისა — 14,3-ს, ესპანეთისა კი — 11,2-ს. და თუ ევროპა სერიოზულად ზრუნავს პრობლემის გადაჭრაზე, აშშ-ს ჯერ ხელიც არ გაუნძრევია.**

**მიმდინარე ფინანსური წლის ბიუჯეტში უკვე 1,56-ტრილიონიანი დეფიციტია, რაც საერთო შიდა პროდუქტის 10,6%-ს უტოლდება.**

აშშ აცხადებს, რომ დეფიციტს 2015 წლისთვის 550 მილიარდამდე შეამცირებს, მაგრამ ექსპერტები თვლიან, რომ ქვეყნის ამჟამინდელი დანახარჯებით ეს გამორიცხულია. მიმდინარე ფინანსური წლის პირველი შვიდი თვის მონაცემებით, ბიუჯეტში გარღვევამ 800 მილიარდს მიაღწია.




*rbc.ru*

# საუკუნის ახალი აფერა

**ამერიკის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი მათ, ვინც ახლახან მსოფლიო ფინანსური ბაზრის სახედ და სიამაყედ ითვლებოდა. მაკონტროლებელი ორგანოების მხედველობის არეში მოხვდნენ უმსხვილესი ფინანსური კორპორაციები, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ფინანსური კრიზისის წინ „ტოქსიკური“ აქტივების შექმნასა და ამუშავებაში.**

პროკურატურას სერიოზული პრეტენზიები აქვს ხუთი ამერიკული და ოთხი ევროპული საკრედიტო ორგანიზაციის მიმართ.

**ფედერალური პროკურორები, ასევე ბირჟების რეგულატორთა წარმომადგენლები უკვე იკვლევენ ბანკების „J.P.Morgan Chase“, „Citigroup“, „Deutsche Bank“-ისა და „UBS“-ის მონაწილეობას იპოთეკური კრედიტებით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მათი ინვესტორებისთვის მიყიდვის საქმეში.**

**გარდა ამისა, ნიუ იორკის შტატის პროკურატურა აპირებს, დაადგინოს, რა წვლილი მიუძღვით ინვესტორების შეცდომაში შეყვანის საქმეში რეიტინგული სააგენტოების ანალიტიკოსებს, რომლებიც ზემოხსენებული იპოთეკური აქტივების შეფასებებს აწარმოებდნენ. საგამოძიებო ორგანოები ვარაუდობენ, რომ რეიტინგული სააგენტოების ზოგიერთმა თანამშრომელმა გარიგებებს განგებ მიანიჭა მომატებული რეიტინგები.**

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც რეიტინგული სააგენტოების საქმეებით ინტერესდებიან. ისინი მარეგულირებელი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან დაჟინებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ 2007-ში ამერიკაში იპოთეკური კრიზისის დაწყებისას და 2008-09 წლებშიც, როდესაც მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მძვინვარებდა.

**რეგულატორებს აინტერესებთ, რატომ ანიჭებდნენ უმაღლეს საკრედიტო შეფასებას რეიტინგული სააგენტოები „Moody’s“, „Fitch“ და „Standard & Poor’s“ ნაწარმოებ ინსტრუმენტებს, რომელთაც საფუძვლად დაბალხარისხიანი იპოთეკური კრედიტები ჰქონდათ. აშშ-ის უძრავი ქონების ბაზრის რღვევამ იპოთეკური დეფოლტები განაპირობა, ამას კი მასზე დამყარებული ფასიანი ქაღალდების უზარმაზარი რაოდენობის საბანკო ბალანსებში მკვდარი ტვირთის სახით ჩამოკიდება მოჰყვა. რა მოუხერხონ ამ მოცულობის ტოქსიკურ სიკეთეს, ამჟამად არავინ იცის.**




გარდა ამისა, მსოფლიო ფინანსური ბაზრის კაპიტნებისა და რეიტინგული სააგენტოების საქმეთა გამოძიება სიტუაციას არ შეცვლის, დამნაშავეთა პოვნა კი ორიოდე წლის წინ უმაღლესი რეიტინგის მქონე ღირებული აქტივების, ამჟამად კი ბალასტისგან, ინვესტორთა ბალანსებს ვერ გაასუფთავებს.

სპეკულაციური აქტივობის გაქანება კრიზისის შემდეგაც არ შესუსტებულა. უბრალოდ, იპოთეკური ქაღალდები ნავთობით, ოქროთი და სხვა მაღალლიკვიდური აქტივებით ჩანაცვლდა.

**მაქსიმუმი, რასაც შეიძლება გამოძიებამ მიაღწიოს, მსოფლიო ფინანსური ბაზრის წამყვანი მოთამაშეების სრული დისკრედიტაციაა. ეს საბაზრო რეგულატორების წარმომადგენლებმაც მშვენივრად იციან და ამერიკის ხელისუფლების მესვეურებმაც. არავის სურს იმის გამეორება, რაც უკვე იყო, მაგრამ მსოფლიო ბაზრებზე გამეფებულ სპეკულაციურ განწყობას ვერც ეს შეაჩერებს.**

*utro.ru*



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ევროპული ერთიანობის დასასრული



**ევროკავშირი ირყევა. უზრუნველყოფილი ცხოვრება, რომელზეც ასე უყვარდათ ლიბერალებს მსჯელობა, მყიფე კონსტრუქცია აღმოჩნდა. პირველი მერცხალი საბერძნეთია. 110-მილიარდიანი კრედიტის პირობებად სოციალური პროგრამების შემცირება, საპენსიო ასაკის გაზრდა და ბიუჯეტის სხვა სეკვესტრები იქცა.**



ცხელსისხლიანმა ბერძნებმა უკვე მოაწყვეს გაფიცვები, აქციები, დემონსტრაციები, დარბევები, მაგრამ ხელისუფლება ჩიხშია: ხარჯებს ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს შეკვეცა — ასე უკეთესად გამოიხატება მორჩილება კრედიტორებისადმი, ვიდრე ისინი ჯერ კიდევ თანახმანი არიან ფულის გაცემაზე. ბრბოს მძვინვარებას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა — ისინი ბანკის ალმოდებულ შენობაში გაიგუდნენ. არავის დაუთვლია, რამდენი დაკარგეს წვრილმა მოვაჭრეებმა.

**„ბერძნული“ კრედიტის გამოყოფის ისტორიაც ასეთივე ულამაზოა. როდესაც ქვეყნის გადარჩენის საკითხი რეალურად დადგა დღის წესრიგში, გაირკვა, რომ ევროპული ეკონომიკის გრანდები სულაც არ ჩქარობდნენ ჯიბეში ხელის ჩაყოფას. ევროპის ლოკომოტივი ახლა გერმანიაა და ამ ქვეყნის მოქალაქეებს აბსოლუტურად არ ესმით, რატომ უნდა დაეხმაროს მათი ხელისუფლება ევროზონის ნაკლებადწარმატებულ მეზობელს. ერთის მხრივ, დახმარება თითქოს საჭიროა, მაგრამ მეორეს მხრივ, ბერძნები თავიანთი უსაქმურობით ლამის ამაყობენ და რა აზრი აქვს ამ მუქთახორების გამოკვებას?**

**ამ ვულგარულ ფრაზაში ასახულია იმ მსოფლმხედველობრივი კრიზისის მთავარი არსი, რომელმაც ევროპა ფინანსური კრიზისის დასრულებისთანავე მოიცვა.** საბერძნეთი მხოლოდ დასაწყისია, უმძიმეს მდგომარეობაში არიან ბალტიისპირეთის ქვეყნები, ესპანეთი, პორტუგალია, აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა. ხოლო სახელმწიფოებს, რომლებიც გაცილებით კომფორტულ პირობებში ცხოვრობენ, სხვათა პრობლემების მოსაგვარებლად მოუწევთ ფულის ფლანგვა.

ევროკავშირის წევრობა მსუყე წლებში იყო სახარბიელო, გაჭირვებაში კი ეს სულაც აღარაა ხელსაყრელი, მით უფრო, თუ მატერიალურ პრეტენზიებს გიყენებენ. რაც ყველაზე საინტერესოა, ევროკავშირის საფუძველი კოლეგიალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში თითო ქვეყანას თითო ხმა აქვს. გამოდის, რომ ესტონეთს, რომელიც მსოფლიო რუკაზე ძლივს ჩანს, მაგრამ აბეზარობით ლამის ყველა ქვეყანას აჭარბებს, ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც საფრანგეთს. ეს ადრეც უშლიდა ხელს ევროკავშირს განვითარების ერთობლივი სტრატეგიის შემუშავებაში, განსაკუთრებით — საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში.

**ახლა გერმანიის მსგავს ქვეყნებს სურთ, რომ ღარიბ მეზობლებთან შედარებით პრიორიტეტები მოიპოვონ, მით უფრო, თუ ეს ქვეყნები თავად უნდა აფინანსონ. ეს კი ევროკავშირის პრინციპებს ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ ევროკავშირი თანასწორი ქვეყნების ერთიანობა კი არა, ძლიერებისა და სუსტების კავშირია. და ამ სუსტებმა, თუ სხვისი პურის ჭამა უნდათ, ის უნდა აკეთონ, რაც ძლიერებს სურთ. არადა, ევროპამ, კარგა ხანია, განაცხადა უარი კოლონიზატორულ პოლიტიკაზე.**



საბერძნეთის კრიზისი ამერიკამდე აღწევს

*segodnia.ru*

# ევროპას აღარ სურს ჩადრი

**ამ დღეებში საფრანგეთის პარლამენტის რეზოლუციით თავისა და მხრების სრულად დამფარავი მოსახვევის — ჩადრის ტარება აიკრძალა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ მოსახვევით სახის დაფარვა არღვევს თავისუფლებისა და თანასწორობისა პრინციპებს, რასაც რესპუბლიკა ეფუძნება.**



ჯერჯერობით რეზოლუცია დეკლარაციული ხასიათისაა, მაგრამ, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში საფრანგეთის პარლამენტი კანონით აუკრძალავს მუსლიმან ქალებს სახის დაფარვას. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ევროპას ისლამის გავრცელებაზე უკვე ალერგია აქვს. არადა, საფრანგეთში ჩადრს სულ 1900 ქალი ატარებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ

**ჩადრი ფრანგებში, ისევე, როგორც ევროპის ხალხთა უმეტესობაში, მუსლიმანურ რელიგიურ სიმბოლოს წარმოადგენს და უარყოფით ემოციებს იწვევს.**

**დაახლოებით ასეთივე აკრძალვა დააწესა ერთი თვით ადრე ბელგიის პარლამენტის ქვედა პალატამ. მიუხედავად იმისა, რომ ბელგია მწვავე პოლიტიკურ კრიზისს განიცდის, აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრისას პარლამენტი პრაქტიკულად ერთსულოვანი იყო — 150-დან მხოლოდ ორმა შეიკავა თავი.**

რადიკალური ისლამისტური მოძრაობა „თალიბანის“ ბოევიკები უკვე დაჰპირდნენ ბელგიას ტერაქტებს. ინტერნეტში განთავსებული ვიდეორგოლების თანახმად, როგორც კი ჩადრის აკრძალვის კანონს პარლამენტის ზედა პალატაც დაამტკიცებს, ქვეყანას ტერაქტები მოიცავს.

ამგვარ მუქარას არც საფრანგეთს დაამადლიან, მაგრამ მუსლიმანური წესრიგის დამყარებით გამწარებულ ევროპის ქვეყნებს ამის აღარ ეშინიათ.

**რიგში შემდეგი შვეიცარიაა. იქ ანალოგიური კანონის განსახილველად უკვე ემზადებიან. იტალიაში კი ჯარიმებია დაწესებული. იქ საზოგადოებრივ ადგილებში სახის დამფარავი აქსეუარების ტარება, მათ შორის მოტოციკლეტის შლემისაც, ჯერ კიდევ 1975 წელს აიკრძალა ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით.**

მუსლიმანი მამაკაცები ამბობენ, რომ არ სურთ, მათი ცოლების სახეები სხვა მამაკაცებმა დაინახონ, მაგრამ სახელმწიფოებრივ დონეზე ევროპა თვლის, რომ ეს ოჯახური პრობლემებია. ასეთ კაცებს შეუძლიათ, მშვიდად იცხოვრონ თავიანთ ოჯახთან ერთად მუსლიმანურ ქვეყნებში და ჩაიცვან ისე, როგორც მოესურვებათ.

**ევროსაბჭოს კომისია ჩადრის ესოდენ რადიკალურ აკრძალვას არ ეთანხმება. მისი აზრით, ეს გამოხატვისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლების შელახვაა, რაც, ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის თანახმად, დაუშვებელია.**

არადა, ამ კომისიის წევრებიც ადამიანები არიან, რომელთაც მშვენივრად ესმით, რა სენმა წალეკა ევროპა და ცდილობენ, ქალის მიერ სახისა და მთელი სხეულის დაფარვა მისი თავისუფლების შეზღუდვადაც წარმოაჩინონ. ისინი იმედოვნებენ, რომ ევროპის ქვეყნების ხელისუფალნი მუსლიმან ქალებს თავიანთ უფლებებს შეასმენენ.

*segodnia.ru*

## უთავო სტატუის საიდუმლო



**ეგვიპტელი არქეოლოგები დომინიკანელ მეცნიერებთან ერთად, უკვე მრავალი წელია, ეგვიპტის ჩრდილოეთში დედოფალ კლეოპატრას სამარხს ეძებენ. კლეოპატრას ჯერაც ვერ მიაგნეს, მაგრამ გათხრებისას სპეციალისტებმა მოულოდნელად პტოლემეების სამეფო დინასტიის ფარაონის სტატუა და ძველეგვიპტური ღმერთის ოსირისის ტაძარი აღმოაჩინეს.**

ფარაონის სახელი ჯერ დაზუსტებას საჭიროებს. სავარაუდოდ, ეს პტოლემეი მეოთხის ქვის სტატუაა. ქანდაკებას თავი არ აქვს, მაგრამ უზარმაზარია და შავი გრანიტისგანაა გამოთლილი. სწორედ ამ ფარაონმა ააშენა ტაძარი, რომელიც მისი სამარხის მახლობლადვე აღმოაჩინეს.

ეს პირველი სტატუა არაა, რომელიც ამ რაიონში მეცნიერებმა უთავოდ იპოვეს. მათი ვარაუდით, ქანდაკებებს თავები ბიზანტიურ ეპოქაში დააცალეს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ დედოფალი ტაძარშია დამარხული, რადგან მის სიახლოვეს ნაპოვნი ყველა მუმია სახით სწორედ ტაძრისკენ იყურება. მიუხედავად ამისა, კლეოპატრასა და მისი საყვარლის სამარხი ჯერაც აღმოუჩენელია.

## თახვების კაშხალი, რომელიც კოსმოსიდან ჩანს



**კაშხალთა მშენებლობის რეკორდი კანადელმა თახვებმა დაამყარეს — საოცარი ჰიდროტექნიკური ნაგებობის სიგრძე 850 მეტრს აღწევს. კანადის ჩრდილო ნაწილში მდებარე ერთ-ერთ ნაკრძალში აღმოჩენილი ეს საოცრება კოსმოსიდანაც კი ჩანს. სწორედ კოსმოსურ ფოტოზე დააფიქსირეს ის პირველად.**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ კაშხალს თახვების რამდენიმე ოჯახი აშენებდა. ერთიანმა ბრიგადამ რამდენიმე ათასი ხე გადაღრღნა, ტონობით თიხა და ტოტები მოზიდა. თახვების „ბინაში“ შესასვლელი წყალქვეშაა, მაგრამ ამ შესასვლელების დასაცავად ისინი მდინარეებსა და ნაკადულებს აგუბებენ, რომ წყლის დონემ აიწიოს. როგორც წესი, კაშხლის სიგრძე 20-30 მეტრს აღწევს ხოლმე. წინამორბედი რეკორდი მონტანას შტატის თახვებს ეკუთვნოდა — მათ 700-მეტრიანი კაშხალი ააგეს. მაგრამ ახალმა რეკორდმსმენებმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბეს, მათ სულ რაღაც 200 მეტრი დააკლდათ, რომ საიანო-შუშენსკის ჰიდრო ელექტრო სადგურის კაშხალს გატოლებოდა. მაგრამ მშენებლობა ჯერ კიდევ გრძელდება.

## მარტოდმარტო მსოფლიოს ირგვლივ



**ავსტრალიელმა მოსწავლემ ჯესიკა უოტსონმა თავისი იახტით მსოფლიოს ირგვლივ მარტოდმარტო შემოუარა მსოფლიოს და ახლახან სამშობლოში დაბრუნდა.** ჯესიკა 16 წლისაა და ყველაზე ახალგაზრდა მოგზაურია დედამიწაზე, ვინც რაიმე დახმარების გარეშე მხოლოდ საკუთარი თავის იმედად გაბედა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა. წარმატებით დასრულებული ტურის შემდეგ გოგონას სამხრეთ უელსის შტატში მშობლებთან და შტატის ხელისუფლებასთან ერთად უამრავი ადამიანი ელოდა. ვარდისფერი იახტით უოსტონმა 210 დღე იმოგზაურა და 23 000 საზღვაო მილი გაიარა. სიდნეიდან ჯესიკა 2009 წლის 18 ოქტომბერს გაემგზავრა, გაიარა წყნარი ოკეანის სამხრეთი, გადაკვეთა ეკვატორი, შემოუარა სამხრეთ ამერიკის ყველაზე სამხრეთით მდებარე წერტილს, ატლანტიკის ოკეანით მიაღწია სამხრეთ აფრიკამდე და ინდოეთის ოკეანის გავლით ავსტრალიის სამხრეთ სანაპიროებს მიუახლოვდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ყველაზე უცნაური მცენარეები



ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური მცენარეა **ველვიჩია**, რომელიც 400-დან 1500 წლამდე ცოცხლობს. მას სულ ორიოდე ფოთოლი აქვს, მაგრამ თითოეულის სიგრძე ზოგჯერ 8 მ-მდეც კი აღწევს. ველვიჩია ნამიბიაში ხარობს, მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ნისლი იცის. ამბობენ, რომ მისი ამონაყარი (სპორანგიები) საკმაოდ გემრიელია, თუკი კოცონზე შეწვავ.



ბუზიჭერია **ვენერა** მწერებით იკვებება, რომლებსაც სპეციალური „ხაფანგით“ იჭერს. საკმარისია მწერი ვენერინას ბზინვარე და სურნელოვან ზედაპირზე დაეშვას, რომ ხაფანგი წამში ამოქმედდება.





**რაფლეზია** ერთადერთი ნაწილის — ყვავილისგან შედგება და ის ყველაზე დიდია მსოფლიოში, ზოგჯერ დიამეტრით 2 მ-საც აღწევს. რაფლეზიას მსხვერპლის, ანუ მწერების მოსაზიდად მძორის სუნი აქვს. უცნაურია, მაგრამ ამ ყვავილს სპილოები ავრცელებენ, როცა თავიანთი ტორებით ჭყლეტენ და მის თესლს აქეთ-იქით მიმოფანტავენ.



**დრაკონის ხე** სოკოტრის არქიპელაგზე (იემენის ტერიტორია) იზრდება და ერთობ უცნაურად გამოყურება, წითელი წვენი აქვს და სწორედ ამის გამო დრაკონის ხეს უწოდებენ. შუა საუკუნეების მეცნიერები მას ნახევრად ცხოველად და ნახევრად მცენარედ მიიჩნევდნენ, მის წვენს კი — ნამდვილ სისხლად. ხის წვენი კარგა ხანს მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა.





**Euphorbia obese** ანუ „ბეისბოლისტის მცენარე“ სამხრეთ აფრიკაში ხარობს და თავისი ორიგინალური ფორმითაა ცნობილი. ის ძალიან ჰგავს ბურთს. ფლორისტები მის გამრავლებას ცდილობენ ბოტანიკურ ბაღებში, რადგან მცენარე გადაშენების პირასაა.



პლანეტაზე სულ 8 სახეობის **ბაობაბი** შემორჩა და ისიც, მადაგასკარზე, ავსტრალიასა და აფრიკაში. მოზრდილ მცენარეს 300 ლ-მდე წყლის მომარაგება შეუძლია. ცოცხლობს 500 წელს.

## ყველაზე ძვირად-ღირებული სახლი



ყველაზე ძვირადღირებული სახლი — Antilla ინდოეთში, ქალაქ მუმბაიში მდებარეობს. მისი ღირებულება 1 მლრდ დოლარს შეადგენს. ამ ექსტრავაგანტური შენობის მფლობელი პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი, ინდოელი ბიზნესმენი მუკეშ ამბანია. 174 მ სიმაღლის 40 ათას კვ/მ-იანი ფართის სახლში 27 სართულია. მეექვსე სართულის ჩათვლით აქ ავტოსადგომია განთავსებული. საცხოვრებელი ზონა, ფაქტობრივად, მეცხრე სართულიდან იწყება. Antilla სასტუმროს უფრო ჰგავს, ვიდრე სახლს. შენობას 600-მდე მომსახურე პერსონალი ჰყავს.

## უდიდესი ძაღლი



მსოფლიოში ნიუფაუნდლენდი **ბუმერი** უდიდესი ძაღლია. მისი სიმაღლე 213 სმ-ს, ხოლო სიგრძე 90 სმ-ს შეადგენს. ბუმერი ბუნებით მშვიდია, ამიტომ მეზობლებს არ ერჩის. სამაგიეროდ, მადა სიმაღლის შესაფერისი აქვს...

## უძველესი ანეკდოტი



**ბრიტანელი ისტორიკოსების მტკიცებით, მსოფლიოში უძველესია შუმერული ანეკდოტი, რომელიც თიხის ფირფიტაზე ჩვ. წ.აღ.-მდე დაახლოებით 1900 წელსაა ჩაწერილი: „უხსოვარი დროიდან არ ყოფილა, რომ ქმრის მკლავებში მოქცეულ ახალგაზრდა ცოლს ჰაერი არ გაეფუჭებინოს!“**

## ყველაზე მაღალი ხე



ჩრდილოეთ კალიფორნიის მახლობლად ნატურალისტებმა: კრის ატკინსმა და მაიკლ ტეილორმა სექვოია აღმოაჩინეს და დაადგინეს, რომ სიმაღლით ამ ხეს, რომელსაც **ჰიპერიონი** უწოდეს, ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. მისი სიმაღლე 113 მეტრია. იმავე მიდამოებში მეცნიერთა ბრიგადამ კიდევ ორ გიგანტურ სექვოიას: ჰალეოსსა (376.3 ფუტი) და იკარუსს (371.2 ფუტი) მიაგნო. მეცნიერები, ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით, ხეების ადგილმდებარეობას ასაიდუმლოებენ.

# 10 ყველაზე სასურველი ქალი

**ჟურნალმა Askmen-მა გამოაქვეყნა თავისი ყოველწლიური ნუსხა: „99 ყველაზე სასურველი ქალი.“ რეიტინგი 6 მლნ მამაკაცის გამოკითხვის შედეგად შეადგინეს. მამაკაცები ყურადღებას აქცევდნენ არა მარტო კანდიდატების გარეგნობას, არამედ ჭკუას, ამბიციებს, იუმორის გრძნობას.**

ყველაზე სასურველი ქალი ნაკლებად ცნობილი კანადელი მსახიობი **ემანუილ შრიკია.** 32 წლის შრიკმა უკან ჩამოიტოვა არანაკლებ ლამაზი და ცნობილი კონკურენტები.

რეიტინგში მეორე ადგილი უკავია ბრენდის — „ვიქტორია სეკრეტ“-ის სახეს, მოდელ **მარისა მილერს**, რომელმაც 2001 წელს გაითქვა სახელი ცნობილი ფოტოგრაფის — მარიო ტესტინოს წყალობით.

მესამე ადგილი 36 წლის ინგლისელ მსახიობ **კეიტ ბეკინსეილს** ერგო. შარშან ჟურნალმა „ესქვაირმა“ იგი ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარა.



ემანუილ შრიკი

მეოთხე პოზიციაზეა „ვიქტორია სეკრეტ“-ის კიდე ერთი სახე, ბრაზილიელი მოდელი **ალესანდრა ამბროსიო**. ალესანდრას იმდენად უყვარს თავისი საქმე, რომ შვილის გაჩენიდან სამი თვის შემდეგ კვლავ პოდიუმზე გამოვიდა.

რეიტინგში მეხუთე ადგილი დაიკავა **ჯესიკა ალბამ**, რომელიც 2006 წლის „99 ყველაზე სასურველი ქალების“ ნუსხაშიც იყო და მას შემდეგ პოზიციას არ თმობს.

მეექვსე ადგილი ერგო ამერიკელ მომღერალს, მუსიკალურ პროდიუსერს, მსახიობს, მოცეკვავესა და მოდის დიზაინერს **ბეიონსე ნოულზს**.

მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა 2009 წლის „ოსკარის“ მფლობელი (ფილმ „ვიკი კრისტინა ბარსელონაში“ ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის) **პენელოპა კრუსი**.

მერვე პოზიციაზეა პოპულარული ბრიტანელი მომღერალი და შოუს წამყვანი **შერილ კოული**, რომელიც „ბრიტანეთის ახალ შეყვარებულად“ აღიარეს



მარისა მილერი

და „ყველაზე ფოტოგენური ქალის“ წოდებაც მიანიჭეს.

შარშან ყველაზე სასურველ ქალად მიჩნეული მსახიობი **ევა მენდესი** ამჯერად მეცხრე ადგილზეა.

ათეულს აგვირგვინებს მსახიობ **ორლანდო ბლუმის** რჩეული, ავსტრალიელი მოდელი მირანდა კერი.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# განსაკუთრებით უცნაური ციხეები






ბოლივიაში ყველაზე დიდი — **სან პედროს** ციხე ქვეყნის დედაქალაქ ლა პაზში მდებარეობს. იქ სასჯელს ათას ხუთასამდე პატიმარი იხდის. დამცავი კორდონების მიღმა სხვა სამყაროა — ქუჩებში ბავშვები თამაშობენ, ფუნქციონირებს მაღაზიები, რესტორნები, სილამაზის სალონები და ოტელიც კი. ციხე პატარა ქალაქს უფრო ჰგავს, ვიდრე საპატიმროს. აქ ვერ ნახავთ ზედამხედველებს, ფანჯრებზე გისოსებს... ეს შედარებითი თავისუფლება იმით აიხსნება, რომ პატიმრებმა თავიანთი შენახვისთვის ფული უნდა იხადონ, ამიტომ მათი უმეტესობა იძულებულია, ციხის ტერიტორიაზე დამლაგებლად, გამყიდველად ან პარიკმახერად იმუშაოს. თუ პატიმარს ფული აქვს, მაშინ, ადგილობრივი საზომებით, კომფორტულ საკანში შეუძლია იცხოვროს, სადაც სააბაზანოც ექნება, სამზარეულოც და საკაბელო ტელევიზიაც. ასეთ საკანში ცხოვრება 1000-1500 დოლარი ღირს პატიმრობის მთელი ვადის მანძილზე.

**Cebu**-ს ციხე ფილიპინებზე მდებარეობს. მხოლოდ აქ შეგიძლიათ იხილოთ ისეთი უნიკალური სანახაობა, რომელიც ყველა ტელეშოუს დაჩრდილავს: მკვლელები, ნარკოტიკებით მოვაჭრენი, მოძალადეები ერთად ცეკვავენ პოპულარული მუსიკის თანხლებით. ამ ცეკვის ვიდეოკადრები ხშირად ინტერნეტშიც განთავსდება და მეგაპოპულარულიც ხდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთ მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის პატიმრებს გასამრჯელოს უხდიან.






**Justizzentrum Leoben**-ი, რომელიც მთლიანად მინისა და ფოლადისაა, თანამედროვე საოფისე ცენტრს უფრო ჰგავს. თუმცა ის ავსტრიული საპატიმროა, სადაც იმდენად კომფორტული პირობებია, რომ ნებისმიერი ავსტრიელი იქ მოხვედრაზე ოცნებობს. რასაკვირველია, ეს ხუმრობით, თუმცა, ამ ხუმრობაში უდავოდ არის სიმართლის ნაწილი...




**Sark**-ის ციხე იმავე დასახელების კუნძულზე მდებარეობს, კუნძული კი ლა-მანშის სრუტეშია, დიდი ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ. ციხე 1856 წელს ააგეს და მსოფლიოში ყველაზე პატარაა — იქ მხოლოდ ორი ტუსაღი თავსდება.



ერთ-ერთი ციხე, რომელიც რეალურად იძლევა პატიმართა გამოსწორების საშუალებას, ნორვეგიის მახლობლად, კუნძულ **Bastoey**-ზე მდებარეობს. ეს დაწესებულება ელექტროენერგიის მისაღებად მზის პანელებს იყენებს, ხოლო თავის გამოსაკვებად პატიმრებს მოსავალი კუნძულზე თვითონვე მოჰყავთ. ისინი დიდ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, თამაშობენ ჩოგბურთს, ცურავენ და ცხენებით დაჯირითობენ. ამ ადგილს „იმედის კუნძულს“ უწოდებენ.



**ADX** ანუ **Administrative Maximum Facility** კოლორადოს შტატშია განთავსებული და მსოფლიოში ყველაზე დაცულ საპყრობილეს წარმოადგენს. აქ პატიმარს საკნის დატოვება და მეზობლებთან ურთიერთობა მხოლოდ კვირაში 9 საათით შეუძლია. დანარჩენ დროს ის საკანში ზის, სადაც შეუძლებელია ავეჯის გადაადგილება, შხაპითა და უნიტაზით სარგებლობა კი მხოლოდ განსაზღვრულ დროსაა შესაძლებელი. საპატიმრო განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისთვისაა გათვალისწინებული.



ესპანეთში, მადრიდიდან 40 კმ-ის დაშორებით მდებარე **Aranjuez**-ის საპატიმრო, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთია, სადაც საკნები ოჯახური ცხოვრებისთვისაა გათვალისწინებული. აქ საბავშვო ოთახებიცაა, სათამაშოებიც და კედლებზე დისნეის პერსონაჟებიანი შპალერებიც. ასეთ საკნებს თავად პატიმრები „ხუთვარსკვლავიანებს“ უწოდებენ.



მექსიკური ციხე **Cereso Chetumal**-იც თავისებურად უნიკალურია. უკვე 10 წელია, აქ ძალადობის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, ხოლო პატიმრები ხელსაქმითა და ხატვით არიან დაკავებული. საპატიმროს ტერიტორიაზე განთავსებულია კრივის რინგი, სადაც, უთანხმოების შემთხვევაში, ტუსაღები ერთმანეთს ერკინებიან. ჩვეულებრივ, ერთი-ორი რაუნდის შემდეგ კონფლიქტი ამოწურულია. ციხეში 1100 პატიმარია. ისინი უხალისოდ ტოვებენ აქაურობას, რადგან ჩინებული პირობები აქვთ — კარგი მენიუ, კულტურული პროგრამა და ა.შ.

# 5 ყველაზე უაზრო სარჩელი



## საკუთარი თავის წინააღმდეგ

გისოსებს მიღმა მკვლელობის მცდელობისთვის მოხვედრილი რობერტ ლი ბროკმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომლითაც საკუთარი თავი ერთდროულად მოსარჩელედ და ბრალმდებლად წარმოადგინა. კერძოდ, მან თავი დაიდანაშაულა იმაში, რომ დაარღვია საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები და რელიგიური მრწამსი სპირტიანი სასმელების მოხმარებით. ბრალდება მან შემდგენაირად ჩამოაყალიბა: მოპასუხე რობერტ ლი ბროკმა, რომელიც ალკოჰოლური სასმელის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაიძულა მე, რობერტ ლი ბროკი, ჩამედინა დანაშაული, რის გამოც ხანგრძლივ პატიმრობაში ვიმყოფები. მოვითხოვ, რომ ზემოაღნიშნული დარღვევისთვის საკუთარ თავს 5 მლნ დოლარი გადავუხადო. და რაკი სასჯელს ვიხდი, მუშაობის საშუალება არ მაქვს და შტატის კმაყოფაზე ვიმყოფები, სასამართლოს ვთხოვ, რომ ეს თანხა შტატის ოფიციალურმა ხელისუფლებამ გადაიხადოს.“ უმაღლესმა სასამართლომ უარი უთხრა ბროკს აღნიშნული თანხის გადახდაზე, თუმცა შტატს მაინც მოუხდა სასამართლო ხარჯების დაფარვა.

## მომხმარებელი მუდამ მართალია!

ცოლ-ქმარმა სასამართლოში უჩივლა კომპანია „ჰეინცს“ და 180.000 დოლარის გადახდა მოსთხოვა მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მის მიერ წარმოებული „კეტჩუპის“ ყველა ბოთლში 42 გ კეტჩუპი აკლია.

საინტერესოა, რამდენი ბოთლის შეძენა მოუხდა წყვილს მსგავსი დასკვნის გასაკეთებლად?

## კონტრაცეპტივიანი ბუტერბროდი

ამერიკელმა ქალმა ჩასახვის საწინააღმდეგო გელის დანიშნულებისამებრ გამოყენების ნაცვლად, ის ბუტერბროს წაუსვა და მიირთვა. გარკვეული დროის შემდეგ ქალი დაფეხმძიმდა და ახლა კონტრაცეპტივების მწარმოებლებს ადანაშაულებს იმაში, რომ დაავიწყდათ შეფუთვაზე წარწერის გაკეთება: „გელის შეჭმა დაფეხმძიმებისგან ვერ იცავს!“.





## პროტესტი რეკლამის გამო

ერთმა ახალგაზრდა ამერიკელმა სასამართლოში უჩივლა ცნობილ ლუდსახარშ კომპანიას იმის გამო, რომ მათი რეკლამა სიცრუეზე იყო აგებული. თურმე სარეკლამო რგოლი მომხმარებელს ბედნიერებასა და წარმატებას ჰპირდებოდა. ჰოდა, ახალგაზრდაც სვამდა, მაგრამ ვერა და ვერ გაბედნიერდა!

## ჭარბი წონა

ნიუიორკელმა სანტექნიკოსმა სიზარ ბარბერამ ცნობილი რესტორნების ქსელს სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ მათი წყალობით გასუქდა. 180 სმ სიმაღლის სანტექნიკოსი 120 კგ-ს იწონის, გადატანილი აქვს ორი ინფარქტი და შაქრიანი დიაბეტითაა დაავადებული. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხას ითხოვს ბარბერა მორალური ზარალის საკომპენსაციოდ.

# ოცნება «ბარსელონაზე», რომლის ახდენასაც 12 წლის ნიკა თქვენი დახმარებით შეძლებს

„ჩემი შვილი – ნიკა ახლა 12 წლისაა. სამი წლის წინ ავტოავარია შეგვემთხვა, რის შემდეგაც თავის ტვინის ტრავმა მიიღო და მხედველობა დაკარგა. ყველაფერი თავიდან დავიწყეთ: ლაპარაკი, ჭამა, სიარული.

ავარიამდე ყველაფერი სხვაგვარად იყო. ნიკა ფეხბურთს თამაშობდა „ლოკომოტივის" ასაკობრივ გუნდში. რომ არა ის უბედური შემთხვევა, იგი „ბარსელონას" აკადემიაში აღმოჩნდებოდა. ნიკა მოედანზე დაბრუნებაზე ოცნებობს. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობიდან გამოსული არ არის, სჯერა, რომ კვლავ შეძლებს დიდი ფეხბურთის თამაშს.

ოჯახში მხოლოდ ჩემი მეუღლე მუშაობს. იმ ამბის შემდეგ ნიკა ყოველდღე დაგვყავს ექიმთან. ერთი პროცედურა ოცი ლარი ჯდება. ამას ერთვის საყოფაცხოვრებო ხარჯებიც. ვისაც შეგიძლიათ და სურვილი გაქვთ, გთხოვთ, დაგვეხმაროთ.

ნიკას სრული რეაბილიტაციისთვის რამდენიმე კურსი სჭირდება. ერთი ასეთი კურსი უკრაინაში 10 000 ლარი ღირს. ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს.

იმედი მაქვს, რომ ნიკას ოცნებების ასრულებაში დაეხმარებით...

ნიკას დედა — სოფიკო ბენდელიანი



ნიკა ავარიამდე — ავარიის შემდეგ

„ლოკომოტივის" ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემი ფეხბურთელის ცხოვრება მთლიანად შეცვალა იმ ავბედითმა დღემ — 13 მაისმა.

მწვრთნელი მიშა კობალაძე სამი წლის წინანდელ ამბებს იხსენებს: **„გუნდი რომ შეიკრიბა, იპოდრომზე ვვარჯიშობდით. ბავშვები დარბოდნენ, ხეებზე დაძვრებოდნენ, არ ისვენებდნენ. ნიკა გუნდის კაპიტანი იყო. ძალიან სერიოზულად უდგებოდა თავის საქმეს. დავუძახე, ნიკუშ, ბავშვები, რომ დარბიან და ცელქობენ, იქნებ მიხვიდე, შენ დაელაპარაკო-მეთქი. მეორე დღეს რომ მივედი, ერთ ხაზზე დამწკრივებულნი დამხვდნენ, შემდეგ სულ ასე გრძელდებოდა".**

სიხარულიძეების ოჯახი, გლდანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ოჯახში მხოლოდ მამა მუშაობს. სამი წლის განმავლობაში, ბავშვი ექიმთან ყოველდღე დაჰყავთ სპეციალური თერაპიის კურსის გასავლელად. ნიკას დედა, სოფიკო ამბობს, რომ ის შედეგი, რაც ახლა ბავშვს აქვს, უზარმაზარი შრომის საფასურია:

**„ხელახლა ვასწავლით ყველაფერს. ორი თვე კომაში იყო. პირველი სიტყვა ავარიის შემდეგ შობას თქვა. ბავშვს ნათლავდა და სწორედ იმ დღეს ალაპარაკდა. მარცხენა მხარე სრულად პარალიზებული ჰქონდა, ახლა ნელ-ნელა ხდება მისი აღდგენა. მარჯვენას შედარებით კარგად ხმარობს. სიარული უჭირს, დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება. ასეც რომ დადის, საოცრებაა. ამდენს თუ მივაღწევდით, არ გვეგონა. მხედველობა ჯერ კიდევ არ აღდგენია. გვითხრეს, სიარულს რომ დაიწყებს, რეაბილიტაციის კურსი დასჭირდებაო. ახლა ეს უკვე შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ საშუალება არ გვაქვს".**

ნიკა ცდილობს, რომ დამარცვლით წარმოთქვას სიტყვები. რასაკვირველია, საუბარი უჭირს. ხედავს ბუნდოვნად. უფრო სწორად, არჩევს მხოლოდ სილუეტებს. მარჯვენა მხარეს შუბლის თხემი არ აქვს. როგორც ექიმები ეუბნებიან, სრულწლოვანების ასაკში, ჩამოყალიბების და ზრდის პროცესი რომ დასრულდება, თხემის აღდგენა შესაძლებელი იქნება, თუმცა ესეც დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული.

რამდენიმე წლის წინ „ბარსელონამ" საქართველოში ტალანტების მოძიების პროგრამა წამოიწყო. „ლოკომოტივის" სტადიონზე 80-მდე ბავშვი გასინჯეს. როგორც მიშა კობალაძე იხსენებს, თამაშის ბოლოს ნიკამ დიდი მოწონება დაიმსახურა:

**„ის თამაში ჩვენმა გუნდმა 4:0 მოიგო. ერთმა ფეხბურთელმა შეაგდო ოთხივე გოლი. თამაშის ბოლოს ჩემთან ესპანელი მოვიდა და მოთხრა, რომ ერთი ფეხბურთელი ძალიან მოეწონა, ვიფიქრე იმ ბავშვზე მეუბნებოდა, ვინც გოლები გაიტანა, მაგრამ მასზე არ უთქვამს, ნიკაზე მანიშნა, — ამან ორი თავდამსხმელი გამიჩერა, ძალიან მაგარი ბავშვიაო. რამდენიმე შეარჩიეს ეტაპობრივად ბარსელონაში წასაყვანად. რომ არა ეს შემთხვევა, დღეს ნიკა „ბარსელონაში" იქნებოდა".**

ნიკასაც გავესაუბრე. ავტოგრაფიც გამოვართვი. ქართველი ფეხბურთელებიდან ყველაზე მეტად მალხაზ ასათიანი უყვარს. ოცნების გუნდი, რაღა თქმა უნდა, „ბარსელონაა". ნიკას სჯერა, რომ მინდორზე დაბრუნებას შეძლებს. ნიკუშამ ისიც გაიხსენა, თუ როგორ უჯერებდნენ თანაგუნდელები; როდესაც აგებდნენ, როგორ ამხნევებდა და ბოლომდე ბრძოლას სთხოვდა.

პატარა ბიჭს ახლა რამდენიმე მასწავლებელი სახლში აკითხავს და მეხუთე კლასის პროგრამის გავლაში ეხმარება. საგნებს შორის ყველაზე მეტად სკოლაში ბუნება უყვარდა. მდგომარეობის მიუხედავად, მასწავლებლებს უფრო მეტ დატვირთვას სთხოვს, ლაპარაკი მიჭირს, აზროვნება კი არაო. თუმცა, როცა მოედანს დაუბრუნდება, მხოლოდ ფეხბურთს ითამაშებს.

ბიჭის დედა, სოფიკო იხსენებს, ერთხელ ნიკასთვის უკითხავთ, რომელი გირჩევნია — სწავლა თუ ფეხბურთიო? ნიკას, რა თქმა უნდა, ფეხბურთი აურჩევია, ცნობილი ფეხბურთელი რომ გახდები, ავტოგრაფის მიცემა ხომ უნდა შეგეძლოსო, დიდი კაცივით უპასუხნია, — პიარ-მენეჯერს ავიყვანო.

**8 წლის ნიკა „ამერში" ორი წლით უფროსებთან ერთ გუნდში თამაშობდა. „ლოკომოტივში" გადასვლის შემდეგ, ველოტრეკზე დავით ჩხეიძის სახელობის ტურნირიც მოიგეს. სწორედ იმ მოგების შემდეგ გადაწყვიტეს ბავშვების მშობლებმა ჯვარზე ასვლა. როგორც ჩანს, იქ ერთ-ერთმა მშობელმა ზედმეტი დალია. ნიკა მის მანქანაში აღმოჩნდა. ავტოავარიის დროს, საქარე მინამ ყველაზე მეტად ის დააზარალა, სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან.**

შემდეგ კი ყველაზე რთული პერიოდი იყო. „ლოკომოტივი" რამდენჯერმე დაეხმარა ნიკას ოჯახს და საავადმყოფოშიც მიუტანეს თანხა, მაგრამ ეს საკმარისი არც მაშინ იყო. ახლა კი, პატარა ნიკას ყველაზე მეტად ესაჭიროება გულისხმიერი ადამიანების დახმარება.

**მაგდა კლდიაშვილი**

მათ, ვისაც შეგიძლიათ თუნდაც ერთი ლარით დაეხმაროთ ამ ბავშვს, დაუკავშირდით მის ოჯახს; საკონტაქტო ნომრებია: 58-35-56; 895-41-17-29.

„TBC ბანკში" ნიკას დასახმარებლად ანგარიში გაიხსნა. დახმარების მსურველებს შეგიძლიათ თანხა გადარიცხოთ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

საბანკო კოდი (მფო) — 220101819

მიმღების დასახელება — გელა სიხარულიძე

ანგარიშსწორების ანგარიში — GE40 TB79 5843 6010 1000 01/GEL

ევროსა და დოლარის გადმორიცხვა შესაძლებელია:

Gela Sikharulidze — GE84 TB79 5843 6110 1000 01


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



## მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



### გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77

საქართველო — ესტუმრეთ ჩვენს საიტს

http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net